

კულტურათაშორისი კომუნიკაციები
INTERCULTURAL COMMUNICATIONS
МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

ISSN 1512-4363

საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა
International scientific periodical edition
Международное научно-периодическое издание

კულტურათაშორისი კომუნიკაციები

INTERCULTURAL COMMUNICATIONS

МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ



№35

თბილისი – Tbilisi – Тбилиси
2022

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი ინფორმაცია

Editor-in-chief Indira Dzagania
Главный редактор Индира Дзаганя

| რედაქტორები | Editors | Редакторы |
|--------------------|-------------------|---------------------|
| ლირა გაბუნია | Lira Gabunia | Ли́ра Габу́ния |
| ოლღა პეტრიაშვილი | Olga Petriashvili | О́льга Пётриашви́ли |
| მარინე ტურავა | Marina Turava | Ма́рина Тура́ва |
| ირმა ზაკარაია | Irma Zakaraia | И́рма Закара́я |
| ანა მოსაშვილი | Ana Mosashvili | А́на Мосашви́ли |

| კომპიუტერული რედაქტირება | Computer Editing | Компьютерное редактирование |
|---------------------------------|-------------------------|------------------------------------|
| რობერტ მესხი | Robert Meskhi | Роберт Месхи |

| პასუხისმგებელი მდივანი | Executive Secretary | Ответственный секретарь |
|-------------------------------|----------------------------|--------------------------------|
| ლიანა გვასალია | Liana Gvasalia | Ли́ана Гвасали́я |

სარედაქციო საბჭო

ვეინ ჯეიკობი (აშშ), იან კე (ჩინეთი), ბილალ დინდარი (თურქეთი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფოგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), ნილაკში სურანარაიანი (ინდოეთი), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსთუნიერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), დავით გოციანი (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუცკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), ირინა მატიაში (უკრაინა), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლუცკანოვი (ბულგარეთი), ქემალ მაკილი-ალიევი (შვედეთი), მარია დიმასი (საბერძნეთი), რიტსუკო ინოუე (იაპონია), ალა საინენკო (მოლდავეთი), მანუელ ფილიპე დე კოსტა (პორტუგალია), რომან დიაკონი (ლატვია), რეგინა კარველინე (ლიეტუვა), ალექსანდრე გრუშა (ბელორუსია), მარია მანუელ გუტიერეს მანგადო (ესპანეთი), გიორგი აგოსტონი (უნგრეთი), ენრიკე კერო ხორვილია (ესპანეთი).

Editorial Board

Wayne Jacoby (USA), Yang Ke (China), Billal Dindar (Turkey), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Neelakshi Suryanarayan (India), Gheorghe Popa (Moldova), Ilona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhiaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Irina Matyash (Ukraine), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Sweden), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karvelienu (Lithuania), Alexander Grusha (Belarus), Maria Juncal Gutierrez Mangado (Spain), Gyorgy Agoston (Hungary), Enrique Quero Gervilla (Spain).

Редакционный совет

Вэйн Джекоби (США), Ян Кэ (Китай), Билял Диндар (Турция), Эндрю Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Нилакши Сурьянараян (Индия), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтен Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джаяхия (Грузия), Михаил Богущкий (Польша), Ирэн Кудлинска (Польша), Ирина Матяш (Украина), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Толысбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Камал Макили-Алиев (Швеция), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия), Мария Хункал Гутьеррес Мангадо (Испания), Гюрджи Агостон (Венгрия), Энрике Керо Хорвилия (Испания).

EAN 9771512 43 6007

კობა წურწუშია
(საქართველო)

**დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრების“
ტრანსცენდენტური კონცეპტები**

დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“ [“Vita Nuova”, 1291 წელი] რენესანსის მაცოცხლებელი იმპულსებითაა შთაგონებული. ამ პოეტურ კრებულში გამოკვეთილია რენესანსული ლიტერატურის უმთავრესი იდეა და პარადიგმა – ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ესთეტიკა, ანტიკური ფასეულობების მიღება, კოსმიური თემები. შეიძლება ითქვას, „ახალი ცხოვრება“ დანტეს რეპრეზენტაციაა. მეტიც, ამ პოეტურ კრებულში თავმოყრილია მისი სულის უნივერსალური შრეები. დანტე გვესაუბრება ტრანსცენდენტურინტელიგიბელურ სამყაროზე, უმაღლეს ჭეშმარიტებაზე, ზემოწვენიერებაზე, ზესიკეთეზე, „ინტელექტუალურ სიყვარულზე“, რომელსაც პლატონი დვთაებრივს უწოდებს. ამ სულიერ სიმაღლეზე ასვლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. რჩეულთა რჩეული იყო ბეატრიჩეს მომღერალი მგოსანი.

შეიძლება ითქვას, დანტეს ტრანსცენდენტური და მეტაფიზიკური განზომილება, მისი ლიტერატურული და ესთეტიკური ხედვები მთლიანად თავმოყრილია „ახალ ცხოვრებაში“. ხატად ქცეული ბეატრიჩე პოეტისთვის კოსმოსის ნაწილი ხდება. თავდაპირველად, ბეატრიჩე ფრესკული ხატება არ ყოფილა. დანტე თავიდან რეალურ ქალზე გვესაუბრება, რომლის ტრაგიკულობამ პოეტი შეძრა (ბეატრიჩე პორტინარე 24 წლის ასაკში გარდაიცვლება). გარდაცვალების შემდეგ მან შეიძინა მეტაფორულ-სიმბოლური დატვირთვა. მასში ხილულ (სხეულებრივ) განზომილებასთან მეტად უხილავი (დვთაებრივი) განზომილებაა. ეს „ორმაგობა“ მთლიანად გასდევს დანტეს პოეტურ კრებულს. მეტიც, ბეატრიჩეს ენიგმური სახე სიბრძნისა (სოფია) და გონების (ლოგოსი) სიმბოლოა. ის დედამიწაზე დროებით ჩამოსული დვთაება იყო, რათა ადამიანებს სიბრძნე და სიყვარული გაუნაწილოს. გარდაცვალების შემდეგ მან დაკარგა სხეულებრივი განზომილება და შეიძინა დვთაებრივი დატვირთვა. ის სუბსტანცია და პოეტური ემანაციაა. სისპეტაკის, მარადიული სიცოცხლისა და სრულყოფილების სიმბოლოა.

დანტე ალიგიერი ღრმად იყო განსწავლული დვთისმეტყველებასა და თეოლოგიაში, სარგებლობს ანტიკური ფილოსოფიური ლირიკით, იზიარებს მეტაფიზიკურ და ნეოპლატონიკურ ხედვებს. უმთავრესი, რითაც დანტე ალიგიერი სარგებლობს, ესაა – ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. „ახალი ცხოვრება“ ფსალმუნების, პიმნების, საგალობლების, ლოცვების ასოციაციას აღუძრავს მკითხველს. დანტეს კანცონები და სონეტები სავედრებელი ვალობა-ჰიმნებია ბეატრიჩესადმი აღვლენილი. მეტიც, „ახალი ცხოვრება“ დანტეს ქორთა, ხოლო „დვთაებრივ კომედიაში“ დანტემ ტერცინებით გამოძერწა ბეატრიჩეს საგალობლები.

დანტე ალიგიერი გულმოდგინედ სწავლობდა ანტიკურ კულტურას, შუა საუკუნეების თეოლოგთა შრომებს, დაწყებული ნეტარი ავგუსტინეთი და დამთავრებული თომას აქვინელით. ფილოსოფიასთან ერთად შეისწავლა კლასიკური ლიტერატურა – ციცერონი, ოვიდიუსი, ჰორაციუსი. მათ შორისაა ვერგილიუსი „ლათინელთა სიამაყე“, „ცოდნის ზღვა“. დანტესთვის ვერგილიუსი არის „დაუშრეტელი დასაბამი ენამზეობისა, პოეტების ნათლის სვეტი“ [„სალხინებელი“, ქება 7, 16]. მეტიც, „დანტემ აღადგინა ვერგილიუსის კულტი“ [10, 88].

დანტე ალიგიერი დიდ პატივს მიაგებდა ანტიკური ეპოქის ყველაზე გამორჩეულ პოეტს ჰომეროსს. „ახალ ცხოვრებაში“ ჰომეროსი მოხსენიებულია ეპითეტით „კეთილი ჰომეროსი“ [1, 88]. არანაკლებ მოსწონდა ოვიდიუს ნაზონი – „სიყვარულის მგოსანი“, რომელმაც რომაელი ახალგაზრდებისათვის დაწერა არაერთი სატრფიალო კრებული. მათ შორის, „ტროზობანი“ და „ტროზობის ხელოვნება“. ამ კრებულთა განწყობას დანტე, უთუოდ, იცნობდა. მართალია, ოვიდიუსის „მსუბუქ“ სატრფიალო ელეგიებსა და განცდებს დიდადაა დაშორებული „ახალი ცხოვრება“, მაგრამ უეჭველია დანტე კარგად იცნობდა ოვიდიუს ნაზონის შემოქმედებას. მეტიც, დანტე ნაზონის ერთ პოეტურ კრებულს "Remedia Amoris" („განკურნება სიყვარულისაგან“) მოიხსენიებს „ახალ ცხოვრებაში“ [1, 88]. „ღვთაებრივ კომედიაში“ კი ნაზონი ნახსენებია ჰომეროსის, ჰორაციუსისა და სხვა ანტიკური ეპოქის სახელგანთქმული პოეტებისა და ფილოსოფოსების გვერდით [„ჯოჯოხეთი“, ქება 4, 85]. ამდენად, ბერძნული და რომაული ფილოსოფიური ტექსტები (პლატონი, არისტოტელე, ოვიდიუს ნაზონი, ვერგილიუსი, ჰორაციუსი) დანტეზე, უთუოდ, კეთილ გავლენას ახდენდნენ.

აღბათ, უფრო მართებული ვიქნებით, თუ დეტალურად შევვხებით იმ ძირითად თემატურ წყაროებს, რაზედაც აიგო „ახალი ცხოვრება“. უპირველეს ყოვლისა, ესაა შუა საუკუნეების თეოლოგთა და ღვთისმეტყველთა ტექსტები და ბიბლიური წიგნები. დანტეს პოეტურ კრებულს მთლიანად გასდევს ანტიკური ჰიმნების კეთილხმოვნება. „ახალი ცხოვრების“ პირველწყაროთა შორის უნდა დავასახელოთ ორფევის საგალობლები და პროკლე დიადოხოსის მზის ჰიმნები, რომელთა განწყობა დანტესთვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო. ორფევის მისტერიები და პროკლე დიადოხოსის ღვთაებრივი დიალოგები დანტეს პოეტურ ენას გვაგონებენ. აქვე უნდა დავასახელოთ პროვანსული და ტრუბადურული პოეზიის მოტივები, ხალხური ინტონაციები, კურტუაზული ლიტერატურა და „ვარდის რომანის“ მგრძობიარე ფონი, რომელსაც დანტე ოსტატურად უთავსებს თავის პირად მწუხარებას. ამ კულტურული მეხსიერების კონტექსტში აყალიბებს დანტე ბეატრიჩეს საგალობლებს. შეიძლება ითქვას, დანტეს „ახალი ცხოვრება“ შუა საუკუნეებისა და ფეოდალური ხანის სატრფიალო რომანების, ტრუბადურული პოეზიის ინვარიანტს წარმოადგენს. ასეთია „ახალი ცხოვრების“ კულტურული ქრონოტოპები. სწორედ ეს ხალხური ინტონაციები იყო წინაპირობა, რომელმაც შეამზადა და მოამწიფა დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“. მეტიც, დანტემ მთლიანად აითვისა ანტიკური და ქრისტიანული მემკვიდრეობა.

საყურადღებოა დანტეს პოეტური კრებულის სემანტიკა. „ახალი ცხოვრება“ ღრმა აზრობრივი მეტაფორაა. მასში ავტორის ღრმა კონდენსირებული აზრი დევს. მეტიც, მას მრავალი ენიგმა და დატვირთვა მოეპოვება. „ახალი ცხოვრება“ ახალი ეპოქის შიფრია. მეტაფორულად, „ახალი ცხოვრება“ ახალი ღროს, ახალი ჟამის დადგომას გუ-

ლისხმობს; ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისია; წარმართულიდან ქრისტიანულ კულტურაზე გადასვლაა. „ახალი ცხოვრება“ სიკვდილის ძლევა და სიცოცხლის გამარჯვებაა; სიკეთის მარადიული ზეიმი; ღმერთისა და კაცის შერიგება; სიყვარულის გამარჯვება; ტაძრისაკენ სავალი გზაა. „ახალი ცხოვრება“ თვითგანვითარების, სულიერი მღვიძრობის, ახალი აზროვნების, ახალი ფასეულობების მიღებაა; ადამიანის მეტამორფოზაა; ტაძრის მშენებელთა გზაა; დიდი მიზნისაკენ სავალი გზაა; „მწყემს კეთილთან“ დაბრუნება; „ტალანტის გამრავლება“. „ახალი ცხოვრება“ დაკარგული ღვთაებრივი საწყისებისა და ღვთის ხატობის აღდგენაა. ასეთია „ახალი ცხოვრების“ მეტაფორული და სემიოტიკური გააზრება; ტრანსცენდენტური განზომილება. ცხადია, დანტეს პოეტურ კრებულში მრავალი ტიპის დისკურსი იკითხება.

დანტე ეძახის, უხმობს, შეჰლაღადებს სატრფოს. დანტეს გლოვა სემიოტიკური თვალსაზრისით იგივე ქრისტეს გლოვა და დატირებაა. მისი მწუხარება ქრისტიანულ საწყისებზეა აღმოცენებული. კრებული შეიცავს ბევრ ინფორმაციას, ენიგმას, შიფრებს, ხატ-სიმბოლოებსა და ხატ-მეტაფორებს. უმთავრესი ხატი პოეტის სატრფოა. მასში ორი საწყისია – ღვთაებრივი და მიწიერი. დანტეს „პოეტურ ხატს“ „ორმაგობა“, „ორმაგი ფუნქცია“ ენიჭება. სამართლიანად ითქვა: „ბეატრიჩეს მგოსანი გვევლინება სიმბოლურ-ალეგორიული სტილის დიდოსტატად“ [1, 6]. აქვე, უთუოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოთარ ჯინორია იყო პირველი, რომელმაც დანტე ალიგიერის პოეტურ კრებულს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა (იხ. „ახალი ცხოვრების“ წინასიტყვაობა. ესაა ერთადერთი გამოკვლევა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში).

ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ ბიბლიაზე, „ახალი ცხოვრების“ ძირითად თემატურ წყაროებზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „ქებათა ქება სოლომონისა“. „ქებათა ქებაში“ ღვთაებრივი სიყვარული მაღალ რანგშია აყვანილი, რომლის ლირიკული გმირი სულის შეყვარებულს დაეძებს [3, 1-2]. „ქებათა ქებას“ ავტორმა იცის, რომ „ძლიერია სიკვდილივით სიყვარული“ [8, 6]. დანტეც ამ ძლიერი სიყვარულისაკენ მიიღტვის. ცხადია, „ქებათა ქება“ ღვთაებრივი სიყვარულის უნივერსალური მოდელია. სხვა ტექსტებთან ერთად დანტესთვის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა, უთუოდ, „ქებათა ქებაში“ ჩადებული ესთეტიკური განწყობა იყო. ამ ესთეტიკურ და ემოციურ ფონს დანტე კვალდაკვალ მიჰყვება, აღრმავებს, ავითარებს და ღრმა ფილოსოფიური, მითოსური და ჰიმნოგრაფიული საგალობლებით ავსებს და ამკობს. ამდენად, „ახალი ცხოვრების“ საფუძველი ქრისტიანული ფასეულობების მიღებაა. დანტეს „საგალობლებს“ მთლიანად გასდევს ბიბლიის ენა და ანტიკური ტექსტების განწყობა.

საწყისი და წყარო სიყვარულისა არის ღმერთი. „ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ [1 იოანე. 4, 8]. პავლე მოციქული შეგვაგონებს: „სიყვარული სულგრძელია“, „სიყვარული არასოდეს მთავრდება“ [1 კორ. 13, 4-8]. მეტიც, „სიყვარული არის კავშირი სრულყოფისა“ [კოლ. 3, 14]. დანტე ამ ყოვლის-მომცველ, სრულქმნილ სიყვარულისაკენ მიიღტვის, რომელიც არასოდეს მთავრდება. ბეატრიჩე მისთვის მარადიული სიყვარულის სიმბოლოა. დანტესთვის სიყვარული არის მუდმივი კავშირი ღმერთთან, ხიდი ზეცასა და მიწას შორის.

დანტე შეყვარებული ტრუბადურია. „ახალი ცხოვრების“ დასაწყისში დანტე გულ-წრფელად გვანდობს: „სიყვარულის იმდენ ნიშანს ვატარებდი სახეზე, რომ შეუძლებელია ამის დაფარვა“ [1, 40]. რა არის ეს ნიშნები? საიდან იღებს სათავეს მისი პოეზიის,

უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის მაცოცხლებელი ნიშნები? აქვე დანტე გვეუბნება – „სიყვარულმა დამიმონაო“, რომელ სიყვარულზეა საუბარი?

დანტესთვის სიკეთით სავსე, ზეციური დედოფალი ბეატრიჩა. „ახალ ცხოვრებაში“ ბეატრიჩე სხვადასხვა ეპითეტითაა შემოკობილი. ის გულმოდგინედ, სათნო, ნათელი, უმანკო, სრულქმნილი, მზისდარი, კდემამოსილი, სახემშვენიერი და ღვთაებრივია. ყველაზე ხშირად ის მოიხსენიება როგორც კეთილი, ამქვეყნიური სიკეთით შემკული. მეტიც, „იგი თვით ხორცშესხმული სიკეთე იყო“, – დასძენს დანტე [XXII სონეტი]. პლატონი თვლის, რომ „სიკეთე არის თვითონ სისრულე, უმაღლესი იდეა, ყოველგვარი არსებულისა და აზრობრივის ერთიანი ძირი და სათავე“ [12, 332]. „ერთი ქალწული, გულმოდგინედ, შემკული სრულად ამქვეყნიური სიკეთითა და მშვენიერებით“, – ასე ამკობს დანტე სატრფოს [III კანცონა]. მაგრამ „სიკვდილმა არ დაინდო სიკეთით სრული და მწყაზარი ქალწულის გული“, „ყველა მისი სათნოება მიწით წარისხოცა“ [III სონეტი].

„ახალი ცხოვრების“ მრავალ სახე-სიმბოლოთა შორის გამოვყოფთ ორს – „ნათლისა“ და „მზის“ კონცეპტებს. რა ფუნქცია აკისრიათ მათ დანტეს პოეტურ კრებულში? საკითხის შესასწავლად ზოგადად მიმოვიხილოთ მზისა და ნათელის კონცეპტი მითოსსა და ბიბლიურ წიგნებში.

„ახალ ცხოვრებაში“ ბეატრიჩეს ერთ-ერთი ეპითეტი „ნათელია“. დანტესთან „ნათელის“ მეტაფორას დიდი ადგილი ეთმობა. ნათელი შექმნილია ღვთისგან [დაბ. 1, 3]. ბიბლიური თვალსაზრისით, ნათელი უფალია, უფლის მეტაფორაა. ზეციურ ნათელზე მაცხოვარი ასე გვესაუბრება: „მე ვარ ნათელი წუთისოფლისა; ვინც გამოძევება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი“ [იოანე, 8, 12]. „სანამ წუთისოფელში ვარ, წუთისოფლის ნათელი ვარ“ [იოანე, 9, 5]. „მე, ნათელი, მოვედი წუთისოფელში“ [იოანე, 12, 46]. ეკლესიასტე შეგვაგონებს: „ტკბილ არს ნათელი“ [11, 7]. საინტერესო ინტერპრეტაციას ვეცნობით ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში, როდესაც იგი „ღმერთის“ სახელს განმარტავს: „ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებულთა ყოველთა“ [ტ. 3. გვ. 140]. სამწუხაროდ, ადამიანმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარა: „ნათელი მოვიდა წუთისოფელში და ადამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარეს“ [იოანე, 3, 19]. დაცემულმა ადამიანმა დაკარგა ღვთის ხატებაც და ნათელიც. ადამიანის ამსოფლიური მიზანია დაიბრუნოს ღვთაებრივი ნათელი და დაემსგავსოს უფალს, რომლის ხატი და მსგავსებაა. დანტე ნათლისაკენ სწრაფვაში ხედავს ცხოვრების საზრისს.

დანტე მზის თაყვანისმცემელია. „ღვთაებრივ კომედიაში“ ასე მიმართავს მზეს: „ო, ჰელიოს, მშვენებავ ცათა!“ წმინდა წერილები გვეუბნება, რომ ღმერთმა შექმნა „ურიცხვი საკვირველებანი“ [იობი, 9, 10], მათ შორის მზე, „დიდი მნათობი დღის განმგებლად“ [დაბ. 1, 14]. „ტკბილია სინათლე და საამურია თვალთათვის მზის ჭვრეტა“ [ეკლ. 11, 7]. მზე ნათელს ჰფენს კეთილსა და ბოროტს [მათე, 5, 45]. ფერიცვალების დროს მზის მსგავსად გაბრწყინდა სახე ქრისტესი [მათე, 17, 2].

მზე – სიკეთისა და სიცოცხლის პირველსაწყისია. მარადიულობის სიმბოლოა. მზე უმაღლესი კოსმიური მთლიანობაა. უფლის მეტაფორაა. მეტიც, მზე „ყოვლის მხედველი“, „ყოველგანმჭვრეტელი“, „კეთილ საქმეთა მანიშნებელია“ (ორფიკული საგალობლებიდან). აქედან გამომდინარე, მზის სიმბოლო თვალთა და სმენისაა. მეტიც, მზე არის „სამყაროს გული“, „ჰარმონიით აღმსებული მთელი სოფლისა“, „ძლევამოსილი მხედარი“ (პროკლე

დიადოსოსის საგალობლებიდან). მზის სემანტიკა დანტესთან გამოკვეთილია. მზე ბეატრიჩეა. დანტესთან მზე პერსონიფიცირებული სახეა. მეტიც, ბეატრიჩე მზის სუბსტანციურ-იპოსტასური ღვთაება-ხატია. ამდენად, დანტეს „ჰიმნებში“ ბეატრიჩე უმაღლეს იდეას წარმოადგენს.

ამდენად, ბეატრიჩე კეთილი და ნათელია. ის მზესთანაა გათანაბრებული. ამავე დროს, ის არის ღოგოსის, სიბრძნის სათავე. მეტიც, მასზე გადმოვიდა სიბრძნის სული. ის „ამოურწყავი საგანძურია“. სიბრძნე ეწევა მხოლოდ უბიწო სულებს თაობიდან თაობაში. სოლომონ ბრძენი სიბრძნეს ასე განმარტავს: „იგია სული გონიერი, წმინდა, მხოლოდშობილი, მრავალწილიანი, ნატიფი, მოძრავი, მკაფიო, შეურყენელი, ნათელი, უვნებელი, კეთილისმოყვარე, მახვილი, დაუბრკოლებელი, ქველისმოქმედი, კაცთმოყვარე, მტკიცე, შეურყეველი, უშფოთველი, ყოვლადძლიერი, ყოვლისმხედველი, გონიერი, განწმენდელი და ფაქიზ სულში შემადგენელი... იგია საუკუნო ნათელის ანარეკლი, უხინჯო სარკე ღვთისა ქმედებისა და ხატი მისი სიკეთისა“ [7, 22-26]. ამდაგვარი ფუნქციის მატარებელია „ახალ ცხოვრებაში“ ბეატრიჩე. ის შემკულია ყველა ჩამოთვლილი თვისებით.

დანტე დიდმა მწუხარებამ მოიცვა, რადგან კეთილშობილმა ასულმა ბეატრიჩემ დატოვა. მანამდე დანტე ცდილობდა საიდუმლო არ გაეცა, ფარულად ჰყვარებოდა სატრფო. ის ბიბლიური იერემიასავით მოსთქვამს: „თუ არის კიდევ სატკივარი უფრო დიდი, ვიდრე ჩემია?“ „ნეტავ ჩემებრ ვინმე იტანჯება?“ – გვეუბნება სატრფოს დამკარგავი პოეტი. დანტეს აპოკალიფსური ხილვები ეწყება: ხედავს თუ როგორ ჩაქრა მზე და მთვარე, როგორ ტიროდნენ მზე და ვარსკვლავები, ტიროდა ზეცა „ირყოდა შემზარავად სფერო ქვეყნისა“, რადგან აუწყეს „მოკვდაო შენი მზე, ამა სოფლის მზე და მშვენება“ [XXV სონეტი].

დანტეს არაერთგზის სმენია საკუთარ თავზე: „რისთვის მიეგო ნეტავ ამ კაცს ესოდენ დიდი სიხარული და ნეტარება?“ (სონეტი II). III კანცინაში დანტე აღნიშნავს: „არა ღირსი ვართ ჩვენ, მიწიერნი, ეგ ზომ სიწმინდეს და დიდებას აქ ვიმარხავდეთ“. XI სონეტაში დანტე აღნიშნავს: „ნეტარ არს იგი, ვის თუნდაც ერთხელ მისი ხილვა ხვდომია წილად“. მეტიც, ბეატრიჩეს მნახველებს აღმოსდებოდათ: „ქალი კი არა, ცის ერთი უმშვენიერესი ანგელოსიო ჭეშმარიტად [XXVI სონეტი]. IV კანცონაში დანტე გვესაუბრება ბეატრიჩეს ტრანსფორმაციაზე. დანტე აღნიშნავს, როდესაც ბეატრიჩე გაგვეცალა და გაცდა ჩვენს თვალთა მზერას, იქცა უხორცო ზეციურ მშვენებად. მეტიც, „ციურნი დასნი განაბრწყინა და განაცვიფრა“.

ღმერთის შეცნობის უმთავრესი გზა მისტიკაა. ტიტან დანტეს მისტიკური ჰვრეტი სურს დაიბრუნოს სატრფო. ტრანსცენდენტურია დანტეს სიზმრები და ხილვები. ესაა ერთადერთი გზა, რომელსაც დანტე დაადგება. ამ წარმოსახვით აქტს – ჰვრეტას დანტე მუდამ მიმართავს. მიმართავს „ღვთაებრივ კომედიაში“ ბეატრიჩეს სიყვარულის გაგებაში. მიმართავს „ახალი ცხოვრებაში“. დანტე თანაზიარია ჰვრეტის. მან იცის, რომ „ჰვრეტაშია ბედნიერება“ [„სამოთხე“, ქება 28, 109]. ბიბლიურ ტექსტებსა და წმინდა მამათა წერილებში „ჰვრეტას“ დიდი ფუნქცია ეკისრება. ამ გზით შეასაძლებელია დაკარგულის დაბრუნება (სიმბოლურად სამოთხის, ბეატრიჩეს, სიყვარულის).

ტრანსცენდენტალიზმის ფილოსოფია სათავეს იღებს პლატონის შრომებიდან. ნეოპლატონიკოსებმა, შუა საუკუნეების თეოლოგებმა და ჰიმნოგრაფებმა კიდევ უფრო

განავრცეს ეს თემა. ტრანსცენდენტური აზროვნება ადამიანის სხვა განზომილებაში გადასვლას გულისხმობს. ადამიანი მუდმივად უნდა განიცდიდეს მეტამორფოზას, სრულყოფას. ქრისტიანული სრულყოფა ადამიანის უმთავრესი მოვალეობაა. ამით დანტე ასკეტური და სამონასტრო ცხოვრებისაკენ კი არ მოგვიწოდებს, არამედ ქრისტიანული სრულყოფისკენ, სიწმინდისკენ, სულიერ აღმასვლას, ხორციელი მანკიერებების დაძლევას, მეტიც, დანტე ცდილობს ადამიანს უჩვენოს სულიერი განვითარების ეტაპები, ამის მაგალითია „ღვთაებრივი კომედია“. სულიერ აღმასვლისკენ მოგვიწოდებს ნეტარი ავგუსტინე „აღსარებაში“.

დანტეს „ახალი ცხოვრებას“ მთლიანად გასდევს პლატონის იდეების კონცეფცია. პლატონი თვლიდა, რომ სული იდეათა სამყაროს ნაწილია და ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ისევ უბრუნდება იდეათა სამყაროს. პლატონის კოსმოლოგია, სულის უკვდავების საკითხი, დანტემ ყველაზე მეტად აიტაცა. ამ მხრივ საინტერესოა პლატონის „ტიმეოსი“, სადაც პლატონი გვესაუბრება მარადიულ თემებზე, სამყაროს დაბადებაზე, კოსმოლოგიაზე, „სულის წრებრუნვაზე“. „ადამიანის ბუნებას ძალუძს იტვირთოს და დაიტოს უკვდავება“, – დასძენს პლატონი [9, 356]. ასეთი ბუნების მატარებელია ბეატრიჩე. პლატონი ასკვნის: „ვინც ღირსეულად გალევს მისთვის მოზომილ დროს, თავისი წილხედომილი ვარსკვლავის სავანეს დაუბრუნდება, სადაც ნეტარი და მისთვის ჩვეულები სიცოცხლით იცოცხლებს“ [9, 301]. ასეთი წრებრუნვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ბეატრიჩემ თავისი წილხედომილი დრო ღირსეულად განვლო. მან „დასთმო ხორცი“ და მისთვის წილხედომილ ზეციურ დასს დაუბრუნდა. ამდენად, ბეატრიჩემ ტრანსფორმაცია განიცადა. მისი ხანმოკლე ცხოვრება მარადისობაში გადადის. ზეციურ დასს უერთდება.

პლატონის ესთეტიკურ ღირებულებებთან ერთად დანტეს პოეტური კრებული ნეტარი ავგუსტინეს ტრანსცენდენტური კონცეფციებითაა გაჯერებული. დიდია ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი. ტრანსცენდენტური ფილოსოფიის თანახმად, დაკარგულის ხელახლა „დაბრუნება“ შესაძლებელია გონებით, შემეცნებით, ჭკრეტით. დანტე შემეცნებითა და მჭმუნვარე გულით ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული სატრფო. დანტე მთლიანად იზიარებს ავგუსტინე ავრელიუსის ტრანსცენდენტურ ხედვებს. ნეტარი მამა „აღსარებაში“ განმარტავს: „უბედურია ყოველი სული, რომელიც სიყვარულით ემსჭვალვის იმას, რაც მოკვდავია; რადგან ამ უკანასკნელის დამკარგავს სიცოცხლე ტანჯვად ექცევა“ [4, 56]. მეტიც, „ბედნიერებას თვალით ვერ დაინახავ, რადგან ის სხეული როდია“ [4, 198]. ბედნიერება ქრისტეს სხეულში ყოფნაა, ქრისტეს სხეულში დაბრუნებაა, მაგრამ ღვთის ხატად ქცეული ადამიანი დაეცა! ის „დაცემული ანგელოსის“ თანაზიარი გახდა. „მიწით შესვრილ სულს“ მხოლოდ სინანულისა და ჭკრეტის გზა დარჩა.

უზენაესი სიკეთე უფალია. ადამიანმა შინაგანი, სულიერი მზერით უნდა იპოვოს (დაიბრუნოს) დაკარგული საწყისები, უფლის ხატობა. უფლის წვდომის გზა ჭკრეტაა. ეს ყველაზე იდუმალი გზაა და ამ გზას უნდა დაადგეს დაცემული ადამიანი. ნეტარი მამა ადამიანის გადარჩენის ამ გზას გვიტოვებს. დანტე მთლიანად იზიარებს ნეტარი მამის სულიერ და მეტაფიზიკური ხედვებს, კოსმიურ განზომილებას.

ამდენად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: დანტე ალიგიერი „ახალ ცხოვრებაში“ აჯამებს ანტიკური და შუა

საუკუნეების ლიტერატურას. ამ პოეტურ კრებულში გაცხადდა დანტეს კონცეპტუალური ხედვები. გარდაცვალების შემდეგ ბეატრიჩე პოეტისათვის ფრესკული სახე ხდება. ის რეალური ქალიცაა, მითოპოეტურიც და ღვთაებრივიც. დანტე გონებით მიიღტვის ტრანსცენდენტური სამყაროსაკენ, სადაც ეგულების მარადიული სატრფო. ასეთია დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრების“ ბიბლიური და მითოსური კონცეპტები. ტრანსცენდენტური განზომილება, ანტიკური და ქრისტიანული რემინისცენციები, კულტურული ქრონოტოპები. ამ პოეტურ კრებულს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ტექსტის ფილოსოფიური შრეები. დანტეს „ჰიმნები“ ღრმა შინაგანი აზრითაა სავსე. ცხადია, დანტეს მწუხარება ქრისტიანულ საწყისებზეა აღმოცენებული, მაგრამ ამავე დროს, „ახალი ცხოვრება“ სიკვდილთან გამარჯვების საგალობელია.

ლიტერატურა:

1. ალიგიერი დ., ახალი ცხოვრება. თარგმანი ბ. ბრეგვაძის და თ. ჩხენკელის, წინასიტყვაობა ო. ჯინორიასი, თბ., 1967;
2. ალიგიერი დ., ღვთაებრივი კომედია. თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 2012;
3. ბიბლია, ორ ნაწილად, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1991;
4. ავრელიუსი ა., აღსარება. თარგმანი და შენიშვნები ბ. ბრეგვაძის, თბ., 1995;
5. კაპანელი კ., ნარკვევები ევროპული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2014;
6. ლოსევი ა., ღუმილი. თარგმანი თ. ჩხენკელის, თბ., 1993;
7. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები ლ. კვირიკაშვილის, თბ., 1989;
8. პლატონი, ფედონი. თარგმანი და შენიშვნები ბ. ბრეგვაძის, თბ., 1966;
9. პლატონი, ტიმეოსი. თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები ბ. ბრეგვაძის, თბ., 1994;
10. ჯიველეგოვი ა., დანტე ალიგიერი. თარგმანი ლ. ტიტვინიძის, თბ., 1968;
11. ჰომეროსის ჰიმნები. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები ლ. კვირიკაშვილის, თბ., 1982;
12. წერეთელი ს., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ტ. I, თბ., 1973;
13. Teodolinda Barolini, Dante's Lyric Poetry: Poems of Youth and of the "Vita Nuova". University of Toronto Press, 2014;
14. Gardner Edmund, Dante. London, Oxford University Press, 1991.

Koba Tsurtsunia
Transcendental Concepts of "New Life" by Dante Alighieri
Summary

"The New Life" of Dante Alighieri (1291 year) is inspired by the life-giving impulses of the Renaissance. It encompasses Dante's transcendental, literary and aesthetic visions. Dante received a deep education in divinities and theology, in ancient philosophy, he shares metaphysical and Neoplatonist's views. The most important thing, which Dante uses is the Bible. "New Life" evokes associations from psalms, hymns, chants and prayers. At the same time, "New Life" of Dante is an invariant of romance novels and poetry of the Middle Ages and the feudal era.

Коба Цурцумия
Трансцендентальные концепции «Новой жизни» Данте Алигьери
Резюме

«Новая жизнь» Данте Алигьери (1291) вдохновлена живительными импульсами эпохи Ренессанса. В нем собраны трансцендентные, литературные и эстетические видения Данте. Данте получил глубокое образование в области богословия и теологии, в античной философии, он разделял метафизические и неоплатонические взгляды. Важнейшее, чем пользуется Данте, – это Библия. «Новая жизнь» вызывает ассоциации из псалмов, гимнов, церковных песнопений и молитв. В то же время «Новая жизнь» Данте – является инвариантом любовных романов, поэзии средневековья и феодальной эпохи.

Лаура Гурули, Марина Алексидзе
(Грузия)

РАЗВИТИЕ НАВЫКОВ ВЕДЕНИЯ ДИСКУССИИ НА ЗАНЯТИЯХ ПО РКИ В ВУЗЕ

Важнейшей задачей обучения является формирование навыков мышления и в этой связи совершенствование методов обучения.

При коммуникативно – деятельностном подходе обучения, который является в настоящее время основным методом обучения, важно найти пути воздействия на обучающихся и способствовать формированию у них жизненных навыков. Преподаватель должен построить учебный процесс таким образом, чтобы заинтересовать учащихся, поощрять их к успешному усвоению материала. Большую роль при этом играют интерактивные методы обучения. Интерактивные методы обучения подразумевают активное взаимодействие педагога и обучаемого. Все участники образовательного процесса – студенты и преподаватель – взаимодействуют друг с другом, моделируют ситуации в атмосфере взаимной поддержки. При таких методах обучения у студента формируется собственная активная позиция ко всем жизненным процессам, включая процесс познания. «Обучение с использованием интерактивных образовательных технологий предполагает отличную от привычной логику образовательного процесса: не от теории к практике, а от формирования нового опыта к его теоретическому осмыслению через применение» [1, 2]. Опыт студента служит основным источником учебного познания. Педагог побуждает участников учебного процесса к самостоятельному поиску и выполняет функцию помощника в работе.

Интерактивное обучение имеет определенные цели:

- повышение эффективности образовательного процесса;
- усиление мотивации к изучению дисциплины;
- формирование и развитие профессиональных навыков обучающихся;
- формирование коммуникативных навыков;
- развитие навыков анализа и рефлексивных проявлений;
- развитие навыков владения современными техническими средствами и технологиями восприятия и обработки информации;
- формирование и развитие умения самостоятельно находить информацию и определять ее достоверность;
- сокращение доли аудиторной работы и увеличение объема самостоятельной работы студентов [2, 7].

При использовании интерактивной модели обучения исключается доминирование какого-либо участника учебного процесса или какой-либо идеи, на первый план выдвигается совместное решение проблем.

Одной из интерактивных моделей организации учебного процесса можно считать обучение, нацеленное на обмен мнениями в творческой дискуссии [3, 9]. При таком подходе для учащихся важно уметь выслушать и правильно понять собеседника, высказать свое суждение, доказательно построить выход из конфликтной ситуации. В связи с этим форми-

рование у учащихся умений дискуссионного общения становится важной задачей при обучении иностранному языку, особенно на продвинутом этапе обучения.

Дискуссия является одной из важнейших форм образовательной деятельности, стимулирующей инициативность учащихся, развитие рефлексивного мышления.

Цель дискуссии – поиск истины. Средства достижения цели – умозаключения. Основная форма интерактивного обучения-диалог, который имеет значение для каждого и должен привести к совместному решению проблемы.

Применение дискуссии рекомендуется в том случае, когда учащиеся обладают значительной степенью зрелости и самостоятельности в приобретении знаний и формулировании проблем, однако навыки ведения дискуссии необходимо прививать уже на начальном этапе обучения.

Взаимодействие в учебной дискуссии строится не просто на высказываниях, вопросах и ответах, а на обращении учащихся друг к другу для углубленного и разностороннего обсуждения самих идей, точек зрения, проблемы. «Сущностной чертой учебной дискуссии является диалогическая позиция педагога, которая реализуется в предпринимаемых им специальных организационных усилиях, задает тон обсуждению, соблюдению его правил всеми участниками» [4, 12].

В процессе дискуссии каждая сторона аргументирует свою позицию и старается убедить противоположную сторону в ее истинности. Развитие навыков учебной дискуссии является обязательной формой процесса обучения, так как «умение точно, кратко и грамотно выражать свои мысли – залог успешной профессиональной деятельности [5, 24].

Как активизировать мыслительный процесс? Важно на занятиях создать непринужденную обстановку для организации оживленной дискуссии и всячески поощрять активность студентов. Обучающиеся должны научиться задавать друг другу проблемные вопросы, на которые у них должны быть свои ответы. Такая форма обучения способствует лучшему пониманию и запоминанию материала, развивает способность к логическому анализу и оценке как своих выступлений, так и выступлений своих однокурсников. Темы для дискуссий должны выбираться с учетом интересов участников, их возраста, образования, с вниманием к различиям в национальных традициях, с бережным отношением к религиозным и политическим взглядам обучающихся. Уроку-дискуссии должна предшествовать тщательная подготовка, в ходе которой учащиеся должны усвоить лексику, необходимую для обсуждения избранной проблемы, а также речевые формулы – клише, используемые в русском языке для выражения согласия (*я согласен с вашим мнением; как верно заметил предыдущий выступающий; мы разделяем ваше мнение*), несогласия (*с этим нельзя согласиться; вы абсолютно не правы; нет, это не так*), уверенности (*это само собой разумеется; не вызывает сомнения тот факт, что...*), сомнения (*сказать с уверенностью; я не уверен в правильности ваших слов*) и т. д., позволяющие сослаться при доказательстве какой-то мысли на источник или авторитет, оформлять речь при аргументации, выяснять мнение собеседника, уточнять информацию, иллюстрировать свою мысль примерами. У учащихся формируются умения начать, прервать или завершить разговор, оценить слова собеседника и сделать выводы после обсуждения проблемы [6, 32]. Такие примеры речевого этикета задаются учащимся на дом, с тем чтобы впоследствии активно использовать их при проведении дискуссии. Надо отметить, что подобного рода формы речевого этикета можно давать студентам на более ранних этапах обучения.

Тема для дискуссии должна отражать интересы учащихся и возможности их участия в обсуждении. Преподаватель заранее определяет тему дискуссии, ее ход, выделяет опорные слова, намечает участников дискуссии, задает наводящие вопросы, которые могут сопровождать обсуждение проблемы.

Необходимо учить учащихся следить за ходом мысли, подбирать аргументы. Кроме того, нужно понимать, что цель дискуссии не утверждение собственной правоты, а совместный поиск ответа на вопрос. Поэтому в ходе обсуждения нужно соблюдать общие правила: не перебивать друг друга, давать высказаться другим, отвечать непосредственно на поставленный вопрос.

Преподавателю желательно продумать деление участников на команды: по активности, по уровню владения материалом. Главная цель – вовлечение каждого участника. Нужно дать возможность проявиться всем.

Как уже было отмечено, проведению дискуссии предшествует подготовка по детальному изучению материала по предлагаемому обсуждению. Вслед за некоторыми преподавателями [2, 6], мы можем сделать некоторое заключение по поводу темы для дискуссии. Если мы предлагаем выбрать тему для дискуссии без опоры на определенный материал, то студенты обычно не приходят к общему мнению. Для кого-то определенная тема представляет интерес, для кого-то – нет. В отличие от такого выбора темы, в случае чтения художественного текста все учащиеся приходят к определенным выводам и называют общую тему на основании содержания того или иного произведения. Предлагаем вашему вниманию занятие по РКИ, проведенное в группе уровня А2+; В1 на юридическом факультете Тбилисского государственного университета. Нами были выбраны небольшие рассказы, на материале которых впоследствии было проведено занятие в форме дискуссии. В статье представлены методы подготовки к такому занятию. Оба рассказа были заданы студентам в качестве домашнего чтения. На одном занятии можно подготовить студентов к дискуссии на материале одного рассказа, двух или даже трех, поскольку рассказы небольшого содержания и с ними студенты знакомятся заранее. Все зависит от уровня группы в плане владения речью и в плане общей активности. Надо заметить, что подобного рода небольшие рассказы позволяют преподавателю работать над развитием общих навыков ведения дискуссии и определению ее тематики и в группах с более слабым уровнем знания русского языка.

В рассказе выдающегося русского педагога К. Д. Ушинского «Чужое яичко» описывается история жизни наседки и ее цыплят, среди которых своим внешним видом выделялся один. Он не был похож на остальных, но курица ничем не выделяла его среди других, хотя и обратила внимание на его внешние недостатки (широкий нос, коротенькие ноги и т.д.). Однажды, когда курица повела всю семью к пруду, этот цыпленок бросился в воду. Курица перепугалась и хотела кинуться в воду спасти его, не испугавшись опасности, цыплята тоже старались помочь своему братцу и пищали изо всех сил. На крики выбежала хозяйка и только тогда заметила, что это был утенок. Она по ошибке подложила под курицу утиное яйцо.

В рассказе в занимательной форме описывается, как курица высидывает яйца, как следит за вылупившимися цыплятами, предостерегая их от опасности, как, заметив не похожего на других цыпленка, воспитывает его вместе со всеми, заботится о нем. Рассказ вызывает у учащихся положительные эмоции, и они после прочтения рассказа не скрывают

улыбок. Все учащиеся в один голос утверждают, что здесь показана история жизни заботливой матери и ее дружной семьи.

Рассказ предоставляет преподавателю большие возможности для развития речевой деятельности учащихся. Здесь и описание внешности домашних птиц, и лексика, связанная с уходом за ними (*курятник, наседка, кудахтать, клевать зерна, выкапывать червячков, подкладывать яйца* и т. д.) Исходя из того, что, многие наши студенты приехали из регионов и их семьи владеют домашним хозяйством, такого рода лексика является актуальной для них и они с удовольствием осваивают ее.

Еще один важный навык нравственного характера, который хотелось бы привить молодому поколению, – умение понимать чувства другого, чужую боль. Таким представляется рассказ Л.Н. Толстого «Орел», посвященный теме родительской опеки. Орел, воспитывающий детей, летает далеко в море за рыбой, чтобы накормить детей. Люди отнимают у него с трудом добытую рыбу, и изнеможенный от усталости орел, с болью глядя на кричащих голодных детей, с неистовым криком расправив крылья, вновь отправляется на охоту. В плане работы над лексикой этот рассказ в сильной группе не предоставляет широких возможностей, однако при прочтении такого рода эмоциональных художественных произведений, каким нам представляется данный рассказ, важно точное восприятие информации и верное понимание эмоции. Чувство и подтекст так же важны, как и содержательная составляющая. Сказывается мастерство великого писателя, и студенты с большим волнением читают этот рассказ, сочувствуют орлу и осуждают действия людей, отнявших у него добычу. Такая тематика, как и сюжет предыдущего рассказа дают хороший материал для дальнейшего проведения дискуссии.

В процессе работы выявляются темы, которые могут стать материалом для дискуссии.

После прочтения этих рассказов преподаватель просит студентов задавать вопросы друг другу по цепочке, чтобы проверить, насколько они хорошо усвоили содержание рассказов. Это задание не занимает много времени, исходя из небольшого объема текстов. В основном, в этом задании участвуют более слабые студенты. Убедившись в том, что они прочитали и поняли смысл рассказов, преподаватель просит студентов выполнить задания по текстам, данным в пособии, в котором представлены эти произведения [7, 12-20]: да/нет, дайте правильное завершение предложения, вставьте нужные предлоги, ответьте на вопросы. Студенты выполняют эти задания и озвучивают по одному ответы. Затем преподаватель просит студентов разделиться на пары. Студенты должны в письменном виде, на листочках, составить по 5 предложений к заданным текстам без нумерации, в разбивку, и передать листочки друг другу. Студент – напарник должен определить, к какому тексту относится предложение. Затем предложения, относящиеся к одному тексту, надо сгруппировать и пронумеровать. Получается своего рода план к обоим текстам. Каждый студент выполняет задание своего товарища, затем сверяет выполнение задания со своими вопросами. Все задания собирают двое ведущих, которые выявляют победителей.

Преподаватель дает всем студентам следующее письменное задание:

Задание: Что общего, на ваш взгляд, между этими рассказами? Какая тема их объединяет? Какие ассоциации с людьми и их поступками они вызывают? Выделите и сформулируйте проблему в каждом из этих рассказов, если она, на ваш взгляд, есть.

Учитывая то, что занятие проводилось в группе студентов юридического факультета, преподаватель задает вопрос: *Есть ли в этих рассказах нарушение Кодекса, если оно есть,*

то какое? Найдите соответствующую статью в Кодексе. Сформулируйте выбранную вами тему для дискуссии в аудитории.

Студенты приступают к выполнению заданий. Задание найти правонарушение вызвало повышенный интерес в группе, так как оно давало студентам возможность проявить себя в качестве будущих юристов, способных учитывать все детали рассказа с профессиональной точки зрения.

Преподаватель делит группы по пять человек, в каждой группе назначается ведущий, лучше других владеющий русским языком, который помогает по необходимости сформулировать то или иное задание. Ведущие собирают листочки у студентов своей группы и выделяют общие темы, к которым добавляются остальные. Затем оба ведущих выписывают все формулировки на одном листе и показывают его преподавателю, который все это время наблюдает за работой в группе, полностью передав свою функцию ведущим. Таким образом он приучает студентов быть ответственными и самостоятельно принимать решения. Ошибки в действиях ведущих он отмечает у себя и затем обсуждает их с ними. Проверив формулировки, преподаватель просит ведущих написать одинаковые ответы на доске. Представляем выполненное студентами задание.

1. Эти рассказы объединяет тема «Родители-дети».

2. Проблемы:

«Чужое яичко» – воспитание чужих детей. Тема: надо ли сказать детям, что их усыновили? «Тайна усыновления: за/против»

«Орел» – 1. Отец-одиночка, легко ли одному растить детей? Разрушенные семьи.

2. Жестокое обращение с дикими животными. Наказуемо ли оно?

Задача преподавателя – правильно распределить задания между всеми участниками занятия в смешанной по уровню владения русским языком группе.

В первом рассказе «Чужое яичко» студенты отметили халатное исполнение своих обязанностей со стороны хозяйки, которая по ошибке подложила курице чужое яичко. Ассоциация: родильный дом, подмена детей.

В рассказе «Орел» было отмечено жестокое отношение к животным, нарушение их прав, изъятие чужой собственности. Статья УК «Разбойное нападение с применением насилия»

Преподаватель дает задание: письменно подготовить каждому студенту свои аргументы и контраргументы по заданным темам и подготовиться к дискуссии. Дать точные формулировки правонарушений, если они, на их взгляд, есть, указав статью гражданского или уголовного Кодекса, действующего на территории страны обучения, а также определить меру наказания в каждом отдельном случае. По возможности сравнить меру наказания в стране проживания с мерой наказания в других странах при совершении аналогичных преступлений. Таким способом студенты приучаются к профессиональной терминологии и языку специальности уже на ранних этапах обучения.

Литература:

1. Гулакова М. В., Харченко Г. И., Интерактивные методы обучения в вузе как педагогическая инновация // Концепт, 2013, №11.
<http://e-koncept.ru/2013/13219.htm/-ISSN#2304-120X>;
2. Анипкина Л. Н., Дискуссия как интерактивная форма обучения // РУДН Актуальные проблемы изучения русского языка и методика его преподавания, Вып. 4, 2014;

3. Костомаров В. Г., К теоретическим вопросам проблемного обучения // Русский язык за рубежом, 1991, №3;
4. Мынбаева А. К., Садвакасова З. М., Инновационные методы обучения, или как интересно преподавать: Учебное пособие, 7-е изд., доп. Алматы, 2012. ISBN 978-601-247-667-5;
5. Морозова И. Г., Использование дискуссии на занятиях иностранного языка при подготовке современных специалистов // Иностранные языки. Теория и практика, 2010, №1;
6. Кучина Е. Д., Методика формирования у иностранных учащихся навыков и умений дискуссионного общения с носителями русского языка. Нижний Новгород, 2010;
7. Алексидзе М. Д., Гурули Л. М., Читаем и говорим по-русски. Уч. Пособие, Тб., 2020.

ლაურა გურული, მარინა ალექსიძე
დისკუსიის წარმართვის უნარების განვითარება უსდ-ებში რუსულის
როგორც უცხოური ენის, მეცადინეობებზე
რეზიუმე

სწავლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სააზროვნო უნარების ჩამოყალიბება და ამასთან დაკავშირებით – სწავლების მეთოდების სრულყოფა. ამ დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდები. ასეთი მეთოდებით სწავლებისას სტუდენტებს უვითარდებათ საკუთარი აქტიური პოზიცია ყველა ცხოვრებისეული პროცესისადმი, შექმენების პროცესის ჩათვლით. სასწავლო პროცესის ორგანიზების ერთ-ერთ ინტერაქტიულ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს სწავლება, რომელიც მიმართულია შემოქმედებით დისკუსიაში აზრთა გაცვლაზე.

დისკუსია არის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, რომელიც ასტიმულირებს მოსწავლეთა ინიციატივას, რეფლექსური აზროვნების განვითარებას. სწავლების ძირითადი ფორმა არის დიალოგი, რომელიც ყველასთვის მნიშვნელოვანია და რომელმაც პრობლემის ერთობლივ გადაწყვეტამდე უნდა მიგვიყვანოს.

დისკუსიის უნარების განვითარება სწავლების სავალდებულო ფორმაა, ვინაიდან აზრების ზუსტად, ლაკონურად და კომპეტენტურად გამოხატვის უნარი არის წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობა. დისკუსიისთვის თემები უნდა შეირჩეს მონაწილეთა ინტერესებისა და დისკუსიაში მათი მონაწილეობის შესაძლებლობის, მათი ასაკის, განათლების, ეროვნული ტრადიციების განსხვავებების გათვალისწინებით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტორიაში ლიტერატურული ტექსტის წაკითხვის შემთხვევაში ყველა სტუდენტი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას დისკუსიაში, ისინი მივლენ გარკვეულ დასკვნამდე და თავად დაასახელებენ საერთო თემას კონკრეტული ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე. სტატიაში წარმოდგენილია მოთხრობების საფუძველზე უნივერსიტეტის აუდიტორიაში გამართული დისკუსიისთვის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მომზადების მეთოდები. არჩეული იყო კ. უშინსკის მოთხრობა „სხვისი კვერცი“ და ლ. ტოლსტოის მოთხრობა „არწივი“.

Laura Guruli, Marina Aleksidze
Developing Discussion Skills in Russian
as a Foreign Language Classes
Summary

The most important task of training is the formation of thinking skills and, in this regard, the improvement of teaching methods. Interactive teaching methods play an important role in this. With such teaching methods, the student develops his own active position in all life processes, including the process of cognition. One of the interactive models of the organization of the educational process can be considered training aimed at the exchange of views in a creative discussion. Discussion is one of the most important forms of educational activity, stimulating the initiative of students, the development of reflective thinking. The main form of learning is dialogue, which matters to everyone and should lead to a joint solution of the problem. The development of educational discussion skills is a mandatory form of the learning process, since the ability to accurately, concisely and competently express one's thoughts is the key to successful professional activity. Topics for discussions should be chosen taking into account the interests of the participants and the possibility of their participation in the discussion, taking into account their age, education, with attention to differences in national traditions. We believe that in the case of reading a literary text in the classroom, all students take an active part in the discussion, come to certain conclusions and themselves name a common topic based on the content of a particular work. The article presents methods of preparing for a discussion held in the auditorium of the university with students of the Faculty of Law on the basis of short stories. K. Ushinsky's story "An Alien Egg" and L. Tolstoy's story "The Eagle" were chosen for the work.

იზონერა ბერაია
(საქართველო)

ბესიკის „სევდის ბაღის“ პარადიგმები

ბესიკის ლირიკა ერთიანდება რკალად, რომელსაც, პირობითად, „სევდის ბაღი“ ეწოდება. ამ რკალში კორნელი კეკელიძეს შეაქვს ლექსები: „სევდის ბაღს შეველ“, „ბუღბუღი მოდის მწუხარებით“, „მე შენზე ფიქრმა მიმარინდა“, „ტანო ტანო“, „ვარდო სასურო, მაისურო“, „შავნი შაშვნი“, რომელნიც არა თბილისში, არამედ „ყარიბობაში“ დაწერილად მიუჩნევიან [4, 669].

სარგის ცაიშვილის მიხედვითაც, ბესიკის პოეტური სახელის ფუძე ლირიკული ლექსების ციკლია, რომელსაც, პირობითად, შეიძლება ცნობილი ლექსის – „სევდის ბაღის“ სახელი ვუწოდოთ. ერთიანი იდეურ-თემატიკური რკალი კრავს ლექსებს, რომელთა ლირიკული გმირი უიმედო, მაგრამ დაუოკებელი სიყვარულით შეპყრობილი ჭაბუკია. პოეტმა ლირიკულ გმირს შეუქმნა უცხო და მშვენიერი ქვეყანა, რომელსაც მეტაფორულად „სევდის ბაღი“ ეწოდება. გმირი ავტორის პერსონიფიცირებული სახეა, საოცარი რომანტიკით გარემოსილი, ამადლებული განცდით შეპყრობილი. მოულოდნელ მეტაფორათა გრადაციით მიღწეულია არაჩვეულებრივი ესთეტიკური ეფექტი. მკითხველი მღელვარებით მიჰყვება ლირიკულ გმირს მშვენიერ, პოეტიზირებულ სამყაროში [8, 161].

გიორგი ლეონიძის მიხედვით, ბესიკის სევდის ბაღის რეალური არქექტიპი თბილისის ბაღებია (ორთაჭალა, დირსიჭალა, კრწანისი, სეიდაბადი, გარეთუბანი, ვერა...). ვახუშტის ცნობით, „გარემო ქალაქისა წალკოტნი და საგარდენი მრავალნი, ყოველის ხილით და ყვავილით საგსე“... თავის მხრივ, ლეონიძე დასძენს, „ამ ბაღებში ჰყვოდა ბესიკის ეშხი, ... აქ იფურჩქნებოდა ბესიკის „სევდის ბაღი“ [5, 73].

კორნელი კეკელიძის დაკვირვებით, მიჯნურს წარმოსახვით სევდის ბარში შეჰყავს მიჯნური, თანაგრძნობას სთხოვს სატრფოს მხლებელთ – ყვავილებს (ვარდს, იას, ნარგიზს). ესაა ტანჯვა, იდეალთან ვერმიახლოებით გამოწვეული.

ამ პოეტურ ბაღში ნაზი სევდა ასხივოსნებს ყველაფერს, ღტოლვის საგნის გამძაფრებული ჭვრეტის კამს ზოგჯერ ზედმეტი ხდება მეტაფორული საბურველი და პირობითობა, მიწიერი მშვენიერება ანტიკური ქანდაკების სისავსით ფეთქავს... ბესიკის პოეტურ სამყაროში აღტაცება-სიხარული ყველგან შემღვრეულია ტკივილითა და ნაღველით. ეს არის ტანჯვა... მარადი წყურვილისა, მარადი ფიქრის, თუმცა ბესიკი მაღლდება ტანჯვასა და დაუკმაყოფილებლობაზე, თავისი პოეტური ცხოვრების ნაწილად, თვითგამოხატვის რომანტიკულ ფორმად აქცევს მათ – „ბესიკი სიკვდილს არ ვემალება, თავი მაქვს მისთვის შენაწონებით“ – ვკითხულობთ ლექსიკონ-ცნობარში [7, 53].

ბაღი ტრადიციული ენიგმაა მსოფლიო მითოლოგიურ თუ რელიგიურ სისტემებში, ლიტერატურაში.

მცენარეთა, უმშვენიერეს ყვავილთა განსაკუთრებული სიმრავლეა წარმოჩენილი ლექსში „მოვედ აწ, ძმაო“, რომელშიც სახელდება შროშანი, ყარამფილი, სუმბულ-კინამო, რაზარინ-ნარდიონ-ალო(ე) [3, 196]. ბესიკის თხზულებათა სრული კრებულის (1962) გლოსარიუმში „რაზარინი“ *მირონის ხედაა* თარგმნილი.

უმშვენიერესი ყვავილების არსი ერთდროულად პირდაპირი და გადატანითი

მნიშვნელობითაცაა გასააზრებელი. მხოლოდ ფიგურალურ მნიშვნელობებზე შეეჩერდებით. თითოეული მათგანი საღმრთო წერილში განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა.

ბესიკისეული ბალი ს ე ვ დ ი ს ბალია და ეს განსაზღვრება-ეპითეტი მკითხველს იმთავითვე განსაკუთრებულ განწყობას უქმნის. გამორჩეულ, საკულტო-სარიტუალო მცენარეთა კეთილსურნელება (სულ-ნელი) ბაღს განსაკუთრებულსავე ხიბლს სძენს (ლექსში „შავ გლახ გულო“ არის სინტაგმა „სუნით ტურფა“ [3, 197].

სიტყვა „ბალი“ საბას ლექსიკონში არ ფიქსირდება, „სევდას“ კი ორბელიანი განმარტავდა, როგორც „შავ ნაველს“ (*ამავე ტრანსკრიფციითაა წარმოდგენილი ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანშიც“ – „კალამი, ნაველსა ამონაწები“ – ნ.ბ.*), სევდა (სავდას) კი „სხვათა ენად“ ნათლავდა. არც „ნაველს“ განმარტავს და უთითებს სიტყვას „ზაფრა“, „ზაფრაზე“ კი წერს, მწითური ნაღველია, სევდა – შავიო.

სევდა/სავდა თურქულად „სიყვარულს“ აღნიშნავს.

სევდის ბალი სამოთხის ბალი არ არის, ამდენად, თუკი განმარტებითი ბიბლიის ზემოთ მოყვანილ კომენტარს გავიმეორებთ, რომლის მიხედვითაც ადამს არსებული მცენარეების დაცვა და უფლისმიერი მადლის ჭკვრეტით გამრავლება, მინიჭებული მადლის დაცვა ვვალებოდა, ცხადია, რომ ადამი (ბესიკი) ამ დანიშნულებასა და საღმრთო ვაღს ვერ აღასრულებს.

ტექსტის მიხედვით, ღირიკული გმირი, პოეტის ღირიკული ორეული სევდის ბაღში შედის, ანუ ინიციაციის გზაწერილს ადგება და თავის შეცნობას („თავის გათავისწინებას“) იწყებს. შემთხვევით როდია საკუთარი მდგომარეობა განსაზღვრული სიტყვით „შენაღონები“ – „სევდის ბაღს შეველ შენაღონები“ [2, 19].

თუმც ამ ტიპის რამდენიმე მიმღეობა – *შენადგამი, შენაზავები, შენაჩუენები* საბასთან ფიქსირდება, საკუთრივ *შენაღონები* არაა წარმოდგენილ-განმარტებული, თუმც „დაღონებას“ ლექსიკოგრაფი-ენციკლოპედისტი „ლონის გაწირვად“ განმარტავს და ციტატად იმოწმებს მესამე ეზრას მერვე თავის სამოცდამეთოთხმეტე მუხლს [6, 206].

ყოფით-რუტინულ შრეზე ეს სევდა ვერმიწვდომისაა, ვერფლობისა, რუსთველი რომ წერს, მიჯნური „შმაგობს ვერ-მიწვდომისა წყენითაო“. ვარდის კონათა კრეფაც მიწიერი სიყვარულით ტკობაა, ვარდისეული შერისხვა-გაფრთხილება კი, შესხენება იმისა, რომ მიჯნურმა გაიაზროს „გულს ნაქონები“ (როგორ გაცვალა სატრფო სხვაზე), რის გამოც ახლა „ყოვნდება“.

მიჯნური ცდილობს, ჯერ იისაგან, შემდეგ ნარგიზისაგან შეიტყოს „ამაყად მწყრალი“ ღამაზი სატრფოს გულისწყრომის მიზეზი, მაგრამ იაც წყრება, შეუვალია, „შენს გულსა ჰკითხე... ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები“.

ნარგიზი, თითქოს, უფრო მოწყალეა, უფრო რბილი ბუნების, შეიძლება მიჯნურის „სისხლის ცრემლით [დართულმა]“ (რუსთველის ალუზია – „სისხლისა ცრემლ-დათხეული“) სიტყვებმა, „შენ წარმიმართე იწროს გზის პოვნად, გზები გაქვს ფართო“, მოუღბო გული.

„იწრო გზა...“, სახარების კონცეფციით, სასუფეველისაა.

მიჯნურის ვედრებაა ნარგიზისადმი – „ვარდს მამუდარე... რად მამიგონა მოუგონები?“ (რად დამაბრალა ის, რაც არასოდეს ჩამიდენია?!).

შემბრალე ნარგიზიც განუმარტავს, რომ ვარდის „ცეცხლმოდებით“ გულისწყრომის მიზეზი თავად მიჯნურის ქმედებაა – „შენი იყო თავდადებითა, შენ რის-

თვის დასთმე სხვისა ხლებითა“-ო, ჰკითხავს, დაამუნათებს...

თეიმურაზ ბატონიშვილისეული განმარტება ყოფითია, ბანალურიც კი – ბესიკის მიჯნურ ქალს წითელი სამოსი ჰყვარებია, მის მეგობრებს – იისფერი და ნარგიზისფერი, აქედან - მათი მოხსენიება ვარდად, იად და ნარგიზადო [5, 85].

კორნელი კეკელიძე ყურადღებას მიაპყრობს დეტალს, რომ, ტრადიციულად, ვარდიცა და „შამიც“ (სანთელიც) გულგრილობას იჩენენ ბუღბუღისა და ფარვანასადმი, რაც ამპატრანებით, ზვიადობით მოსდით, ხოლო ბესიკის ტექსტში ვარდის გულქვაობა შურისძიებით აიხსნება – ვარდი აღარ იახლოვებს მოღალატე სატრფოს [4, 672].

განიხილავს რა გიორგი ლეონიძის ბესიკისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას, აღექსანდრე ბარამიძე წერილში „ისევ ბესიკის გარშემო“ დაიმოწმებს დავით რექტორის ცნობას: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული მუხამბაზი. ბესარიონს ვარდად და იად თქმული (*ქალი – ნ.ბ.*) უყვარდა და იმასაც ბესარიონ უყვარდა. როდესაც *ბესარიონ მოტყუვდა სხვის შეყვარებით (ხაზი ჩვენია – ნ.ბ.)*, იამ შეუტყო და თავისთან აღარ გაატარა, მაშინ ჰსთქვა „სევდის ბაღს შეველ“... თქვენ იგულისხმეთ, ია ვინ არის, და ან მეორე - ბესარიონისგან შეყვარებული, მე სახელები არ დავსწერე, არა ჰსჯობდაო“ [1, 364].

შეუწყნარები მიჯნური ბაღის კართან ჩამოჯდება, „მწირნი თვალები“ (*შდრ. კონსტრუქცია „მწირი, მიუსაფარი“ – ბარათაშვილთან – ნ.ბ.*) ცრემლით ავსებია ბედის „დამაბრალებს“ (*შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა“*), მისი ჭირის მხილველთ თავისი არაფრად მოეჩვენებათ.

ლექსის ფინალური ობერტონები საწუთროს სამღურავია: „მეც მომხვდა სოფლის მკლველი ბრჭალები, ბესიკი სიკვდილს არ ვემალები, თავი მაქვს მისთვის შენაწონები“ [2, 20].

ვფიქრობთ, ლექსის ეგზეგეტიკური არსი სამოთხიდან გამოძევებული („ყარიბი“, „მწირი“) ადამი(ან)ის ტრაგიკული მსოფლგანცდაა, ღვთის მიმტოვებელი (მაგრამ არა ღვთისგან მიტოვებული) კაცისა, რომელსაც ენატრება იდილიური სივრცე, შემოქმედი, სატრფო (ღმერთი), ოდესღაც რომ ეტრფოდა, მაგრამ შემდეგ „დასთმო სხვისა ხლებითა“ და განარისხა. ლექსში ბრკივლებს იმედი, რომ მიჯნურისადმი „ვარდის“ მრისხანება სამუდამო არაა, უმადური, სამოთხის (ვარდის) ვერშემფერები „გულს ნაქონების“ (საკუთარი გულისთქმის) გასააზრებლადაა „დასაყოფნები“ (ანუ ბრკოლდება, „ვერ-მიხვდომის წყენით“ ისჯება, რათა სწორედ ეს გულისთქმა (უფლისათვის არასათნო), მისი დამღუპველობა გაიცნობიეროს („ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე-მიიქცინეს და ზღაპრებსა მიექცნენო“, წერია საბანისძის ქრესტომათიულ ტექსტშიც).

სევდის ბაღს შესული, მიჯნური ბაღიდან თითქოს უარაფროდ ბრუნდება, ბაღის კართან ჯდება „შენაძალები“ (ძღუელი), მაგრამ მის სულში უკვე დაწყებულია დიდი ფერისცვალება – სევდა არასწორი ყოფისა გამო ესაძირკვლება სინანულს, სინანული – მონანიებას, მონანიება – სახარებისმიერ სიხარულს გააჩენს სულში და ოდესმე ბაღის კარიც განიხვნება.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფიქსირებული თვალსაზრისით, „ქართული აღორძინების ხანის ლირიკაში, როგორც წესი, სიყვარულის გრძნობა მისტიკური ჭვრეტის სფეროა. სიყვარულს გამოცლილი აქვს კონკრეტულ-გრძნობადი მხარე. სატრფიალო საგანი, მეტწილად, რაღაც უხილავი, ხელშეუხებელი არსებაა,

რომელიც ღვთაების ემანაციად ან თავად ღვთაებადაა წარმოდგენილი (ვახტანგ მუქეშვილი, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი...). მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ მიხედვით, „მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს. თუ სააშიყო ლექსები უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიის წმიდათა ამბავი გალექსოს“ [8, 163].

სარგის ცაიშვილი მიიჩნევს, რომ ბესიკის შემოქმედება დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციაზე დგას – „სევდის ბაღის“ ციკლის ლექსებში სიყვარული გრძნობად-კონკრეტულ სახეებშია წარმოდგენილი, მკითხველი გრძნობს ამქვეყნიურ, მიწიერ ვნებათაღვლევას, მეტიც, საქმე გვაქვს თვით *ავტორის პოეტიზირებულ ბიოგრაფიასთან*... ეს მომენტი განსაკუთრებულ სიცხოველეს ანიჭებს ბესიკის პოეზიას [8, 163].

სევდა კონცეპტუალური მდგენელია ღირსიკული პერსონაჟის ყოფიერებისა ბესიკის სხვა ალევორიულ ლექსშიც – „ვარდო სასურო“, რომელშიც არის სტრიქონი: „სევდის ჟამი ვსვი“ [2, 21].

ვფიქრობთ, ქრონოტოპის თვალსაზრისით, უადრესად საინტერესო კონსტრუქციებია „სევდის ბ ა ლ ს შეველ“ და „სევდის ჟ ა მ ი ვ ს ვ ი“ – პირველში ხაზგასმულია ტოპოსი (სივრცე), მეორეში – ქრონოსი (დრო) და ორივე – დროცა და სივრცეც – ერთი და იმავე ენიგმით (სევდა), განსაზღვრებით წარმოჩნდება – „სევდის ბაღი“, „სევდის ჟამი“.

ეს წუთისოფლის ბესიკისეული კონოტაციებია, ბესიკისეული ხედვა და აღქმა ამქვეყნიურობისა (მიზეზიც ჰქონდა, თუ მის ბიოგრაფიას გავიაზრებთ).

„მაისური (მაისის) ვარდიც“ ბესიკისეული ენიგმაა, ვარდობისთვის ვარდი.

(მაისი ბარათაშვილის პოეზიაშიც განსაკუთრებული თვეა, რასაც ქვემოთ წარმოვაჩინოთ, როდესაც ტიცინანის ციტატის – „პირველი ლექსები ბარათაშვილისა ბესიკის ნიშნით მიდის“ გამართლებულობის დამტკიცებას შევეცდებით).

არა „ვარდის ფურცლობის“ ჟამისა, არამედ – ვარდი სწორედ ვარდობისთვისა (მაისისა), ხელუხლები, კოკორი.

მაისურ ვარდს ბესიკის პოეტურ სამყაროში ხან წვიმა ელამუნება, ხან – დარი. სტრიქონი ლექსის რეფრენად იქცევა: „ვარდო სასურო, მაისურო, გრწყავს წვიმა, დარი“ და ხუთგზის გამეორდება ტექსტში. საინტერესოა, რომ ვარდს, ბესიკის მსოფლადქმით, მხოლოდ წვიმა კი არ რწყავს (რაც ბუნებრივი იქნებოდა), არამედ – დარიც. დარი იძენს თავისთვის არაბუნებრივ ნიჭს, მადლს – გაანედლოს ბერწი მიწა, „მორწყას“ ვარდი (რათა ვარდი სილაში არ მიისილოს, როგორც ოდესმე იტყვის გალაკტიონი, ვისთვისაც, ბესიკის დარად, „მუსიკა[ა] უპირველეს ყოვლისა“).

თუკი პირველ ლექსში ვარდი/მიჯნური, ჩვენი აზრით, ეგზეგეტიკური კონოტაციის მატარებელია, მეორეში, ვფიქრობთ, „სასური ვარდი“ რეალური ადამიანიც შეიძლება იყოს.

ვარდი „მზის სასურია“, როგორც ლომია „მზისა წილი“.

იგივე სტრიქონი სასურველი უნაზესი მზის – სატრფოს ხმის გავონების ბედნიერებადაც გაიაზრება („სასური მზისა, სინაზისა, შემქმნა ხმანი“), „მისთვის ხელია“ – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორ-პერსონაჟივით. რუსთველის პოემის ენიგმა ბესიკთანაც უცვლელად ჩნდება: „მელნის ტბა იშრობს, არ შეიშრობს თვალთა ნამსადა“ („მელნად ვიხმარე გიშრის ტბა...“), ტანი ბესიკთანაც აღვაა, „ხალვა“ ბესიკთანაც „მატს“ (ჭარბობს) (შდრ. რუსთველთან: „ხალვა მოსძაგდა“).

„მაქვს სანუკვარი, სევდა და სენი, მომისხენი რა საუბარი“ ორმაგი კოდირე-

ბით ამოიკითხება: ერთი მხრივ, შეიძლება ავტორ-პერსონაჟს სევდა და სენი სანუკვარად მიუჩნევია (იმდენად ემთხვევა სევდიანობა მის შინაგან ბუნებას – როგორც მაგალითად, „მსოფლიო სევდა“ – ბაირონის ან ბარათაშვილის ნატურას), რაც არისტოკრატიულია, ან სანუკვარი (სათხოვარი) ისა აქვს, როგორმე დახსნას სასურმა ვარდმა სევდასა და სენს, რაც უფრო ბუნებრივია, თუ წარმოდგენილ განწყობას გავიაზრებთ – „ჩემი დღენი არს შესაზარი“.

„ვიხილე სახე“ გურამიშვილის „დავითიანის“ ქრესტომათიულ პასაჟსაც მოგვაგონებს („ზუბოვკა“).

სატროფოს სახე, ფაქტობრივად, რუსთველური არსენალითაა ხორცშესხმული („თმა სათ-გიშერი, მშვენიერი მინა-ყელი“), „წელი მწველი“ (ისევე, როგორც სხვა ლექსში – „წელისა მიმოტანა“) ორიგინალური ბესიკური სინტაგმაა.

სასური ვარდი მთიებსაა შედარებული.

მიჯნურის „ცრემლით ნაღარი“ დაწვი ტარიელის ცრემლით დაღორთხილ (ყაზბეგი) დაწვებსაც მოგვაგონებს და პეტრე მოციქულისაც, რომელიც, გადმოცემით, უფლის სამგზის უარყოფის გამო, დღენიდავ სინანულის ცრემლს ღვრიდა.

როგორც წინამდებარე ლექსში, ბესიკი ფინალურ სტროფში საკუთარ სახელს ახსენებს (პირველ ლექსში – „ბესიკი სიკვდილს არ ვემაღები“, მეორეში – „ბესარიონ ვჰსთქვი, ვერ გამოვსთქვი მნათობის ქება“), მახვილ-სახმილით განწონილი გულით „საჩივარს“ ამბობს პოეტი/ლირიკული გმირი – „სასური ვარდისაგან“ მიუღები პასუხის გამო.

„ბუღბუღი მოდის მწუხარებით“ იმავე ობერტონებს შეიცავს, რასაც წინამდებარე ტექსტები. აქაც მწუხარებაა, ცრემლთა დენა, ცეცხლმოდება. პერსონაჟად მებადის შემოყვანა სიუჟეტს ამძაფრებს, უხილავი ავტორი ჰყვება, რომ, სავარაუდოდ („გეჭვობ“), ბუღბუღი მებადეს დაუტუქსავს და ურჩევს, ნებით გაეცალოს ბაღს (სევდის ბაღს), სანამ კრაზანას დაუჩაგრავს. მთავარი რჩევაა, „გზა ხსნისა“ ფრაზა: „წადი, ბუღბუღო, შენ მებადეს შეჰფიცე სჯული!“ (დანტესთან „მებაღე“ უფლის პარადიგმული სახელია).

შუამავლად, მეოხად, ადუოკატად (სულიწმინდის ეპითეტი) ამ ტექსტშიც ნარგიზია მოხსენიებული, რადგან კოკობი ვარდი ნებით არ ისტუმრებს/მიიღებს ნამიჯნურადს:

„ადექ, ბუღბუღო, ვარდის სიტყვით მებაღე ნახე,
თუ წყრომით იყოს, თავი მოიკალ, კარს დაემარხე,
ეგების, ბაღში შეგიყვანოს...“ [3, 165].

ბაღში შეყვანა, შესვლის უფლების მოპოვება, ვარდისაგან შენდობის მიღება იგულისხმება უზუნაეს ბედნიერებად.

მეოთხე სტროფში თითქოს ბუღბუღის ენიგმა ერწყმის პოეტის (ბესიკის) პორტრეტს (პირველ სტრიქონში ვედრებაა – „მიიბარე ბუღბუღის სულიო“, მესამეში კი მოხსენიებულია „მკვდარი ბესიკი“, რომელიც სულის ჩადგმას ივედრება). ოღონდ „მოყვრის“ (სატროფოს) ხმა გაიგონოს, მიწას მიბარებაც აღარ აძრწუნებს.

ბუღბუღი და მგოსანი (თავად პოეტი) რომ ერთი და იგივე არსებაა, მოწმობს ლექსი „ბუღბუღის შურსა“, სადაც გამიჯნურებული ფრთოსნის განცდებია წარმოდგენილი. ვარდის ეკლისაგან გაგლეჯილ გულს პოეტისას საუკუნის შემდეგ ცნობილ პარაბოლაში წარმოადგენს ოსკარ უაილდი („ბუღბუღი და ვარდი“). ვარდი აქაც ედემს რგულია, ბუღბუღის „შემაშად-შემაშმაგები“, დამდაგველი, არ ებ-

რალების სულის შემწირველი მიჯნური – „უბრალო (უდანაშაულო, ბრალის არ-
მქონე – ნ.ბ.) სული“.

„ბუღბუღის სახე ბესიკის პოეზიაში კონკრეტულია, მისტიკური აღგებობის
მის სარჩული აქ წარხოცილია, სახეს პოეტი იყენებს უშუალო ლირიკული განწყო-
ბილების გამოსახატავად – ნაზი, მგრძობიარე და მკენესარე ბუღბუღი თავად ბე-
სიკია, ზრუნვით რომ დასტრიალებს „სევდის ბაღს“ და ფაქიზ სასიყვარულო
პიმნს უგალობს ტრფობის საყუდარს თუ თავად სატრფოს“ [1, 410].

ტიპური აღმოსავლური პარაბოლაა არეკლილი სტრიქონებში:

„ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე,

დამწვარი მაინც შემობრალე, ბესიკი ნახე!“

(შდრ. „შამიფარვანინის“ კონცეფცია – ნ.ბ.).

ლექსის მხოლოდ ფინალურ ნაწილში ტრანსფორმირდება/იხსენიება ბესიკად
ტექსტის ექსპოზიციაში ბუღბუღად ნახმოები პერსონაჟი.

ლიტერატურა:

1. ბარამიძე აღ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 2, თბ., 1979;
2. ბესიკი, წიგნში: „ქართული მწერლობის საუნჯე“, წ. 8, თბ., 2011;
3. ბესიკი, წიგნში: „ქართული პოეზია – თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მე-
ექვსე, ბესიკი“ („საოჯახო ბიბლიოთეკის“ სერია), ტ. 9, თბ., 2010;
4. კეკელიძე კ., ბესარიონ გაბაშვილი, წიგნში: „ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორია“, თბ., 1981;
5. ლეონიძე გ., ბესიკი (დაბადებიდან 200 წლის გამო), თბ., 1953;
6. ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, წ. 2, თბ., 1993;
7. ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი 1, თბ., 1984;
8. ცაიშვილი ს., ცხოვრება ბესიკ გაბაშვილისა წიგნში „მარადიული სახეები“,
თბ., 1981.

Izonera Beraia

Paradigms of Besiki's Verxe-Collection "Sorrow Garden"

Summary

Besarion Gabashvili is one of the most important representatives of Georgian poetry of the
18th century.

Verse collection of Besiki reflects a lot of oriental paradigms. One of them is "Sorrow
Garden" as well as paradigms of a rose, a water-lily, a nightingale... The article deals a function of
oriental paradigms in the poetry of the Georgian artist.

Изонера Бераиа

Парадигмы «Сад Печалей» Бесики

Резюме

Бесарион Габашвили (Бесики) является одним из важнейших представителей грузин-
ской поэзии XVIII-го века.

Цикл стихов Бесики «Сад Печалей» отражает множество восточных парадигм (Сад
печалей, роза, водяная лилия, соловей...). В статье изучена функция восточных парадигм в
поэзии Бесики.

შორენა ჯიშკარიანი
(საქართველო)

ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილი
„სიმბოლიზმის აპენის დამრწევი“

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ლექსის განახლება-სრულყოფის საქმეში უმნიშვნელოვანესია სანდრო შანშიაშვილის წვლილი. მის შემოქმედებაში პირველად გამოვლინდა სიმბოლისტური განწყობილებანი, ამიტომაც შეიძლება, რომ იგი პირველ სიმბოლისტად მივიჩნიოთ. როგორც თეიმურაზ დოიაშვილი აღნიშნავს, „მოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ტიპურ მოტივებს პირველად მისმა პოეზიამ გაუხსნა გზა და მეოცე საუკუნის ქართველებში ნაშობი ახალი განწყობილებანი, კლასიკურ ფესვებზე ამოზრდილი ახალი სალექსო ფორმებითა და სახეებით დატვირთული პოეზია „მიღმური სამყაროსკენ“ გაახედა“ [2, 12]. ამგვარი ცდები აშკარად გამოხატავდა ახალგაზრდა პოეტის ახალმოდურ გატაცებას. იგი, ასევე, მიიჩნევა საქართველოში პირველი სიმბოლისტური პოემისა და დრამის შემომტანადაც, რომლებშიც ნათლად იკვეთება მისტიკური განწყობილებანი და თემატური ნოვაციები, რაც მოდერნიზმისთვის იყო დამახასიათებელი. მისი დამსახურება უახლესი პოეზიის წინაშე თანამედროვეთა მიერ უცილობელ ფაქტად იყო აღიარებული. ტ. ტაბიძე ასე მიმართავდა მას: „ჩვენს საუკუნეს მოსდევს მხარი და კრეტსაბმელი ჩამოახიე!“ [5, 4].

შემოქმედების ადრეულ წლებში ს. შანშიაშვილის პოეზიაში სევდისა და უიმედობის მოტივები სჭარბობს. პოეტმა შექმნა ნოვაციის შემცველი ლირიკის ნიმუშები. მის ლექსებში იგრძნობა ის შინაგანი მუხტი, რომლითაც მკითხველის გულს იპყრობს, ღრმად აფიქრებს, მასზე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს და ძლიერ ემოციას აღუძრავს. მისი მდიდარი მემკვიდრეობიდან (ლირიკა, ეპოსი, დრამატურგია, პროზა), პოეზიას განვიხილავთ, რამდენადაც სწორედ აქ შეიმჩნევა უპირველესად ახალი ფორმა და მეტ-ნაკლებად – თემატიკაც.

ს. შანშიაშვილის ლექსების პირველი კრებული „ბალი სევდისა“ 1909 წელს დაიბეჭდა. მასში პოეტის ყრმობისდროინდელი ლექსებია თავმოყრილი. ეს არის მისი პირველი პუბლიკაცია, სულ ოციოდე ლექსი, რომლებიც მე-19 საუკუნის რეალისტური, სოციალური და პატრიოტული თემატიკით, საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული პოეზიის შემდეგ ახალი, საოცრად ინტიმური და ღრმა პიროვნული განცდების გამომხატველი უღერადობით მოეწვინა მე-20 საუკუნის გარიყრაჟზე. მაშინ, როცა ხალხოსანი პოეტები მუშათა და გლეხთა რევოლუციურ სულისკვეთებას გადმოსცემდნენ, როცა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალი უნდა ამოვარდნილიყო, ახალგაზრდა პოეტი თავის სულიერ მდგომარეობას ჩაღრმავებოდა და ბესიკის ბაღში საკუთარ ყვავილებს რგავდა. აი, ისინიც: „სევდის ბაღში“, „ჩემი ზამბახი“, „დასჭენა სუმბული“, „წყარო“, „საბრალლო ვარდი“, „ვარდი და სუმბული“, „ია“, „წითელი ვარდი“, „მე და სუმბული“, „სონეტი“, „იამ მახარა“, „ნარგიზი“, „შემოდგომა“. 16 წლის ყმაწვილის ამ ლექსებში აშკარად ჩანს, რომ შემოქმედი ახალი სტილისა და ფორმების ძიების პროცესშია, ორიგინალური შემოქმედებითი კრედოს ჩამოყალიბებას ცდილობს, ახალ უჩვეულო მანერას ამკვიდრებს, მაგრამ ჯერ კიდევ მდიდარი ქართული კლასიკური მწერლობის მი-

მართ ეპიგონურ, შეგირდულ მდგომარეობაშია. გარდა ლექსების მხატვრული სახეებისა, ამას გვაფიქრებინებს აღნიშნული წიგნის გარეკანზე მოთავსებული ეპიგრაფები რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, ბესიკისა და ბარათაშვილის ნაწარმოებებიდან. ეპიგრაფები სწორედ იმაზე მიგვითითებს, თუ რომელი წყაროებიდან იღებს სათავეს ს. შანშიაშვილის ყრმობისდროინდელი შემოქმედება.

შანშიაშვილის პირველივე ლექსში ვკითხულობთ: „სევდის ბაღში აღვიზარდე, / წყარომ ნანა მიგალობა...“. ეს სევდის ბაღი, მოგვაგონებს ბესიკის „სევდის ბაღს შეველ შენაღონები...“ რომელშიც პოეტი უპასუხო სიყვარულით გამოწვეულ ტკივილს გამოხატავს, შანშიაშვილის სევდის ბაღი კი, სავარაუდოდ, ქართული კლასიკური მწერლობაა, რომელსაც პოეტი სიყრმიდანვე ეზიარა. ამ სევდიან ბაღში ყველა ყვავილია თავმოყრილი თავისი დამატრობელი სურნელით, მაგრამ ეს ყვავილები საზეიმო და სასიხარულო განწყობას როდი იწვევენ, პირიქით, მათი მთავარი თვისება სევდა, წუხილი და ცრემლებია. ისინიც განიცდიან სამყაროში მიმდინარე ყველა მოვლენას, განსაკუთრებით სტიქიურ მოვლენებს, რომლებიც სულს ამწუხარებენ და გარემოს ასევდიანებენ. პოეტის ყვავილები ალეგორიულ სახეებად შეიძლება მოვიაზროთ, რომლებშიც ცხოვრების მძიმე და აუტანელი ვითარება იგულისხმება. ლექსი „შემოდგომა“ დასახელებული ლექსების გასაღებს წარმოადგენს. მასში დახატულ შემოდგომის სურათში საგნები მოწყენილი და სევდიანი არიან, რისი მიზეზიც ლექსშივე იკითხება: „გრიგალია მთაში“. გრიგალი ქართულ პოეზიაში ნგრევის, რბევის, რევოლუციის სიმბოლოა, ამიტომ ეს ლექსი 1905 წლის რევოლუციის მოახლოებით გამოწვეულ განცდას უნდა გამოხატავდეს. მაგრამ უფრო ყურადსაღებია ლექსის ვერსიოფიკაციულ-მხატვრული თავისებურებები, ფორმისა და შინაარსის, აზრისა და გრძნობის შერწყმა-შეზავება. განსაკუთრებით ახალი, ცოცხალი ხედვა, გარესამყაროს უსულო საგნების გასულიერებული ცოცხალი მსოფლშეგრძნება, ნოვაცია მეტაფორული სახეებით გადმოცემული. გიორგი ციციშვილი აღნიშნავს: „სანდრო შანშიაშვილის პოეტური შემოქმედება სევდანარევი დღინით დაიწყო. იგი თავის თავს მწუხარე პოეტს უწოდებდა. ეს ცრემლნარევი ხმა ქვეყნისა და ხალხის ბეჩავი ყოფის წარმონაქმნია“ [12, 46]. მართალია, ს. შანშიაშვილის პოეზიით საფუძველი ჩაეყარა მოდერნს ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ მისი პოეზია არასოდეს დაშორებია ქვეყნის ავ-კარგს, მისი ლექსების სიმბოლისტურ ფორმებში თითოეული სტრიქონი პოეტის გულის დრმა ტკივილებს გამოხატავს. სევდა-წუხილი, უიმედო მდგომარეობაში ყოფნის მოტივები განსაკუთრებით მის ყრმობისდროინდელ ლექსებში ჭარბობს. როგორც ვ. აზარიაშვილი აღნიშნავს: „ეს არაა არც ბაირონის „მსოფლიო სევდა“, არც 1832 წლის შეთქმულების კრახით, „სამკვიდროს დაკარგვით“ გამოწვეული მწუხარებაა, რომანტიკოსებს რომ უგმირავდა გულს; ესაა ს. შანშიაშვილის სევდა, რომელიც მექანიკურად კი არ არის გადმოღებული უცხოური ან ქართული კლასიკიდან, არამედ ორგანულად განცდილი და ნაკარნახევია იმდროინდელი ცხოვრების უპერსპექტივობით, უიმედო ყოფით და, რაც მთავარია, სამშობლო ქვეყნის მწუხარე სინამდვილით“ [2, 1990].

ს. შანშიაშვილი, თუმცა სიმბოლისტური ნაკადის შემომტანად მიიხნევა, მისი პოეზია არ ყოფილა მოწყვეტილი ქართული ტრადიციული ხელოვნების ფესვებს. ამისი ნიმუშია სწორედ ეს პირველი წიგნი „ბაღი სევდისა“, რომელიც მხატვრულ-ესთეტიკური და ასევე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ქართული კლასიკური ტრადიციე-

ბით ნასახრდოები წიგნია. იგი ეროვნული პოეზიის ტრადიციებსაც აგრძელებს და სი-
ახლის შემოტანის ცდასაც წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა 1905 წელს
დაბეჭდილი ს. შანშიაშვილის რამდენიმე ლექსი. ერთ-ერთია „რომ შევსწრებოდი“. იგი
მეტად საგულისხმო კონცეფციას შეიცავს. პოეტი აცხადებს: „რომ შევსწრებოდი მე ოქ-
როს ხანას, / სხვაგვარს ვისმენდი დედისგან ნანას..“. „ოქროს ხანა“ თავისთავად აღ-
ძრავს ერთდროულად სიხარულსაც და მწუხარებასაც. ისევე, როგორც გრიგოლ ორბე-
ლიანთან („თამარ მეფის სახე...“). პოეტის სევდა იმ რომანტიკული განცდის დამტკეპია,
რომლითაც მისი პაპანი, საუკუნის წინ მისტიროდნენ საქართველოს წარსულ დიდებას.
სულიერ ტკივილებს კიდევ უფრო ამძაფრებს პოეტის შეუთავსებლობა თანადროულ
საზოგადოებრივ ფასეულობებთან, ქვეყნის ყოფასთან, რაც „მიჯრით მიწყობილი“
მშვენიერი მეტაფორებითაა გადმოცემული: „დღეს დავრჩი მხოლოდ ვიწრო თაღებში, /
ყრმის აღტაცებით ვნების ტალღებში, / უმიზნო ცრემლით სევდის ბაღებში“.

რომანტიკული ოცნება დიდებულ წარსულზე პოეტს თითქოს ყოვლისშემძლედ აქ-
ცევს, აღამაღლებს, თამარისა და შოთას დარად წარმოადგენინებს თავს: „რომ შევ-
სწრებოდი მე ოქროს ხანას, / შემოვირტყამდი დიდების ქამარს, / არ შევნატრებდი შო-
თას და თამარს“. „დიდების ქამარში“ მითოლოგიური „კიპრიდას ქამარი“ უნდა იგუ-
ლისხმებოდეს. რაც თავისთავად დიდების შარავანდედს გულისხმობს. ანუ პოეტი თა-
მარის ეპოქაში დაფასებულია, დიდების შარავანდედი ადგას. ეპოქა აბედნიერებს ადა-
მიანებს. დიდებულ ეპოქაში ყველა ადამიანი, და მით უმეტეს პოეტი, განდიდებულია,
დაფასებული და აღმატებულია. „ოქროს ხანა“ კი ის დრო იყო, როცა „ყოვლთა სწორ-
თა წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს“ [5, სტრ. 1657] და პოეტმა კარგად იცის, რომ
ეს წყალობა არა მხოლოდ მატერიალური იყო. ამგვარი დამოკიდებულება – უზომო
სევდა და ტკივილი იმის გამო, რომ „განვლილთა დღეთა, დიდების დღეთა / ყოვლი კე-
თილი თანა წარიდეს“ (გრ. ორბელიანი, „იარაღის“) პოეტს მეტად აახლოებს რომანტი-
კოსებთან. ჩნდება ალუზია გრ. ორბელიანის ლექსისა: „და ვით განვლილსა სიზმარსა
ტკბილსა, / მზეს, დიდებულად ჩასვენებულსა, / ვიგონებთ შენს დროს...“

თვალშისაცემია რომანტიკოსი და სიმბოლისტი პოეტების ერთნაირი სულიერი
განწყობა, რომანტიკოსი წინაპარი განიცდის იმას, რომ თამარისდროინდელი საქარ-
თველოსგან მხოლოდ გზაშეუვალ უდაბურ ტყეში დანგრეული ტაძარიდა შემოგვრჩა,
სიმბოლისტი მემკვიდრე კი წუხს, რომ ვერ იხილა საქართველოს ოქროს ხანა, წარსუ-
ლი დიდებულება, ყოველივე ის, რაც მისდროინდელ ქვეყანას ასე აკლდა. სწორედ ეს
უნდა იყოს პოეტის სევდის ბაღში ყოფნის განმაპირობებელი.

ლექსი საინტერესოა კომპოზიციური თვალსაზრისით. იგი სონეტის სახესხვაობას
წარმოადგენს, ტერცინებითაა გადმოცემული და პარალელური რითმით გაწყობილი.
ამასთან, გამოყენებულია ორმარცვლიანი კონსონანსური რითმა: თაღებში / ტალღებში
/ ბაღებში; ხანას / თამარს / ქამარს.

ოქროს ხანა თავისთავად გულისხმობს დიდებულ თამარ მეფეს. თამარი და მისი
დროება მრავალი პოეტის შთაგონების წყარო გამხდარა. სანდრო შანშიაშვილი ერთ
მშვენიერ ლექსსაც უძღვნის თამარ მეფეს. ესაა „თამარ დიელო“, მეფე-ქალის სახოტბო
ლექსი, რომელშიც ნაჩვენებია სწორუპოვარი მეფის სულიერი ღირსებანი. ლექსი ბესი-
კური თოთხმეტმარცვლიანი შაირითაა დაწერილი. შაირისა და შავთელურის შემდეგ
ბესიკური ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ქართულ პოეზიაში. ამგვარი ტაეპებით

უმთავრესად იწერებოდა ქართული სონეტები და ქართული მუსამბაზი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რეალისტური მიმდინარეობის პირობებში, როცა პოეზიაში ფორმაზე მეტად ლექსის შინაარსი და იდეა გახდა წარმმართველი, ქართული ტრადიციული სალექსო ფორმებიც დავიწყებამთ. იგი კვლავ აღდგა მეოცე საუკუნის დასაწყისში მოდერნისტული პოეზიის ხანაში. როგორც ცნობილია, ამას „ციხფერყანწელები“ მიიხრევიან თავიანთ დამსახურებად, თუმცა, ვფიქრობთ, რომ, ამგვარი სახეები პირველად სწორედ სანდრო შანშიაშვილის პოეზიაში გამოვლინდა, შემდეგ კი გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში [3, 15].

განსახილველი ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ სამი ოთხტაქეპედია, მაინც შესაძლებელია სონეტად მივიჩნიოთ. პოეტი იყენებს პარალელურ რითმას სამი მარცვლით და ხოტბის საოცარ მუსიკას ქმნის:

„ხარ დედოფალი, ყვავილებით გვირგვინოსანი,
სინაზის ნიშნად ხელთ გიპყრია ნორჩი სოსანი.
იგია შენი ძლევის სკიპტრა – ფერადოსანი,
შოთამი მამხილა, ვყოფილიყავ შენი მგოსანი!...
და, აჰა, გიმღერ ქართველის ქალო, სულო მზიერო!
ჩემი დროების საუნჯეო, სოფლად ძლიერო!
ზაფხულის პირო, წმინდა ნებით მარად ციერო,
თამარ ღამაზო და ნარნარო ივერიელო!“

ლექსში მრავალფეროვანი მეტაფორებით აღწერილია თამარის მშვენიერება. პოეტი მიანიშნებს იმაზეც, რომ მისი ქების, მგოსნობის, უფლება შოთასგან მოუპოვებია, რითაც ნათლად იკვეთება მთავარი აზრი – დიდებულება, ღირსება, სულიერი სიმაღლე შთამავლებელია და ვერც ერთი შემოქმედი გვერდს ვერ აუვლის მას. მით უმეტეს, როცა თამარის დროის ბრწყინვალეობა ყველა დროების საუნჯედ ქცეულა. მგოსნისათვის შთამავლებელია თამარის დღესასწაული, იგულისხმება 14 მაისი, თამარობა, როცა „შემოეგლება მდელის მწვანე გარს სამკაული!“ სხივოსანი დღეც მისი ბრწყინვალეობით ანათებს და მგოსანსაც სახოტბოდ, „დიელოს“ სამღერლად, იწვევს. დიელო შესაძლებელია სიმღერად, გალობად მივიჩნიოთ, ქართული ხალხური სიმღერის ტექსტებში რომ ხშირად ისმის. „დიელო“ ასევე განმარტებულია, როგორც ქალის სახელი [8, 2]. შოთა ნიშნიანობის „აფხაზურ კანტანტაში“ ვკითხულობთ: „წაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო და...“ რომელშიც „დიელო და...“ წამღერებად უნდა მივიჩნიოთ. შანშიაშვილის ლექსის სათაურშიც „თამარ დიელო“, ვფიქრობთ რომ, თამარის სიმღერა იგულისხმება.

განხილული ლექსი 1915 წლითაა დათარიღებული. უფრო ადრე, 1912 წელს, დაწერილი ლექსი „სინათლის რძალი“ ასევე სახოტბო ხასიათისაა. აქაც ბესიკურ თოთხმეტმარცვლიან ტაქეებს ვხვდებით. იგი ოთხი სტროფისგან შედგება და ჰექტეოსილაბურია, თითოეული სხვადასხვა რაოდენობის ტაქებს შეიცავს – 7/6/9/8. ყოველი სტროფის პირველი სტრიქონი მეორდება: „შენ ამოზრდილხარ თეთრ ზამბახად, დილის მზის სატრფოდ“ და გაურითმავია, ეს სტრიქონი შესაძლებელია რეფრენადაც მივიჩნიოთ, რამეთუ, გარდა გამეორებისა, ავტორის მთავარი სათქმელიც აქ არის თავმოყრილი. ვნახოთ პირველი შვიდსტრიქონიანი სტროფი:

„შენ ამოზრდილხარ თეთრ ზამბახად, დილის მზის სატრფოდ,

კდემით ჩაგიცვამს შუქის კაბა ჰაეროვანი...
ზღაპრული მძივი ყელს გიმშვენებს, მკერდს უამბორებს,
სხივის სარტყელი დაგფრიალებს, წელს გინარნარებს.
გულის საბამი ვარდის ძუძუს ჩაჰკონებია
და ასე მოხვალ ღვთაებრივი დიდებულებით,
რომ სულის გზაზე მიმოფინო ოქროს ნათელი!...“

ძნელი სათქმელია კონკრეტულად ვის ეძღვნება ლექსი. მასში შესაძლებელია მოვი-
აზროთ ღვთისმშობელიც, თამარ მეფეც და უბრალოდ მშვენიერი ქალიც, რომელიც სა-
ოცარ სილამაზესთან ერთად სულიერ მშვენიერებას ასხივებს. ლექსს სატრფიალო თე-
მაზე დაწერილად მიიჩნევს ვ. აზარიაშვილი და ამბობს: „ლექსში გამხედილია პოეტის
სულისშემძვრელი განცდები, უინტიმესი ემოციები. ყოველი სტრიქონი, სახეები, მეტა-
ფორები თვალისმომჭრელად ელვარებენ ... იგი უზენაესი სატრფოს წინაშე მუხლმოდ-
რეკილი მორწმუნის ექსტაზური ღოცვის ღაღადისია, იგი ქართული პოეზიის ბრწყინ-
ვალე შედეგია“ [2. 1990, 13].

შეუძლებელია არ დაეთანხმო მკვლევარს ლექსის შეფასებაში, თუმცა ვფიქრობთ,
რომ ლექსის ადრესატი ღვთისმშობელი უნდა იყოს. იგი სინათლის რძალია, ანუ მამად-
მერთის სძალი, ძველ აღთქმაში ნათელი სამოსია, რომლითაც იმოსება ღმერთი: „შეი-
მოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი“ [ფს. 103, 2]. ნათელი, ასევე, გვხვდება წინასწარ-
მეტყველებთან ექსატოლოგიურ პერსპექტივებთან დაკავშირებით [ბიბლია, 1990, 998].
ნათელი ახალ აღთქმაშიც დასტურდება ღვთის სახელად. განკაცებული უფალი თავად
ამბობს: „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა,
არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაი“ [იოანე 8, 22]. იოანე მოციქულის ეპისტოლის
თანახმად, ნათლის ერთადერთი წყარო ღმერთია, „ყოველივე მოცემული კეთილი და
ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდმო არს გარდამოსრულ მამისაგან ნათლისა...“ [იაკობი,
1, 17] სახარებაში კი მაცხოვარი მაშინ გამოუმჟღავნებს თავის მოწაფეებს საღვთო დი-
დებულებას, როცა გაბრწყინდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ნათლის რძალი“ სწორედ
ღვთისმშობელს უნდა გულისხმობდეს. შემდეგ ვკითხულობთ, რომ იგი „თეთრ ზამბა-
ხად ამოზრდილა“. ზამბახი სიფაქიზეს, სიამაყესა და სისპეტაკეს გამოხატავდა. ცისფე-
რი ზამბახი ხშირად გვხვდება მგლოვიარე ღვთისმშობლის გამოსახულებებზე, რადგან
ქრისტიანულ ცნობიერებაში ღვთიურ ენერგიას გამოხატავს [7]. განსახილველ ლექსში
კი ღვთისმშობელი ბედნიერი დედაა, მას ყრმა იესო უჭირავს ხელში. ამაზე მიგვანიშ-
ნებს ტაეპი: „გულის საბამი ვარდის ძუძუს ჩაჰკონებია“. ვარდი სამოთხის ყვავილადაა
აღიარებული. ვარდების ყვავილწული ქრისტიანულ სიმბოლიკაში ღვთისმშობელს
განასახიერებს. ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ძუძუსმაწოვებელი ღვთისმშობ-
ლის ხატი, რომელიც იმყოფება ათონზე, კარაის კელიასთან მდებარე ეკლესიაში. ამ-
გვარ გააზრებას განამტკიცებს მომდევნო ტაეპები: „და ასე მოხვალ ღვთაებრივი დიდე-
ბულებით, / რომ სულის გზაზე მიმოფინო ოქროს ნათელი!...“

შემდეგ სტროფებში პოეტი ამბობს, რომ თეთრ ზამბახად ამოზრდილი სინათლის
რძალი მგოსნების სატრფოდ ქცეულა, ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა მხო-
ლოდ საგალობლები, არამედ საერო ხასიათის ტექსტებიც, რომლებიც ღვთისმშობელს
ეძღვნება. სატრფო მისი სახე-სიმბოლოა აღორძინების ხანის პოეზიაში (ვახტანგ VI,
გურამიშვილი), ასევე სიმბოლისტურ პოეზიაში (გალაკტიონი, „თოვლი“). სანდრო შან-

შიაშვილი მას უწოდებს: განწმენდილი ტრფიალების სიმბოლოს, უკვდავების დამნახვებელს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლაგების შინა სიცოცხლის მომნიჭებლის“, მაცხოვრის, მოვლინება. სტროფის ბოლოს ვკითხულობთ:

„ასეთი მოხვალ ნათესავთან სულის შარაზე,
რომ ღვთაებრივმა მიმოფინო წმინდა ნათელი!...“

ფრაზა „ნათესავთან სულის შარაზე“, რომელიც წინა სტროფში რამდენადმე განსხვავებული ფორმით გვხვდება – „ნათესავთა სულის წიაღზე“, სულიერ ნათესაობას უნდა გულისხმობდეს. ვფიქრობთ, რომ სიტყვა ნათესავიც ნათლიდან უნდა მომდინარეობდეს და რადგან ნათელი ღმერთია, სულია, ღვთისმშობელიც ამ გზაზე მომავალია, რომელმაც ეს „წმინდა ნათელი“ უნდა მიმოფინოს. ლექსში მეორდება როგორც სტროფების დასაწყისი, ასევე ბოლო ორი ტაეპი ოდნავ შეცვლილი სახით. ბოლო სტროფი საბოლოოდ ჰყენს ნათელს სახოტბო საგნის არსს:

„შენ ამოზრდილხარ თეთრ ზამბახად, ერის საუნჯედ...
ვიდრე გნახავდი, მეც ძველთაებრ წარმართი ვიყავ -
წარმართად დავრჩი, რადგან კერპი დღეს შენ ხარ ჩემი!
შენს სადიდებლად ვმღერი ღოცვას, როს თვალს გარიდებ
და საღამოთი ვეხუტები შენს მოგონებას.
და გულში ვამბობ, გიხაროდეს, ქართლის მნათობო!
კვლავ ასე მოხვალ ღვთაებრივი დიდებულებით,
რომ სულის გზაზე მიმოფინო ოქროს სხივები!“

ლექსში ნათლად იკითხება, რომ ღვთისმშობელი არის სიწმინდე („თეთრი ზამბახი“), იგი ერის, ქართველების, საუნჯეა, სიმდიდრე, განძი. პოეტი თავისი წინაპრების მსგავსად წარმართი იყო, ვიდრე მას შეიცნობდა, იგი მღერის ღვთისმშობლის სადიდებელ ღოცვას, მაგრამ თვალს ვერ უსწორებს მას. ისაა ქართლის მნათობი და პოეტი ჰიმნოგრაფიისთვის დამახასიათებელი სიტყვით „გიხაროდეს“ მიმართავს და ხოტბას ასხამს მის „ღვთაებრივ დიდებულებას“. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ესაა ღვთისმშობლის უღამაზესი საგალობელი ქართულ საერო პოეზიაში, რომელშიც ერთდროულად იკვეთება როგორც ჰიმნოგრაფიის ელემენტები, ასევე აღორძინების ხანის პოეზიის სახესიმბოლოები. ეს ყველაფერი კი გადმოცემულია ახალი სალექსო ფორმითა და შთამბეჭდავი პოეტური სახეებით.

აღნიშნული ლექსის მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სანდრო შანშიაშვილი მართლაცაა „სიმბოლიზმის აკვნის დამრწევი“, მაგრამ მისი სიმბოლოები განსხვავდება სიმბოლისტიკისათვის დამახასიათებელი პოეტური სახეებისაგან. მის პოეზიაში მრავლადაა მითოლოგიურ-ქრისტიანული სიმბოლოები, რომლებიც სიმბოლისტიკურ ესთეტიკაში ახალი სახეებით ჩაანაცვლეს. ამით ხელოვნებაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენის (ღამაზი და მახინჯი) მისტიკური შეხვედრა მოხდა და დაიბადა ახალი ესთეტიკა. შეიქმნა მეტაფორა, სიმბოლო, მითი გამოუთქმელის, იდუმალის გამოსათქმელად.

ლიტერატურა:

1. აზარიაშვილი ვ., ს. შანშიაშვილი, დისერტაცია, 1990;

2. დოიაშვილი თ., XX საუკუნის პოეზია, თბ., 1982;
3. სიგუა ს., ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002;
4. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ნაწ. 1, თბ., 2016;
5. რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2011;
6. XX საუკუნის პოეზია, თბ., 1982;
7. ყვაილ-სიმბოლოები ქართულ პოეზიაში. ელ. რესურსი: <http://mastsavlebeli.ge/?p=22549>
8. სახელების განმარტებები. ელ. რესურსი: http://www.evpatori.ge/?do=view_news&news_id=3162;
9. ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში, ნაწ. 1, თბ., 2018;
10. ციციშვილი გ., სანდრო შანშიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962;
11. წიფურია ბ., მოდერნიზმი – კულტურული და ლიტერატურული სტილი, თბ., 2016.

Shorena Jishkariani

Aleksandre (Sandro) Shanshiashvili "Cradle of Symbolism"

Summary

Symbolic motifs in Georgian poetry of the early 20th century were first revealed in Sandro Shanshiashvili's poetry. His first collection, *The Garden of Sorrow*, was published in 1909. This collection was followed by a great response from contemporaries. T. Tabidze called him "the cradle of symbolism". C. Tsitsishvili believes that his poetry is a testimony to the existence of people. Sandro Shanshiashvili's poetry is a national traditional, and also is an attempt to bring something new. The poem "If I Attended" expresses the attitude towards Tamar's era. The poem "Tamar Dielo" is also praised by Tamar. "Bride of Light" can be considered as a hymn to the Mother of God. It is distinguished by the variety of artistic faces and original architecture.

Distinguished by genre diversity and innovative forms of imagery, Shanshiashvili's work occupies a special place in the Golden Fund of Georgian Literature.

Шорена Жишкарини

Александр (Сандро) Шаншиашвили «Колыбель символизма»

Резюме

Символические мотивы в грузинской поэзии начала XX века впервые раскрываются в поэзии Сандро Шаншиашвили. Его первый поэтический сборник «Сад печали» вышел в 1909 году. Этот сборник вызвал большой отклик у современников. Т. Табидзе назвал его «колыбелью символизма». С. Цицишвили считает, что его поэзия описывает быт людей. Поэзия С. Шаншиашвили продолжает национальные традиционные мотивы и пытается привнести что-то новое. Стихотворение «Если бы я побывала» выражает отношение к эпохе царицы Тамар. Стихотворение «Тамар Диело» также является похвалой Тамар. «Невесту Света» можно рассматривать как гимн Божьей Матери. Он отличается разнообразием художественных образов и оригинальной архитектурой.

Творчество Шаншиашвили, отличающееся жанровым разнообразием и новаторскими образными формами, занимает особое место в Золотом фонде грузинской литературы.

ნინო ნიკოლაიშვილი
(საქართველო)

**„ნარნის“ აღსასრული კლავი ლუსის „ნარნის ძრონიკებში“
და ესქატოლოგიურ-აპოკალიფსური მითორელიგიური ტრადიცია**

ესქატოლოგიური ნარატივები და მითორელიგიური ტრადიცია

ესქატოლოგია მსოფლიოს ყველა ცივილიზაციის მითოლოგიურ და რელიგიურ სისტემათა განუყოფელი ნაწილია. ნებისმიერ მითოლოგიაში ოდითგანვე არსებობდა ერთმანეთის მსგავსი გადმოცემა კოსმოსის აღსასრულზე, ხოლო რელიგიებში არსებობდა მოძღვრება უკანასკნელ მოვლენებზე. „შეიძლება ითქვას, რომ პირველყოფილი ხალხებისათვის სამყარო უკვე აღესრულა, თუმცა აღსასრული კიდევ უნდა განმეორდეს ცოტად თუ ბევრად შორეულ მომავალში. კოსმიური კატაკლიზმების მითები მართლაც ძალიან გავრცელებულია. ისინი მოგვითხრობენ როგორ დაინგრა სამყარო, როგორ მოისპო კაცობრიობა, ერთი წყვილისა და რამდენიმე ცოცხლად გადარჩენილის გარდა. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და საყოველთაოდ ცნობილია წარდენის მითები. წარდენის მითების პარალელურად სხვა მითებიც კაცობრიობის ნგრევას გამოხატავს კოსმიური მასშტაბის კატაკლიზმებით: მიწისძვრებით, ხანძრებით, მთების ჩამოშლით, ეპიდემიებით და სხვა“ [2, 50]. წარდენის უძველესი მითები წერილობითად ფიქსირდება შუამდინარულ ეპოსებში „გიდგამეშიანსა“ და „ატრაჰასისში“. მეტისმეტად გამრავლებული ხალხით შეწუხებულმა ღმერთებმა გადაწყვიტეს წარდენის მოხდენა, რომელმაც მთელი კაცობრიობა წააღწია, ამ წარდენას მხოლოდ უთანაფიშთი და მისი ცოლი გადაურჩა. ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ ინდური მითოსის წარდენის გმირი მანუ, რომელიც გადაურჩა წარდენას. წარდენის ბერძნული მითოსი დევეკალიონი და პირა და ბიბლიური ნოე, რომელიც ასევე დაიფარა ღმერთმა და თავისივე აშენებული კილობანით გადაურჩა წარდენას. ასევე ინდოელების მიერ განვითარებული ოთხი იუგა, სამყაროს ოთხი ასაკი. სამყაროს დაბადების, ზრდის, დაკნინებისა და განადგურების ციკლი, რომელთა შორის ხდება ერთგვარი გარდამავალი წარდენები. იუგების დასასრულს, საბოლოო ესქატოლოგიის შემდეგ სამყარო ხელახლა იქმნება და ახალი კოსმიური ციკლი იწყება, ახალი მაჰაიუგა, ბერძნულად – ეონი. არის კიდევ ერთი მითორელიგიური ციკლი, რომელიც სამყაროს აღსასრულს უკავშირდება – აღსასრული, ანუ მომავლის აპოკალიფსი, რასაც ჩვეულებრივ წინ უძღვის „წინასწარმეტყველებები მომავალ უბედურებებზე“. იუდაურ-ქრისტიანულ აპოკალიფსებში, მითოლოგიური დოქტრინებისაგან განსხვავებით, სამყაროს აღსასრული საბოლოოა. როგორც ელიადე აღნიშნავს, ჩვენ სამყაროს აღსასრულის ზოგიერთ აპოკალიფსურ სურათს იუდეო-ქრისტიანულ ესქატოლოგიურ ხილვებში ვხვდებით. მაგრამ იუდეო-ქრისტიანობა რამდენიმე სიახლეს ავლენს. სამყაროს აღსასრული ერთადერთი იქნება, ისევე, როგორც ერთადერთი იყო კოსმოგონია. სამყარო, რომელიც კატასტროფის შემდეგ გამოჩნდება, იქნება განწმენდილი, სამოთხის მსგავსი, განახლებული, სადაც მხოლოდ შერჩეულნი და რჩეულნი იცხოვრებენ სამარადისო ნეტარებაში. დრო იქნება არა მარადიული მობრუნების წრიული დრო, არამედ სწორხაზოვანი და შეუქცევადი. ასევე, იუდეო-ქრისტი-

ანობისათვის სამყაროს აღსასრული მესიანური მისტერიის ნაწილს წარმოადგენს. ებრაელებთან მესიის მოსვლა სამყაროს აღსასრულის და სამოთხის აღდგენის მაუწყებელია. წინასწარმეტყველები აცხადებენ, რომ კოსმოსი განახლება: გაჩნდება ახალი ცა და ახალი მიწა, ყველაფერი შეიცვლება. არ იქნება აღარც ცრემლი და აღარც ტირილი. ასევე, ელიადე აღნიშნავს, რომ საბოლოო კატასტროფის სინდრომი მოგვაგონებს სამყაროს ნგრევის ინდურ აღწერას [2, 58-59]. ბიბლიურ აპოკალიფსს წინ უსწრებს უფრო ძველი მითოლოგიური ტრადიციები – ეგვიპტური იპუვერასა და ინდური მარკანტეას აპოკალიფსური წინასწარმეტყველებები. ასევე, სკანდინავიური რაგნაროკის კოსმიური ომი, რასაც სამყაროს, ადამიანებისა და ღმერთების აღსასრული მოჰყვება.

„ნარნიის ქრონიკები“ უშუალოდ მიჰყვება იუგათაშორისი „გარდამავალი“ ესქატოლოგიების არქეტიპულ სქემას. თუმცა ლუისის, როგორც მწერლის, გადაწყვეტილება არის, რომ მისი ნებისმიერი სიუჟეტი და არქეტიპი იყოს სინკრეტულად ერთმანეთში შეზრდილი ორ ფუნდამენტურ ტრადიციასთან – უძველეს მითოლოგიურ და ქრისტიანულ პარადიგმებთან. ამ შემთხვევაშიც, ლუისი თავისი „ქრონიკებისთვის“ გვთავაზობს გარკვეულ მითოლოგიურ-იუდაური აპოკალიფსების სინკრეტულ და გადამუშავებულ ვერსიას.

„ნარნიის ქრონიკებში“ მომავლის აპოკალიფსი უკვე შედგა, როგორც ფაქტი – ნარნია აღესრულა და ახალ ზეციურ განზომილებაში განაგრძობს არსებობას.

ნარნიის აპოკალიფსი

ლუისის „ქრონიკებში“ საბოლოო ესქატოლოგიას წინ უძღვის მრავალი განსაცდელი, კრიზისი, ომი, ციკლების მონაცვლეობა, მრავალწლიანი ზამთარი, რომელიც სკანდინავიურ გადმოცემაშიც გვხვდება. რაგნაროკს, ანუ საბოლოო აღსასრულს, წინ უძღვის ზამთარი. ასევე, „ნარნიის ქრონიკებშიც“ ლუისმა ერთი მთლიანი წიგნი დიდ გამყინვარებას დაუთმო, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. მას შემდეგ, რაც თეთრი ჯადოქარი დამარცხდა და ისევ ოქროს ხანა დადგა, იყო კვლავ რამდენიმე ომი, რომელსაც ისევ სიმშვიდე ენაცვლებოდა. ასეთივე თამნმომდევრობას ვხედავთ რაგნაროკში, ესქატოლოგიის დადგომამდე. „პირველ რიგში ზამთარი მოვა, რომელსაც ეწოდება ძლიერი ან მისტერიული ზამთარი. შემდეგ თოვლი ყველა მიმართულებით წავა. იქნება ყინვები და ქარი. მზე აღარ იქნება. ასეთი სამი ზამთარი იქნება მიყოლებით და არც ერთი ზაფხული“ [7, 53]. არტურ ქრისტენსენი ვარაუდობს, რომ ვარას მითში არსებული გამყინვარება და რაგნაროკის დადგომამდე მრავალწლიანი ზამთარი ერთმანეთს ემთხვევა და ორთავე მომავლის მოვლენებს ასახავს. „ქრისტენსონი ვარაუდობდა, რომ ვარას მითი მომავლის მოვლენების ამსახველია, მსგავსი პირობებია აღწერილი რაგნაროკშიც. მისი მოსაზრებით დიდი ზამთარი იგივე წარმოშობისაა, როგორც რაგნაროკში ფიმბულვინტერი [6, 173]. ასევე ბიბლიაში, მარკოზის მათეს სახარებაში, იოანეს გამოცხადებაში, ასახულია აპოკალიფსის დადგომამდე მოსალოდნელი მოვლენები. „ილოცეთ, რათა გაქცევა არ მოგიწიოთ ზამთარში. რადგან იქნება იმ დღეებში ჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან, რომელიც შექმნა ღმერთმა, დღევანდელ დღემდე, და არც იქნება“ [მარკ., 13-14:18]. ირანულ, სკანდინავიურ და ქრისტიანულ ურთიერთგავლენაზე საუბრობს ანდერს ჰულთგარდი: „გარკვეული თემები რაგნაროკის ტრადიციაში შესაძლოა წარმოშობილი იყოს ქრისტიანული დოქტრინისგან.

რაგნაროკის ტრადიციაზე უცხოეთის გაგენის პრობლემა საკმაოდ რთულია. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ შუა საუკუნეების ქრისტიანული ესქატოლოგია, მეორე, ახლო აღმოსავლეთის იდეების შესაძლო შეღწევა პრეისტორიულ სკანდინავიაში და მესამე, ძველი ინდოევროპული ელემენტების შენარჩუნება უძველეს ჩრდილოეთში. გარდა ამისა, შუა საუკუნეებში ქრისტიანობამ განაგრძო ებრაულ ქრისტიანული ტრადიცია, რომელზეც თავის ესქატოლოგიურ სწავლებებში აშკარად იმოქმედა ირანულმა იდეებმა“ [3, 354].

კლავი ლუისის ბოლო წიგნში „უკანასკნელი ბრძოლა“, სადაც ასახულია ნარნიის დასასრული, მკვეთრად იგრძნობა ბიბლიის გაგენა ესქატოლოგიის დადგომამდე განვითარებული მოვლენებით. როგორც ბიბლიაშია ნაწინასწარმეტყველები ანტიქრისტეს მოსვლა საბოლოო დასასრულის დადგომამდე, ლუისიც ამ ხერხს მიმართავს და სიუჟეტიც სწორედ იწყება ცრუ ღმერთის გამოჩენით. ანტიქრისტე იწყებს მოქმედებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დასასრული ახლოვდება. მაიმუნი და ვირი იპოვიან ლომის ტყავს. მაიმუნი აიძულებს ვირს ჩაიცვას ლომის ტყავი, რადგან მთელი ნარნია დაარწმუნოს იმაში, რომ ასლანი დაბრუნდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს ტყუილი მას დიდებას მოუტანდა და ყველას დაიქვემდებარებდა. „ახლა თუ ვინმემ დაგინახა, ისინი იფიქრებენ, რომ შენ ასლანი ხარ, თვით დიდებული ლომი და ყველა ჩვენ დაგვემორჩილება, მეფეც კი“ [5, 10], – ეუბნება მაიმუნი ვირს. „ანტიქრისტეს ბატონობა ერთგვარად ქაოსისკენ დაბრუნებას ნიშნავს. ერთი მხრივ, ანტიქრისტე წარმოდგენილია დრაკონის ან დემონის ფორმით, რაც ღმერთისა და დრაკონის ორთაბრძოლის ძველ მითს მოგვაგონებს. ბრძოლა, რომელიც დასაწყისშივე სამყაროს შესაქმმდე მოხდა, კვლავ განმეორდება აღსასრულის უამს. მეორე მხრივ, როცა ანტიქრისტეს ცრუ მესიად მიიხვევენ, მისი ბატონობა მთლიანად თავდაყირა დააყენებს სოციალურ და რელიგიურ ღირებულებებს“ [2, 59]. სწორედ ამას მოჰყვა ნარნიაში ომი, სისხლისღვრა და ნარნიის დასასრული. მარკოზის სახარებაში სწორედ ეს არის ნაწინასწარმეტყველები: „მაშინ, თუ ვინმე გეტყვით თქვენ: აჰა, აქ არის ქრისტე, ან კიდევ – იქო, ნუ ერწმუნებით. რადგან აღდგებიან ცრუქრისტენი და ცრუწინასწარმეტყველნი და მოახდენენ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა აცდუნონ, თუკი შესძლეს თვითონ რჩეულნიც“ [მარკ., 13-14:21:22]. ასევე ნათქვამი მათეს სახარებაში: „ფხიზლად იყავით, რათა არავინ გაცდუნოთ. ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ვარ ქრისტე, და მრავალს აცდუნებენ“ [მათ., 23-24: 4]. „ასე რომ, თუ გეტყვიან: აჰა, უდაბნოშიაო, ნუ გახვალთ; და, აჰა, თავის სენაკშიაო, ნუ ერწმუნებით“ [მათ., 23-24:26].

მაიმუნი სწორედ ცრუ ღმერთისკენ მიუთითებს ნარნიელებს. ის ცდილობს ნარნიელები დაარწმუნოს იმაში, რომ ლომი გამოჩნდა და ამით უნდა მანიპულირებდეს ნარნიის მკვიდრებზე. ტემს და ასლანს წარმოაჩენს როგორც ერთს, რათა ნარნიელები მოატყუოს, რომ ისინი იდენტურნი არიან და ეს ორი არის ერთი. „ტემში არის მხოლოდ მეორე სახელი ასლანისა. ვიყენებთ სხვადასხვა სახელს, მაგრამ ყველა ვგულისხმობთ ერთი და იგივეს. ტემში და ასლანი არის მხოლოდ ორი სხვადასხვა სახელი ერთის. ამიტომაც მათ შორის კამათი შეუძლებელია. ტემში არის ასლანი და ასლანი არის ტემში“ [5, 30], – ეუბნება მაიმუნი ნარნიელებს.

ნათელი, კეთილი ღმერთის წინააღმდეგ მისი ანტაგონისტი – ბოროტი დემონის, ეშმაკის, სატანის გამოჩენა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მითოლოგიური და რელი-

გიური პარადიგმა. ამ პარადიგმამ საბოლოოდ წარმოშვა დუალური რელიგიები, რომელთა ბოლო ეპიზოდიც „უკანასკნელ ბრძოლას“, როგორც სიკეთის გამარჯვების ფუნდამენტურ პრინციპს, ეფუძნება. ეს მოტივი გასდევს როგორც მითოლოგიურ, ისე იუდაისტურ და სხვა რელიგიებს. „უკანასკნელ ბრძოლაშიც“ ცრუ ღმერთის გამოჩენის შემდეგ, მართლაც გამოჩნდა ასლანის მოწინააღმდეგე, კალორმენების ღმერთი ტეში. „ხეების ჩრდილში, მოშორებით, რაღაც მოძრაობდა. ის ძალიან ნელა მიცურავდა ჩრდილოეთისკენ. ერთი შეხედვით შეიძლება კვამლში აგრეოდა, რადგან ნაცრისფერი იყო და გამჭვირვალე. მაგრამ მისი მომაკვდინებელი სუნი არ იყო კვამლის სუნი. გარდა ამისა, მას ფორმა ჰქონდა – დაახლოებული ადამიანის ფორმასთან, მას ჩიტის თავი ჰქონდა. და ის მტაცებელ ფრინველს ჰგავდა სასტიკი, მოხრილი ნისკარტით. მას ჰქონდა ოთხი მკლავი, რომელიც თავთან ჰქონდა მოთავსებული და ჩრდილოეთისკენ გაჭიმული ისე, თითქოს მთელი ნარნიის ხელში ჩაგდება სურდა. და მისი ოცი თითი იყო მოხრილი მისი ნისკარტით და ჰქონდა გრძელი, წვეტიანი, ჩიტის მსგავსი ბრჭყალები. ის სიარულის ნაცვლად მიცურავდა და მის ქვეშ თითქოს ბალახი ხმებოდა“ [5, 71]. ეს იყო ტეში – ნარნიელების წინააღმდეგ მებრძოლი კაროლმენების ღმერთი. იცნო ის ტირიანმა, ნარნიის უკანასკნელმა მეფემ. „მე ის ნანახი მყავს, თქვა ტირიანმა, მაგრამ იმ დროს ის ქვისგან იყო გამოკვეთილი, ოქროთი იყო მოპირკეთებული და თვალების ნაცვლად მყარი ბრილიანტები ჰქონდა“. ტირიანმა ის მეორედ იხილა ტარკანთან ერთად (კალორმენების მეფე), როდესაც ისინი ბრძოლის დროს ერთად მოხვდნენ თავლაში. იქ მათ ტეში დახვდათ, კალორმენების ღმერთი, რომელსაც ასლანი მის მოწინააღმდეგედ თვლიდა. აქ ჩანს პირველად ლომი ასლანის და ტეშის შეხვედრა. ლომი მას ეუბნება „წადი მონსტრო, წაიყვანე შენი მსხვერპლი (ტარკანი) ლომი ასლანის და მისი მამის ზღვის იმპერატორის სახელით“ და „საძაგელი არსება გაქრა“ [5, 115]. ბიბლიაშიც ანალოგიურად არის ნაწინასწარმეტყველები ურჩხულის, ანტიქრისტეს, ბოროტი ძალის გამოჩენა, რაც შთაგონების წყარო გახდა ლუისისთვის. მას სწამდა ღმერთის არსებობა, სწამდა ის, რომ სამყაროს შემოქმედი ღმერთია და დასასრულიც აუცილებლად უნდა დამდგარიყო. ის კარგად იცნობდა ქრისტიანულ რელიგიას და, აგრეთვე, სხვადასხვა კულტურის მითოგემებსაც, რაც გახდა მისი ნაწარმოების მნიშვნელოვანი თემები. „და დავექი ქვიშაზე ზღვისა, და ვიხილე მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ათრქიანი და შვიდთავიანი; და მის რქებზე – ათი გვირგვინი, და მის თავებზე სახელნი გმობისანი. და მხეცი, რომელიც ვიხილე, ჯიქსა ჰგავდა, და ფეხნი მისი როგორც დათვის ფეხნი, და ხახა მისი, როგორც ხახა ლომისა; და მისცა მას ურჩხულმა ძალი მისი და ტახტი მისი და ხელმწიფება დიდი. და თაყვანი სცეს ურჩხულს, რომელმაც მისცა მხეცს ხელმწიფება, და თაყვანი სცეს მხეცს. და მიეცა მას პირი მზვაობრად მეტყველი და მგმობელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდა ორი თვე. და განახვნა ბაგენი თვისნი საგობლად ღმერთის მიმართ, რათა ჰგმოს სახელი მისი და სამკვიდრებელი მისი და მკვიდრნი ცისანი“ [გამოცხ., 11-12:4, 5, 6].

როდესაც ერთ-ერთი კალორმელი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ტეშს ემსახურებოდა, მიხვდა მაიმუნის ჩანაფიქრს და ტყუილებს, გადაწყვიტა შესვლა იმ თავლაში, სადაც მაიმუნი აგზავნიდა ადამიანებს იმის დასამტკიცებლად, რომ ტეში, ანუ ტეში და ასლანი, როგორც ერთი, მთლიანი იქ იყო. იქ შესულს შეხვდა ლომი ასლანი, ბიჭმა გაბედა და ჰკითხა იყვნენ თუ არა ისინი ერთნი (ტეში და ასლანი), როგორც ეს მა-

იმუნმა განუცხადა მთელს ნარნიას და დაარწმუნა ისინი, რომ ტეში და ასლანი ერთი და იგივეა. ამ კითხვაზე ასლანმა ისე დაიღრიალა, რომ მიწა იძრა და თქვა, რომ ეს ტყუილია, „იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ერთნი ვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთის საპირისპირო ვართ, მე მივიღებ ყველა სამსახურს, რაც შენ მის მიმართ გაგიწევია. ჩვენ ისე განვსხვავდებით, რომ მსახურება, რომელიც შეიძლება იყოს საზარელი, არ იქნება ჩემ მიმართ გაწეული და პირიქით, მსახურება, რომელიც არის სულმდაბლური არ შეიძლება, რომ არ იყოს გაწეული მის მიმართ. და თუ როდესმე ვინმე ჩემი სახელით სისასტიკეს ჩაიდენს, ის მე არ შემსახურება, ის ემსახურება ტეშს“ [5, 144].

ცრუ ღმერთის გამოჩენის შემდგომ განვითარებული მოვლენებიც სინკრეტულ სურათს გვაძლევს. როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო ახალ აღთქმაში, და ასევე რაგნაროკში, „იქნება ბრძოლები მთელს მსოფლიოში. ძმები დახოცავენ ერთმანეთს სიხარბის გამო, არც მამა და არც შვილი არ გამოავლენს სიბრალულს იმის გამო, რომ დაირღვევა ტაბუ სისხლით ნათესავეებს შორის მკვლელობის გამო“ [7, 53]. ასევე, მარკოზის სახარებაში ნაწინასწარმეტყველებაა ძმათა შორის სისხლისღვრა საბოლოო დასასრულამდე. „გაიგებთ აგრეთვე ომებსა და ომების ამბებს. აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ, და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ“ [მარკ., 23-24:6] „და გადასცემს ძმა სასიკვდილოდ ძმას, და მამა – შვილს; და შვილები აღდგებიან მშობლების წინააღმდეგ და დახოცავენ მათ“ [მარკ., 12-13:12]. ლუისის „უკანასკნელ ბრძოლაში“ ასახული მოვლენებიც სწორედ ბრძოლებს, სამყაროს დასასრულს და საბოლოო აპოკალიფსს ეხება. მაგრამ რადგანაც ნარნია ცოცხალია, მოლაპარაკე ხეებით და ცხოველებით, აქ იხოცება არა მარტო ადამიანები, არამედ აქ ჩეხავენ ხეებს, კლავენ ცხოველებს, მეფეს აღარავინ არ ემორჩილება. სამეფო ებრძვის სამეფოს. „სწორედ, იმ უძველესი ტყის შუაგულში, იმ ტყეში, სადაც ოდესღაც ოქროს და ვერცხლის ხეები იზრდებოდა და სადაც ჩვენი სამყაროს ბავშვებმა დარგეს ნარნიის დამცველი ხე, სწორედ იქ, მიწა სავეს იყო ტალახიანი ნაკვალევით, ჩამოყრილ ხეებს მდინარისაკენ ათრევდნენ. იქ უამრავი ხალხი იყო, მათ რახებს იქნევდნენ და ცხენებს ათრევდნენ გაჩეხილი ხის კუნძებისკენ. ამის შემხედვარე მეფეს და მარტორქას ის გაუკვირდათ, რომ მოლაპარაკე მხეცებზე უფრო მეტი ადამიანი იყო და ეს ადამიანები არ იყვნენ ქერათმიანი ნარნიელები, ისინი იყვნენ შავი, წვერიანი კაცები კალორმენიდან. მაგრამ ნარნიის უკანასკნელ მეფეს ვერ გაეგო, რა უნდოდათ მათ აქ და რატომ ჩეხავდნენ ხეებს. როდესაც მეფემ და მარტორქამ ორი კაროლმინელი დაინახეს როგორ მოათრევდნენ მოლაპარაკე ცხენებს, საშინელმა მრისხანებამ შეიპყრო ისინი, არ იცოდნენ რას აკეთებდნენ, აღმართა მეფემ ხმალი, ხოლო მარტორქამ რქა მოამზადა. ისინი წინ მიიწევდნენ, ცოტა ხნის შემდეგ ორთავე კალორმინელი მკვდარი იყო, ერთს მეფე ტირიანი გაუსწორდა და მეორეს მარტორქა“ [5, 21]. იპუვერას წინასწარმეტყველებაშიც ასევე ნათქვამია, რომ „კაცს მისი შვილი მტრად მიანია, მოვა და იპყრობს მას. კეთილშობილი ადამიანი გლოვობს იმაზე, თუ რაც მოხდა დედამიწაზე“ [4, II]. „მართლაც, ძალადობა, ტანჯვა მთელს ქვეყანაშია, სისხლია ყველაგან. ბევრი მკვდარია დაკრძალული მდინარეში“ [4, II].

„უკანასკნელ ბრძოლაში“, რაგნაროკსა და ბიბლიას შორის მსგავსება, აგრეთვე, იკვეთება სტიქიური მოვლენების მიმდინარეობისას – თუ როგორ მიდის სამყარო დასასრულისკენ და რა ემართება ცას, ვარსკვლავებს, მთებს, მზეს, მთვარეს, როგორ ბნელდება სამყარო და ოდესღაც ქაოსიდან წარმოქმნილი სამყარო ისევ ქაოსს და სიბ-

ნელეს უბრუნდება. ნარნიაც დასრულდა, დაბნელდა. „ლომმა დაიდრიალა და სიბნელე-
 ში დაინახეს მუქი ფორმა, რომელიც იზრდებოდა და ადამიანის ფორმას იღებდა, ის იყო
 გიგანტებს შორის ყველაზე მაღალი. ჯილმა და იუსტასმა გაიხსენეს, რომ გამოქვაბუ-
 ლის სიღრმეში, ჭაობების ქვეშ, მათ ნახეს მიინარე, დიდი გიგანტი, მისი სახელი იყო
 დროის მამა (Father time). და ის გაიდვიძებდა სამყაროს დასასრულის დროს. „შემდეგ
 გიგანტმა აღმართა საყვირი და მათ გაიგონეს საყვირის მაღალი, საშინელი, უცნაური
 და ამავე დროს ლამაზი ხმა“ [5, 131]. გიგანტის გადვიძების დრო დადგა, სამყარო და-
 სასრულს უახლოვდება და, როგორც ბიბლიაშია ნაწინასწარმეტყველები, მათეს სახა-
 რებაში, ანგელოზის მოვლინება საყვირით ღმერთის მიერ, ასევეა „უკანასკნელ ბრძო-
 ლაში“ ლომი ასლანის მიერ მოვლენილი გიგანტი, რათა დასრულდეს ყოველივე. „და
 მოავლინებს თავის ანგელოზებს მრგველიანი საყვირით“ [მათ., 24-25:31]. „და პირველმა
 ჩაჰბერა, და იქმნა სეტყვა და ცეცხლი, სისხლში არეული, და მესამედი ხეთა დაიწვა, და
 მთელი მწვანე ბალახი დაიწვა. და მეორე ანგელოზმა ჩაჰბერა, და თითქოს დიდი მთა,
 ცეცხლით მოლაპლაპე, ჩავარდა ზღვაში; და ზღვის მესამედი სისხლად იქცა. და მესამე
 ანგელოზმა ჩაჰბერა, და ჩამოვარდა ლამპარივით მოვლვარე ვეება ვარსკვლავი, და დაე-
 ცა მესამედს მდინარეთა და წყაროებს წყალთა“ [გამოცხ., 7-9:10]. ბიბლიაში აღწერილი
 თანმიმდევრული დაშლა სამყაროსი, თავისი ძლევამოსილებით თითქმის ზედმიწევნით
 მეორდება „უკანასკნელ ბრძოლაში“: „უეცრად ვარსკვლავებმა დაიწყეს ჩამოცვენა. ეს
 იყო ძალიან ლამაზი სანახავი, ათობით, შემდეგ ასობით ვარსკვლავი, სანამ ვერ-
 ცხლის წვიმას არ დაემსგავსებოდა და ეს გრძელდებოდა და გრძელდებოდა. შემდეგ
 მათ კიდევ ერთი მუქი ფორმა დაინახეს, ის სხვა ადგილას იყო, პირდაპირ ზევით, ზუს-
 ტად ცაზე. გარშემო, ირგვლივ ვარსკვლავების წვიმა დაიწყო, ლაქამ დაიწყო ზრდა,
 ცის ცენტრიდან უფრო და უფრო შორს ვრცელდებოდა. ამჟამად მთელი ცის მეოთხედი
 შავი იყო, შემდეგ კი ნახევარი. უეცრად ყველამ გააცნობიერა, თუ რა ხდებოდა. სიბნე-
 ლე, რომელიც ვრცელდებოდა, სრულიად არ იყო ღრუბელი, ეს იყო უბრალოდ: სიცარი-
 ელე. ბნელი ნაწილი ცისა, ის ნაწილი, რომელიც ვარსკვლავების გარეშე იყო დარჩენი-
 ლი. ყველა ვარსკვლავი ცვიოდა: ასლანმა ისინი სახლში მოიხმო“ [5, 132]. ასევეა რაგ-
 ნაროკში ნაჩვენები მთელი რიგი ცვლილებები და კატაკლიზმები: „ვარსკვლავები გაუ-
 ჩინარდებიან ციდან, შემდეგ მთელი დედამიწა და მთები ისე შეირყევა, რომ ხეები ამო-
 ვარდება ფესვებიდან, მთები ჩამოიშლება და ყველა ბორკილები და ბმულები გაწყდება
 და დაინგრევა“ [7, 1]. ლუისი ასევე აღწერს გაშიშვლებული ნარნიის ტყეებს, ფესვებიან-
 ნად ამოგლეჯილ ხეებსა და ჩამოქცეულ მთებს. რაგნაროკის, ბიბლიის და ლუისის ეს
 მსგავსებაც თვალში საცემია: „ახლა ნარნია დრაკონებსა და გიგანტურ ხვლიკებს
 ჰქონდათ თავისთვის. ისინი მიდიოდნენ და გლეჯდნენ ხეებს ფესვებიანად, თითქოს ისი-
 ნი რეჰანის ჩხირები ყოფილიყვნენ. ტყეები ყოველ წუთს ქრებოდა. მთლიანი ქვეყანა გა-
 შიშვლდა. ახლა ყველაფრის დანახვა გახდა შესაძლებელი, რაც აქამდე შეუმჩნეველი
 იყო. ბალახი მოკვდა. ძნელად დაიჯერებდით, რომ იქ ოდესმე სიცოცხლე ჩქეფდა. თვით
 ურჩხულები დაბერდნენ, დაწვნენ და მოკვდნენ. მათი სხეული გამოშრა და ძვლები გა-
 მოჩნდა. მალე ისინი მხოლოდ უზარმაზარი ჩონჩხები იყვნენ, რომლებიც აქეთ-იქით იწ-
 ვნენ მკვდარ კლდეზე, ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ათასი წლის წინ გარდაიცვალ-
 ნენ“ [5, 136]. მსგავსი მოვლენები გვხვდება სხვადასხვა ადგილას აგრეთვე ეგვიპტის
 იაჟევრას წინასწარმეტყველებაშიც. „ხეები წაქცეულია და ტოტები გაშიშვლებული“

[4, IV], „ყველაფერი განადგურებულია“ [4, III] „მდინარე სისხლისა და ადამიანები სვამენ მას. კარიბჭე, სვეტები, კედლები დამწვარია. გემები დამსხვრეულია და ქალაქი დანგრეულია“ [4, II]. ბიბლიაშიც ნაწინასწარმეტყველება, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში, ასევე მარკოზის და მათეს სახარებაში. „და დაცვიდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლედვის ხე, მძვინვარე ქარით რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს“ [გამოცხ., 5-7:13]. „დაბნელდება მზე და მთვარე აღარ გამოსცემს ნათელს. და ვარსკვლავები ჩამოცვივიან ციდან, და შეიძვრიან ციურნი ძაღნი“ [მარკ., 13-14:24]. სამყაროში არსებული ყოველივეს ამოწურვის და თანდათან ქრობის პროცესი გრძელდება და უფრო და უფრო ემსგავსება საბოლოო დასასრულს. ყველაფერი, რაც აქამდე იყო შექმნილი და სამყაროს გარეგან და შინაგან ფორმას აძლევდა, აგრძელებდა გაუსახურებას. „ბოლოს გამოჩნდა გრძელი თეთრი ხაზი, რომელიც ბრწყინავდა ვარსკვლავების შუქზე, ის მოდიოდა მათკენ სამყაროს აღმოსავლეთიდან. ხმაურმა დაარღვია სიჩუმე: ჯერ ჩუხჩუხი, შემდეგ გრუხუნი. ახლა მათ უკვე დაინახეს რა მოდიოდა და რამდენად სწრაფად მოდიოდა. ეს იყო წყლის ქაფიანი კედელი. ზღვა მალდებოდა. ამ უხეებო სამყაროში ამას უკვე კარგად დაინახავდით. ყველა ტბა ფართოვდებოდა და მდინარეები დიდდებოდა. ცალკეული ტბები ერთიანდებოდა, ხეობები ახალ ტბებად იქცეოდნენ, ბორცვები კი კუნძულებად. და შემდეგ ეს კუნძულები ქრებოდნენ. და შემდეგ მაღალი ჭაობები მათ მარცხნივ და მაღალი მთები მათ მარჯვნივ ღრიალით ჩამოცვივდნენ, ჩამოიშალნენ წყალში. წყალი მოტრიალდა კარიბჭის ზღურბლამდე ისე, რომ ქაფი ასლანს წინა ფეხებზე შეეშხეფა. ახლა წყალი უკვე უთანაბრდებოდა იმ ადგილს, სადაც ისინი იყვნენ, სადაც წყალი ხვდებოდა ზეცას“ [5, 137]. ასევე რაგნაროკში ასახულია დედამიწის დატბორვა: „შემდეგ მზე დაბნელდება, დედამიწა ჩაიძირება ზღვაში. ზეცაში გაქრება კაშკაშა ვარსკვლავები. ორთქლის ტალღები და ძლიერი ალი იციმციმებს ცისკენ“ [7, 54]. დგება ბოლო ეტაპი ნარნიის დასრულებისა, მზისა და მთვარის განადგურება: „ბოლოს მზე ამოვიდა. ეს იყო მომაკვდავი მზე. ის სამჯერ, ოცჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო. და ის იყო მუქი წითელი. როდესაც მისი სხივები დრო-გიგანტს დაეცა, ისიც გაწითლდა: და ამ მზის ანარეკლზე მთელი სანაპიროს წყალი სისხლისფრად გამოიყურებოდა. შემდეგ მთვარე ამოვიდა, საკმაოდ არასწორ პოზიციაში, მზესთან ახლოს, და ისიც წითლად გამოიყურებოდა. და მის დანახვაზე მზემ დაიწყო ცეცხლის ალის სროლა, თითქოს ის ცხრაფეხა იყო და თავისი საცეცებით მისკენ იზიდავდა. და ის მასთან მივიდა, ჯერ ნელა, მაგრამ შემდეგ უფრო სწრაფად და სწრაფად, სანამ ბოლოს მისმა ალმა არ შთანთქა ის და სანამ ერთ დიდ ბურთად არ გადაიქცნენ, ისინი ჰგავდნენ ცეცხლში მყოფ ნახშირს. უზარმაზარი ალის კოლტები ჩამოვარდა ზღვაში და ღრუბლების ორთქლი ამოვიდა. და ასლანმა თქვა, „ახლა დაასრულე“. გიგანტმა რქა ჩამოაგდო ზღვაში. შემდეგ ერთი მკლავი გაჭიმა, ათასობით მილის სიგრძეზე სანამ მზეს არ მიწვდა. მან მოუჭირა ხელი მზეს და მყისვე ყველაფერი დაბნელდა. ყველა ასლანის გარდა უკან გადახტა ისეთი ყინულივით ცივი ჰაერი მოდიოდა კარებიდან. მისი კიდები სულ ლოლუებით იყო სავესე. ასლანმა მეფეთ მეფე პიტერს დაავალა კარის დაკეტვა. პეტრემ ოქროს გასადებით დაკეტა ის“ [5, 138]. ასევე აღწერილი ბიბლიაში „და აჰა, იქმნა მიწისძვრა დიდი, გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა მთვარე. და გრაგნილივით შეგრაგნილი, შეიკრა ზეცა, და ყოველი მთა და კუნძული თავიანთი ადგილიდან იძრნენ“ [გამოცხ., 5-7:12, 14].

„უკანასკნელ ბრძოლასა“ და ბიბლიას შორის მსგავსებას, ასევე, ვხედავთ ცხოველებისა და ადამიანების საბოლოო განკითხვაში. „უზარმაზარი ცხოველები მიცოცავდნენ და მიცურავდნენ ნარნიისკენ: დიდი დრაკონები, გიგანტური ხვლიკები და ღამურის მსგავსი ჩიტები. ისინი ტყეში გაუჩინარდნენ და რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ, ჯერ ძალიან შორიდან – გოდების, შემდეგ კი ყოველი მხრიდან – შრილის და ბრახუნის ხმა ისმოდა. უფრო და უფრო ახლოვდებოდა. უკვე გარჩევაც შესაძლებელი იყო, პატარა ფეხების სირბილი დიდი თათებისგან, და პატარა ჩლიქების ხმაური დიდი გრგვინებისგან. და ასევე დაინახავდით ათასობით მანათობელ წყვილ თვალს. და ბოლოს ხეების ჩრდილებიდან ათასობით ყველა სახის არსება მიდიოდა გორაკისკენ, სიცოცხლის გადასარჩენად – მოლაპარაკე მხეცეები, ჯუჯები, სატირები, ფაფები, გიგანტები, კალორმენელები, არკენდიელი კაცები, მონოპოდები და უცნაური, არამიწიერი საგნები უცნობი დასავლეთის მიწების შორეული კუნძულებიდან. და ამ ყველაფერმა მიიბრინა იმ კართან სადაც ასლანი იყო. ყველა ეს არსება ასლანს უყურებდა სახეში, ზოგი მათგანის გამომეტყველება შიშით და ზიზღით იყო სავსე. ყველა არსება, რომელიც ასლანს ამგვარად უყურებდა, მიტრიალდა მის მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ და გაუჩინარდა მის უზარმაზარ, შავ ჩრდილში, რომელიც კარის მარცხენა მხრიდან მოედინებოდა. ბავშვებს, რომლებიც უკვე ლომთან იმყოფებოდნენ, სხვა სამყაროში, ისინი აღარასოდეს აღარ უნახავთ. და ისინი, ვის სახეზე სიყვარული იყო გამოხატული, ისინი ლომის მარჯვნივ არსებულ კარებში შემოვიდნენ“ [5, 134]. ბიბლიაშიც აღწერილია მსგავსი სამსჯავრო ცხოველებისა და ადამიანების მიმართ. „და შეიყრება მის წინაშე ყველა ხალხი, და გაარჩევს მათ ერთმანეთისგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისაგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ, ხოლო თხებს – მარცხნივ. მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდი, კურთხეულნო მამის ჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული“ [მათ., 25-26: 32, 33, 34, 41].

დერილ ბერლინგი (Darryl Burling), ასევე, საუბრობს ბიბლიასა და „უკანასკნელ ბრძოლას“ შორის მსგავსებაზე. ის ამბობს, რომ მათეს სახარებაში იმის გარდა, რომ ლაპარაკია ცრუ ღმერთისა და ცრუ წინასწარმეტყველთა გამოჩენაზე, ასევე საფრთხე შეიძლება შეექმნას იმათ, ვინც მორწმუნეა და ღმერთს ემსახურება (Burling). „მაშინ მიგცემენ თქვენ სატანჯველად და მოგკლავენ თქვენ და მოგიძულებთ ყველა ხალხი ჩემი სახელის გამო. და მრავალი შეცდება მაშინ და გასცემენ ერთმანეთს, და მოიძულებენ ერთურთს“ [მათ., 24:9/10]. „უკანასკნელ ბრძოლაში“ მსგავს სურათს ვხედავთ. ჩვენ ვხედავთ, რომ ტირიანს და მის მოკავშირეებს საფრთხე ემუქრებათ იმის გამო, რომ მათი რწმენა ასლანის მიმართ გულწრფელია. ტირიანი ზოგიერთმა არამზადა ნარნიელმა შეიპყრო, რომელნიც ცრუ ასლანის მიმდევარნი იყვნენ. და მეორე მხრივ ჯუჯები, რომელთაც უნდა გახარებოდათ იმის გაგება, რომ ეს ცრუ ასლანია, და მათ ატყუებდნენ, მათ არ სჯერათ ტირიანის და მისი მოკავშირეების და კვლავ შიფტის (მაიმუნის) თანამზრახველები არიან და ამის გამო კვლავ საფრთხე ემუქრება ტირიანს. მათეს სახარებაშია ნათქვამი, „და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული“ [მათე, 24:12].

ნარნია გაქრა, დაბნელდა და თავდაპირველმა ქაოსმა და სიცარიელემ დაისადგურა. პიტერმა, ნარნიის პირველმა მეფემ, ლომის ბრძანებით, ოქროს გასაღებით ჩაკეტა კარი, უკან მოიტოვეს სიბნელე და დაიწყო დასასრულის დასაწყისი, სხვა სამყარო, მუდმივი და განათებული, არაამქვეყნიური, ზეციური, ღმერთთან (ლომთან) არსებული, სადაც ყველაფერი ყვავის და ხარობს. ყველა, ვინც ლომმა ასლანმა მოიხმო სხვა სამყაროში, აღმოჩნდა იმ კარიბჭის წინ, სადაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხეხილის ბაღი იყოფება, რომელსაც დიდი ხნის წინ დიგორი და პოლი ესტუმრნენ ლომის ბრძანებით და იმ ვაშლის ხის ნაყოფი წამოიღეს, რომელიც დაიცავდა ნარნიას ბოროტი სულებისგან. სწორედ ის ბაღი იყო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ბაღი საკმაოდ დიდი იყო შიგნიდან, ვიდრე ეს გარეგნულად მოსჩანდა. ეს იყო არა მხოლოდ ბაღი, არამედ მთელი სამყარო თავისი მდინარეებით, ტყეებით, ზღვითა და მთებით. ყველა, ვინც მათ ოდესმე ნარნიაში ენახათ, მათ ეგებებოდა. ეს სამყარო თითქოს ნაცნობი იყო მათთვის, მაგრამ, ნარნიაზე უფრო რეალური და უფრო ლამაზი ჩანდა: „მე ვხედავ სამყაროს სამყაროში, ნარნიას ნარნიაში“ (Lewis, 2007:159). ლუსი ხედავდა მთელ სამხრეთში არსებულ უდაბნოებს, კუნძულებსა და უზარმაზარ მთას, რომელსაც ასლანის ქვეყანას უწოდებდნენ. მაგრამ ის ახლა იყო ნაწილი მთების ჯაჭვისა, რომელიც შემორტყმობდა მთელს სამყაროს. ნათელი უფრო იზრდებოდა. ლუსი ხედავდა ფერად კლდეებს მის წინ, რომელნიც უზარმაზარ კიბეს ჩამოგაგდა. თავად ლომიც გამოჩნდა, რომელიც კლდეებზე ხტუნვა-ხტუნვით მოდიოდა მათკენ. ის იყო სილამაზისა და სიძლიერის განსახიერება. ბავშვებს სამუდამოდ ეწადათ აქ დარჩენა. ასლანმა მათ უთხრა, რომ ისინი სარკინიგზო კატასროფაში დაიდუბნენ თავიანთ მშობლებთან ერთად და ახლა ისინი გარდაცვლილნი იყვნენ. და არამარტო ისინი, თავიანთი მშობლებიც და ყველა ადრე გარდაცვლილნიც აქ იმყოფებოდნენ. ყველაფერი დასრულდა, „არდადეგები დაიწყო. სიზმარი დასრულდა, უკვე დილაა“ [5, 160], – ამბობს ასლანი. „და შემდეგ, რაც აქ ხდებოდა, ისეთი ლამაზი და დიდებული იყო, რომ აღწერა და გადმოცემა მიჭირს, ამბობს ლუსი“ [5, 160]. და ცხოვრობდნენ ისინი ბედნიერად ამის შემდეგ.

ლუსისთან უკვე მომხდარი ფაქტი, ახალი სამყაროს, საცხოვრებლის შექმნა რჩეულთათვის და გარდაცვლილი ადამიანების აღდგინება და ამ სამყაროში მათი დამკვიდრება და სიცოცხლის გაგრძელება, ასევეა ნაწინასწარმეტყველები იოანეს გამოცხადებაში და რაგნაროკშიც. „და ვიხილე ახალი მთა და ახალი მიწა, რადგან უწინდელი მთა და უწინდელი მიწა გადაეგო, და ზღვა აღარ არის. და მე, იოანემ, ვიხილე წმინდა წალაქი, ახალი იერუსალიმი დაემკვიდრება, ღმრთისაგან ზეცით ჩამომავალი, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსათვის შემკული. და მომესმა მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: აჰა, კარავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან, და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან“ [გამოცხ., 20-22:1, 2, 3]: „და ვიხილე მკვდარნი, მცირედნი თუ დიდნი, რომელნიც იდგნენ ტახტის წინაშე; და გადაშლილი იყო წიგნები; და გადაიშალა სხვა წიგნი, რომელიც არის სიცოცხლისა; და თანახმად წიგნებში დაწერილისა, საქმეთა მათთაებრ განისაჯნენ მკვდარნი. და დააბრუნა ზღვამ მკვდრები, რომელნიც იყვნენ მასში; და სიკვდილმა და ჯოჯოხეთმა დააბრუნეს მკვდრები რომლებიც იყვნენ მათში. და საქმეთაებრ მისისა განისაჯა ყოველი“ [გამოცხ., 19-20:12, 13]. რაგნაროკშიც ასევეა ნათქვამი, რომ კაცობრიობის სიკვდილის შემდეგ, ყველა იცხოვრებს სხვა სამყაროში, სამუდამოდ. „ეს იქნება ბევრი კარგი და

ბევრი ცუდი საცხოვრებელი. შემდეგ საუკეთესო ადგილი სამოთხეში, ზეცაში იქნება Gimle, და იქ იქნება კარგი სასმელი მათთვის, ვინც ამით სიამოვნებას მიიღებს, ეს იქნება დარბაზი, ბრიმირი (Brimir). ესეც ზეცაშია. ასევე კარგი დარბაზია, რომელიც მდებარეობს ნიდაფიოლზე (Nidafiol), რომელიც წითელი ოქროთია აშენებული. მას ეწოდება სინდრი (Sindri). ამ საცხოვრებელში იცხოვრებს კარგი და ვირტუოზული [7, 55].

როგორც აღვნიშნე, „ნარნიის ქრონიკებში“ მომავლის აპოკალიფსი უკვე შედგა, როგორც ფაქტი – ნარნია აღესრულა და ახალ ზეციურ განზომილებაში განაგრძობს არსებობას. ნარნიის აღსასრული ღუისს სინკრეტულ ჭრილში აქვს გადმოცემული, როგორც ეს მისთვისაა დამახასიათებელი. მასში აშკარად იგრძნობა ქრისტიანული ესქატოლოგიის, სკანდინავიური და ეგვიპტური მითოლოგიის გავლენა.

ლიტერატურა:

1. ბობლია, საქართველოს საპატრიარქო, გამომცემლობა პალიტრა L, თბ., 2013;
2. ელიადე მ., მითის ასპექტები, გამომცემლობა „ილიანუსი“, თბ., 2009;
3. Hultgard A., Old Scandinavian and Christian eschatology (Published Jan, 1990). მოძიებულია 15 თებერვალს, 2021. <https://journal.fi/scripta/article/view/67184>;
4. Ipuwer (Jan, 2019), The admonition of Ipuwer. მოძიებულია 29 თებერვალს, 2021; <https://web.archive.org/web/20190113210039/http://www.reshafim.org.il/ad/egypt/texts/ipuwer.htm>;
5. Lewis C. S., The Last Battle, HarperCollins e-books, 2007; [file:///C:/Users/asus/Downloads/The%20Last%20Battle%20\(Narnia\)%20by%20C.%20S.%20Lewis%20\(z-lib.org\)%20\(1\).pdf](file:///C:/Users/asus/Downloads/The%20Last%20Battle%20(Narnia)%20by%20C.%20S.%20Lewis%20(z-lib.org)%20(1).pdf);
6. Oettinger N., Before Noah: Possible Relics of the Flood-Myth in Proto-Indo-Iranian and Earlier. Stephanie W. Jamison, H. Craig Melchert, and Brent Vine (eds.) 2013; [file:///C:/Users/asus/Downloads/Before_Noah_Possible_Relics_of_the_Flood%20\(2\).pdf](file:///C:/Users/asus/Downloads/Before_Noah_Possible_Relics_of_the_Flood%20(2).pdf);
7. Sturluson S., Edda, Translated and edited by Antony Faulkes, University of Birmingham, 1906.

Nino Nikolaishvili

The End of "Narnia" in Clive Lewis' "The Chronicles of Narnia" and the Eschatological-Apocalyptic Mythological Tradition

Summary

The "Chronicles of Narnia" directly follows the archetypal scheme of "transitional" eschatology between yugas. However, it is Lewis' decision as a writer that any of his stories and archetypes should be concretely intertwined with two fundamental traditions, the ancient mythological and the Christian paradigms. For his "Chronicles" Lewis offers a syncretic and reprocessed version of a certain mythological-Jewish apocalypse.

In the Chronicles of Narnia, the apocalypse of the future has already taken place, as a matter of fact Narnia has come to an end and continues to exist in a new heavenly dimension.

The "last battle" of Lewis in The Chronicles of Narnia, which describes the end of Narnia, is syncretic. The events reflected in it clearly show the influence of Christian eschatology, Scandinavian mythology and Greek philosophy.

Нино Николаишвили
***Конец Нарнии в «Хрониках Нарнии» Клайва Льюиса и эсхатолого-
апокалиптическая мифологическая традиция***
Резюме

«Хроники Нарнии» прямо следует архетипической схеме «межюговых» «переходных» эсхатологий. Однако Льюис, как писатель, решил, что любой из его рассказов и архетипов должен быть синкретично переплетен с двумя фундаментальными традициями – древней мифологической и христианской парадигмами. Для своих «Хроник» Льюис предлагает синкретизированную и переработанную версию некоего мифологически-еврейского апокалипсиса.

В «Хрониках Нарнии» апокалипсис будущего уже произошел, по сути – Нарния подошла к концу своего существоваания и продолжит существовать в новом небесном измерении.

«Последняя битва» в «Хрониках Нарнии» Льюиса, описывающая конец Нарнии, синкретична. Отраженные здесь события ясно показывают влияние христианской эсхатологии, скандинавской мифологии и греческой философии.

Лала Ахмедова
(Азербайджан)

ПАРАПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ЯВЛЕНИЯ В ГОРОДСКОЙ ПРОЗЕ XX ВЕКА НА МАТЕРИАЛЕ РУССКОЙ И АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Парапсихологические явления в городской прозе на материале русской и азербайджанской литературы играют особую роль и занимают определённое место в литературе последних лет, в особенности в XX веке.

Если Ю. Трифонов говорил о возможности «не исчезнуть бесследно» за той чертой, которая отдаляет жизнь от смерти, то в новой городской прозе это показано как нечто реализовавшееся. Городская проза новой волны художественно зафиксировала новую готовность человеческого сознания к восприятию другой – потусторонней жизни, показав ее как объективную, не подвергающуюся сомнению реальность.

Еще одна ценность «другой жизни» – это литература как эстетическая реальность, противопоставленная объективной реальности, действительности, как окружающего привычного мира. Первым это обозначил А. Битов в «Пушкинском доме»: «Я не хочу никого задеть, но здесь очевидно проступает (на опыте моего героя), что живая жизнь куда менее реальна, чем жизнь литературного героя, куда менее закономерна, осмысленна и полна... И эта весьма бредовая наша рабочая гипотеза для дальнейшего повествования, что наша жизнь – есть теневая загробная жизнь литературных героев, когда закрыта книга» [2, 316].

Свое дальнейшее развитие эта идея получает в «Новой московской философии» В. Пьецуха. Книга построена на переключках с романом Ф. Достоевского «Преступление и наказание»: «... в самых общих чертах классическая история повторилась в наши бесстрастные времена, как бывает, повторяется в общих чертах судьбы, исторические события катастрофы, точно есть в этой истории некое бытийная инвариантность» [3, 307]. Он всячески подчеркивает те связи, которые существуют «между жизнью и тем, что мы называем литературой». Он говорит о том, что «литература есть бытие превращенное, преломленное через художественный талант, и преломление как-то так истинно, что в Татьяну Ларину веришь вернее, нежели в соседку по этажу» [3, 245]. Соотношение жизни и литературы осмысливается как соотношение эталона и наброска, где литература – эталон.

Литература у А. Битова, В. Пьецуха показана как привычная реальность, а жизнь – ее невразумительным отражением. Не в такой степени, но в какой-то мере связь между действительностью и литературой прорывается и в прозе других городских прозаиков, но не становится концептуально важной для них (Ю. Трифонов, Л. Петрушевская, Анар и др.).

Исследование действительности в городской прозе тесно связано и с мотивом «бегства», «ухода», «путешествия», которые предпринимают герои, чтобы как-то изменить свою судьбу, начать новый виток в жизни. Но, как правило, все заканчивается «возвращением на круги своя».

Примером современной разработки классического мотива русской литературы – «ухода» может служить повесть В. Пьецуха «Освобождение». Бухгалтер Вырубов подает заявление об уходе с работы, где, по его мнению, происходит пустое времяпровождение, уходит от жены, так как считает, что они стали чужими друг другу, и в поисках «настоящей» жизни уезжает из города в «естественную среду, к простым, исконным людям». Этот «уход» в биологическую жизнь вне цивилизации оказался несостоятельным. Только в

своей городской квартире, куда он возвращается, Вырубов «чувствует себя замечательно хорошо» [4, 134].

Перекликается с ним и герой «Записок из-за угла» А. Битова: «Город теперь окончательно делает меня больным. Я в нем простужаюсь. Я в нем задыхаюсь. Я в нем начинаю ненавидеть. Я в нем жить не могу. И без него жить не могу» [1, 149].

Комфортно чувствует себя в городской квартире и герой Маканина («Один и одна»), т.к. любые выходы за пределы городского пространства оборачиваются для него неприятностями, поэтому он «никуда и никогда не поедет и однажды помрет среди огромных зданий города, среди непрекращающейся суеты людей» [5, 514].

Город для этих людей не просто определенное место, застроенное многоэтажками, он сливается воедино с людьми, его населяющими, неотделим от их проблем, от их чувств и эмоций. Все это создает особый феномен города, воспринимаемого через призму мироощущения героев. Культурологи, исследующие проблему города, отмечают, что пространство города усваивается «во внутреннем мире человека, т.е. начинает действовать, производить работу как общение между элементами личности» [6, 250].

В психике современного горожанина, в глубине его внутреннего мира существует импульс, заставляющий воспринимать город как единственное место, где он может быть в безопасности, где он может укрыться. Принятое им решение покинуть город всегда для человека размыкает границы, отделяющие его от остального, враждебного мира. В этом плане мотив «ухода» героев с места их проживания метафорически подобен пересечению какой-то черты.

Городская проза зачастую осмысляет городское пространство в виде графем. Это лабиринт и круг. Так, например, В. Серкова в своей статье «Неописуемый Петербург» выдвигает мысль о том, что геометрическим выражением топоса северной столицы служит лабиринт, отличительными чертами которого служат запутанные ходы, создающие впечатление «поступательного движения, а на самом деле отдаляющие цель странствия и маскирующие повторяемость кругового пути» [7, 101]. Исследователи геометрическим выражением топоса Москвы считают круг.

Писатели и сами обозначают свое ощущение пространственного расположения города, о котором они пишут. Так, Ю. Трифонов в своей статье «Бульварное кольцо» (1980) подчеркивает восприятие Москвы как кольца, круга: «Рассказать о Бульварном кольце? Это значит – рассказать о своей жизни, которая обвязана, обвезана этим Кольцом вся. Никуда из него не вырвешься. Ты начал с него, увидел мир на его бульварах и постоянно к нему возвращаешься. Нет другой улицы на земле, которая была бы столь извечна твоя. Странная власть Кольца! Ты находишься в какой-то мистической зависимости от него...» [9, 116].

Азербайджанские исследователи, рассматривая городскую прозу, подмечали тяготение писателей к символике круга. Так, Ариф Гаджиев в своей книге, анализируя роман Анара «Круг», не случайно озаглавил статью «Круг Неймата, белая гавань Тахмины», подчеркнув тот факт, что писатель в первом издании назвал свое произведение Белой гаванью», а затем переименовал его на «Круг». Повесть начинается сном – «кругом» Неймата и завершается другим сном – «белой гаванью» Тахмины, но сон этот видит не Тахмина, а Неймат, «...сюжет Тахмины вписывается в рамки сюжета Неймата, белая гавань вписывается в круг» [10, 47].

Круг Неймата – это осознание им замкнутости его жизненного «маршрута», его движения по кругу жизни, в которой трудно что-то изменить, его неспособности вырваться из

круга условностей, правил, запретов. Белая гавань Тахмины – это мечта ее о том, чтобы вырваться из этого круга, это место, где могут осуществиться ее мечты, но она «вписана в круг» и поэтому выходом из круга в романе «Шестой этаж пятиэтажного дома» становится нахождение героиней своей последней гавани – смерти.

А. Гаджиев не раз подчеркнет наличие мотива «круга», «кружения» по жизни и у других писателей – Р. Ибрагимбекова, М. Ибрагимбекова, Ч. Гусейнова, но, к сожалению, этот образ города-круга, реализация этой графемы в художественной ткани произведений городских писателей не были им развиты и исследованы. Пространственная структура круга определяет не только хронотоп города, но и проецируется на сознание героев, их поступки, реализуясь в мотивах, сюжете произведений Ю. Трифонова, А. Битова, В. Маканина, Анара, Ч. Гусейнова, Р. и М. Ибрагимбековых. Это одна из интересных тем для будущих исследователей городской прозы.

Город – это чаще всего и активное действующее лицо в городской прозе, а не просто среда, воздействующая на характеры. И городская проза зафиксировала художественно эти взаимоотношения города и героя. Так, например, у Ю. Трифонова Москва – активное начало, которое подстегивает героев, втягивает их в свою орбиту, задает тон, подчиняет: «... навалилась Москва с холодами, дождем, спеком, болезнью отца, сердитым Сергеем Леонидовичем, волнениями из-за новой постановки и беготней по магазинам в поисках туфель на каучуке для мокрой погоды» [8, 116]. Такие же заботы обрушивает, «наваливает» Москва и на героев В. Маканина, которые постоянно находятся под ее «давлением».

Неймат из повести Анара «Круг» переносит свое недовольство жизнью на город, находясь в котором он обречен на жизнь, в которой ничего не меняется. Обозревая из окна своей квартиры одну и ту же панораму, он приходит к неожиданному выводу: «Понял, что как ни была красива панорама за его окном, он, Неймат, ненавидит ее. Ненавидит потому, что приговорен к ней. Пожизненно Никогда это окно не сдвинется, как окно поезда. Ничего за ним не изменится. Прибили это окно к его жизни, как ковер четырьмя гвоздями. Всю жизнь он будет взирать на верхушку Девичьей башни, новое здание академии, банк, мельницу» [11, 192].

Четко определяет пространственное расположение своего города Ч. Гусейнов: «На Каспии – полуостров... На полуострове – угловой дом, в угловом доме – Мамиш» [12, 4]. Наряду с характеристикой главного героя Мамиша («Магомед, Мамед, Мамиш» Ч. Гусейнова) дана и характеристика этого углового дома как средоточия города: «угловой дом похожий на старый, но всё ещё крепкий корабль, стремительно несётся по вспылчивому Каспию...» [13, 36]. Понимаешь, что речь идет о Баку, а не об одной из его улиц. В повести «На 9-й Хребтовой» Р. Ибрагимбекова улица также становится характеристикой города. «Город крутым амфитеатром спускается к морю, и если набережная – первый ряд этого амфитеатра, то 9-ю Хребтовую улицу, на которой живет Мишоппа, следует искать где-то в последних рядах», «... по вечерам, когда спадает зной, жители 9-й Хребтовой, следуя привычке, перешедшей к ним от отцов, выходят на улицу, охлаждают тротуары водой и, усевшись на ковриках, невысоких скамейках, каменных ступенях лестниц, в то и просто стоя на углу, беседуют о том, о сем, играют в нарды, пьют чай из маленьких пузатых стаканов» [14, 7].

К описанию города, его улиц, домов, достопримечательностей обращаются почти все городские прозаики, создавая его литературный портрет. Это позволяет объединить в единое целое человека и «очаг цивилизации», в котором он живет. Широко распространено это и в

современной русской городской прозе – у А. Битова, В. Пьецуха и др. Происходит словно отождествление города с его обитателями. Герои словно копируют, повторяют все процессы, идущие в их городе. Их отношения – героев и города, героев и улицы, на которой они живут, напоминает отношение между двумя живыми существами, одно из которых имеет влияние на другого. Но они не могут восприниматься по отдельности, в отрыве друг от друга.

Современная русская городская проза не оставляет это без внимания. Мысль о «пустых городах», оставленных людьми, то и дело появляется в ткани их произведений, как нечто кошмарное. Героиня романа «Один и одна» В. Маканина видит сон, как она движется по странному лабиринте комнат и квартир, оставленных людьми. В. Пьецух в рассказе «Чай-питие в Моссовете» доводит эту мысль до логического тупика, до абсурда. В связи с принятым законом о свободной эмиграции из СССР люди разъезжаются по странам мира, «и вот столица нашей Родины опустела: ни автобусов, ни такси, ни очередей в магазинах, ни толп на площади Трех вокзалов – одинокого прохожего, и то увидишь не каждый день» [3, 111]. Герой рассказа Сергей Иванович Большаков умиляется этим изменениям, этому изменившемуся облику города, где царит тишина, спокойствие, достаток, чуткость людей друг к другу. Москва без людей здесь оказывается идеальным хронотопом, словно обретая утраченное назначение. В этом ряду можно назвать и повесть «Лаз» В. Маканина, где фиксируется превращение Москвы в покинутый населением технополис. Архетип пустого города здесь дан как логическое завершение пути человечества.

Последняя четверть XX века характеризуется большим количеством произведений на тему города, в которых в центре внимания современная действительность, показанная через мировосприятие городского жителя, через психологическое поле общения людей в большом городе. Парапсихологические явления в городской прозе занимают здесь определённое место и представляют особый интерес. Это накладывает своеобразный отпечаток на качество прозы о городе.

Художники слова, как и в предшествующей городской прозе, обращаются не только к повседневной жизни человека, к бытовым проблемам, но и заостряют художественное внимание на парапсихологических явлениях. Но постепенно термин «бытовая», призванный обозначить отличие этой литературы от «военной», «производственной» и т. п., изживает себя, т.к. городская проза современного этапа, хотя и не исключает эти сферы из круга своих интересов, но стремится к синтезу, объединяя вышеперечисленные тематические линии в рамках одного произведения, подавая их через восприятие персонажей.

Литература:

1. Битов А., Собр. соч., т. 1, 1991;
2. Битов А., Собр. соч., т. 2;
3. Пьецух В., Я и прочие, М., 1990;
4. Пьецух В., Предсказание будущего, М., 1989;
5. Маканин В., Отдушина. М., 1990;
6. Кирсанова Л. И., Семейный роман «невротика» (Опыт психоаналитического прочтения романа Ф. Достоевского «Преступление и наказание»), СПб., 1993;
7. Серкова В., Неопикуемый Петербург, СПб., 1993;
8. Трифонов Ю., Собр. соч. в 4-х тт., т. 2;
9. Трифонов Ю., Собр. соч. в 4-х тт., т. 3;

10. Гаджиев А., В поисках героя, Баку, 1981;
11. Анар. Круг.// Анар. Шестой этаж пятиэтажного дома. М., 1988;
12. Гусейнов Ч., Магомед, Мамед, Мамиш, // Ч. Гусейнов. Семейные тайны. М., 1987;
13. Ибрагимбеков Р., На 9-ой Хребтовой улице;
14. Ибрагимбеков Р., Избранное в 2-х тт., т. 1, Б., 1989.

ლალა ახმედოვა

პარაფსიქოლოგიური მოვლენები XX საუკუნის ქალაქურ პროზაში რუსული და აზერბაიჯანული ლიტერატურის მასალებზე დაყრდნობით რეზიუმე

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქალაქური პროზა შედარებით მრავალფეროვანია. მისი მთავარი მიზანია ეპოქისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური და სოციალური პრობლემების ჩვენება.

ამ პერიოდის რუსულმა და აზერბაიჯანულმა ქალაქურმა პროზამ ასახა თანამედროვეობის ნათელი სახეები, წინააღმდეგობა ეპოქასა და პიროვნებას, მორალურ პოტენციალსა და ორიენტირებს შორის.

სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებებზე დაყრდნობით, ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საკვლევი პერიოდის პროზა არ იყო ერთფეროვანი. მწერლები აღწერენ გმირების ყოველდღიურობას, მორალურ, ეთიკურ, ყოფით პრობლემებს; ცდილობენ, ერთმანეთს შეადარონ ადამიანების ფსიქოლოგიური ცხოვრება.

Lala Akhmedova

Parapsychological Events in Twenty-Century Urban Prose on the Example of Russian and Azerbaijani Literature
Summury

The city prose of the last part of the XX century is more different. The main aim of this period romans is to show political, social problems, which are characteristic feature of that time.

Russian and Azerbaijan city prose of this period discovered the bright images of that epoch, contradiction between epoch and personality, moral potential and landmarks. The prose of this period was not similar, it is what that we tried to show by holding works of various authors up as an example.

The writers try to describe every day life of the heroies, moral, ethic, way of life problems in their activities, they also try to compare psixological life of the people.

გვანცა ნარმანია
(საქართველო)

ოთარ ჩხეიძის პარადიგმა

ქართული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორის – ოთარ ჩხეიძის ქრონოტოპი თანამედროვე ქართულ სოფელს მითოსურ-რელიგიურ დატვირთვას სძენს.

მწერლის ლექსიკონში მრავალი არქაული სიტყვაა. „ოდოქლერი“ მათგან ერთ-ერთი განსაკუთრებულია.

„ო, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაური, მაძლარი სიტყვა“, – წერს გიორგი ლეონიძე „ნატურის ხეში“, თავად ოთარ ჩხეიძე კი „ნატურის ხეზე“ ამბობს, გაღარბდებოდა ქართული პროზა ამ წიგნის გარეშეო.

კონტრაპუნქტში გაერთიანებული მოთხრობების კრებულში ჯერ კიდევ გიორგი ლეონიძე ხატავდა განსაცვიფრებელ ქართულ პეიზაჟს: „თავთავებდაწმენდილი, აყრილი ყანები... ეს სიტყვები იქა მაქვს აკრეფილი, იქა მაქვს ნაპოვნი... დედაჩემი ყოველ ზაფხულს წავგვიყვანდა ხოლმე ყანის დასახედად. ვიდექით, ვუმზერდით მოღალანე ყანას და თვალს ვერ ვაშორებდით. მომხიბლავი იყო თავანკარა, დათავთავებული, მზით ამოვსებული მაძლარი ყანა, ცხრაფრად რომ ლივლივებს ნიავის შექროლებაზე. მზეკაბანი ჰქვიან ყანაზე მზიანი ნიავის გადაცურება-გადალივლივებას, მზის ათასფერი კაბა ფრიალებდა, ბრიალებდა სავსე მინდორზე“ [5, 7].

„ყანის დახედვა“ გიორგი ლეონიძისათვის ტრადიციული, რიტუალური ქმედება იყო. ჯერ კიდევ ადამი ისმენდა სამოთხეში კურთხევას: „აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი – ეს იყოს თქვენი საზრდო“ (შესაქმე 1, 29) [2, 13].

სახარება ალეგორიულად მოგვითხრობს: „უკუეთუ თივაი ეგე ველისაი, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არამე უფროის თქუნა, მცირედ-მორწმუნენო?!“ (მათე 6, 30) [1, 18].

მათეს სახარებისეული „თივაი იგი ველისაი“ „შუშანიკის წამებაში“ გარდაიქმნა სიტყვათშეთანხმებად „ყვაილი ველთაი“.

„ველის თივას“, „ველის ყვაილს“ – ადამიანს – მარადისობა ელის.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ საზრდელი ლოგოსური სიტყვაა: „წინაისწარმეტყველი იტყვის, ვითარმედ ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი უფროის თაფლისა პირსა ჩემსა, არამედ ხორცთა საღვაწი უხმს წერილისაებრ... აკურთხეს მადლობით და იწყეს ჭამად მარადის მეტყველთა სულისა საზრდელსა მას სიტყვასა: უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალებ ჩვენ“ [3, 534].

იოვანე ოქროპირის ციტატით, „ღმერთსა ჰნებავს [კაცთა] განსვენებაი მწუხარებათაგან და ურვათა ამის სოფლისათა, განყვანებაი ეგვიპტით უღაბნოდ, რაითა გაჭამოს მანანაი, რომელ არს პური დაყუდებისაი, რაითა დაგიმკვიდროს შენ ქუეყანაი იგი აღთქუმისაი“ [9, 33].

დიდ სჯულისკანონში ხაზგასმულია, რომ უფლისათვის სათნოა „ცერცვეულიდან რაიმე ახალი ხორბლის თავთავის კონა“ [4, 3].

ბიბლიური ენციკლოპედიის განმარტებით, „იფქლი, ყველაზე სასარგებლო და მნიშვნელოვანი მარცვლოვანი მცენარეთაგან, უხვად ხარობდა ქანაანის მიწაზე. აღეგორიული მინიშნება ამ მცენარეზე ბიბლიის მრავალ ეპიზოდში გვხვდება. მეფსალმუნე იტყვის ისრაელიანებზე: უკეთუ ერსა ჩემსა ესმინა ჩემი და და ისრაელი თუცა გზათა ჩემთა სრულ-იყო, ვითარცა არარაითამცა, მტერნი მათნი დამემდაბლნეს და ეჭამა მათ სიპოხისაგან იფქლისა“ (ფს. 80, 13-16) [7, 116].

„დათესეს ხორბალი და ეკალი მოიმკესო“, გოდებს წინასწარმეტყველი იერემია (იერემია 12, 4...13) [2, 706].

წმინდა მამები აღნიშნავენ, რომ იფქლი იმდენად მნიშვნელოვანი მცენარე იყო, პალესტინას „იფქლის ქვეყნადაც“ იხსენიებდნენო (მეორე რჯულთა 8, 8).

ოთარ ჩხეიძეს თანამედროვე ქართველი მკითხველის ლექსიკონში შემოაქვს დავიწყებული სიტყვა „ოდოჟერი“.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ოდოში – ნუშთა, ნიგოზთა, ცერცვთა, სიმინდთა და ეგევითართა დაუჟამებელსა და სიმაგრენაკლებსა ოდოშსა უწოდებენ, ხოლო ყანათასა – ეტერსა“ [6, 601].

ოთარ ჩხეიძემდე გიორგი ლეონიძე ხატავს ქართულ ყანას: „ვენახებში გადაფანტული სოფელი მოჩანდა. შორს – ღურჯ-ლილისფრად დაბურული მთები, ზედ – შავად შელანძული ციხის ნაშალი. ძირს გაშლილი საცხე მინდორი, ქსანსა და არავს შორის გადაჭიმული. აფერებულ ყანებზე დაუდგრომელი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანებდა მზეკაბანს. თავთავი ჩუმად შრიალებდა. აგერ წილკანი, ჯვართმუხა... იდგა ღვთაებრივი სიხუმე...“ [5, 50].

ზემთ მოყვანილი ციტატა ლეონიძის პროზიდანაა, პოეზიაში კი – „ქსანზედ, არავგზედ ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა“.

ოთარ ჩხეიძის „ოდოჟერშიც“ იგივე ქართული (ქართლის) პეიზაჟია: „შორს ნანგრევები ილანდებოდა ციხისაი. ნულისა. მეორე მხარესაცა. წვერისა.

პირდაპირ დირბი მიცურავდა. ზოლ-ზოლად. უფრო შორს – მთები ღიხისაი...

ყანა ნებივრობდა თავისთვისა. შეევითლებულიყო. სიმწვანეს თავისი მოეთავებინა, ილეოდა, მკრთალდებოდა... მერე და მერე, მუქდებოდა უფრო და უფრო... ღურჯდებოდა შორსა და შორსა... თითქოს რო მართლაც ზღვა არისო მიცურავენ თითქოს გემებიცა – კუნელის ხეები. აქა-იქა, შორსა და შორსა... მზეც იქით გადახრილა, მზეც აფრქვევს თავისასა... ოქროსფერს აფრქვევს, სიმწვანეს ერეკება, ჩაყურჭულს შორსა და შორსა, თითქოს ღურჯადაო... ეს ის ჭიდილია სიმწვანისა და სიყვითლისაი. ოდოჟერია...“ [8, 24].

სამწუხაროდ, მხოლოდ მწერალს ახსოვს, ყანის მწიფობას ქართულად „ოდოჟერი“ რომ ჰქვია.

„დარწმუნებული ვარ, მწერალმა ოდესღაც აშკარად იხილა ახალდამწიფებული ყანის ტალღებში შეცურებული სამი გოგონას ხატება. ესაა და ეს. ვინ იცის, რამდენი ასეთი მშვენიერი, უცნაური, აუხსნელი სურათი ჩარჩენილა თითოეული ჩვენგანის მესიერებაში.

ოთარ ჩხეიძემ ამ პატარა შედეგში – „ოდოჟერი“ – წარმავლობის ამ უჩვეულო ჰიმნში, სევდის წვეთში რომ მოათავსა ჩვენ ირგვლივ არსებული ლანდშაფტი, ადამიანის სულიერი სამყარო, ემოციები, ბიოლოგიური ზრდისა თუ წინსვლის წუთობრივი აღნუსხვა, საუკუნეებში გამოტარებული ერთი „აგრარული“ სიტყვის როგორც შინაარსობრივი, ისე – მელოდიური დატვირთვაც, გვიჩვენა, რომ ვერაფერი

გადაურჩება ბებერი ყაჩაღის – დრო-ჟამის მსახვრალი ხელით განძარცვას – ვერც ბუნება, ვერც კაცი, ვერც სიტყვა...“ [10, 59].

„დაუჟამებელი“ ცერცვ-სიმინდი „ოდოშად“, ყანა – „ეტერად“ იწოდებაო, საბას დაიმოწმებს მწერალი. „ეტერი უკვე ივიწყებოდა, გადარჩენასა ლამობდა საბაი – გადარჩენასა ეტერისა. რაღა თქმა უნდა, ვერც იმან გააწყო ბევრი ვერაფერი. ივიწყებოდა და დაივიწყეს... სხვაც ბევრი სიტყვა რომ დაივიწყეს, მკვეთრი, სახიერი, მორჭმული... გარდასულსაც რომ მოაგონებდა. შინაარსი რომ იღო სიტყვაში. ყანაც მოაქციეს მერე ოდოშში. შემოსვლია ყანისაი, როგორც რო ცერცვი, სიმინდიცაი, ნუშიცა, ნიგოზიცაო... ოდოშო, ოდოშდერიო – „ჟანიც“ ჩაუდგეს, მომეტებულის ჟღერადობისთვის – ოდოშდერიო და ჟღერდა ყანაი, ჟღერდა და ჟღერდა იმედი უბველესი, უპირველესი იმედი ქართლოსიანთა, უუუუბველესი... ამაზეც რო ვერ იტყოდნენ, ამერიკიდან შემოიტანესო. ვერა, ვერა, პირიქითაც იტყოდნენ – გაიტანეს ქართლიდანაო, კახეთიდანაო, როგორც რო ვაზი, როგორც რო მუხაი, როგორც რო თხილიცა“ [8, 25].

„ოდოშდერი გვიანობამდე შემორჩა სიტყვარსა ქართულსა“, მაგრამო, წუხილით მოგვითხრობს მწერალი, დღესდღეობით, „ეტერა კი არა, ლამის ჯგჯილიც დავიწყებულა... რა ჯგჯილი და რა იმდენი დავიდარაბაო – ბოლოს ჰო პური უნდა დარჩენოდათ, პური, პური, პური – პური არსობისა, პურისთვის იღვამდნენ წელებზე ფეხსა“.

გული უკვდება მწერალს, რომ ნელ-ნელა ქრება ქართული სოფელი და, მასთან ერთად, ცვდება, ქრება, იკარგება, კვდება ქართული სიტყვებიც: „თავთავი, ფხა, მარცვალი, იფქლი, ხორბალი, ნარკვევი, ნაკმაზი, ფქვილი და ახლა წისკვილსაც თუ გაუყევი – სახეთქელადან სარეკელამდისა, მერე თონესაცა, სამტიციდან შამფურამდისა, როდის მიაღწევ პურამდეო...“ [8, 25].

მწერლისეული „ავტორის ხმა“ (პოსტმოდერნისტული ჩანართი ტექსტისა) გა-მაფრთხილებელია, გამომაფხიზლებელი: „პური არსობისა შენისა! – ლამის ესეც რო წაგგლიჯეს პირიდანა, ჯერ როდის იყო, რო ჩაგაწვეთეს, „დაი ხლებაო, ლაზარი“... გახსოვს?! რა თქმა უნდა! „რუსულად ხლება პურს ერქვა, უწინაც გამეგონაო!“ დიახაც, უწინვეო. თუ როდის უწინვე, ნუღარ იკითხავ! ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი...“ [8, 26] (*მწერალი გულისხმობს გურამიშვილისეულ ფრაზას „დავითიანიდან“ – ვ.ნ.*)

კრიტიკოს მაკა ჯოხაძის დაკვირვებით, „მხოლოდ მწერლის მოაზროვნე გული ახერხებს სამყაროში გაფანტული, ერთი შეხედვით, სრულიად დანაწევრებულად, დამოუკიდებლად არსებული საგნების, ფიქრების, დინებების, განცდების თავმოყრას, დაკავშირებას და მათთვის აზრის მინიჭებას... მესხიერება მაინც გამოსტაცებს ბედნიერების ამ უცნაურ წამებს სამყაროს, როცა ფიზიკურად ჟრჟოლვით აგიტანს რუსთველის სიბრძნის ფორმულა: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი...“

როგორ შეიძლება, ამ უიშვიათეს მთლიანობას, სრულყოფილების ამ ნეტარ შეგრძნებას ტყუილად იმეტებდეს ღმერთი?!

„ოდოშდერი“ წარმავლობის წამიერი მოხელთების ბრწყინვალე ნიმუშია, რომლის სურნელიც საკმეველივით ეზიდება ჩვენკენ სოფლის ტკბილ-მწარე კვამლს და კიდევ ერთხელ გვაზიარებს მხატვრული სიტყვის სასწაულებრივ ძალას“ [10, 59].

ქართული მწერლობა ქართული სოფლისა და ქართული სიტყვის ჭირისუფლობაა, რაშიც ოთარ ჩხეიძის პატარა მოთხრობა – „ოდოჟღერიც“ გვარწმუნებს – ისევე, როგორც დიდი მწერლის „ჩემი სოფლის ეტიუდების“ თითოეული ტექსტი.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმაი, თბ., 2001;
2. ბიბლია, თბ., 1989;
3. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, თბ., 1987;
4. დიდი სჯულისკანონი, თბ., 2004;
5. ლეონიდე გ., ნატვრის ხე, თბ., 1988;
6. ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, 1, თბ., 1993;
7. ფსალმუნნი, თბ., 2001;
8. ჩხეიძე ო, ოდოჟღერი, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 1, 6 იანვარი, 2006;
9. წმინდა მამათა სწავლანი, თბ., 2002;
10. ჯოსაძე მ., წარმავლობის საკმეველი *წიგნში* „სამოთხე უსიყვარულოდ“, 2006;

Gvantsa Narmania
Paradigm of Otar Chkheidze
Summary

Otar Chkheidze is one of the most important representatives of Georgian postmodernism.

His short-stories collection "My Village Stories" reflects modern Georgian countries. The artist keeps ancient Georgian word-paradigm "Odozhgheri" as well as tries to keep and reflect oldest traditions of Georgians.

Гванца Нармания
Парадигма Отара Чхеидзе
Резюме

Отар Чхеидзе является одним из интереснейших представителей грузинского постмодернизма.

Сборник его новелл «Этюды моего села» отражает быт современной грузинской деревни. Художник «сохранил» («спас») древнегрузинское слово – Одожгери, рефлексию Слова-Логоса.

Арсен Бертлани, Нателла Гудушаури
(Грузия)

ЗВУКИ И БУКВЫ РУССКОГО ЯЗЫКА

Чего больше в русском языке – букв или звуков?

В связи с этими и близлежащими вопросами и предлагается, в основном, данное рассуждение.

Во-первых, даже при отсутствии в русистике ответа на первый вопрос (**Сколько согласных звуков в русском языке?**) из предполагаемых трёх вариантных ответов следовало выбрать именно «21», ибо числа «25» и «27» для согласных не представлены в учебных пособиях (если и добьёмся согласия в том, что звуков больше в русском языке, чем букв, то правильным ответом послужило бы одно из чисел «34», «35» и выше, которых нет в указанном тесте).

Во-вторых, задавая любой вопрос, надо помнить, учащимся какой категории он адресован:

- а) среднеобразовательного или высшего учебного заведения;
- б) специальности русского языка и литературы или других специальностей;
- в) русскоязычных или грузинскоязычных групп;
- г) бакалаврам, магистрантам или докторантам.

Прежде чем продолжить рассуждение, небесполезно задаться и таким вопросом:

Какого уровня изданиями – школьного, вузовского или даже академического – нужно руководствоваться учащимся, чтобы правильно ответить на поставленные выше вопросы?

Весомым и полезным является вопрос из упомянутого выше учебника для VII класса (**Чего больше в русском языке – букв или звуков?**), напоминая о том, что, в самом деле, думая о звуках, следует не забывать и о буквах, ибо: хотя звук и является началом начал человеческой речи, тем не менее современную речевую деятельность человека следует представлять в неразрушимом единстве плана содержания (звука, фонемы) и плана выражения (графического отображения звука, фонемы), и что в таком алфавитном фонографическом письме, обладателем которого является русский язык, звук (фонема) находится в прямом соотношении с буквой (графемой).

Учитывая отсутствие в науке единого мнения в этом участке русистики, уже который раз приходится ставить вопрос: **что такое буква?**

Это графический знак в составе алфавита данного языка, служащий для обозначения *на письме звуков (фонем) и их разновидностей (вариантов фонем)* [3, 43].

А что такое письмо?

Это «знаковая (буквенная, графемная – А. Б.) система фиксации речи, позволяющая с помощью начертательных (графических) элементов *передавать речевую информацию на расстоянии и закреплять её во времени*».

Разновидностью письма является **транскрипция** – «способ однозначной фиксации на письме звуковых характеристик отрезков речи», да, состоящих, в свою очередь, из звуков. NB: **Транскрипция** – это способ фиксации на письме не самих звуков или отрезков речи как таковых, а – лишь их характеристик (на языке учащихся: тех или иных признаков!). И ещё:

транскрипция (фонетическая) – это «специальный способ записи речи в полном соответствии с её звучанием, употребляемый в научных целях» [3, 511].

Вернёмся, однако, к звукам и фонемам.

Фонема – это «инвариантная (*неизменяющаяся* при определённых условиях – А. Б.) единица языка».

Звуки же, о чём нет надобности и напоминать, *меняются* чуть ли не на каждом шагу.

Фонема (греч. *phōnēma* «звук») – «единица звукового строя языка, служащая для опознавания и различения значимых единиц – морфем, в состав которых она входит в качестве минимального сегментного компонента, а через них – и для опознавания и различения слов».

Звуки речи – «минимальные единицы речевой цепи». При письме «графический знак, как правило, обозначает отдельный звук речи» [3, 284]. Но получается и так, что «одна и та же буква используется для обозначения разных фонем» (ср. рус. «т» для рус. [т'] и [т], франц. с для франц. [к] и [с]...).

После напоминания о предназначенных для учащихся данных виртуальных определениях из академических источников можно утверждать, что рассматриваемые в данной статье вопросы адресованы не фонемам, а звукам, тем более что и в школе, и в грузинскоязычных группах вузов изучаются *не фонемы*, а именно *звуки* русского языка.

При определении количественного соотношения звуков и букв в русском языке ни для учащихся общеобразовательных школ Грузии, ни для студентов грузинских групп вузов мы не должны рассуждать на уровне фонологии или какой-либо транскрипции, тем более, что «по вопросу о понятии фонемы» также пока «нет единства взглядов среди исследователей» [3, 507].

Итак, **чего больше в русском языке – букв или звуков?**

Предлагаемое вниманию читателей данное рассуждение не появилось бы, если бы не этот тестовый вопрос. Он сам по себе является интересным, нужным и своевременным, но, как кажется, не совсем понятен ответ, размещённый, в конце школьного учебника: **в русском языке звуков больше, чем букв.**

В таком довольно популярном учебном пособии, каким является книга для V-VIII классов под авторством С. Е. Крючкова, Л. П. Федоренко и Л. А. Чешко, количество русских согласных звуков определено числом 20, однако с учётом того, что там же даётся разъяснение по поводу «й».

Что касается гласных русского языка, то, кажется, общеизвестно их число – 6 (с учётом того, однако, что звук [j] = ([й]), входящий в состав звуковых эквивалентов букв **я е ё ю**, подразумевается среди согласных, число которых составляет 21).

Такое положение дел ничуть не умаляет достоинства тех или иных авторов, дающих иную интерпретацию. Наоборот, это – вечный процесс, диалектика лингвистических исканий на пути к истине, уплывающей иногда всё дальше и дальше. Но тут речь не об этом, а о том, что учащимся данного уровня нет никакого дела до подобных разногласий в научных кругах: они вправе ждать ясных, однозначных и чётких ответов от преподавателя, а значит, и от учебника на те или иные вопросы, тем более, поставленные в самих же учебниках. И преподаватели, и авторы соответствующих пособий, зная, конечно, и о разногласиях (этичнее было бы сказать, об исканиях) по отдельным вопросам, должны адресовать своим учащимся обговоренные по всей образовательной сети адекватные ответы.

Не нужно говорить учащимся этой категории о фонологической корреляции, т. е. о наличии рядов фонем, «попарно противопоставляемых друг другу по одному признаку при совпадении по всем другим признакам», тем более, что грузиноязычные, например, учащиеся привыкли произносить столько же звуков в родной речи, сколько в ней букв. Для них больше, чем достаточно и того, что **ь** и **ъ** из русского алфавита не обозначают звуков, а в состав находящихся в определённых позициях йотированных гласных **я е ё ю** входит ещё и звук **[й]** (= [j]), не говоря уже о редукции гласных в безударных позициях.

Так как речь идёт о количестве звуков с максимальным учётом их фонетических признаков, не помешало бы учесть и явное присутствие фонетической назализации гласных в определённых условиях, например, в словах типа **Андрей** – [ã]дрей, **комплекс** – к[õ]плекс, **унтер** – [ũ]тер и т. д. Но, повторяю, всё это не для грузиноязычных учащихся.

Кстати, учёные не пришли к единому мнению и по поводу падежей в русском языке, число которых в некоторых теоретических грамматиках колеблется от 6 до 10.

Следует ли давать всё это учащимся-грузинам данной категории? Впрочем, говорить с ними ещё как-то можно, но следует ли требовать от них знания фонемных рядов современного русского литературного языка на академическом уровне?

Да: «грамматика есть философия языка, философия человеческого слова» (В. Г. Белинский), но «педантическое преподавание, действительно, остужает интерес к грамматике», вырабатывая «неприятнь..., подобную той, о которой вспоминал А. П. Чехов в рассказе *«Кто виноват?»*». Эти слова в полной мере можно отнести и к фонетике. А если учесть и коартикуляционные характеристики, дело осложнится ещё больше, тем более в условиях, когда живой язык «жив и здоров» именно благодаря своим же ошибкам. Более того, как учит наука о языке, один и тот же звук в устах разных говорящих бывает разным. Он бывает разным даже в устах одного и того же говорящего – в зависимости от настроения, состояния здоровья и т. д. И для того, чтобы приблизиться к количеству звуков, понадобилось бы ежеминутно сидеть у калькулятора.

Практика показывает, и это непременно следует учесть, что такие особенности русской речи, как, например, произношение безударных гласных, смягчение согласных и т. д., для грузинскоязычных учащихся уже являются серьёзной проблемой, за преодоление которой они заслуживают только похвалу. Необходимо довести до них информацию о звонкости-глухости, а также о твёрдости-мягкости согласных, о безударных гласных и т. д., но не следует, как говорится, «крутить им голову» на уровне фонологической корреляции, тем более что, как видно, сама академическая грамматика по сей день, действительно, так и не разобралась с конечным количеством согласных фонем, в результате чего на академическом же уровне так и нет конкретного ответа на конкретный вопрос: **Сколько согласных звуков в русском языке?**

Это вопрос, имеющий прямую связь с рядом других вопросов как из области фонетики, так и из области графики:

Сколько гласных звуков в русском языке? Сколько согласных букв в русском языке?

Чего больше в русском языке – букв или звуков?

Эти вопросы содержат определённый академический интерес и в плане грузинско-русской типологии.

Думается, неопределённость с количеством согласных, должно быть, находится в прямой связи с количеством звуков вообще, ибо у гласных и согласных баланс общий. То, что

до сих пор нет согласия в этом плане (в данном случае пусть только в области согласных), ещё раз подтверждает ранее высказанное мною мнение: «...при делении звуков речи на гласные и согласные не надо забывать и о том, что и те, и другие, в первую очередь, являются продуктом одной (общей) субстанции – головного мозга – и «перерабатываются» одним и тем же – речевым аппаратом», в связи с чем «гласные, можно сказать, отличаются от согласных в той же степени, в какой один звук может отличаться от другого», в силу чего, «видимо, и не исключено перемещение звуков речи из одной плоскости (из одной системы) в другую» [1, 149-150].

В данном случае мы должны опираться не на академический, а на школьный уровень научных достижений. Учащихся данной категории, которые знают, что в русском языке **21** согласная буква, следует проинформировать о звуковых соответствиях именно **21** согласной буквы, а не о количестве их транскрипционных эквивалентов, что из области академической фонологии. Короче говоря, учащиеся, знающие о существовании в русском языке **21** согласной буквы, должны получать информацию именно об их **21** звуковом соответствии, хотя и тут возникает довольно каверзный вопрос о том, почему буква **й**, обозначающая *согласный* звук [й] ([j]), до сих пор носит алфавитное традиционное название *гласного и* – «*и краткое*»?

В учебниках вышеуказанного уровня, учащиеся видят лишь **21** согласную графему (букву), обозначающую, на их взгляд, **21** согласный звук, не более. И преподаватель также должен остановиться на числе **21**, что, однако, никогда не мешает побеседовать с учащимися и о наличии **36-37-40** согласных в русском языке.

В тех далёких от желаемого условиях, когда, например, в пособии для изучающих русский язык, редактируемом самим представителем департамента славистики (sic!) университета и рецензируемом тремя ассоц. профессорами и двумя преподавателями русского языка общеобразовательных школ, слово **косяк** в словосочетании **улетавший косяк** на грузинский язык переводится в виде **čirtxli (წირთხლი)** «*брус дверной или оконной рамы*» [2, 41-42], в самом деле кажется излишней роскошью задаваться академическим вопросам русской фонологии, т. е. в условиях, когда полная неразбериха уже в области лексикологии, не видно какой бы то ни было необходимости проявлять энтузиазм в области фонологии.

Наконец, небесполезно обратить внимание ещё на одну деталь. В «*Словаре-справочнике лингвистических терминов*» Д. Э. Розенталя и М. А. Теленковой визуально представлен **21** согласный звук – без привлечения парных мягких согласных, что сделано «в целях экономии места» [3, 436]. В лингвистике известен также и принцип экономии энергии и времени в процессе речи. Это наводит на мысль ввести в употребление понятие *экономии учебного времени* в том смысле, что в условиях, когда учащиеся затрудняются разобраться в фонетике русских гласных [ы] и [и], не стоит тратить время на преподавание фонетических парадигм.

Учитывая сказанное, можно заключить следующее.

И фонетика, и фонология (а также грамматика) теснейшим образом связаны с письмом, в свою очередь, являющимся буквенным средством фиксации устной речи. При этом никто ещё из мастеров художественного слова, даже одержимые «безумством храбрых» символисты, как бы они ни старались письменно передать бесчисленные особенности устной речи, в своих произведениях не изображали согласные (да и гласные) звуки транскрипционными средствами с диакритическими добавлениями типа [б’], [в’] и т. д., а, оставаясь в пределах алфавита русского языка, зафиксировывали их – согласные звуки родной

речи – именно величинами в количестве 21. Ни А. С. Пушкиным, ни Л. Н. Толстым, ни кем бы то ни было другим не зафиксирована речевая информация (сочинение) транскрипционными графемами (письменными знаками) для передачи её на расстоянии и для закрепления её во времени. И пока существует градация между школьным и академическим учениями (а градация эта постоянна), грузинскоязычным учащимся вузов, безусловно, следует давать более объёмную информацию, но с учётом именно школьного уровня их подготовленности: есть в русской письменной речи (в алфавите) 21 согласная буква и есть, соответственно, 21 согласный звук в русской устной речи (в фонетике). В противном случае, и в классе, и в аудитории придётся установить *точное* количество согласных звуков на академическом уровне, что пока не представляется возможным.

Литერატურა:

1. Берглани А., На подступах к вопросу о взаимоотношениях гласных и согласных. Интеллект, периодический научный журнал, 2006, #2 (25);
2. Бобохидзе Н., Чикваидзе А., Сборник текстов и упражнений по русскому языку. Кутаисский государственный университет А. Церетели. Кутаиси, 2008;
3. Розенталь Д. Э., Теленкова М. А., Словарь-справочник лингвистических терминов. Просвещение. М., 1976.

არსენ ბერთლანი, ნათელა ღუღუშაური რუსული ენის ბგერები და ასოები რეზიუმე

სტატია ეძღვნება კითხვას – რამდენი თანხმომავი ბგერაა რუსულ ენაში? ამ კითხვას პირდაპირი კავშირი აქვს სხვა კითხვებთან, რომლებსაც სვამენ ხოლმე როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ისე უმაღლესი სასწავლებლების ქართულენოვანი მსმენელები: რამდენი ხმოვანი ბგერაა რუსულ ენაში? რამდენი თანხმომავი ასოა რუსულ ენაში? რა უფრო მეტია რუსულ ენაში – ასოები თუ ბგერები?

ზუსტი პასუხები ამ თითქოსდა უბრალო კითხვებზე, როგორც ირკვევა, დღემდე არ გვაქვს თვით აკადემიურ დონეზეც კი. და ვიდრე არსებობს გრადაცია სასკოლო და აკადემიურ სწავლებებს შორის (ეს გრადაცია კი მუდმივია), უმაღლესი სასწავლებლების ქართულენოვან მსმენელებს, უდავოა, უნდა მივაწოდოთ უფრო მოცულობითი ინფორმაცია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რუსულ წერილობით მეტყველებაში (ანბანში) გვაქვს 21 თანხმომავი ასო და, შესაბამისად, გვაქვს 21 თანხმომავი ბგერა რუსულ ზეპირ მეტყველებაში (ფონეტიკაში). წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასშიც და აუდიტორიაშიც მოგვიწევს თანხმომავების (და არამარტო თანხმომავების) ზუსტი ოდენობის დადგენა აკადემიურ დონეზე.

Arsen Bertlani, Natella Gudushauri
Sounds and Letters in Russian language
Summary

The article is about the question: How many consonants are there in Russian language? This question is directly connected to the other questions, which are used to ask as by the Georgian lingual listeners of schools, providing general education, as well as by the high school listeners: **How many vowels are there in Russian language? How many vowels are there in Russian language? Which of them are there more in Russian language – letters or sounds?**

Exact answers to these seemingly simple questions, as it turns out; don't have even an academic level till now. And until it exists the gradation between the school and academic teaching (this gradation is permanent), the Georgian lingual listeners of high schools, undoubtedly should give more voluminous information, but by providing, that we have **21** consonants in Russian written speech (alphabet) and accordingly we have **21** consonants in Russian oral speech (phonetics). In the opposite occasion we should have to find out the exact number of consonants (and not only consonants) in class and in the lecture-room on an academic level.

Phonetics and phonology are tidily connected with the writing that is a graphic way of oral speech fixation. None of the writer-masters, even the bravest symbolists, though they tried to show in writing various peculiarities of oral speech in their works did not express the consonant sounds of speech by transcriptions with diacritic adding like **б'**, **в'** and others. They remained in the Russian language borders and fixed them – native language consonant sounds – exactly by volumes with the quantity of **21**. Nobody else fixed speech information with transcription graphemes for its expression on the distance and to firm during times.

It is necessary to pay attention to on more detail. In the "*Dictionary-Guide of Linguistic Terms*" D. E. Rosenthal and M. A. Telenkova visually **21** consonant sounds are presented – without pair mild consonants that is done "for the place economy".

Linguistic also has the principle of energy and time economy in the process of speech. This shows it would be reasonable to introduce a concept of *studying process economy* meaning that when the students have problems in Russian vowels [ы] and [и] phonetics it's useless to waste time at phonetics paradigms teaching.

იზონერა ბერაია
(საქართველო)

**ალუზიურ-რემინისცენციური პარალელები
(ბესიკი/რუსთველი)**

კორნელი კეკელიძე წერდა, რომ ბესიკი თანამედროვეთაგან დიდად დაფასებული პოეტი იყო, „მელექსეთბაშად“ იხსენიებდნენ, რუსთველსაც კი ადარებდნენ – „რუსთველისებრ ხმატკბილობით არ აკლებდა არც ერთს გვარსო“ [8, 677], ალექსანდრე ბარამიძეს კი მოჰყავს იოვანე ბატონიშვილის ცნობა – „უცხო პიტიკოსი, მოშიარე, მსგავსი რუსთველისაო“ [1, 416].

ძველ ქართულ პოეზიაში ეპოსს „მბრძანებელი ადგილი“ ეჭირა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდის მოღწეული ძეგლები ამ შეხედულებას განამტკიცებენო, აღნიშნავს ს. ცაიშივილი [15, 160].

„ესე ა მ ბ ა ვ ი ს პ ა რ ს უ ლ ი ს“ ავტორზე მოსე გოგიბერიძე წერს: „მწერლობა თავის სიუჟეტად სპარსულ ამბებს იღებს, ამბობს სპარსული ამბავითა... იგი ქართული ამბავია, ქართველის მიერ თქმული, იმდროინდელი საქართველოს დამსურათებელი. ქართულია მისი ღმერთიც და მისი ზეცაც... რა გასაკვირია, რომ ქართველი ერის ამ უდიდეს სახარებას – „ვეფხისტყაოსანს“ ისევე გასჩენოდა თავისი აპოკრიფები, როგორც ტექსტს თვითონ „სახარებისა?!“ [6, 53...77].

აღორძინების ეპოქა თავისი მძლავრი ქარტეხილებით ახალ უანრებს უკაფავდა გზას, მძიმე სულიერი განცდები ღირიკულ ფორმებს ითხოვდაო, განმარტავს სარგის ცაიშივილი.

„მოღით, მიჯნურნო, შემობრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,

მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს („ტანო ტატანო“) [4, 12].

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ მიჯნურთ უხმობს დამტირებელ-დამფლავებად ბესიკი. შოთას კონცეფციით, „მიჯნურისა შებრალება ხამს“ (სტრ. 252), „მიჯნური მტერთაცა შეებრალების“ (სტრ. 254).

პასაჟში „ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა“ ხაზგასმულია: „კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად“ (სტრ. 708).

კონცეფცია, რომ მიჯნურისა მხოლოდ მიჯნურს ესმის, მოსე გოგიბერიძის მონოგრაფიაშიც („რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები“) ხაზგასმულია და დასტურად მოყვანილია პოემის 914-ე სტროფი:

„ცვილსა ცეცხლის სიმხურვალე უგავს, ამაღ აენთების,

მაგრა წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდეს, და-ცა-შრტების,

რაცა ვისცა საქმე თვით სჭირს, სხვათათვისცა ევარგების“ [12, 288] – შეყვარებულს შეუძლია გაუგოს მხოლოდ თავადაც შეყვარებულმაო. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული სტროფი არის „ლექსად თქმული დებულება არისტოტელესი, აღებული „რიტორიკიდან“ – თაფლის (ცვილის) სანთელიო, ამბობს ბრძენი ავთანდილი, ცეცხლში იწვის და ანათებს, რადგან ცეცხლის ბუნებისა, სითბოს შეიცავს, ხოლო წყალში ჩავარდნილი ქრება, რადგან წყალი სხვა ბუნებისაა“ [6, 103]. ნოდარ ნათაძე ზემოაღნიშნულ მეტაფორას ემპედოკლესეულად მიიხსნევს [12, 532].

რუსთველის მიჯნურობის კონცეფცია პოემის პროლოგშივეა წარმოდგენილი.

„მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა[ა], ... საქმე საზეო, მომცემი

აღმაფრენათა... მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხედებიან“ (სტრ. 20-21) [12, 519].

ნოდარ ნათაძისეულ კომენტარში აღნიშნულია, რომ რუსთველი თავისებურად გარდაქმნის პლატონის ფილოსოფიის ზოგიერთ ძირითად იდეას, ერთერთს უპირისპირებს იდეათა (*არქეტეპთა – ნ.ბ.*) წარუვალ და საგანთა წარმავალ სამყარო(ებ)ს – საგნები იდეების (რუსთველისეული ტერმინით, „გვარების“) მკრთალი ანარეკლებია, რუსთველის მიხედვით, „მიჯნურობა უმაღლეს იდეათა რიცხვს ეკუთვნის ზეციურ იდეათა შორის“ [12, 11].

რუსთველისათვის ღმერთია მიჯნურობის დამბადებელიცა და წესთა დამწესებელიც: „შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“ („ლოცვა ავთანდილისა“) (სტრ. 820).

მოსე გოგიბერიძე მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ პარტიებს შორის ნესტანის წერილი ყველაზე შთაგონებულია...

პლატონის „სიმპოზიონში“ წამოყენებულ იდეებზე დაყრდნობით, რუსთველი ავითარებს შეხედულებას, რომ სიყვარული არის „შორით ბნედა, შორით კვდომა“, შემდეგ კი, არისტოტელეს „ეთიკისა“ და, განსაკუთრებით, „რიტორიკის“ შესატყვის პასაჟთა გამოყენებით, გვიხვენებს, როგორია ფსიქიკა „ტურფა სიყვარულით“ შეყვარებული ადამიანისა [6, 105].

ბესიკის „სევდის ბაღის“ კონცეპტის წანამძღვრები იძებნება სიყვარულის რუსთველისეული გაგების არქეტეპში. როგორც მოსე გოგიბერიძე წერს მიჯნურობის რუსთველური აღქმის შესახებ, „ჭეშმარიტად შეყვარებული მაშინაც არ იტყვის უარს თავის შეყვარებულზე, თუ შეყვარებულისაგან წყრომას დაიმსახურებს, თუ მას სულისდამთრობი სიყვარულით არ უპასუხებენ...“

„არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,

თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,

შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,

ღათმოს წყრომა მოყვრისაგან (ხაზი ჩვენია – ნ.ბ.), მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა...“ (სტრ. 28).

სიყვარული, როგორც მშვენიერება („პირველი“) არის თავდადება შეყვარებულისა, რომელიც სიამოვნებით თმობს წყრომას, მოგზავნილს ბედისა თუ შეყვარებულისაგან.

გამიჯნურებული ბესიკი (მისი პროტაგონისტი) გამუდმებით დაითმენს წყრომას მიჯნურისაგან (ქრეტომათიული ნიმუშია, გავიმეორებთ, ლექსი „სევდის ბაღს შევევლ...“) და ამ დათმენითაც კი ბედნიერდება (იხ. ზემოთ).

დათმენა არ გულისხმობს ინდიფერენტიზმს, გრძნობის დაჩლუნგება-გაფერმკრთალებას. პირიქით – ბესიკისათვის სიყვარული/სატრფო „სალ გულთ ამატკინავია“ („შავნი შაშვნი“) [4, 18], „შენმან სურვილმან ჩამოლია გული კლდე-მყარი“ („მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“ (15) რაც, ვფიქრობთ, პირდაპირი აღუზიანა რუსთველისეული „გატყხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ (როგორც ტყვიის რბილი გრდემლი აწახნაგებს ზემტკიცე აღმასს (ქვამაგარს) და ბრილიანტად აქცევს, სიყვარულის ლბილი გრდემლიც („სალ გულთ ამატკინავი“) ტკივილით აწახნაგებს, ხვეწს ადამიანის აღმასივით „სალ“ გულს.

(ციტატა წარმოდგენილია ლექსიდან „შავნი შაშვნი“. ლეონიძის მიხედვით, შავი შაშვი დაქვრივებული, სამგლოვიერო სამოსში გამოწყობილი მიააა, კეკელიძის

აზრით კი – შაშვები წამწამთა მეტაფორა უნდა იყოს, ზაქარია ჭიჭინაძის თვალსაზრისით – შემონახუნებული მაიას მეტაფორა. ერეკლეს განრისხება მამუკა ორბელიანის ქვრივისადმი ბესიკის მიჯნურობით უნდა იყო გამოწვეული, მიიჩნევს გიორგი ლეონიძე. მკვლევარებმა მაიას როლი გაუგებრობით მის ქალიშვილს, დედოფალს ანას მიაკუთვნეს. სამწუხაროდ, უცნობია ბესიკის „მეორე შეყვარებულის“ ვინაობა, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა პოეტის ცხოვრებაში [9, 94].

ქვამაგარი/სალი გული სიყვარულის (ერთი შეხედვით ლბილი, ფაქიზი, მაგრამ შეუმუსრავი) ძალით *ტყდება* (რუსთველთან)/*ტკივილს* განიცდის (ბესიკთან) (მოდერნიზმის ერთ-ერთი ადვოკატი, ოსკარ უაილდი წერდა, ადამიანის გულის გაჩენილია იმისთვის, რომ გატყდესო).

(ლექსში „სვისადმი“ მსგავსი კონსტრუქცია ბედის დასახასიათებლადაა მოხმობილი – პოეტი სვეს მიმართავს, „რასღა მექადი, დასჭერ ფოლადი ტყვიის გრდემლითაო“ [5, 204]. რუსთველისეულ *ალმასს* ბესიკი *ფოლადით* ანაცვლებს).

ხსენებული ლექსის სათაურთან დაკავშირებით ფრაზა-კონსტრუქციის ეგზეგეტიკურ მნიშვნელობასაც აღვნიშნავთ. შაშვები სწორედ ეგზეგეტიკური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი წმინდა ბასილი დიდის ჰომილიებში. აღწერს რა ღვთის რისხვათაგან ერთ-ერთს – კალიების შემოსევას, წმინდა მამა საღვთო განგებულეების ნიშნად წარმოაჩენს კალიათა კვალადაკვალ მოდვენებას სელეგკიდებისა (მგალობელი შაშვებისა), რომელნიც არიან მ კ უ რ ნ ა ლ ნ ი კალიათაგან მიყენებული წ ყ ლ უ ლ ე ბ ი ს ა [2, 304].

„გარდო სასურო“-ში რუსთველისეული სინტაგმა/აღუზიებია:

„ტანო ალვაო“, „მისთვის ხელი“, თმა – „სათ-გიშერი, მინა-ყელი“, „ცრემლი ცხელი“ („ცრემლი ცხელი მოიწურნა“), „მელნის ტბა იშრობს“..., ცნობა-უშენობა..., „სახმილი მისთვის მდება“ („მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“) [4, 22].

ზემოთ ჩამოთვლილ-ხაზგასმული სინტაგმები ის კონსტრუქციებია, რომელთაც ე.წ. „აღორძინების ხანის“ მწერლობა (მოგვიანებით კი – „განმანათლებლური კლასიციზმიც“) აქტიურად დაესესხა რუსთველს.

ბესიკის კალამიც არის „ნავდლისა მელნით აღმწები შავფროთოვანისა კალმისა“ („ცრემლთა მდინარე“) [5, 214]. არქეტიპი, ცხადია, ნესტანის წერილის ციტატაა: „ტანი კალმად მაქვს, კალამი – ნავდელსა ამონაწები“ (სტრ. 1302).

კონსტრუქციის – „ცნობა მიმილო და გული“ („დედოფალს ანაზედ“) [5, 23] წინარესახეა რუსთველისეული „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკილია“ (სტრ. 857) (ლექსში „მე შენმა ფიქრმა მიმარინდაში“ ასევე ხაზგასმულია სიყვარული, როგორც ცნობისმიმხდელი განცდა: „უცხო შევიქენ ცნობისაგან“ [4, 15]).

მოსე გოგიბერიძის მიხედვით, რუსთველურ სტროფში მითითებულია იმ კავშირზე, რაც *ადამიანის სამ ცნობიერებით უნარს – გრძნობას, გონებას და სულს – შორის არსებობს. რუსთველის მიხედვით, მშვენიერებას ადამიანი გონების მეშვეობით ითვისებს, ინტელექტუალიზმის პოზიციებზე დგას. მისი აზრით, მშვენიერი სწორედ იმიტომ არის მშვენიერი, რომ იგი გონიერია* [6, 115].

ამავე ლექსში ფიქსირებული „ჩემმან ხელ-მქმნელმან, ლამაზმანამან“ შთაგონებული უნდა იყოს რუსთველური სტრიქონით: „ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები...“, „სიკვდილმდე მტკიცე შენთანა ხლებით“ – ფრაზით: „შენ გიახლო სიკვდილამდე...“, „გიმუხთლო, ესე, ვიყოცა მკვნესე შენგანცა კიდე ვიყოცა სხვების“ – „ფიცით გითხრობ, შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი...“

ამავე ლექსში მოხსენიებულია იაგუნდი, მარგალიტი, სათი - „ვეფხისტყაოსნის ქვათამეტყველებაში“ ზემოხსენებული ძვირფასი თვლები საგანგებოდაა დახასიათებული, ბესიკისეულ „მე შენი მგონე“-ში წარმოდგენილია ბროლი, ლალი, ბროლ-ფიქალი (მიმართვის ფორმა - „ბროლ-ფიქალალო“ (ფიქალი და ლალი ერთ სიტყვად იქცევა) [4, 16], ლალი და სადაფი პედალირდება ლექსში „ხმა სირინოზს“ [5, 198].

„ტანო ტატანოში“ (რომლის ადრესატიც, გიორგი ლეონიძის მიხედვით, მშვენიერი მაიაა [9, 92]) მიჯნურობა ხორციელად შრეტს მიჯნურს, „შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარესო“, სატროს გამოუტყდება [4, 12] - „ვეფხისტყაოსანშიც“ „მთვარეა“ მიჯნური, რომელიც იტყვის, მიჯნურის (მზის) ნებისამებრ, „ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვწვლდებიო“ - ანუ ხან ივსება, ხანაც - ილევა (ემსგავსება „მილეულს მთვარეს“).

ტარიელთან შესაყრელად მეორედ წასულ ავთანდილს „სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჯლისა დენისად“ (სტრ. 842) (დიჯლა - ტიგროსი აღნიშნულ კონტექსტში წყალუხვობის ენიგმაა).

ბესიკისათვის მიჯნური ყარობია, ღამდამობით ველად მრბოლ-გაჭრილი. ლექსში „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“ ვკითხულობთ: „ღამე ვვლი გარეს“ [4, 14] - რუსთველისეული მიჯნური მიჯნურისათვის „ველთა რბოდეს“.

კონსტრუქცია ლექსისა „დედოფალს ანაზედ“: „სიკვდიმდე მტკიცე შენთანა ხლების“ (24) არქექტიპულ სახეს რუსთველთან პოულობს: „შენ გიახლო სიკვდილამდის“...

მიჯნურის დახასიათებისასაც ბესიკი ხშირად იყენებს რუსთველურ მზა სახეებს. ლექსში „მე შენი მგონე“ წამწამები ასეა წარმოჩენილი: „შენი უწყალო ჰინდთ ლაშქარნი გარს შეისაროს“ (2011: 16), ხოლო „ხმა სირინოზს“-ში: „შენი ჰინდნი მას დარაჯად ეარე“ [5, 198].

რუსთველისეული ფრაზითაა შთაგონებული ამავე ლექსის სხვა კონსტრუქციაც: „რა მზის სიცხოვლე მი-რა-სჭირდეს“ / - შდრ. „მზისა შუქთა ვერმჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების“ (სტრ. 801), „მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაჭნების“ (სტრ. 912).

ლექსში „ჰაერი ცივნამიანი“ არქექტიპი ბოლომდისაა მინიშნებულ-გახსნილი: „თავმოხრით ვნახე იანი, სხივნი ჰკლებოდეს მზიანი“ [5, 193] (სარგის ცაიშვილის მიხედვით, „ჰაერი ცივნამიანი“ ლირიკული შედევრია, რომელშიც გამოყენებულია „ზმიანი შაირის ხერხი“ - სართომო სიტყვებში ამოიცნობა სახელი „ია“ - რომელშიც შეფარვით თითქოს მისი მიჯნური - მაია ყულარაღასის ქალი იგულისხმება [15, 190]).

ამ რკალის ლექსებზე კორნელი კეკელიძე წერდა, რომ მათში „ვარდი სხვაა და ია - სხვა“, რისთვისაც ჯერ კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილს მიუქცევია ყურადღება [8, 668].

ლირიკულ პოემაშიც „ასპინძისათვის“ გაკრთება რუსთველური აღუზა-რემინისცენციები (*პოემის ისტორიულ ასპექტებზე საკვალიფიკაციო ნაშრომის უკანასკნელ თავში ვიმსჯელებთ - ნ.ბ.*)

ბრძოლისწინა სურათის აღწერისას ბესიკი ხაზგასმით წარმოაჩენს ლეკთა რაზმის იარაღის ხვარაზმულობას - „ლეკთა ყაწიმ-შაშხანნი მცირედ-რე ხვარაზმულობდეს“ [5, 159].

კონსტრუქცია „ერთის ხ მ ა ასად ეგონათ“ ასოციაციურად გადაგვამისამარ-

თებს რუსთველისეულ ფრაზასთან: „კაცსა უკრველად დაბნედდის ხ მ ა ტარიელის ხაფისა.“

ტექსტის ჰიპერბოლიზებული ქსოვილიც (ნაკვერხსლადქმნილი თვალები, ნესტოებიდან დანაქროლი, ქვეყნის მნგრეველი ქარი, სისხლის ბანა, მტრის „წყობათა“ „ანაზდად დაფრეწა“, მწყურვალე ცის დათრობა, ცათა შეძრწუნება, თეთრი ტაიჭის სისხლით ღებვა, ცისა გრეხა, მტრის უწყალოდ კაფვა, მჭკრეტთაგან ქება, მაძღარი ხმლის ჩაგება, ალაფობის ბრძანება, ძღვნის „იეფობა“, ოქროცურვილი ლახტები, „ძვირფასნი ცხენნი“... სიტყვა-სიტყვითი როდი, მაგრამ ინტონაციური ანარეკლია ხატაელებთან ბრძოლისა თუ ქაჯეთის ციხის აღების პასაუებისა.

ციტატა „მიჯრით გამოკრფეს მნახავნი, სწყუროდათ შენი მხერია“ [5, 162], დავით სარდლისადმი მიძღვნილი („ასპინძისათვის“), მოგვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ პასაუხს: „შეჭფრფინვიდიან ავთანდილს“, ან ხატაეთიდან დაბრუნებული ტარიელის მზირალ ბედნიერ ინდოელთა აღწერას.

ბესიკისეული ქვათამეტყველება თავის ვიქტორ ნოზაძეს ელის.

ღირიკულ პოემაში ნახსენებია ამარტა, ტოპაზი, ბალახში, გიშერი, სადაფი...

თითოეულ სპეკალს (ძვირფას ქვას, თვალს) თუ აღრალეების (ნახევრადძვირფას) ქვას თავისი მისტიკურ-ასტროლოგიური დატვირთვა აქვს.

მთვარე ბესიკთანაც მეტაფორული სახელით – „მანგი“ არის მოხსენიებული: „ბარაინს (*მარგალიტის მოპოვებით ცნობილი კუნძული ბაჰრეინი – ნ.ბ.*) მანგნი მოეცვენეს...“ (შდრ. „პირი მანგი“ რუსთველთან).

პოემის ოცდამეშვიდე სტროფიც რუსთველურ მელოდიას იმარხავს:

„ზრდილობად კმარდის შეხედვა უსაქმოდ ოდენ სახისა,

სახისა დაუსახისა, ვერვისგან დანაზრახისა,

დანაზრახისად თუ სადმე, ბრძენთა საქებად ახისა,

ახისა მუფარახისა, ვაი, აწ განალახისა“ [5, 164].

„მუფარახიც“ რუსთველის ლექსიკონიდანაა ნასესხები – „ვეფხისტყაოსანში“ „სვედის მუფარახად“ ავთანდილი იხსენიება.

ავთანდილისეული კოსმიური ქორალის ექო ისმის ბესიკის ლექსში „მოვედ აწ, ძმაო“. რუსთველის პერსონაჟის მსგავსად, ბესიკის ღირიკული ორეულიც, ვეღად ოტეზული, „[ზის] ჭირთა მოქმელად“ [5, 196] და ციურ მნათობებს მიმართავს / ემუსაიფება / ევედრება, სიყვარულით გახელეებული, მოუთმენელი და შეუსმინარი.

ბესიკი ისევე შესანიშნავად იცნობს ასტრონომიულ-ასტროლოგიურ სივრცეს, როგორც რუსთველი, და თითოეულ მნათობსა თუ ცთომილს ზუსტად იმ თვისებების მატარებლად იხსენიებს, რითაც ისინი ფიქსირდებიან მითოლოგიასა თუ ასტროლოგიაში, იმ თხონის აღსრულებას ეაჯება, რაც კონკრეტულ მნათობ-ცთომილს ხელეწიფება. პლანეტების სახელები რუსთველთან არაბული ტრანსკრიფციითაა წარმოდგენილი და არა ბერძნულ-რომაულით (ავთანდილი, „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“, „არაბია“).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე მეათე საუკუნეში ქართულად იყო თარგმნილი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტრაქტატი „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“, რომელიც 1970-იან წლებში გამოსცა აკაკი შანიძემ.

შესაძლოა, ბესიკის ასეთი ღრმა განსწავლულობა ასტრონომია-ასტროლოგიის საკითხებში განაპირობა მეგობრობამ იოანე ორბელიანთან, ცნობილ ფილოსოფოს-

თან, რომელიც, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით [9, 33] იყო „ქართლში უბრძნე, უმცოდნე... სიბრძნესა შინა აღზრდილი ვარსკვლავთა-მრიცხველი ფიზიკოსი და არიფმატიკოსი, უცხო რიტორი“...

„ვეფხისტყაოსნის“ კონცეპტუალურ პასაჟში (ავთანდილის კოსმიურ ქორალში – თავი „წასვლა ავთანდილისა ფრიდონისასა“, რომელსაც მოსე გოგიბერიძე „დიდებულ ასტრალურ საგალობელს“ [6, 99] უწოდებს, მნათობ-ცთომილთა შემდეგი თანმიმდევრობაა წარმოდგენილი (ავთანდილი მათ შემდეგი თანმიმდევრობით მიმართავს): მზე, ზუალი, მუშთარი, მარიხი, ასპიროზი, ოტარიდი, მთვარე.

პერსონალური აჯა-მიმართვის შემდეგ ავთანდილი კიდევ ერთხელ ჩამოთვლის მნათობებსა და ცთომილებს (პლანეტებს), ამჯერად – სხვა თანმიმდევრობით, და საერთო სახელით – „ვარსკვლავნი“ – იხსენიებს:

„აჰა, მმოწობენ ვ ა რ ს კ ე ლ ა ვ ნ ი, შ ვ ი დ ნ ი ე ე მემოწმებიან:

მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,

მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან“ (სტრ. 973).

მიჯნური ივედრება, „მას“ (მიჯნურს) გააგონონ ვარსკვლავებმა, რა ცეცხლი ეღება.

ბესიკთან, ლექსში „მოვედ აწ, ძმაო“ მნათობ-ცთომილთა შემდეგი თანმიმდევრობაა წარმოდგენილი:

პოეტი პირველს ასახელებს მ ა რ ე ხ ს - მარსს: „მარეხი – მჭრელი, უწყალოდ მსრველი, არს სისხლთა მღვრელად“ [5, 196].

მარეხს ტექსტში მოსდევს მ თ ვ ა რ ე, ბროლის ნათელი, მომწყველელი მწარედ, იაკინთნაზავი, მიჯნურის ხელმყოფელი (გამახელებელი).

შემდეგ სახელდება მ ზ ე, ე რ მ ი (ოტარიდი) და დ ი ა/(მუშთარი) (ორი უკანასკნელი „დარობს“), მზე ჩაგრავს მ თ ი ე ბ ს, უალოდ რომ წვაავს და დაგავს მიჯნურთ. დაჩაგრული მთიები მოგვაგონებს „დაჩაგრულ“ მთვარეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქრესტომათიულ ლექსში „გოგჩა“.

დაბოლოს, სახელდება „ა ს პ ი რ ო ზ მარგი, მჭმუნვარე-კარგი, უწყალო...“, ცნობის მიმხედვლი.

ლექსში „ხმა სირინოზს“ ნახსენებია „მზე-აპოლოსი – შვიდთა მთენთა ერთი ხლებადა“ [5, 198].

„ლომი, ვერ მზის შეყრილი“ წარმოდგენილია ლექსში „ცრემლთა მდინარე“ [5, 215].

საინტერესოა კონცეპტი ლექსისა „მნათობთადმი“ [5, 217], რომელშიც ეტლთა და შვიდთა მნათობთა მითოლოგიური არსის ბრწყინვალე ცოდნა სჭვივის.

სარდარისადმი (სარდლისადმი) ყარბის მიმართვა საგულისხმოა: „ცებთა ციითა გულამოსკვნილი გიგზავებ“ [5, 217].

ლექსში მნათობთა შემდეგი თანმიმდევრობაა წარმოდგენილი: მთ(ო)ვარე, ოტარიდი, მეღტავრო, აფროდიტი, ასპიროზი, მზე, მარიხ-არეა, დია, მუშთარი, კრონოს-ალბასტრო, მთიებ-ცისკარი...

„სად მიაჩრდილენ შენცა ჭირანო“ [5, 217], მთვარეს ჰკითხავს ყარბი.

ოტარიდს სიტყვამდიდრად მოიხსენიებს, ცის ცორანოდ, გვირგვინოსნად, ცეცხლის კვამლით ბურვილად, ნუგეშის სხივის მომფენად, ენით დამამშვიდებლად, ფლიდთა დამჭრელად.

„შემოკრბით ცები, ქმენტ საოცებო“, ევედრება მეღტავროს, ასპიროზსა და

აფროდიტს, გეზრახეო, ემუდარება, საქმე „გამოაგენითო“. ცისაგან ითხოვს პოეტი-ყარობი საოცრებათა, სასწაულთა მოხდენას.

„შენი ცანი ველარ ვცანიო“ – ერთგვარ საყვედურად აღიქმება მიმართვა მზისადმი, ისევე, როგორც მარსისადმი, რომელსაც „არსწორ მარად“ იხსენიებს ბესიკი – არასწორად მოსიარულედ, არასწორ კვალს დამდგარად, სამსონის ძალის მქონედ.

გზის გასწორებას, „წყალობა-ღია“ (მუდამ მოწყალე) ღიას სთხოვს ყარობი, მუშთარს – შვება შეამეცანიო, „ცანი უცანო“, ხოლო კრონოსს – „ცანი უდღევენ, დღენი – უმზევენ“, ვარსკვლავთ ცთომა-მიმოკრთომა შეუსწორეო.

ქორალის დასასრულს, თორმეტივე ზოდიაქოს მიმართავს ყარობი, იგლოვეთ და შეიბრალენით *ამირსარდარიო* [5, 219].

„ცის კარავთ სვეტნო, რიცხვ-ათორმეტნო, აღიმსთვეთ თვალნიო“ [5, 219].

ბესიკისათვის დიდად ავტორიტეტული სულხან-საბა ორბელიანიც საფუძვლიან განმარტებებს გვთავაზობს თითოეული მნათობ-ცთომილის სახელისა:

საბა იხსენიებს მზეს, მთვარეს, ზუალს, მუშთარს/ღიას, მარისს, ასპიროზს, ოტარიდს.

ტერმინში „ცთომილნი“ განმარტავს, რომ ცთომილად ითქვიან შვიდნი ვარსკვლავნი [11, 335].

საინტერესოა, რომ საბა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ გვთავაზობს ტერმინთა სახისმეტყველებით განმარტებებს (რასაც, საერთოდ, ლექსიკონის არსებით თავისებურებად განსაზღვრავს რევაზ სირაძე [13, 132], არამედ მხოლოდ ასტრონომიული, ენციკლოპედიური დეფინიციებით შემოიფარგლება.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ სათაურს ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტრაქტატისა, რომლის ქართული თარგმანიც მეათე საუკუნეში არსებობს (აქვე გავიხსენებთ სვეტიცხოვლის კედელზე გამოსახულ ზოდიაქალურ რკალს) – „ეტილთა და შვიდთა მნათობთათვის“.

ბესიკისეული „მზე“ რომ მიწიერი ტრფიალის, კონკრეტული ქალის რეფლექსია იყოს, ვფიქრობთ, პოეტი ლექსში „შავ გლახ-გულო“ საგანგებოდ არ გაამკვეთრებდა კონცეპტს: „მას მზის სხივსა ვსჭვრეტდეთ კ რ ძ ა ლ ვ ი თ, რ ი დ ე ბ ი თ“ [5, 197] (თუმც, ისიც აღსანიშნავია, რომ მოსე გოგიბერიძე, რუსთველის მიჯნურობის კონცეფციის ანალიზისას, სწორედ შიშსა და კრძალვას პედალირებს – „რატომ უნდა ჰქონდეს შეყვარებულს შიში და კრძალვა სიყვარულის მიმართ?... შეყვარებულს თავისი თავის ეშინია, ეშინია, მისი შინაგანი არსება არ გაორდეს მიჯნურის მიმართ, შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ი მ ძ ი მ ე და ი შ ვ ი ა თ ო ბ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ის ა რ ის ა მ შ ი შ ის სა ფ უ ძ ვ ე ლ ი... განვიცდით რაღაც ძნელად სათქმელ შინაგან მოკრძალებას, გამოწვეულს სატრფიალო საგნის შესაძლებელი და მოსალოდნელი დანაკლისისაგან [6, 108].

„ქრისტე მიყვარს, მაგრამ მეშინის – მისი სიყვარული ჩემდამო არა განვარის-ხოლო“, ამბობდა იოანე ოქროპირი [7, 1].

ბესიკისეული მზე, ვფიქრობთ, არა გურამიშვილისეული „საწუთროს მზის თინათინია“ (ათინათი), არამედ – ღმერთი, ვისაც კრძალვით მიმართავს ტარიელთან მგორედ შესაყრელად მიმავალი ავთანდილი:

„ვინ ხატად გთქვეს მის მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,

ვის გამორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად...

ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ რუსთველთან (სტრ. 845-846).

ხსენებულ ლექსში სხვა ალუზია-რემინისცენციებსაც ვხვდებით – მიჯნური აქაც „ხელია“, „შმაგი“ – „ვისთვის ხელობ, ვისთვის შმაგობ“, მშვენიერ სახეს აქაც რიდე ფარავს, ტანი აქაც საროა და წარბ-წამწამიც ისარს მოჰგავს.

ლირიკულ ლექსში „ბედისადმი“ პირდაპირი რემინისცენციაა – ბედისწერას მიმართავს ბესიკი - „სრულ პატრონყმობთ ერთად გამოგვცადეო, ვინ ვართ მოყმე და მსცონაო“ [5, 203] – „ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი“...

რუსთველური ალუზია-რემინისცენციები კრთება ვრცელ აკროსტიქში „ან“-ზე სით მოხვალ“:

„გულანშაროს მხილველს მგზავრსა გურიად მოსვლა მენება...“ (3);

„მწვადი ცეცხლს მაქენდის ცვრიანად...“ (6) „მწვადი ცეცხლს მაქენდის ნადე-ბად“ (23);

„ლომთა ვფრეწდი“ (11);

„როსტევანის მოყმე როსან ველსა გაველ სანაპიროს“ (17);

„ქურციკს ვკვრიდი... „შაბაშ“ იყვის ჩემთვ ის მზანი“ (22);

„ჩაჩნავირსა თავი ვაყმე“ (26);

„ხვარაზმშას ყმობის მდომელი ხოსროვ-შირი ვარ რომელი...“ (31);

ლაპიდარული დასკვნა – „მიკვირს შემრჩა კაცის სახე“ (34) [5, 223...230]...

რუსთველისეული „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირ-სა?!

ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა“ ბესიკთან რეფლექსირდე-ბა სტრიქონებში „ჰოი, სოფელო, პირდამყოფელო... ჰოი, შენსა პირსა ვინ ეტრფის, ტირსა“ („ან“-ზე სით მოხვალ“) [5, 230].

რუსთველის პოემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივია ღვთისა და სოფ-ლის ურთიერთმიმართების პრობლემა, რაც ბესიკის პოეზიისთვისაც ნიშნეულია. ზემოაღნიშნულ საკითხს ბესიკის უმუშალო წინამორბედებს (თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე) და თანამედროვესთან (დავით გურამიშვილი) მიმართე-ბით ჩავუღრმავდებით, მაგრამ რუსთველისადმი მიძღვნილი პასაჟის დასასრულს მოკლედ წარმოვაჩენთ საწუთროსადმი ქართველთა უპირველესი პოეტის დამოკიდე-ბულეობას.

ასმათს „ჩალად [უჩნს] ყოვლი სოფელი“.

სანამ თავის ტრაგიკულ თავგადასავალს უამბობდეს, ავთანდილს ეუბნება ტა-რიელი:

„ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია,

მისთა ნაკვესთა წინწკალი დამეცა, ხანგრძლად მწველია...

მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,

იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან,

ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან...“

„უხანო სოფელმან“, „საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლი ხვრიტნაო“, – ამბობს ტარიელი. სხვა პასაჟში ავთანდილიც იმეორებს – „ვერ გაძღა სოფელი სისხლთა ჩემთა ხვრეტითაო“...

სიბრძნედ მიიჩნევა, თუ კაცი „საწუთროსა დაუწყნარდეს“. სოფელმა ყოველი მიმნდობი დასვა „ცრემლთა დენად“. სატრფოს განშორებული ავთანდილი საწუთროზე ამბობს, ღახვარს მიმცა, დანას მახიაო,

„აწლა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია...“

ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს“...

ავთანდილი აცნობიერებს, რომ კაცთაგან თითოეულს თავისი „წილი“ საწუთრო აქვს („მე თუ მოგკედე, ჩემი კერძი სოფელიცა გარდიფხვრევის“, თუმც სოფელს არ ამოჰკრეფს „კიტრად ბერად“).

უწყის, რომ ხორციელთაგან განგებას ვერვინ გარდავა, თავისი ავი ბედისაგან აღარაფერი უკვირს... სასოწარკვეთილ ტარიელს კი „სოფლით გაღმა გაეზიჯა“, მაგრამ კეთილისმსურველნი ურჩევენ, ვერაფერს მიაღწევ, თუ სოფელსა მოიძულე, „რად ემდურვი საწუთროს, რა უქმნია უარაკო“.

სოფლის ოქსიმორონული ბუნება გაცნობიერებული აქვს ასმათს, რომლის მრწამსითაც, „საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია,

ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია“.

აღამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს „უხანობა და სიცრუე საწუთროსა ფლდისა“.

„მიზეზი სოფლსა ასრე გასამსაღებისა“ სატრფოსთან განშორებაა...

საწუთროს ცნებას პირდაპირ უკავშირდება ცნებები ბედისა, ეტლისა - პროვიდენციისა, წინასწარგანსაზღვრულობისა – „ბ ე დ ი აზომ თურე მიკვეთსო“, ეტყვის ასმათს ტარიელის ვერმპოვნელი ავთანდილი, მისივ სიტყვით, „ვერვინ ვერას იქმს, თუ ე ტ ლ ი არ მოსთმინდების... ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდლების...“

ნესტანი საკუთარ ბედისწერას „უბედო ბედად“ იხსნიებს, სიავე როდი, მხოლოდ სიკეთე უკვირს. მხოლოდ ბრძენს აქვს სწორი დამოკიდებულება საწუთროს მიმართ –

მაღალსა და მაღლად მხედს „არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი,

ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, გინა ბედი,

სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც, ვითა ტრედი.“

ჟამიერი სასოწარკვეთისას, იტყვის, „რა ბედი მიც, ჩემი მკლველიო“.

ეპილოგის აპოკრიფულ-ინტერპოლაციურ სტროფშიც სოფლის სიმუხთლეა ხაზგასმული, ისევე, როგორც წარმავლობა და ეფემერულობა:

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.

გარდახდეს, გავლეს სოფელი. ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა“.

როგორც ზემოთ მოყვანილ (და სხვა არაერთ) სტრიქონში ჩანს, საწუთროსაგან (სოფლისაგან) გაწირულ კაცს ღმერთი არ წირავს (*წმინდა წერილის კონცეპტით*, „წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით – მე ვძლიე წუთისოფელს“, „ღევნილ ღათუ ვართ, არამედ არა დატევებულ ვართ“).

ლიტერატურა:

1. ბარამიძე აღ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 2, თბ., 1979;

2. ბასილი დიდი, ჰომილიები ექუსთა დღეთათვის, წიგნში: „თხზულებანი“, თბ., 2002;
3. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული (ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი), მეექვსე გამოცემა, თბ., 1962;
4. ბესიკი, წიგნში: „ქართული მწერლობის საუნჯე“, წ. 8, თბ., 2011;
5. ბესიკი, წიგნში: „ქართული პოეზია – თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, ბესიკი“ („საოჯახო ბიბლიოთეკის“ სერია), ტ. 9, თბ., 2010;
6. გოგიბერიძე მ., რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები, თბ., 1961;
7. იოანე ოქროპირი, ღვთივ-შვენიერი სწავლანი, ოქროს წყარო, თბ., 1905 (რეპრინტი);
8. კეკელიძე კ., ბესარიონ გაბაშვილი, წიგნში: „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ., 1981;
9. ლეონიძე გ., ბესიკი (დაბადებიდან 200 წლის გამო), თბ., 1953;
10. მოსია ტ., დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986;
11. ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, წ. 2, თბ., 1993;
12. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, ნოდარ ნათაძის შესავლით, განმარტებებითა და კომენტარებით, თბ., 1976;
13. სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, წ. 1, თბ., 1992;
14. ჩხეიძე რ., ქართული მწერლობა თვალის გადავლებით, თბ., 2015;
15. ცაიშვილი ს., ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, ქართული მწერლობა, თბ., 1990;
16. ცაიშვილი ს., შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი, თბ., 1974.

Izonera Beraia
Literary Parallels (Rustaveli/Besiki)
Summary

Besiki (Besarion Gabashvili), one of the most important representatives of Georgian poetry of 18th century, repeats and transforms a lot of paradigms and sentences of the main Georgian artist – Shota Rustaveli (12th century) as well as paradigms of the ancient Georgian spiritual poetry.

The article deals with the role and functions of Rustaveli`s paradigms in the poetry of Besiki.

Изонера Бераиа
Литературные Параллели (Руставели/Бесики)
Резюме

Бесики (Бесарион Габашвили), один из важнейших представителей грузинской поэзии XVIII- го века, повторяет и трансформирует парадигмы и сентенции Шота Руставели – величайшего поэта Грузии (также как и парадигмы древнегрузинской религиозной поэзии).

В статье рассмотрены роль и функции парадигм Руставели в поэзии Бесариона Габашвили.

ნინო ნიკოლაიშვილი
(საქართველო)

ციკლური დროისა და „ოქროს ხანის“ არქეტიპი
„ნარნიის ქრონიკებში“
ციკლური დროის მითოსური არქეტიპი

ფენტეზის ჟანრის კლასიკური ნაწარმოები ლკაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკები“ მთელი თავისი არქეტიპული და მითოლოგიური არსენალით მითოლოგიურ ტრადიციას მიჰყვება. „ქრონიკები“ კოსმოგონიური მითონარატივების კიდევ ერთი უნიკალური ვერსიაა, რომელიც ლიტერატურულად არის გადამუშავებული და შესაბამისად, კოსმოგონიების მითოსურ იდეას ბევრად სცდება. მითოსურ-არქეტიპული ქარგის შესაბამისად, „ქრონიკებშიც“ პოსტკოსმოგონიურ ეპოქას „ოქროს ხანა“ (კრეტა-იუგა) იწყებს, რომელიც თანმიმდევრული რეგრესირებადი იუგებით გრძელდება და საბოლოოდ ესქატოლოგიით – სამყაროს აღსასრულით სრულდება. მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით, შესაქმე საწყის დროში – ე.წ. In Illo Tempore-ში ხდება, რასაც სამყაროს მომდევნო ეპოქები მოსდევს – სანსკრიტული ტერმინით – „იუგები“, რომელსაც ბერძნულ ტრადიციაში ლითონის ეპოქები შეესაბამება. იუგები, თავის მხრივ, ერთიანდება კოსმოსის ერთ დიდ სასიცოცხლო ციკლში. კოსმოსის ერთ სრულ სასიცოცხლო ციკლს შემოსაზღვრავს დიდი კოსმიური ციკლი, ბერძნულ ტრადიციაში – „ეონი“, ხოლო ინდურ ტრადიციაში – მაჰაიუგა.

ამდენად, მაჰაიუგა/ეონი დაყოფილია დროის მცირე ციკლებად, იუგებად: კრიტა-იუგა, ტრეტა-იუგა, დვაპარა-იუგა, კალი-იუგა. დიდი მაჰაიუგას დასასრულს სამყარო ქაოსს უბრუნდება და ხელახლა იქმნება, თავიდან აღმოცენდება არარაღან. ციკლურობის კონცეფცია – სამყაროს პერიოდული განადგურებისა და მისი ხელახალი შესაქმის რწმენა ჯერ კიდევ „ათჰარვა ვედაში“ გვხვდება. ინდური ფილოსოფია ავითარებს და იმ მწყობრ რიტმულ სისტემას ქმნის, რომელიც შესაქმის პერიოდულობასა და კოსმიურ ნგრევას მართავს. თითოეულ იუგას წინ უძღვის „განთიადი“ და მთავრდება „საღამოს ბინდით“; ისინი ეპოქებს ერთმანეთთან აკავშირებენ [1, 147]. თანამედროვე მითოლოგანთროპოლოგი ნიკ ალენი ოთხ იუგას შორის გამოარჩევს უკანასკნელს – კალი-იუგას: „...ინდურ კოსმოგონიაშიც არის ოთხი საუკუნე, რომელთაგან მეოთხე (კალი-იუგა) სხვებისგან გამოირჩევა, რადგან ის არის ხანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ის წარმოგვიდგენს წარსულის და აწმყოს დაპირისპირებას. იუგა აუცილებლად ოთხია, ისინი თანდათან კარგავენ ღირებულებებს“ [7, 6].

ინდური მითო-რელიგიური ტრადიციის მსგავსად, კოსმიური ეპოქებისა და მასთან დაკავშირებული „მარადიული დაბრუნების“ ონტოლოგიური კონცეფცია საფუძვლიანად იყო დამუშავებული ანტიკურ ბერძნულ კოსმოლოგიაშიც. როგორც ელიადე წერს, „მარადიული დაბრუნება“ და „სამყაროს დასასრული“ უპირველეს ადგილს დაიკავებენ ბერძნულ-რომაულ კულტურაში [1, 158]. ჰესიოდე თავის თხზულებაში „სამუშაონი და დღენი“ გამოჰყოფს 5 ეპოქას, რომლებიც იმეორებენ ინდუისტური იუგების კოსმოლოგიურ სტრუქტურას, იმ ფორმალური განსხვავებით, რომ ბერძნული ტრადიცია, თავისი მითიური სახელოვანი გმირების განსაზღვრულად ხელოვნურად ამატებს „გმირთა ეპო-

ქას“. თუკი ბერძნულ ტრადიციას „გმირთა განდიდების“ ფაქტორს ჩამოვაშორებთ, დაგვრჩება იგივე ინდური დიდი მაჰაიუგას ოთხფაზიანი ციკლი. ბერძნულ კოსმოლოგიაშიც ეს ფაზები თანმიმდევრულად კარგავენ თავიანთ თავდაპირველ სრულყოფილ დირებულებას და შეუქცევადი რეგრესის კანზოზომიერებით ერთმანეთს ენაცვლება – ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ხანა. თითოეულ ეპოქას თავისი საკაცობრიო „რასა“ შეესაბამება, რასაც უნდა გამოხატავდეს კიდევ პლატონის „რესპუბლიკაში“ ჩართული მითების ცნობები, რომლის მიხედვით, ზოგი კაცი არის ოქროსი, ზოგი ვერცხლისა და დანარჩენები რკინისა და ბრინჯაოს.

საკაცობრიო „რასების“ პარალელურად, შესაძლებელია საუბარი საზოგადოებრივ „სოციალურ ფაქტორზეც“, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ემილი ლაილგ, როცა ინდურ მაჰაიუგაზე საუბრობს და მას პროტო-ინდოირანული კოსმოლოგიური ტრადიციიდან წარმოშობილად მიიჩნევს: „ჰესიოდეს რკინის ხანა არის ის, რომელშიც არის ქაოსი „საზოგადოებრივ ელემენტებს შორის“ [8, 49]. ლაილგს აზრით, ინდოეთში „ყოველი ასაკი აღნიშნება იმ ფერით, რომელიც დამახასიათებელია შესაბამისი კლასისთვის და საუკუნეები მიჰყვება იერარქიულ წესრიგს ყველაზე უკეთესიდან ყველაზე ცუდისკენ, რომელიც აერთიანებს სოციალური კლასების იერარქიას. „ინდოევროპული წარმოშობის სამი კლასის შემდეგ – ბრაჰმანა, კშატრიები და ვაიშიები“ მოდის დაშლის და განადგურების პერიოდი, რომელსაც შემდეგ მოსდევს განახლება და შემდეგი ციკლი. ეს სოციოლოგიური შერწყმის კოსმოლოგიური დოქტრინა, კანონიკური ინდოევროპული კლასების შერევა და საბოლოო თანმხლები ამბოხებები, უნდა იყოს მინიმუმ პროტო-ინდოირანული მისი შექმნის დღიდან“ [8, 49].

გუდარდი წიგნში "The Cambridge Companion to Greek Mythology", განიხილავს სამ სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროს, რომელიც გვაწვდის ცნობებს კოსმოსის ციკლური დროის იდეის შესახებ. ეს ლიტერატურული წყაროებია: დანიელის ბიბლიური წიგნი, ირანული (ზოროასტრული) რელიგიური დოკუმენტები და ინდური ეპოსი. დანიელის წიგნში აღწერილია ნაბუქოდონოსორის ხილვა. მას დაესიზმრა ქანდაკება ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სხეულის ნაწილებით, რომელიც დანიელის ინტერპრეტაციით ნიშნავდა მომდევნო სამეფოების სიძლიერის თანდათან კლებას და სულ ბოლო, რკინის იქნებოდა ყველაზე სუსტი და ყველაფრის დასასრული [9, 113]. მსგავსი ცნობებია დაცული ორ ზოროასტრულ წყაროში, ვაჰმან იასტისა (Vahman Yast) და ნედკარდ პალავის (Denkard, Pahlavi) ორივე წიგნის ავესტის (წმინდა ზოროასტრიული ტექსტების კრებული) ვერსიებში, წინასწარმეტყველმა ზარდუსტმა (ზარატუსტრა, ზოროასტრიული რელიგიის დამფუძნებელი) თავის უზენაეს ღვთაებას ოჰრამაზს უკვდავება სთხოვა, რის საფუძველზეც მას ხილვა ჰქონდა ღვთაება ოჰრამაზმას მიერ. როდესაც მას ეძინა დაინახა „ხის ფესვი“ ამ ხეზე ამოიხარდა ოთხი ტოტი – ერთი ოქროსი, ერთი ვერცხლის, ერთი ფოლადის და ერთი შერეული რკინის. ეს წინასწარმეტყველური სიზმარიც წარმოადგენს ოთხ მონაცვლეობით პერიოდს, რომლის უკანასკნელი ანუ რკინის, აქაც დასასრულზე მეტყველებს. მეოთხე ხანის დადგომისთანავე „ზარდუსტის ათასწლეული“ მთავრდება [9, 115]. „მაჰაბჰარატას“ სამ წიგნში, რომელიც აქტუალურია ძველ ეპოქებში, პანდუს ვაჟები თორმეტწლიანი გადასახლების დროს დასეირნობენ ჩრდილო ინდოეთის უკაცრიელ ადგილებში, სადაც შეხვდებიან ჰანუმანს – მაიმუნების მთავარს, რომელიც უფრო ცნობილია მეორე სანსკრიტული ეპოსიდან, „რამაიას

ნა“ – რომელიც აცნობს ბჰიშას, ოთხ იუგას. თითოეული პერიოდი გამოხატულია ღმერთი ვიშნუს (კრიშნა) მიერ და იგი თითოეული იუგასთვის დამახასიათებელ ფერს იძენს. პირველი იუგა კრეტაიუგა არის იდეალური ხანა, აქ არ არსებობს სიკვდილი, ავადმყოფობა ან ტკივილი. მიწა ნაყოფიერია. პირველი იუგა ინდო-არიული საზოგადოების პირველ ელემენტს ბრაჰმანას (სამღვდელო) კლასს შეესაბამება, ვიშნუ თეთრი ფერისაა. მეორე ხანა არის ტრეტაიუგა, აქ ვიშნუს ფერი წითელია, ის კშატრიას (მერძოლი) კლასს მიეკუთვნება. დრაჰმა მეოთხედით მცირდება. მესამე, დვაპარაიუგა, სადაც დრაჰმა ნახევრად მცირდება, კატასტროფის და ავადმყოფობის მომასწავებელია. ვიშნუს ფერი ყვითელი ხდება და ვაიშიას (მუშათა) კლასს მიეკუთვნება. მეოთხე და საბოლოო ხანაა კალიიუგა და დრაჰმას მხოლოდ მეოთხედია დარჩენილი. ეს არის ხანა სიბნელის, ავადმყოფობის, სიკვდილის. ვიშნუს ფერი არის შავი და შუდრას (მონა) კლასს მიეკუთვნება [9, 117]. იმავე წიგნში გუდარდი საუბრობს ჰესიოდეს ტერმინის „გენის“ (genos) შესახებ, რომელსაც ჰესიოდე იყენებს თავისი წარმოდგენის ფორმულირებისთვის „საუკუნეების“ მითის შესახებ. დროებითი ეპოქებისა და ხანის ნაცვლად ის ლაპარაკობს „მოკვდავი ადამიანების ოქროს გენზე“, რომელსაც მოსდევს „ვერცხლის გენი“, რომელიც ბევრად დაქვემდებარებულია ოქროსსაზე, რადგან ისინი არც სხეულში არიან და არც გონებაში. შემდეგ მოდის „მოკვდავთა მესამე გენი – ბრინჯაო“, რომელიც საერთოდ არ ჰგავს ვერცხლისას. პოეტის მიერ მეოთხე – გმირების გენის აღწერილობა სავსებით განსხვავებულია: ისინი ოქროს მსგავსი გენებია, ღვთიური გენები, უბრალოდ, უფრო სამართლიანი და კეთილშობილური, ვიდრე წინა სამი გენი. გმირების გენი აშკარად ჰესიოდეს დამატებულია. და ბოლოს „რკინის გენი“, რომელშიც არის სრული დეგრადაცია, უბედურება და ყველაფრის დასასრული [9, 141].

ციკლურობის იდეას ვხვდებით სხვა ძველი ცივილიზაციების მითოლოგიებშიც. ციკლურობის იდეა მითონარატიულად არის გაშლილი სკანდინავიური რაგნაროკის მითოსის ესქატოლოგიურ იდეოლოგიაში. სკანდინავიური უზენაესი ღმერთი ოდინი დაიბადა თითქმის დროსთან ერთად – „როცა დრო იყო ძალიან ახალგაზრდა“. ოდინმა იცის, რომ მისი სამყარო ბერდება და „მალე“ – „მის დროში“, მისი სამყარო დაიშლება და შეერწყმება პირველარსებული წყლის სტიქიას. ამერიკული ცივილიზაციების – აცტეკებისა და მაიას ცივილიზაციების მითოლოგიებში, კოსმიური ციკლურობის იდეა გამოხატულია მზის ეპოქების თანმიმდევრული ცვლით. მზის ყოველი წინა ეპოქა ნადგურდება და ახალი მზის ეპოქა იწყება [3, 176].

კოსმიური მცირე ციკლების/იუგების იდეაში უმნიშვნელოვანესია საწყისი იუგა/ხანა, რომელიც არის სრულყოფილი, უცოდველი და უკვდავი საკაცობრიო თაობის ხანა. ამ საწყის იუგას თავისი სრულყოფილებიდან გამომდინარე შეესაბამება ოქროს ლითონი და იწოდება „ოქროს ხანად“, აგრეთვე – „მარადიული ზაფხულის“ ხანად. ოქროს ხანა სხვადასხვა რელიგიებში სხვადასხვა ნარატიული თუ ონტოლოგიური ფორმით გვხვდება, მაგ., იუდაისტურ რელიგიებში ეს არის ადამიანის სამოთხეში ყოფნის პერიოდი. არქაულ რელიგიებში სამოთხის ხანა ადამიანის უკვდავებასა და ღვთაებასთან უშუალო ახლო კავშირს უკავშირდება, რომლის დაკარგვის ნოსტალგია გარკვეულ „ტრაგედია“ გასდევს მთელ საკაცობრიო შემდგომ ცხოვრებას [2, 88-107].

ნარნიის საწყისი დრო – „მარადიული ზფხულის“ / „ოქროს ხანის“ არქეტიპი

ნარნიის შესაქმნე, რომელიც კოსმოგონიური მითოსის არქეტიპულ სტრუქტურას იმეორებს და ციკლურობის კონცეფციას ახორციელებს, საწყისი დროის სრულყოფილი ფაზით იწყება: ნარნიის სახით წარმოდგენილია ოქროს ხანის, პირველი, სამოთხისეპური, კრიტა-იუგას არქეტიპის ლიტერატურულ-მხატვრული მოდელი. „ნარნიის ქრონიკებში“ ავტორი ამაზე ხაზგასმულად მიგვითითებს.

კლავი ლუისი ნარნიას „ოქროს ხანის“ უამრავ ნიშან-თვისებას მიაწერს და „მარადიული ზაფხულის“ არქეტიპულ ხაზს ავითარებს. ამას მოწმობს ის ნაყოფიერი მიწაც, რომელიც ნარნიაშია და რომელზეც ყველაფერი ყვავის და ყველაფერი ნაყოფიერდება. „ჩვენ ისეთ მიწაზე ვდგავართ, სადაც ყველაფერი ხარობს, თვით ლამპიონიც კი. სადაც ყველაფერი იზრდება, იფურჩქნება და ხარობს“ [4, 113], – ნათქვამია „ნარნიის ქრონიკების“ პირველ წიგნში. ნარნიის არსებობის პირველი ხანა რომ „მარადიული ზაფხულის“ ოქროს ხანაა ეს ფაენის მონათხრობიდანაც ჩანს. გარდერობიდან ნარნიაში მოხვედრილ ლუისის შეხვდა ფაენი, რომელიც ძველი ნარნიის შესახებ მოუყვა: „... უყვებოდა იმ ზაფხულზე, როცა ტყეები მწვანედ ჰყვოდნენ და მათ სტუმრად გასუქებულ სახედარზე ამხედრებული მოხუცი სილენოსი ეწვეოდათ ხოლმე, ხანდახან კი – თავად ბახუსიც. მაშინ თურმე ნაკადულები ღვინოდ იქცოდნენ და მთელი ტყე კვირების განმავლობაში ღხენას ეძლეოდა“ [4, 21]. „ნარნიის ქრონიკების“ სხვა წიგნშიც – „უფლისწულ კასპიანში“, პატარა უფლისწული თავის ბიძას, მეფე მირაზს უყვება იმ ძველი ნარნიის შესახებ, როცა „ყველაფერი სხვაგვარად იყო“, „როცა ცხოველები ლაპარაკობდნენ, როცა ნაკადულებსა და ხეებში სასიამოვნო ხალხი ცხოვრობდა. მათ ნიადები და დრიადები ერქვათ. და კიდევ ჯუჯები. ტყეში – საყვარელი, პატარა ფაენები. მაშინ თავგადასავლებიც იყო და ბრძოლებიც“ [5, 47]. წიგნში „ჯადოქრის დისწული“, დიგორის ბიძა, ჯადოქარი, რომელმაც ბავშვები ბეჭდებით სხვა სამყაროში გააგზავნა, ამბობს: „მე ისეთი სამყარო აღმოვაჩინე, სადაც ყველაფერი იზრდება, იფურჩქნება და ხარობს! კოლუმბი? მათ პირზე სულ კოლუმბი აკერიათ, მაგრამ განა ამერიკა ამ ადგილს შეედრება? ამ ქვეყნის კომერციული შესაძლებლობები უსაზღვროა. აქ რომ ერთი-ორი რკინის ნაგლეჯი მომატანინა და მიწაში დამამარხვინა, წამში სრულიად ცინცხალი ღიანდაგები, ლოკომოტივები გაჩნდება... საბრძოლო გემები და ყველაფერი, რაც სულს და გულს მოესურვება“ [4, 113].

მარადიული ზაფხულის/ოქროს ხანის არქეტიპის ნარატიული ხაზის განვითარების პარალელურად, ლუისი ტერმინოლოგიური არსენალით ცდილობს ნარნიის სამყაროსა და მითოლოგიური „ოქროს ხანის“ იდენტიფიცირებას. ტერმინოლოგიური დამოწმება „ნარნიის ქრონიკების“ სხვადასხვა წიგნში ძალიან თვალსაჩინოდ ხუთჯერ მაინც ფიქსირდება:

1. „უფლისწულ კასპიანში“ აღმზრდელი კასპიანს აძლევს საყვირს და თან ეუბნება – „ეს თვით დედოფალ სუზენის ჯადოსნური საყვირია, რომელიც მან ნარნიიდან გაუჩინარებამდე და **ოქროს ხანის** დასრულებამდე აქ დატოვა“ [5, 65]. ეს სიტყვები ორმაგად საყურადღებოა, რადგან ერთი მხრივ, ადასტურებს ნარნიას „ოქროს ხანის“ არსებობას და მეორე მხრივ, ამ პირველი ეპოქის დასასრულს, რაც ბუნებრივად უფლისხმობს მომდევნო ხანის/იუგის დადგომასა და შესაბამისად, ნაწარმოებში ციკლურობის იდეის განვითარებას.

2. ამავე წიგნში აღმზრდელი კასპიანის შეკითხვაზე – მართლაც არსებობდნენ თუ არა ძველი მეფეები, დედოფლები და კუდიანი, პასუხობს: „რასაკვირველია, ნარნიის ისტორიაში მათი მეფობა ოქროს ხანის სახელით შევიდა. ამ მიწა-წყალს ისინი არასოდეს დაუვიწყნია“ [5, 58].

3. ამავე წიგნში პიტერი, ნარნიის პირველი მეფე და ამავე დროს ბავშვებს შორის ერთ-ერთი, რომელმაც არაერთხელ იხსნა ნარნია მტრებისგან, „ცდილობს გაიხსენოს ის ენა, რომლითაც დიდი ხნის წინ, ოქროს ხანაში მსგავს ტექსტებს წერდა“ [5, 172].

4. „ნარნიის ქრონიკების“ ერთ-ერთი წიგნი – „ცხენი და მისი ბიჭუნა“, სწორედ ასე იწყება: „ეს ამბავი ნარნიაში, კალორმენსა და მათ მიმდებარე მხარეებში სწორედ მაშინ მოხდა, როცა ნარნიაში ოქროს ხანა იდგა და ქვეყანაში მეფეთმეფე პიტერი მეფობდა“ [6, 11].

5. ამავე წიგნში ზღარბი უყვება შახტას, თუ როგორ დადგა ნარნიაში ოქროს ხანა ჯადოქრის განადგურების შემდეგ: „კუდიანის დამარცხებისა და მარადიული ზამთრის წასვლის შემდეგ ნარნიაში ოქროს ხანა დადგა“ [6, 167].

ამდენად, „ნარნიის ქრონიკებში“ კ. ს. ლუისი მიზანმიმართულად ახორციელებს მითოლოგიურ კოსმოლოგიურ სქემას – სტრუქტურას: ნარნიის შესაქმე და მისი კოსმოლოგიური რიტმი კოსმიური ციკლური დროის რიტმით არის გამყარებული: იგი იწყება „ოქროს ხანით“ და გრძელდება თანმიმდევრული რეგრესირებადი იუგებით – ნარნიის არსებობის ახალ-ახალი ფაზებით.

ამასთან, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მითოლოგიური ციკლების კონცეფცია მრავალფეროვანი მითებით გადმოგვცემს იმ ესქატოლოგიურ ტენდენციებს, დიდი თუ მცირე მასშტაბის კრიზისებს, რომელიც ჩვეულებრივ, ერთი იუგადან მეორეში გადასვლას მოსდევს და საბოლოოდ დიდი ესქატოლოგიით – სამყაროს საბოლოო განადგურებით სრულდება, რომლის შემდეგ სრულიად ახალი შესაქმე უნდა დაიწყოს. **სწორედ ეს იუგებს ფაზებს შორის გარდამავალი ესქატოლოგიური კრიზისები გვევლინება „ნარნიის ქრონიკების“ სხვადასხვა წიგნის შემაკავშირებელ სტრუქტურულ ღერძად.** „ქრონიკის“ თითოეული წიგნის კრიზისი მითოლოგიური კოსმიური ციკლების გარდამავალი კრიზისებია. ლუისი ზუსტად მიჰყვება და იმეორებს „გადასვლების კრიზისების“ მითოლოგიურ ტრადიციასაც.

ლიტერატურა:

1. ელიაღე მ., მარადიული დაბრუნების მითი, გამომცემლობა „ალეფი“, თბ., 2017;
2. ელიაღე მ., მითები, სიზმრები და მისტერიები, გამომცემლობა „ალეფი“, თბ., 2018;
3. თავდგირიძე ს., არქეტიპები, სტრუქტურები, მოდელები: შედარებითი მითოლოგია, გამომცემლობა „ალეფი“, თბ., 2021;
4. ლუისი კ. ლ., ჯადოქრის დისწული, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, ბათუმი, 2015;
5. ლუისი კ. ლ., უფლისწული კასპიანი, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, ბათუმი, 2016;
6. ლუისი კ. ს., ცხენი და მისი ბიჭუნა, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, ბათუმი, 2016;
7. Allen N. J., Irma, Pentads And Catastrophes, Ollodagos, Brussels, 2000;

8. Lyle E., Ten Gods. A New Approach to Defining the Mythological Structures of the Indo-Europeans, Cambridge Scholar Publishing, 2012;
9. Wodard D. R., The Cambridge Companion to Greek Mythology, Cambridge University Press, 2009.

Nino Nikolaishvili

The Archetype of Cyclical Time and the Golden Age in "The Chronicles of Narnia"

Mythological Archetype of Cyclical Time

Summary

The creation of Narnia repeats the archetypal structure of cosmogonic myth. According to the mythological tradition, the creation takes place in Illo Tempore, which is followed by the next epochs of the world – in the Sanskrit term – "Yugas", which in the Greek tradition corresponds to the metal epochs. Yugas in turn are united in one large life cycle of the cosmos.

The concept of mythological cycles with a variety of myths narrates the eschatological tendencies, large or small-scale crises, which usually follow the transition from one yuga to another, and finally end with a large eschatology – the final destruction of the universe, after which a whole new creation must begin.

In the "Chronicles of Narnia" K. S. Lewis purposefully implements the mythological cosmological scheme-structure: the creation of Narnia and its cosmological rhythm is reinforced by the rhythm of the cosmic cyclic time: it begins with the "Golden Age" and continues with successive regressive jugas – new phases of Narnia's existence.

These transitional eschatological crises between Yugas / phases appear to be the structural axis connecting the various books by "The Chronicles of Narnia". The crises of each book in "The Chronicles of Narnia" are transient crises of mythological cosmic cycles. Lewis follows exactly and repeats the mythological tradition of "transition crises".

Нино Николаишвили

Архетип циклического времени и Золотой век в «Хрониках Нарнии»

Мифологический архетип циклического времени

Резюме

Сотворение Нарнии повторяет архетипическую структуру космогонического мифа. Согласно мифологической традиции, сотворение произошло в ранние времена, в т.н. Illo Tempore, за которым последовали следующие эпохи мира – на санскрите – «юги», что в греческой традиции соответствует эпохе металла. «Юги», в свою очередь, объединяются в один большой жизненный цикл космоса.

Концепция мифологических циклов с помощью множества мифов передает эсхатологические тенденции, большие или маломасштабные кризисы, которые обычно следуют за переходом от одной «юги» к другой и, наконец, заканчиваются большой эсхатологией – окончательным разрушением Вселенной, после которой должно начаться совершенно новое сотворение.

В «Хрониках Нарнии» К. С. Льюис целенаправленно реализует мифологическую космологическую схему-структуру: сотворение Нарнии и ее космологический ритм подкрепляется ритмом космического циклического времени: оно начинается с «Золотого века» и продолжается последовательными регрессивными «югами» – новыми фазами существования Нарнии.

Именно эти переходные эсхатологические кризисы между «югами» – фазами – являются структурной осью, соединяющей различные книги «Хроник Нарнии». Кризисы каждой книги в «Хрониках Нарнии» – это переходные кризисы мифологических космических циклов. Льюис в точности следует и повторяет мифологическую традицию «переходных кризисов».

გვანცა ნარმანია
(საქართველო)

პონცეპტი „ლანდშაფტი“ გურამ რჩეულიშვილის
მოთხრობებში (მსკიზი)

გურამ რჩეულიშვილი მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის გარდამავალი ეპოქის ყველაზე გამორჩეული სახელია ქართულ ლიტერატურაში.

ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში, უამრავ სხვა პლასტთან ერთად, აქტუალურია ლანდშაფტის ხატვის განსაკუთრებული ხელოვნება. მწერალი ფერმწერის სიფაქიზითა და უმახვილესი თვალთ აღიქვამს საქართველოს განუქმორებელ ბუნებას, ზღვისა თუ მთის ულამაზეს პეიზაჟებს და მათ მხატვრულ რეპრეზენტირებას ახდენს.

წერილში ამოვხატავთ რამდენიმე პეიზაჟს, რათა წარმოვჩინოთ გურამ რჩეულიშვილი, როგორც გამორჩეული „ფერმწერი“.

„აღმოსავლეთის მხარეს სქელი, შავი ღრუბლები მზის ამოსვლას ხელს უშლიდნენ. ღრუბლების ქვედა ნაწილი მთებზე იყო მიკრული, ზედას ცეცხლისფერი ჰქონდა დადებული. მათ უკნიდან მნათობი სწორ სხივებს აგზავნიდა უსასრულობაში“ [2, 71]. პასაჟში ავტორი აღწერს, რამდენად ლამაზია მზის ამოსვლა, მაგრამ როგორ შეიძლება ულამაზესი კადრი გადაფაროს ღრუბლების გადაადგილებამ.

საინტერესოა, რომ მსგავს „კადრს“ ქართული ენა სპეციალურ სახელს უძებნის და „ერისიონს“ არქმევს.

სხვა პასაჟში კვლავ წყვილდება მზე და ღრუბელი: „ცაზე ღრუბლები დაიხლიჩა და მზემ გამოანათა. ჰაერი ჩაიხუთა. გორგოლები ნავალში და ცხენის ფლოქვების დანადგამებში დაგროვილმა წვიმის წყალმა აორთქლება დაიწყო. ღრუბლები ისევ შეიკრა, მერე სხვა ადგილას გაიხლიჩა. მზემ უფრო მაგრად დააცხუნა: მოთენთილი ბუზები ნელა ამოდრავდნენ ნაგვის ყუთზე“ [3, 244].

მწერლის ყურადღების მიღმა არ რჩება, ერთი შეხედვით, ისეთი უმნიშვნელო დეტალები, როგორებიცაა ფლოქვების ნადგამში ჩაგუბებული წყალი და მოთენთილი ბუზები. დეტალის აქცენტირებით ავტორი დამატებით გამომსახველობას სძენს „კადრს“. როგორც რიგით მკითხველს, პირადად მე, ზემოთ დამოწმებული ციტატა სადღეადორ დალის ტილოების დეტალიზაციას მომაგონებს – დეტალის, წვრილმანის პედალირებას.

აბსოლუტურად განსხვავებულია „კადრი“ სხვა ტექსტიდან: „სქელი თოვლი ფეხქვეშ ხრაჭუნობდა; ზევიდან ახალი მოდიოდა. მერე თოვლი შეწყდა. ღრუბლებმა გადაიყარა. აცივდა“ [3, 20].

პირველი ორი ციტატისაგან განსხვავებით, ქრომატული პალიტრა დამოწმებულ პასაჟში ღარიბია, ფაქტობრივად, უფერო/უფერული. მწერლისათვის ფერზე უფრო მნიშვნელოვანი, ვფიქრობთ, აღნიშნულ ეპიზოდში პერსონაჟის პერსონალური შეგრძნებაა. ზმნა-შემასმენელი „აცივდა“ აქ ხაზს უსვამს, რომ უნივერსუმი თითქოს უკან იხევს, რათა ადამიანის (ღვთის ხატებისა და მსგავსების) პერსონალური შეგრძნებები გაამკვეთროს, მეტიც – ფონად ექცეს.

ტექნიკის თვალსაზრისით, საინტერესოდ გვეჩვენა შემდეგი პასაჟის არქიტექტონიკა: „ჯერ მთის წვერი შეიღება, მერე – ფერდები, მერე – ხეობა და შიგ მდგარი სახლი“ [3, 44].

ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია მოვლენათა თანმიმდევრობა, რაც გამკვეთრებულია სიტყვით „შემდეგ“ – ავტორი თითქოს კვალდაკვალ მიჰყვება ფაქტს და მკითხველსაც მიიყოლებს. მწერალი არ აკონკრეტებს, რა ფერით „იღებება“ ლანდშაფტი, თითქოს თანაშემოქმედად გაიხდის მკითხველს, აძლევს სრულ თავისუფლებას იმის წარმოსადგენად, ეს საღებავი ენდროსფერია, მეწამული, ნარინჯისფერი თუ სულაც რაღაც სახელდაურქმეველი ფერი, რასაც მკითხველი საკუთარ წარმოსახვაში შექმნის.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ რჩეულიშვილი მარინისტი (ზღვის) „მხატვარია“ – აივაზოვსკივით. ზღვის მისეული პეიზაჟები ამ საოცარი სტიქიისადმი დიდ სიყვარულს, მოწიწებას ირეკლავს, თითქოს ზღვა უსულო სტიქიონი კი არა, პერსონალურობის მქონეა. მწერალი აღიქვამს სტიქიონის გრადაციებს და მხატვრულ სიტყვად რეფლექსირებს: „შორს ვცურავ ტალღებში. დილით ზღვა წყნარია ხოლმე, მერე ქარი უბერავს. ზვირთებში ქვევიდან ვძვრები. ან ზედ ვყვები. ახლა ვღვავარ ქვიშაზე. მზე ეფერება დრუბელს. ქარი უბერავს და ოდნავ ცივა“ [3, 172].

როგორც ზემოთ დამოწმებულ პასაჟში, აქაც „ცივა“ და აქაც უხილავი ძაფები გაიბმის მიკრო (ადამიანს) და მაკროკოსმოსს (უნივერსუმს) შორის. „კადრი“ აქაც მოძრავია – რჩეულიშვილისეული პეიზაჟი არასოდესაა სტატიკური – დინამიკურობა მისი უპირველესი მახასიათებელია (ვფიქრობთ, ციტირებულ ეპიზოდში ამ დინამიზმს ამკვეთრებს დეტალი – „ზვირთებში ქვევიდან ვძვრები“).

პუანტილისტური მონასმია შემდეგი პასაჟი: „ზევით მთა წყდება თუ დრუბელს უერთდება. დრუბელი შავია და ბნელი. რატომღაც ვგრძნობ წვიმას. გაზაფხულია. წვიმა მოდის სქელ წვეთებად და ხშირი. ტკაპუნობს“ [3, 200]. როდესაც წერის (კონკრეტული პასაჟის „ხატვის“) პუანტილისტურ მანერას გავუსვით ხაზი, ვგულისხმობდით გავრცობილი წინადადებების პარალელურად სახელდებითი წინადადების არსებობას.

ვაქასეული ენიგმა „ნისლი ფიქრია მთებისა“ რჩეულიშვილის ქვემოთ მოხმობილი პასაჟის ერთგვარ წანამდვრად თუ ინსპირაციად გვესახება: „მზესთან ერთად ხეობიდან ნისლებმაც დაიწყეს ამოსვლა. ჯერ მთების კალთები კიდევა ჩანდა, მერე ისინიც ნისლში გაეხვივნენ, მერე ნისლები ზევით ამოვიდა და ჩვენც დაგვმაღლა. როცა ნისლი გაიფანტა, მზე აცხუნებდა“ [2, 211], ოღონდ, განსხვავებით ვაქასაგან, რჩეულიშვილისეულ „კადრში“ ნისლს მზე გადაფარავს.

მთა, მზე და ნისლი სხვა ციტატაშიც პარალელიზდება: „სადღაც, მთის წვერზე, მზის სხივი დაეცა, მერე ქვევით ჩაიპარა და ხეობიდან ნისლები ამოყარა. ნისლები დიდ ან პატარა ნაფლეთებად მიდიოდნენ ზევით, მერე ერთდებოდნენ, ხეობა ახლა რძისფერი გახდა“ [2, 237]. ქრომატულ პალიტრაზე ჩნდება რჩეულიშვილის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფერი – რძისფერი, რაც, ენიგმურ დონეზე, მთის სივრცის სიწმინდეზე, სისპეტაკეზე მინიშნებაა.

თუკი ნისლი მთის სივრცეში ბუნებრივი „მონასმია“, პირველყოფილი შეურყენელობის ენიგმა, ურბანისტულ გარემოში მას გულისგამაწვრილებლობის ნიუანსი დაჰკრავს: „ზედიზედ მიეწყო ნესტიანი ამინდები, დაბლა დაწოლილი ნისლი ბოლს არ უშვებდა ქალაქიდან“ [4, 47]. სიმპტომატურია, რომ „ნისლი“ აქ „ბოლ-

თან“ პარალელიზდება. ნისლი პასტორალური სივრცის პარადიგმაა, ბოლი – ურბანისტულია.

ურბანისტულ გარემოშიც ჭკერებს მწერლის ფაქიზი თვალი მშვენიერებას: „მშვენიერი დღე იდგა გარეთ. დილით შეკრული ცა სამ-ოთხ ადგილას იყო გახლეჩილი, ნაწვიმარზე მზე ხალისიანად ანათებდა გუბურებს“ [4, 75].

გაპიროვნების ხერხით მწერალი უნივერსუმის კეთილგანწყობას აფიქსირებს ადამიანთა სამყოფლისადმი – გუბურებში არეკლილი სხივები ხალისიანი მზისა მეტყველი პარადიგმაა. ამ კონკრეტულ პასაჟშიც არ აკონკრეტებს ავტორი ფერს, თუმც მკითხველი ხვდება, რომ გარდატეხილი სხივები ცისარტყელას შვიდივე ფერად ბრწყინავს.

ფერის ნაცვლად, კვლავ პერსონაჟის პერსონალურ განცდას აქცენტირებს მწერალი პასაჟში: „მზემ უფრო მაღლა აიწია, უთოვლო ზამთარში სასიამოვნოდ დათბა“ [4, 163]. თუკი ზემოთმოყვანილ სხვა ეპიზოდებში სიცივე პედალირდებოდა, უკანასკნელში გამკვეთრებულია სასიამოვნო სითბო.

შებინდების სურათს ამკვეთრებს ლეგა დრუბლების აქცენტირება ქვემოთ დამოწმებულ პასაჟში: „უკვე სადამოვდებოდა, მჭიდრო დრუბლები მოიკრიბა ცის თავზე, მერე დინჯად დაიწყო თოვა“ [4, 170].

თხრობის დინამიზმის გასაოცარ ნიმუშად მივიჩნევთ „მზის თხელი ჩრდილის სირბილს/გადარბენას“ ქვემოთ დამოწმებულ ეპიზოდში: „მზეს უკვე დაეწია დასავლეთისკენ და მისი თხელი ჩრდილი სასიამოვნოდ მირბოდა გზაზე დაყრილ გორაკებზე“ [4, 206].

ვფიქრობთ, ულამაზეს მხატვრულ სახეს სთავაზობს მწერალი მკითხველს, „თხელი ჩრდილი“ კი, საერთოდ, ორიგინალური სინტაგმაა, პროზაიკოსზე მეტად, პოეტისაგან მოსალოდნელი (მიგვაჩნია, რომ გურამ რჩეულიშვილის პროზის პოეტური ობერტონები თავის მკვლევარს ელის).

„მორბენალი მზის“ გარდა, „მორბენალ ქარსაც“ ვაწყდებით გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ ლანდშაფტში: „საშინელი ზამთარი იდგა, დიდი ზვავეები ზრიალით წვებოდნენ ხეობაში, ქარი ოთხივე მხრივ წივილით გარბოდა ჯვარედინ ხეობაში“ [4, 221].

ზემოთ საღვადორ დალი ვახსენეთ. რჩეულიშვილსეულმა სინტაგმამ – „ჯვარედინმა ხეობამ“ კი ბორხესის ენიგმური სივრცის ასოციაცია გაგვიჩინა, კერძოდ, ცნობილი მოთხრობისა „სადაც გზები იტოტებიან“.

მორიგ პასაჟად დავიმოწმებთ ულამაზეს ამონარიდს, უფრო ზუსტად, კადრს: „ბოლო სხივებმა მიატოვეს კავკასიონის თოვლები და მასთან ერთად ბინდში ჩაფლეს წაბლისფერ-მოწითალო შემოდგომის ტყეც. ჩავიდა მზე“ [4, 280].

ციტატა მრავალ ასოციაციას აჩენს, მაგალითად, „გალაკტიონის უკანასკნელი შუქები ურჩისა“ თუ სულხან-საბასეული განმარტებისა სიტყვისა „ხაზალი“ – „შემოდგომის ტყის ფოთოლთ ფერადოვნება“ [1, 283] (*ხაზალი სპარსულად „შემოდგომას“ აღნიშნავს – ვ.ნ.*).

წერილს დავასრულებთ გურამ რჩეულიშვილის დიდოსტატობის დამადასტურებელი კიდევ ერთი „კადრით“: „შეუმჩნევლად ეპარება ღამეს ფერი; ამოდის მზე; დგება დილა უწვიმოდ, სავსე, სიცხიანი ბარაქიანი ყურძნისთვის ნამდვილი კახური დღე, როცა მზე პირდაპირ შუაგულში აჭერს დედამიწას“ [3, 283].

ვეიქრობთ, მნიშვნელოვანი კადრია – მზისა და მიწის საკრალური ერთობის, უნივერსუმის ჰარმონიულობის „ჰომეოფელი“.

ზემოთ მოყვანილი რამდენიმე პასაჟიც ადასტურებს, რომ გურამ რჩეულიშვილი არა მხოლოდ შესანიშნავი მწერალია, თითქოს ფერმწერიცაა – მშობლიური ლანდშაფტის მხატვრულ ტილოზე დიდოსტატურად გადამტანი.

ლიტერატურა:

1. ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, 2, თბ., 1993;
2. რჩეულიშვილი გ., თხზულებანი, ტ.1, თბ., 2012;
3. რჩეულიშვილი გ., თხზულებანი, ტ. 2, თბ., 2012;
4. რჩეულიშვილი გ., თხზულებანი, ტ. 3, თბ., 2012.

Gvantsa Narmania
Guram Rcheulishvili`s Landscape
Summary

Guram Rcheulishvili was one of the most important representatives of 50s of the 20th century. The article deals with the role of landscape in the short-stories of the artist. We have studied paradigms of the Sun, the sea, mountains, clouds, rain... and main colours, palette, range of expression of Rcheulishvili`s literary texts.

Гванца Нармания
Ландшафт Гурама Рчеулишвили
Резюме

Гурам Рчеулишвили – важнейший представитель грузинской литературы 50-х годов XX -го века. В статье отражена роль ландшафта в рассказах писателя, изучены парадигмы «Солнце», «море», «горы», «облака», «дождь», хроматическая палитра литературных текстов.

ისტორია და ეთნოგრაფია
– HISTORY AND ETHNOGRAPHY – ИСТОРИЯ И ЭТНОГРАФИЯ

კობა ოკუჯავა
(საქართველო)

მზის კულტი
ჩერქეზთა სინკრეტულ სარწმუნოებაში

ჩერქეზთა სინკრეტული სარწმუნოება წარმართობის, ქრისტიანობისა და, ნაწილობრივ, ისლამის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. მასში მკაფიოდ იყო წარმონეწილი წარმართული პანთეონი, რომელსაც სათავეში თჰა (ღმერთი), უფრო ზუსტად, თჰაშხო (დიდი ღმერთი) ედგა.

ჩერქეზთა წარმოდგენით, თჰა ყოველივეს შემოქმედია. მან შექმნა შვიდი დღის განმავლობაში სამყარო და ადამიანი. თჰა, რომლის სამყოფელი ზეცაშია, არის ყველგან და ყოველივეში. ის განაგებს არა მარტო ადამიანს, არამედ სხვა ღმერთებსაც. ამასთან, ის ღმერთებისა და ადამიანის ქმედებაში უშუალოდ კი არ მონაწილეობს, არამედ არის მხოლოდ უმაღლესი მსაჯული ღმერთებსა და ადამიანს შორის იშვიათად წარმოქმნილი უთანხმოებისას [19, 21].

თჰაშხოს პატივსაცემად ჩერქეზები ყოველწლიურად აწყობდნენ დღესასწაულს საგალობლებისა და სარიტუალო ცეკვების თანხლებით. გარდა ამისა, ყოველი წარმართული რიტუალი თჰას სახელით იწყებოდა და მისივე სახელით სრულდებოდა [19, 74].

ჩერქეზთა სარწმუნოებაში თჰა დიდი ღმერთია და შემოქმედი, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ის ამგვარი სახით ქრისტიანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა. ქრისტიანობის გავრცელებამდის თჰა ჩერქეზთა წინაპრებში მზე ღმერთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაზედაც ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი მიუთითებს. ადიღური „თჰა“ (ღმერთი) ამავე ადიღური „თლა“ (მზე) სიტყვის ფონეტიკურად და სემანტიკურად შეცვლილ სახეობას წარმოადგენს. თჰა (ღმერთი) თლა (მზე) ფუძის ვარიანტია. შესაბამისად, კვირადღის აღმნიშვნელი ადიღური სიტყვა თჰაუმაფ, რაც ღმერთის დღეს ნიშნავს, პირვანდელი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო მზის, უფრო ზუსტად, მზე ღმერთის დღე, მეგრულ-ლაზური ჟამსახა-ჟაჩხას მსგავსად, რაც, ასევე, მზის ღვთაების დღეს ნიშნავს [5, 45].

რიტუალი თჰას პატივსაცემად ქედის მზისპირა მხარეს აღმართული კერპის წინ სრულდებოდა. ის, არსებითად, მზის, როგორც ღმერთის თაყვანისცემის გამოხატულება იყო [19, 26].

აღსანიშნავია, რომ სვანეთშიც მზე ქალღმერთის სადიდებლად წესს სახლში მზის მხარეს, ან აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან ასრულებდნენ [1; 7].

მზის კულტის არსებობა განვითარებული კულტურის მიმანიშნებელია. ჩერქეზთა და, საერთოდ, კავკასიელი ხალხების წინაპრებში ქვეყნიერების ოთხი კუთხის მანათობელი მზე, როგორც ნაყოფიერებისა და სიუხვის მფარველი ქალღმერ-

თი, უძველესი ხანიდან არის ცნობილი. კავკასიელთა წინაპრებში უძველესი ხანიდან არის ცნობილი, აგრეთვე, მზე ქალღმერთის სიმბოლო – ტომკლავა ჯვარი.

კავკასიის ამ ნაწილში რომ მზის კულტი უძველესი ხანიდან არსებობდა, მიუთითებს ძველი წელთა აღრიცხვის დაახლოებით XXIII-XX საუკუნეების მეგალითურ ნაგებობებზე, დოლმენებზე გამოსახული სოლარული ნიშნები, მათ შორის – ჯვარი წრეში [14, 217].

სინკრეტული სარწმუნოების აღმსარებელ ჩერქეზებს სალოცავად განკუთვნილი ნაგებობა არ გააჩნდათ. ყოველი დიდი რელიგიური რიტუალი სრულდებოდა წმინდა ტყეში: ეკლესიის ნანგრევებთან, ან წმინდა ხის ქვეშ აღმართულ ჯვართან, ან მესხაკრავ ხესთან, ან კიდევ დოლმენტან.

დოლმენებს ფასადის მხრიდან აუცილებლად ეკვროდათ გრძელი ქვებით ან უხეშად გამოთლილი ლოდებით შემოსაზღვრული მცირე მოედანი, რომელიც დოლმენტან ერთად ერთგვარი ტაძრის ფუნქციას ასრულებდა [12, 103].

უძველესი ხანის ეს მეგალითური ნაგებობანი მზის კულტთან იყო დაკავშირებული, რაზედაც აშკარად მეტყველებენ მისი პორტალური ნაწილის მიმართულება მზის მხარეს, სოლარული ნიშნები დოლმენის ფასზე და იშვიათად, მაგრამ მაინც, დოლმენის შემოსაზღვრა კრომლევით, რაც იგივე მზის სიმბოლოა, მიწაზე გამოსახული [14, 210].

დოლმენი მიცვალებულის განსასვენებელია. ამ მხარის უძველესი მოსახლეობის რწმენით, მასში ჩასვენებულ წინაპარს მისი შთამომავლობის გამრავლებასა და ქონების სიუხვეზე მაგიური ზემოქმედების ძალა გააჩნდა [14, 215].

რთულია იმის გარკვევა, თუ რამდენად იყო ცნობილი ჩერქეზებისთვის გვიან შუა საუკუნეებში დოლმენის უძველესი მნიშვნელობა, მაგრამ ცხადია, რომ მათ, ერთი მხრივ, ოდესღაც ბუმბერაზთა მიერ აგებულ სახლებად მიჩნევდნენ [18; 13], მეორე მხრივ, მათი წარმოდგენით დოლმენები წინაპართა კულტთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან ისინი ძველ საძვალეებს წარმოადგენდნენ [14; 3].

სწორედ ამგვარი წარმოდგენის გამო ჩერქეზები ამ უძველეს ნაგებობებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, განსხვავებით აქ მუჰაჯირობის შემდეგ დამკვიდრებული რუსული მოსახლეობისგან, რომლისთვისაც დოლმენს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნდა და მათ მასიურად ანადგურებდნენ [18; 7].

ადრეულ შუა საუკუნეებში ჩერქეზეთი ბიზანტიის მეოხებით ქრისტიანდება, მაგრამ ქრისტეს რჯული კავკასიის ამ მხარეში, ძირითადად, მაინც საქართველოდან გავრცელდა, რაზედაც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ქრისტიანობის მთავარ სიმბოლოს ჩერქეზები ქართულ სიტყვას – „ჯვარი“ (ჯორ) უწოდებდნენ.

ჯვართან (შესაბამისად, მზესთან) დაკავშირებული უძველესი წეს-ჩვეულებები თანდათანობით ქრისტიანულს შეერწყა და გვიანობამდის შემორჩა. ამგვარი სინკრეტიზმი, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ ქრისტიანთათვის უმთავრესი ნიშანხატი ჯვარი წარმართებისთვისაც სათაყვანო იყო, როგორც მზის ქალღმერთის მთავარი იპოსტასი [9, 171]; თავის მხრივ, ქრისტიანებიც მზეს დიდ პატივს მიაგებდნენ, როგორც ღმრთის სიმბოლოს. წმინდა წიგნში მითითებულია კიდევ – „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფსალმ. 83, 12), ხოლო იესო – „მზე სიმართლისა“ (მალაქ. 4, 2) – ფერიცვალებისას „იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკი, ვითარცა ნათელი“ (მათე, 17, 2).

XV საუკუნის შემდეგ, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობა დაკნინდა, ჯვარმა თავისი ძველი მნიშვნელობა დაკარგა და არსებითად წარმართულ კერპად გადაიქცა, თუმცა მას კვლავინდებურად ძველი ქართული სიტყვა „ჯორ“-ით აღნიშნავდნენ [7, 70].

შავიზღვისპირა ჩერქეზეთში ყოველი ჯვრის პატივსაცემად ცალკე, საკუთარი დღე ჰქონდათ მიხენილი. წმინდა მუხნარში აღმართულ ჯვართან მლოცველები ღმერთს სთხოვდნენ, აეცილებინა მათთვის ომი, ჭირი და სხვა უბედურებანი, ეწყალობინა უხვი მოსავალი და ბედნიერება [4, 79].

ჯვრის დღესასწაული წელიწადში ექვსჯერ – თებერვლის, აპრილის, ივნისის, აგვისტოს, ოქტომბრისა და დეკემბრის პირველ კვირა დღეს უნდა შესრულებულიყო [10, 626].

კვირა დღეს იმიტომ, რომ წარმართულ კავკასიაშიც ეს დღე მზე ქალღმერთის დღედ იყო მიხნეული.

ქრისტიანობიდან შემორჩენილი წესისამებრ, ხშირად წმინდა ტყეში აღმართული ჯვრის წინ მლოცველები მოსავლის სიუხვეს, საქონლის სიმრავლეს და ყოველგვარი უბედურებისგან დაცვას მარიამ ღმრთისმშობელს, მაცხოვარსა და წმინდანებს ევედრებოდნენ [17, 235]. ან კიდევ, წმინდა მუხის ქვეშ აღმართულ ხის ჯვართან ღოცვებს დაჩოქილნი და ქუდმოხდილნი დიდი ღმერთის, ჭექა-ქუხილის ღმერთისა და მარიამ ღმრთისმშობლის სადიდებლად აღავლენდნენ [4, 82].

ჩერქეზებში, კერძოდ, შაფსულებში ცნობილი იყო მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული თამაშობა, რომელიც გაზაფხულზე, თესვის წინ იმართებოდა და ჯორ, ანუ ჯვარი ეწოდებოდა. თამაშის მონაწილენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ. თითოეული მათგანი ანთებული ჩირადღნებით ღამით სხვის ყანაში უნდა შეჭრილიყო, რათა ბევრი ტყვე ჩაეგდო ხელთ. ტყვედ ჩავარდნილები თამაშს ეთიშებოდნენ. თამაშის მსვლელობისას სრულდებოდა სიმღერა, რომლითაც ჯორს უხვ მოსავალს ევედრებოდნენ [16, 62].

შაფსულთა მეზობელ ბჟედულებში ჯორი მარტის დასასრულიდან მთელი აპრილის განმავლობაში საღამოობით, ყანაში იმართებოდა, სადაც ავროვებდნენ ჩაღის ნარჩენებს, უკიდებდნენ ცეცხლს, ახტებოდნენ მას და ასრულებდნენ სიმღერას, რომლითაც ჯორს ნათელ მომავალს, უხვ მოსავალსა და ბედნიერებას ევედრებოდნენ და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რიტუალის აუცილებელი ელემენტი იყო არა ჩირადღანი, არამედ აღმოდებული ჯვრისებრი ჯოხი, რომელიც თამაშობის ყოველ მონაწილეს ეკავა [8, 257].

უეჭველია, ეს აღმოდებული ჯვრისებრი ჯოხი, როგორც თვით რიტუალის სახელწოდებაც მიუთითებს, იგივე ჯვარია, მზის განსახიერება, რომლის მეშვეობით მლოცველები ქალღმერთს უხვ მოსავალს ევედრებოდნენ.

ამ რიტუალში არსებული ბრძოლის მნიშვნელობა ადვილად აიხსნება, თუ მას ქართულ ბერიკაობას შევადარებთ, რომელიც დაახლოებით ჯორის თანადროულად, ასევე მზე ქალღმერთის პატივსაცემად სრულდებოდა. დღესასწაულის მონაწილეთა წარმოდგენით, რომელი მხარეც ბრძოლაში გაიმარჯვებდა, იქითკენ კარგი მოსავალი და ნაყოფიერება უნდა ყოფილიყო [6, 71].

ჩერქეზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებებში არაერთგან ფიგურირებს სიტყვა „ჯორ“. მაგალითად, ტუაფსეს რაიონში, სოფელ აგუის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქედს ეწოდება ჯორეყოთხირ, რაც ჯვრის ქედს ნიშნავს. აქაური უხუ-

ცვლების გადმოცემებით, წარსულში ამ ქედზე წმინდა მუხნარი ყოფილა და აქ აღმართული ჯვრების წინ მახლობელი სოფლებიდან ამოსულნი ღოცვებს ადავლენდნენ.

„ჯორ“ ფიგურირებს, აგრეთვე, ტუაფსეს რაიონში, მდინარე აგუის მარჯვენა შენაკადის, ჯორეყოფის სახელწოდებაში, რაც ითარგმნება როგორც ჯვრის ველის მდინარე. ადგილობრივების გადმოცემებით, ჯორეყოფის ველზე მრავალი წმინდა მუხა მდგარა. ყოველი მუხის ქვეშ აღმართული იყო ხის ჯვარი და აქ რელიგიური რიტუალები სრულდებოდა.

ჯორე ჭიდ – ამგვარად ეწოდებოდა სამხრეთ შავსუღეთში დიდ მუხას, შესაბამისად, მიმდებარე წმინდა ადგილსაც მდინარე ტუს ზემო წელზე. მუხის ქვეშ ჯვარი იყო აღმართული და აქ ღოცვები აღევლინებოდა [16, 62].

ესე იგი, ჯვარი ეწოდებოდა არა მარტო რელიგიის მთავარ სიმბოლოს, არამედ იმ წმინდა ადგილსაც, სადაც ეს ჯვარი იყო აღმართული და ამგვარი წმინდა ადგილი აუცილებლად მუხნარი უნდა ყოფილიყო. თვით ჯვარს, მზის სიმბოლოს, სწორედ ამ წმინდა ხისგან, მუხისგან თლიდნენ [13, 129].

საერთოდ ჩერქეზეთში წმინდა ხელ სხვადასხვას მიიჩნევდნენ: კაკალს, ალვას, სოჭს და ასე შემდეგ, მაგრამ განსაკუთრებულ პატივს მაინც მუხას მიაგებდნენ.

მუხა და, საერთოდ, მუხნარი წარმართულ საქართველოში მზე ქალღმერთის საგანა [2, 300] და ასევე უნდა ყოფილიყო ეს მეზობელ ჩერქეზეთში. მათი წინაპრები ამ წმინდა ხის მეშვეობით თაყვანს სცემდნენ ქალღმერთს, რომელსაც პანთეონში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა.

მზის კულტი ამჟამად შეინიშნება სიუხვისა და ნაყოფიერების მფარველი ღმერთის, სოზე რიშის პატივსაცემად შესრულებულ რიტუალში, რომელსაც მთელი თემი, ან მხოლოდ ოჯახი ატარებდა.

საერთო სათემო დღესასწაული მთელი დღის განმავლობაში სოზერიშის კერპის წინ მიმდინარეობდა. მას გასუფთავებული ძელი წარმოადგენდა, რომელსაც ზემოთ ჯვრისებურად ჰქონდა ტოტები მიმაგრებული. კერპი წმინდა ტყეში, შუა ალაგას იყო აღმართული. რიტუალს ხელმძღვანელობდა თემის უხუცესი, რომელიც სოზერიშს უხვ მოსავალს ევედრებოდა [4, 44].

სოზერიშის პატივსაცემად ოჯახის შიგნით შესრულებულ რიტუალს თვით ამ ოჯახის უფროსი ხელმძღვანელობდა.

დღესასწაული ღამით სრულდებოდა. ყველანი ბედელში იკრიბებოდნენ, იქ, სადაც სიუხვისა და ოჯახური ბედნიერების ღმერთის – სოზერიშის კერპს ინახავდნენ. მას შვიდტოტშემოჭრილი ხის ძელი განასახიერებდა.

ბედლიდან კერპი ქუდმოსდილ ოჯახის უფროსს გამოჰქონდა და შინაურების თანხლებით შუა სახლში დგამდა. ნატოტარებზე ცვილის სანთლებს უნთებდნენ და მის ირგვლივ ხელიხელ ჩაკიდებულნი წრეს კრავდნენ. ამ დროს დიასახლისი ხმამაღლა წარმოთქვამდა ღოცვას: „სოზერიშ! მადლობას გიხდით მოსავლისთვის და გთხოვთ, მომავალშიც უხვი მოსავალი მოგვეცეთ, გთხოვთ შენ, სოზერიშ, დაიცვა ჩვენი პური მპარავისგან და ბედელი – ხანძრისგან“ [20, 170].

როდესაც დიასახლისი ღოცვისას შეყოვნდებოდა, ხელიხელჩაკიდებული ოჯახის წევრები კერპის გარშემო წრეს დაუვლიდნენ და ერთხმად წარმოთქვამდნენ – ამინ!

რიტუალის დასასრულს სოზერიშის პატივსაცემად ღხინი იწყებოდა.

დღესასწაულის შემდეგ კერპს მომავალ წლამდის კვლავ ბეღელში ინახავდნენ.

ჩერქეზები სოხერიშის პატივსაცემად ერთ-ერთ დიდ დღესასწაულს დეკემბერში, ქრისტეშობის დღეს, აწყობდნენ. ესე იგი მაშინ, როდესაც მზე მატებას იწყებს [4, 49].

შაფსულური სოხერიშის კერპის ანალოგიური დასავლურ-ქართული ჩიჩილაკია, რომელიც სიუხვის მფარველი მზის ღვთაების გამომხატველია და ზამთრის მზის მობრუნების დღეობასთან არის დაკავშირებული. ჩიჩილაკი თავისი კალპით, ჯვრითა და ბურბუშელას მსგავსად ჩათლილი ღეროთი მზეს განასახიერებს [1, 71].

ისევე, როგორც სოხერიშის კერპს ბეღელში, ჩიჩილაკსაც დღესასწაულის შემდეგ მარანში ინახავდნენ [9, 78].

ამრიგად, სოხერიშის კერპზე ჯვრისებურად მიმაგრებული ტოტები, ანუ იგივე ჯვარი, თვით ძელის ნატოტარებზე ანთებული სანთლები და მის ირგვლივ ხელი-ხელჩაკიდებული წრიული ცეკვა სწორედ მზეს და მზის სხივებს განასახიერებდა.

სოხერიშის დღესასწაულზე ერთ-ერთი მთავარი მლოცველთაგანი ანთებული სანთლით ხელში სახით აღმოსავლეთით უნდა მდგარიყო. ესე იგი იმ მიმართულეობით, საიდანაც ასტრალური ღვთაება დედამიწას ევლინებოდა [4, 43].

მსგავსი წესი არსებობდა სვანეთშიც, კერძოდ, მზე ქალ-ღმერთის სადიდებელი საგალობელი კვირია ქუდმოხდილ მლოცველებს პირჯვრის წერით სახით აღმოსავლეთით უნდა შეესრულებინათ [6, 65].

სახით აღმოსავლეთის მიმართულებით ქრისტიანებიც ვლოცულობთ, მაგრამ მას სულ სხვა მნიშვნელობა გააჩნია და დაკავშირებულია მეორედ მოსვლის ბიბლიურ (სახარებისეულ) წყაროსთან: „ვითარცა ელვაი რაი გამობრწყინდის მზისა აღმოსავლით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრე იყოს მოსვლაი ძისა კაცისა“ (მათე. 24, 27).

მზის კულტი აშკარად იყო შემორჩენილი წარმართული კერპის, ჰაცეგუაშეს პატივსაცემად შესრულებულ რელიგიურ რიტუალებში, რომელსაც ჩერქეზეთის სხვადასხვა კუთხეში გვალვისას, წვიმის მოსაველენად ასრულებდნენ.

ჰაცეგუაშე ხის ნიხბისგან გაკეთებულ დედოფალს ჰქვია. ძელზე ჯოხს გარდი-გარდმო იმდაგვარად ამაგრებდნენ, რომ ის ხელებგაშლილ ადამიანს დამსგავსებოდა. მას ქალის სამოსს აცმევდნენ, თავზე თეთრ ხელსაცოხს ახურავდნენ და წელზე ქამარს უკეთებდნენ [15, 57].

ჰაცეგუაშე ტყისა და წყლის მფარველი ქალღმერთის, მეგზუაშეს კერპია. გვალვისას მას ეზოდან ეზოში დაატარებდნენ და სარიტუალო სიმღერით მეგზუაშეს დიდ წვიმას და უხვ მოსავალს ევედრებოდნენ [8, 256].

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჭოროფისას, ან გვალვისას ლაზარობას, ან გონჯობას მართავდნენ. დადიოდნენ ეზო-ეზო და ლაზარეს, ან გონჯას პატივსაცემად სიმღერებს ასრულებდნენ, რასაც დარი (ჭოროფისას) ან კიდევ წვიმა (გვალვისას) უნდა მოჰყოლოდა. ლაზარეს ზოგან ბიჭი განასახიერებდა, ან გოგო, ან კიდევ თიხის ანთროპომორფული ფიგურა, ხოლო გონჯას – ტოლმკლავა ჯვარი. ჯვარს ქალის სამოსს აცმევდნენ, ისე რომ მისი მდებარეობითობა გამოკვეთილიყო [9, 154].

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტოლმკლავა ჯვართან შესრულებული მრავალი ძველი ქართული რიტუალი მზის კულტთან არის დაკავშირებული, ცხა-

დი ხდება – ქართული წვიმის დედოფალს, გონჯას მსგავსად მორთული ჩერქეზული პაცეგუაშე (ჯვარი, დედოფალასავით მორთული) გამოსახულებაა მზე ქალღმერთის, რომელიც ჩერქეზულ და ქართულ წარმართულ პანთეონებში სიუხვისა და ნაყოფიერების მფარველია და, ამასთანავე, წვიმის მომვლენელი [9, 105].

წყლისა და ტყის დედოფალი მეზგუაშე, რომელსაც გვაღვისას წვიმასა და უხვ მოსავალს პაცეგუაშეს მეშვეობით ევედრებიან, ნადირთა მფარველიცაა. ამ ქალღმერთს მეზითჰასაც უწოდებენ და ოქროს ჯაგრიან, თუ ოქროს ტყავიან ტახზე დაბრძანებული ჰყავთ წარმოდგენილი [4, 54].

ქართულ მითოლოგიაში ტახი, ვინაიდან ის მზის წმინდა მცენარის, მუხის ნაყოფით იკვებება, ამ ქალღმერთის წმინდა ცხოველად ითვლება [2, 301].

ქართულ ხალხურ გადმოცემებში მზესთან არის დაკავშირებული ოქროს ფერი და თვით ოქროც, რომელსაც მზე აფრქევს [3, 146]. გარდა ამისა, მეზგუაშეს სვანური ორეული, გასაოცარი სილამაზის ნადირობის ქალღმერთი დალი ოქროს ნაწნავიანია [3, 150].

მეგრული ტყაში მაფაც (ტყის დედოფალი), ასევე, ოქროსფერ ნაწნავიანი და ნადირთა პატრონია. მასზეა დამოკიდებული მონადირის ბედი-ღბალი და მასვე ძალუძს მისთვის სასურველ ადამიანს ბედნიერება და უხვი მოსავალი უწყალობოს [2, 336].

აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ჩერქეზული მითოლოგიის ოქროს ჯაგრიანი, თუ ოქროს ტყავიანი ტახიც მზე ქალღმერთის წმინდა ცხოველია და თვით გადმოცემები მეზითჰა || მეზგუაშეს შესახებ თავისი ფესვებით მზის უძველეს კულტან არის დაკავშირებული.

ჩერქეზულ წარმართულ პანთეონში თჰაშხოს შემდეგ განსაკუთრებული ადგილი ეკავა მეხის, ეღვისა და ჭექა-ქუხილის ღმერთს, ასევე ადამიანის მფარველს, რომელსაც შიბლეს უწოდებდნენ.

შიბლეს კულტან დაკავშირებით ჩერქეზებს ერთი მეტად თავისებური რიტუალი გააჩნდათ. კერძოდ, მეხნაკრავ ადამიანს (და პირუტყვსაც) ჩვეულებრივი წესით კი არ გლოვობდნენ, არამედ როგორც წმინდას, შიბლეს რჩეულს, დიდი მხიარულებითა და სათანადო წესის შესრულებით „ცასთან ახლოს“, მაღალ ფიცარნაგზე ჩამოსავებდნენ და მას შემდეგ კრძალავდნენ, როდესაც გვამისგან მხოლოდ ძელები დარჩებოდა. თვით ფიცარნაგს იმდაგვარად აღმართავდნენ, რომ მისი ოთხი კუთხე აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, დასავლეთითა და სამხრეთით ყოფილიყო მიმართული [19, 60].

ზოგჯერ ამგვარ ფიცარნაგს მრგვალ ღობეს შემოავლებდნენ [4, 25].

ამ რიტუალში ოთხკუთხა ფიცარნაგი, მით უფრო მრგვალი ღობით შემოსაზღვრული, აშკარად ქვეყნიერების ოთხივე კუთხის მანათობელი და ნაყოფიერების მფარველი მზე ქალღმერთის კულტან არის დაკავშირებული. ფიცარნაგზე დასვენებული მეხნაკრავის სულს შთამომავლობის, თუ საერთოდ ნათესაობის, გამრავლებასა და ქონების სიუხვეზე მაგიური ზემოქმედების ძალა მიეწერებოდა.

ასევე მზის კულტან არის დაკავშირებული რიტუალი გვაღვისას, რომელიც შავიზღვისპირა შავსუღეთში XX საუკუნის 20-იან წლებში იყო შემორჩენილი. ოთხი მამაკაცი, წმინდა ხესთან ხელიხელ ჩაკიდებული, ერთმანეთის მიმართ ზურგით მდგარი, ისე რომ ქვეყნის ოთხივე მხარეს უცქერდა, ფერხულის თანხლებით ნაყოფიერების მფარველს მზე ქალღმერთს ევედრებოდნენ.

ფიერების მფარველი ქალღმერთის, ჩერქეზთა წარმოდგენით – მარიამ ღმრთის-მშობლის სადიდებელ საგალობელს ასრულებდა [11, 218].

ამრიგად, ჩერქეზთა სინკრეტულ სარწმუნოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნაყოფიერების, სიუხვისა და ოჯახური ბედნიერების მფარველი მზე ქალღმერთის უძველეს კულტს, რომელიც ნათლად შეიმჩნეოდა სხვადასხვა წარმართული ღმერთის სადიდებლად მუხნარის წმინდა კორომში მუხისგან გამოთლილ ჯვართან, ან სახლის შიგნით, თუ საერთოდ – მთელ თემში მზის სიმბოლოს წინ ჩატარებულ რელიგიურ რიტუალებში.

ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941;
2. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941;
3. ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962;
4. ოკუჯავა კ., შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა, თბ., 2005;
5. როგავა გ., ადიღური თჰა („ღმერთი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ., 1948;
6. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951;
7. ჯანაშია ს., ექვედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში, შრომები, IV, თბ., 1968;
8. Азаматова М., Материалы к земледельческой культуре Бжедугов. Материалы по этнографии Грузии. XII-XIII, Тб., 1963;
9. Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое Графическое искусство грузинских племён. Тб., 1957;
10. Кох К., Путешествие по России и в Кавказские земли. Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. К. Гарданова. Нальчик, 1974;
11. Лавров Л., Доисламские верования адыгейцев и кабардинцев. Труды института этнографии им. Н.Н. Миклухо-Маклая, Новая серия, т. LI, М., 1959;
12. Лавров Л., Дольмены северо-западного Кавказа. Труды Абхазского Института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия. Сухуми, 1960;
13. Люлье Л., Верования, религиозные обряды и предрассудки у Черкесь. Записки Кавказского отдела императорского русского географического общества, кн. V. Тиф., 1862;
14. Марковин В., Дольмены западного Кавказа. М., 1978;
15. Мафедзев С., Обряды и обрядовые игры адыгов в XIX-начале XX вв. Нальчик, 1979;
16. Меретуков К., Адыгейский топонимический словарь. М., 1990;
17. Серебряков Л., Записка отъ 11-го декабря 1852 года, №2133. Акты собранные Кавказскою Археографическою коммисиею, т. X, Тифлиси, 1885;
18. Фелицын Е., Западно-Кавказские дольмены. Материалы по археологии Кавказа. IX, М., 1904;
19. Шортанов А., Адыгская мифология. Нальчик, 1982;
20. Хан-Гирей. Мифология Черкесских народов. Сборник газеты Кавказь, второе полугодие 1846 года. Тиф., 1847.

Koba Okujava
Cult of the Sun in Circassian Syncretic Religion
Summary

The Circassian syncretic religion was formulated on the bases of the merge of three religions: Paganism, Christianity and partially – Islam.

Throughout the Circassian syncretic religion that was spread among the mountain dwellers, the oldest cult of Goddess of the Sun still remained as a symbol of happiness and high productivity.

The rituals glorifying the Goddess of the Sun were held either in front of the crosses from the oak trees or the idols alike.

The Circassian name "ТНА" is in connection with the cult of the Sun.

Коба Окуджава
Культ солнца в синкретной религии черкесов
Резюме

Синкретная религия черкесов сформировалась вследствие слияния язычества, христианства и, отчасти, ислама.

В распространённой среди горских черкесов синкретной религии в значительной мере было сохранен культ богини Солнца – покровительницы семейного счастья и плодородия.

Ритуалы, прославляющие богиню Солнца, исполнялись перед крестом, высеченным из дуба или перед крестообразным идолом.

С культом Солнца связано черкесское слово «Тха», обозначающее Бога.

Димо Чешмеджиев
(Болгария)

БАЧКОВСКИЙ МОНАСТЫРЬ (часть первая)

Бачковский ставропигиальный мужской монастырь – второй по величине мужской монастырь в Болгарии. Находится на территории Пловдивской епархии Болгарской Православной Церкви. Он расположен на правом берегу реки Асеница (Чая), в 10 км от Асеновграда и около 30 км от Пловдива. Он был основан в 1083 году византийским полководцем и государственным деятелем грузинского происхождения Григорием Бакуриани, великим доместиком Запада Византийской империи, на земле, подаренной ему императором Никифором III Вотаниатом.

При основании монастыря был построен католикон, посвященный Успению Божией Матери, а также так называемый зимний храм, посвященный Святым Архангелам. Склеп был построен за пределами монастыря, который предназначался для родовой усыпальницы Бакуриани. Первоначально здесь был похоронен брат Григория Бакуриани, Абазий, умерший в 1070-х годах. Там же вскоре был погребен и сам Григорий, погибший в бою с восставшими павлекианами у крепости Белятово в Среднегорье (1186).

Присутствие греческих монахов в монастыре было прямо запрещено в Типике монастыря, за исключением того, кто выполняет функции секретаря. Позже монастырь стал греческим, а затем болгаризированным, поскольку окружающее население было болгарским. Однако монастырь сохраняет связи с грузинской землей, о чем свидетельствует грузинская надпись на окладе Чудотворной иконы Пресвятой Богородицы 1311 г., а также надпись на кресте купола католикона и некоторые фрески в притворе Усыпальницы. Типикон монастыря был составлен Григорием Бакуриани в 1083 году. Он сохранился на греческом и грузинском языках. Его подписал не только Григорий Бакуриани, но и находившийся в то время в этом районе Иерусалимский патриарх Евфимий I. Типик дошел до нас в нескольких экземплярах. В рукописи №1598 из Корайской библиотеки на о. Хиосе есть копия XIII века в греческом и грузинском вариантах текста. Копия грузинского текста второй половины 19 века хранится в Кирилло-Мефодиевской национальной библиотеке в Софии. В библиотеке Румынской академии наук есть греческая расшифровка текста XVIII века.

Типикон был создан по образцу устава монастыря Панагия, можно увидеть в типиконе и влияние типика Великой Афонской Лавры, составленном святителем Афанасием Афонским. По его словам, Бачковский монастырь имеет полную неприкосновенность, не подчиняется ни светской, ни церковной власти, в т.ч. митрополиту Филиппопольскому (ныне Пловдив). Привилегии монастыря подтверждены императорскими хрисовулами. По грузинскому тексту в монастыре хранятся 4 хрисовула, а по греческому – один хрисовул, вероятно, изданный императором Алексеем I Комнином.

По словам Типика, при жизни настоятелем монастыря назначался сам Григорий Бакуриани, а родственники и вассалы основателя имеют преимущество в выборе настоятеля. Над гробницами Григория и Абазия должны были круглосуточно гореть три паникадила.

Типик прописывает, что в монастыре должно жить 50 человек, не считая настоятеля. Монахи должны постоянно молиться, заниматься физическим трудом и ежедневно исповедоваться. Типик обязывает монастырь быть киновиальным, имущества у монахов не было и

стол был общий. Основным источником дохода была земля. Григорий Бакуриани щедро одарил монастырь обширными земельными владениями. Экспроприация земли была запрещена. В монастыре соблюдалась строгая финансовая дисциплина. Устав предписывал ежедневную раздачу милостыни бедным, особенно в дни памяти братьев Бакуриани. Три ксенодохии (приют для заболевших в пути чужестранцев) содержались в Станимахосе (ныне Асеновград), Мармаре и в церкви Св. Николая, в которой пшеница, вино и хлеб ежедневно раздавались бедным. Рядом с монастырем находилась духовная школа (семинария), где обучались 6 учеников, пока у них не отрастет борода.

В Великой Кельнской хронике прямо упоминается, что крестоносцы Третьего крестового похода под предводительством Фридриха Барбароссы напали на «богатый монастырь», полный всевозможных припасов, расположенный к югу от Филиппополя (Пловдива). Согласно Ансберту, в его *Historia de expeditione Frederici imperatoris*, настоятель монастыря над «весьма укрепленной и знаменитой крепостью» Скрибенсьон (Станимака, ныне Асеновград) был уроженцем Грузии и был доставлен к императору Фридриху Барбароссе в Филиппополис, который принял его любезно, поговорил с ним, а затем отпустил.

Бачковский монастырь был построен как крепость «из-за непостоянства жителей Пловдивщины», как говорит его Типик. Это был большой комплекс зданий разного назначения внутри и снаружи монастырских стен. Слишком мало следов этих построек сейчас сохранилось. Согласно Типику, в монастыре было построено несколько церквей – помимо главной (кафоликонской), на фундаменте которой было построено в XVII веке нынешнее здание, Григорий Бакуриани построил церковь, посвященную св. Иоанну Крестителю, и третью – Георгиевскую. Интересно в данном случае то, что это – покровители первых церквей, построенных в то время в Иверском монастыре на Афоне.

В Бачковском монастыре была основана известная грузинская литературно-богословская школа Петрицонская или Петричка. Монахи занимались переводами догматических и философских произведений. Основоположником этой школы является выдающийся грузинский богослов и философ Иоанн Петрици. В течение 20 лет он руководил семинарией, а возможно, и самим монастырем.

Бачковский монастырь впервые попал под власть Болгарии в 1199 году, когда территория перешла под власть болгарского боярина Иванко, который взял под свой контроль Филиппополь и Родопы. В 1205 году эта территория ненадолго перешла под власть Латинской империи. В пределы Болгарского государства он вошел при царе Калояне, который в 1205 году захватил Станимаку (Асеновград) и его окрестности. После его смерти монастырь остался под властью родопского правителя – деспота Алексия Слава. Монастырь вновь вошел в пределы Тырновского царства при царе Иоанне II Асене в 1230 году, но в Бачковском монастыре нет никаких следов учредительной деятельности великого болгарского царя. В 1246 году монастырь стал частью Никейской империи, а в последующие десятилетия часто переходил из рук болгар в руки Византии и наоборот.

Нет сведений об истории монастыря в тринадцатом и четырнадцатом веках. Предполагается, что в это время в монастыре находились болгарские монахи, так как по свидетельству византийского летописца Георгия Акрополя, жители окрестных гор – болгары. В 1344 году области Филиппополис и Станимака были переданы болгарскому царю Иоанну Александру и оставались в пределах болгарских границ до османского нашествия. Иоанн Александр – последний крупный даритель монастыря. В конце XVI века Петар Лукарич из Дубровника, путешествуя по Балканскому полуострову, посетил Бачковский монастырь,

свидетельствующий о покровительстве болгарского царя: «Я видел его (царя Ивана Александра) портрет в натуральную величину в монастыре Св. Богородицы, в районе Станимаки, города во Фракии, который ныне называется Романья, по имени нового Рима (Константинополя). Этот храм был построен одним царем Иверии (Грузия), но позже был расширен и получил много доходов от Александра».

В то же время связи с Грузией не разорваны. Свидетельство тому – золотые оклады знаменитой чудотворной Бачковской иконы Божией Матери, которая до сих пор хранится в кафоликоне монастыря и является главной святыней обители.

По монастырскому преданию, она написана самим евангелистом Лукой, но, вероятно, датируется временем основания монастыря – второй половиной XI века и подарена Григорием Бакуриани. В 1311 году она была помещена в золотой оклад, подаренный двумя братьями грузинами Афанасием и Окропиром, из юго-западной грузинской провинции Тао, согласно надписи на окладе. Два брата, вероятно, были монахами в монастыре. Дарительная надпись указывает цену накладки (125 гиперперонов), упоминая императора Андроника II Палеолога (1282-1328) вместе с его соправителями – сыном Михаилом IX (1294-1320) и внуком Андроником III Палеологом, царями Западной Грузии Константином I (1293-1327) и своим соправителем Дмитрием Багратионом, который по другим источникам не известен. В 2006 году была изготовлена копия иконы для Патриаршего собора в Тбилиси.

К этому же времени, по палеографическим данным, относится и надкупольный крест главного монастырского храма с грузинской надписью: «Иисус Христос победит». К этому ряду свидетельств продолжающейся связи с грузинскими землями можно добавить дошедшие до нас копии 1896 г., надписи во имя св. Георгия Кашуецкого из Склепа, ныне полностью стертую, а также фрагмент надписи в Склепе, написанной на образе св. Иоанна Богослова. Это надпись имени святого на грузинском и греческом языках. Кроме того, грузинская проповедь, переписанная в Бачковском монастыре, хранится в Институте рукописей Академии наук Грузии. Судя по водяным знакам на бумаге, которые встречаются в болгарских рукописях этой эпохи, рукопись датируется четырнадцатым или пятнадцатым веком.

После Османского нашествия монастырь и его церковь опустели. Их судьба известна из постскриптума в так называемом Ловчанском сборнике Михаила Хаджинедельчева конца XV века. XVI в. Сегодня коллекция утеряна, но сохранилась в фотокопиях. Согласно приписке: «Церковь Петриотиси, обрушившаяся до основания во времена правления нечестивых...», значит, на момент создания приписки церковь была заброшена.

В сборнике смешанного содержания, написанном в Бачковском монастыре неким Павлом Фостиниатом, есть два поста, в которых есть важная информация на эту тему. В первом из них сообщается, что автор написал страницу в воскресенье, 4 мая, 6968 (1460). Во второй говорится, что писец работал в субботу 28 декабря 6973 года (1465 года). В XV веке в монастыре жил также патриарх Константинопольский Симеон Трабзонский, который был свергнут с престола в 1484 году. Это свидетельствует о том, что во второй половине XV века монастырь не был разрушен, он функционировал и в нем переписывались книги. В другой записке, датированной где-то между 1572 и 1594 годами, говорится о получении разрешения на строительство новой церкви, завершённой в 1604 году. Эта информация также подтверждается османскими документами.

По мнению некоторых авторов, монастырь опустел не из-за турецкого нападения, землетрясения или пожара, так как другие храмы монастыря (Св. Архангелов, Склеп) оста-

лись нетронутыми. Скорее всего, католикон опустел из-за малочисленности братии и отсутствия средств на поддержание.

В самом конце 14 века или в начале 15 века в монастырь был сослан последний тырновский патриарх Евфимий. В последние годы своей жизни Евфимий успел основать свою школу в Бачковском монастыре: «А вот сего, помянутого Константина (Философа), остановимся на нем еще немного, по тому, что узнали от родных его. Говорят, что он был учеником некоего Андрея, который был учеником Евфимия – патриарха Тырновского [...] Этот Константин, с юных лет одержимый страхом Божиим, посвятивший себя книжному учению, дошел до этой обители, где нашел учеников Евфимия, и самого святого Евфимия чуть не застал живым».

Помимо упомянутого в постскриптуме Андрея, на одном из памятников в монастыре упоминается и имя Андроника, который также считается одним из учеников патриарха Евфимия.

Об истории Бачковского монастыря в 15-м и 16-м веках мы получаем сведения из различных недавно изданных османских описательных реестров, которые хранятся в Главном управлении Государственного архива Турции. Это части муфассального (подробного) реестра 1489 и 1516 гг. и иджмальского (сокращенного) реестра 1523-1537 гг., а также из подробного реестра вакфов и мультков 1570-1571 гг. В описи 1516 г. монастырь называется: «... монастырь имени церкви Петрич, над Станимакой», а в монастыре 1523-1537 гг. «Килисе-и Петрич». В этих документах впервые появляются сведения о количестве монахов, что является показателем состояния монастыря в то время. В 1516 г. братия насчитывала 5 человек, как и в 1523 г. Через 50 лет, в реестре с 1570 г., их уже 13 человек. Для сравнения, согласно османским документам, монахов в Рильском монастыре в 1519 году было 23, а к 1569 году их стало 43. Для сравнения, в том же году в Зографском монастыре было 48 монахов, по одному вакфнаме. Недалеко от Бачковского монастыря Мулдавский монастырь Св. Петька имел в 1570 году 6 монахов. Очевидно, что Бачковский монастырь в этот период не слишком велик. Однако это очень важный фактор в хозяйственной жизни района Станимака (Асеновград).

Реестр 1570-1571 годов, когда монастырь входил в состав вакуфа, принадлежавшего султану Сулейману Великолепному, дает нам возможность проследить его эволюцию. В то время монашеская братия увеличилась более чем в два с половиной раза, что соответствует общему демографическому развитию того времени. В это время значительно возрос размер налогов – с 545 до 3000 акчетов, что связано с увеличением монастырского имущества. По сравнению с другими монастырями 16 века, такими как Зографски и Рила видно, что Бачково имеет аналогичный экономический статус. Это обогащение монастыря в 16 веке объясняет последующие масштабные постройки в монастыре.

Сведения о вероятном появлении частной монастырской собственности и упразднения общежития в монастыре, аналогичного некоторым афонским монастырям, также можно извлечь из османских реестров. В любом случае, XIX век застал монастырь в полуидиоритическом порядке.

В конце XVI века появилась одна из величайших личностей в истории монастыря – епископ Даниил (1589-1595), новый основатель монастыря, начавший его восстановление. В обоих дошедших до нас монастырских памятниках шестнадцатого и семнадцатого веков его имя стоит на почетном месте. Сведения о нем сообщает Патриарх Иерусалимский Доситей, написавший мемуары в подлиннике монастырского типа и свидетельствующий, что Бачков-

ский монастырь славился именем Святой Троицы, так как церковь была переименована при восстановлении и «по по приказу его нового основателя, восстановившего его».

ჯერ ერთი, ოჯახური კონფლიქტის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, უსათუოდ, არის ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მისწრაფება დაიკმაყოფილოს თავისი მატერიალური მოთხოვნები ოჯახის სხვა წევრთა მოთხოვნებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად. მაგალითად, ქალის მოთხოვნა მოდურ და ძვირადღირებულ ტანსაცმელზე ან ფეხსაცმელზე, ამხანაგებსა და მეგობრებში დროის გატარებაზე, დასასვენებელი სახლების თუ სანატორიუმების საგზურების შექენაზე და ა.შ. ასეთ შემთხვევებში, თუ ოჯახს არ გააჩნია სათანადო სახსრები, იწყება ცოლის მიერ ქმრის დანაშაულება უნიათობაში, ფულის კეთების საქმის უნიჭობაში და, საერთოდ, სხვა მამაკაცებთან შედარებით ნაკლები ღირებულების მქონე პიროვნებად ყოფნაში; ხდება პირიქითაც, როდესაც ქმარი უკმაყოფილოა ცოლის მიერ ოჯახის ბიუჯეტში შეტანილი მცირე წვლილით, უყაირათობით, ზოგჯერ ზედმეტი ხელგაშლილობით საკუთარი ნათესავების მიმართ და ა.შ., რითაც ზიანს აყენებს ქმრის მოთხოვნებსა და ინტერესების გახორციელებას. ერთი მეუღლის მიერ მეორის ინტერესთა გაუთვალისწინებლობა ან უგულვებელყოფა სხვა არაფერი, თუ არა ეგოიზმი, „მე“-ს აშკარა წინ დაყენება „შენ“-ზე მაშინ, როდესაც მეუღლეთა შორის ურთიერთობის პრინციპი ყოველთვის უნდა იყოს „ჩვენ“. ადამიანს რომ ჰქონდეს ოჯახური ბედნიერება, მან უნდა იზრუნოს არა მარტო საკუთარ ბედნიერებაზე, არამედ ოჯახის თითოეული წევრის ბედნიერებაზე. საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფა მეუღლის ინტერესების სასარგებლოდ შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც მაღალი პასუხისმგებლობის გრძობა გააჩნია. ეს ადვილია იმათთვის, ვისთვისაც საკუთარი „მე“ გაიგივებულია მეუღლის „მე“-სთან.

ადამიანები, ჩვეულებრივ, სხვათა საქციელსა და მოქმედებებს აფასებენ საკუთარი მოთხოვნებისა და ინტერესების მიხედვით. სხვათა მოთხოვნებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობა იწვევს პიროვნებათა შორის კონფლიქტებს, როგორც საზოგადოებაში, ასევე ოჯახში, რომელმაც შეიძლება ოჯახი კიდევაც დაანგრეოს. ოჯახური კონფლიქტის მეორე გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ერთ-ერთი მეუღლის ინტერესი, რომ მან, როგორც პიროვნებამ, თავისი თავი დააყენოს მეუღლის პირობებზე უფრო მაღლა, რომლის საფუძველიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მისი განათლების, ან თანამდებობის, ან ქონების ან კიდევ მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის ფლობა, ან კიდევ საკუთარი თავის გადაჭარბებულად შეფასება.

ადამიანი, რომელიც გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ თავს, დამამცირებლად და არაკეთილგანწყობილად ექცევა სხვას, ის არარეალურად აფასებს თავის შესაძლებლობებსა და წარმატებებს. ასეთი ადამიანი სხვებისაგან ფასდება, როგორც ეგოისტი და არასასურველი პიროვნება. განსაკუთრებით ძნელია ოჯახში ასეთი ადამიანისადმი ხასიათის გასწორება. აქაც ადგილი აქვს პირადი ინტერესების სხვათა ინტერესებზე მაღლა დაყენებას, რაც ოჯახური კონფლიქტის ერთ-ერთი წყაროა.

მატერიალური ინტერესების გვერდით არსებობს აგრეთვე, სულიერი ინტერესები: ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური, შემეცნებითი, პოლიტიკური და ა.შ.

მეუღლეებს, როგორც იშვიათი გამონაკლისი, შეიძლება ერთი და იგივე, ან მსგავსი ინტერესები ჰქონდეთ. უმრავლეს შემთხვევაში მეუღლეთა ინტერესები მეტ-ნაკლებად განმსხვავებულია. ინტერესთა მინიმალური, თუ ოპტიმალური განსხვავება, როგორც წესი, არ ქმნის ოჯახურ კონფლიქტებს და ეს მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე, ან უკეთეს შემთხვევაში, ორივე, აცნობიერებენ ამას და ცდილობენ გაუგონ და პატი-

ვი სცენ ერთმანეთის ინტერესებს და ცდილობენ ერთად გამოიხადონ მათი განხორციელების გზები. მაგ., როცა ახალგაზრდა ცოლს აქვს მისწრაფება მიიღოს მუსიკალური განათლება, ხოლო მის ახალგაზრდა ქმარს სურს გახდეს პოლიტიკოსი – ეს განსხვავებული ინტერესები არ უნდა გახდეს ოჯახური დავისა და კონფლიქტების მიზეზი, ან კიდევ ქმარს აინტერესებს ფეხბურთის და, საერთოდ, სპორტის ამბები, ხოლო ცოლს – კინო-სერიალების ყურება.

მაგრამ თუ მეუღლეთა ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური, შემეცნებითი ან პოლიტიკური ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგოა, ამან შეიძლება ოჯახში სერიოზული დაპირისპირება წარმოშვას. მაგალითად, ჩვენს პირობებში, საზოგადოების ერთი ნაწილის დაყოფამ ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად, შეიძლება ოჯახშიაც გადაინაცვლოს და მეუღლეები ერთმანეთს დაუპირისპიროს, ან კიდევ ანტიქართველურ და პროქართველურ აფხაზ მეუღლეთა ინტერესები ისე მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ ამას შედეგად მოყვას ოჯახის დანგრევა.

მეუღლეთა ინტერესების ანტაგონიზმის საფუძველზე წარმოშობილი ოჯახური კონფლიქტები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. მათ შორის: არსებითად განსხვავებული ინტერესები წარმოიჩინება სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ცოლ-ქმარს შორის, რომელსაც ქორწინებამდე, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ყურადღება არ ექცევა, მაგრამ ოჯახის შექმნის შემდეგ იჩენს თავს, რაც გამოიხატება განსხვავებულ კულტში ანუ იმ წეს-ჩვეულებათა და ტრადიციათა ერთობლიობაში, რომელიც ამა თუ იმ რელიგიისათვის არის დამახასიათებელი. ასევე შეიძლება ითქვას შერეული ე.ი. სხვადასხვა ეროვნების წარმოდგენელთა ოჯახების შესახებაც, სადაც განქორწინება შედარებით მაღალია და ეს გამოწვეულია იმით, რომ ყოველ ეთნოსს აქვს თავისი ინტერესები, ტრადიციები, ღირებულებანი, სამშობლო და სარწმუნოება. ადამიანს ყოველი მათგანისათვის მართებს მსახურება და რადგან ეს ინტერესები და ორიენტაციები განსხვავებულია, ცოლ-ქმარი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინტერესთა სამყაროში ხვდება და საბოლოოდ იქცევა კონფლიქტის წყაროდ, რომელიც ხშირად მთავრდება განქორწინებით. ასეთივე უარყოფით შედეგს იძლევა განსხვავებულ რასათა წარმომადგენლების ქორწინება.

სოციოლოგთა მტკიცებით, ოჯახთა 8-85%-ში არის კონფლიქტი, 15-20%-ში – უთანხმოება სხვადასხვა საკითხებში, გამოწვეული სხვადასხვა ინტერესებით. კონფლიქტების გამომწვევი ინტერესების ხასიათის, სიღრმისა და სიმწვავის თვალსაზრისით განასხვავებენ: კრიზისულ, კონფლიქტურ, პრობლემურ და ნერვულ ოჯახებს.

ა) კრიზისულ ოჯახებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ოჯახები, სადაც მეუღლეთა ინტერესები და მოთხოვნილებები იმ ზომამდეა ურთიერთდაპირისპირებული და გამწვავებული, რომ ცოლ-ქმარი მტრულ და შეურიგებელ პოზიციებზე დგანან ერთმანეთის მიმართ, არ სურთ დაუთმონ ერთმანეთს რამე. ამ შემთხვევაში ოჯახი ინგრევა ან დანგრევის ზღვრამდეა მისული;

ბ) კონფლიქტურ ოჯახებში, შეიძლება ითქვას, რომ ინტერესთა შეჯახებას, გარკვეულ სფეროში, ყოველთვის აქვს ადგილი, რომელიც მეუღლეებს შორის იწვევს ძლიერ, ხანგრძლივ და უარყოფით რეაქციებს, მაგრამ ქორწინების შენარჩუნება მაინც ხერხდება სხვა ფაქტორების საშუალებით, ასევე ურთიერთდათმობის საფუძველზე;

გ) პრობლემური ოჯახისათვის დამახასიათებელია ინტერესთა დაუკმაყოფილებლობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (ბინის პრობლემის მოუგვარებლობა, უკეთესი შემოსავლიანი სამსახურის შოვნა, საზოგადოების ღირსეულ წევრად თავის წარმოჩენა და მისთანები), რაც იწვევს ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის ნერვიულობას, ფსიქიკურ აშლილობას და ა. შ., რამაც შეიძლება ოჯახი მიიყვანოს დაშლამდე;

დ) ნერვულ ოჯახებში მთავარ როლს ასრულებს არა ნერვული სისტემის მოშლილობის მემკვიდრეობითობა, არამედ ოჯახის შექმნამდე მომავალი ცოლ-ქმრის მიერ ჩამოყალიბებული საკუთარი მაღალი ინტერესების ძირფესვიანად შეცვლა, მათი განხორციელების ილუზიების გაცნობიერება. უწინდელი ინტერესებით გამოწვეული ნოსტალგია, რაც იმ ზომამდეა მისული, რომ მეუღლეთა შორის დამოკიდებულება აგრესიული და აუტანელი ხდება. ამ შემთხვევაშიც ოჯახური კონფლიქტი ოჯახის დაშლით მთავრდება.

გერმანელი სოციოლოგის რ. ზიდერის მონაცემებით, დღესდღეისობით გერმანიაში, ავსტრიაში და შვეიცარიაში, თითქმის, ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით მთავრდება; დიდ ქალაქებში კი – ყოველი მეორე. ევროპაში განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს შვედეთსა და დანიას (45%), ხოლო ინგლისში ათი ქორწინებიდან განქორწინებით მთავრდება ოთხი.

სხვა ფაქტორებთან ერთად, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ასეთი ხშირი განქორწინებისა არის თანამედროვე საზოგადოების სოციალური პირობებით გამოწვეული პიროვნებათა მრავალფეროვანი ინტერესები და მათი განხორციელების, ასევე, მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები.

ლიტერატურა:

1. ბაძელაძე გ., სიყვარულისა და ოჯახისადმი დამოკიდებულების სოციოლოგიური კვლევის საკითხისათვის, წიგნში: სოციოლოგიური გამოკვლევები, ტ. 1, თბ., 1969;
2. ბეჟია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბ., 1980;
3. დურგლიშვილი ნ., ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, თბ., 1977;
4. კოდუა ე., სოციოლოგია, თბ., 2002;
5. ლუტიძე ბ., სოციოლოგია, თბ., 2002;
6. Левин Г. М., Петрович М. В., Экономическая функция семьи, 1984;
7. Тард Г., Происхождение семи и собственность, 1907;
8. Троицкий С., Христианская философия брака.
https://azbyka.ru/otechnik/Sergej_Troickij/hristianskaja-filosofija-braka/;
9. Соловьев В., Смысл Любви, 2001;
10. Шуман С. Г., Шуман В. Т., Конфликты в молодой семье, причины. Устранения. Минск, 1989;
11. Чекалин В. И., Любовь и семья, 1966.

Mery Chanturia
Conflicts of the Interest and Conflicts in the Family
Summary

In the family, conflicts of the interest and conflicts between spouses can arise: Firstly, one of the main reason of family conflict is the unreasonable aspiration of one or both spouses to satisfy their material needs without taking into account the needs and interests of other family members.

A second challenge is caused of marital conflict that may be the interest of one spouse in putting himself or herself above the spouse's personality, which in turn may be based on his or her education, or position, or property, or even high social status, or even overestimating yourself.

A person who overestimates himself, degrades and dislikes others, such a person is valued by others as selfish and unwanted person. It is especially difficult to correct the character of such a person in the family. Here, too, there is a place to put personal interests above the interests of others, which is one of the sources of family conflict.

Мери Чантурия
Столкновение интересов и конфликты в семье
Резюме

В семье могут возникать конфликты и столкновения интересов между супругами: во-первых, одной из причин семейного конфликта, несомненно, является стремление одного или обоих супругов удовлетворить свои материальные потребности без учета потребностей и интересов других членов семьи.

Второй причиной семейного конфликта может быть интерес одного из супругов поставить себя выше личности супруга, на основании, может быть, обладания им образования, или социального положения, или имущества, или высокого общественного статуса, или даже чрезмерной оценки самого себя.

Человек, который переоценивает себя, относится презрительно и недоброжелательно к другим, оценивается окружающими как неблагожелательная личность и эгоист. Особенно сложно исправить характер такого человека в семье. Здесь также имеет место желание поставить личные интересы выше интересов других, что является одним из источников семейного конфликта.

შორენა კორტავა
(საქართველო)

**რამდენიმე ფსიქო-სოციალური ბანსხვაგვება ამერიკულ
და გერმანულ სოციუმს შორის**
(კურტ ლევინის მიხედვით¹)

ამერიკული (აშშ) და ევროპული სოციუმის შედარებითი ანალიზი აქვს ძალიან დაწვრილებით, საფუძვლიანად, ადრეული სოციალიზაციისა და კოგნიტიური განვითარების (დაბადებიდან 15 წლამდე) ბაზაზე გაკეთებული მარგარეტ მიდს,² თუმცა მოგვეხსენება, რომ ევროპა არ დაიყვანება გერმანიაზე, ევროპა არის მულტიკულტურული, დიდი, ჭრელი ოჯახი და შესაბამისად, გერმანია ევროპის მხოლოდ ცაკეული და ამავე დროს სპეციფიკური შემთხვევაა.

მოცემულ პუბლიკაციაში, როგორც ამაზე სტატიის სათაური მოწმობს, ჩვენ მიმოვიხილავთ კურტ ლევინის მიერ გაკეთებულ შედარებით ანალიზს ამერიკული (აშშ) და გერმანული სოციუმისა. როგორც მარგარეტ მიდის შემთხვევაში, რაზეც ზემოთ აღვნიშნეთ, აქაც შედარებისთვის სოციალიზაციის ნიუანსებია აღებული დაკვირვების საგნად და კონკრეტულად ესაა ოჯახი, მცირეწლოვანი ბავშვი, მშობლები; სკოლა, სკოლაში აღსაზრდელებისა და პედაგოგების მიმართება, ხოლო ბოლო ეტაპზეა უნივერსიტეტი, ლექტორები და სტუდენტები; არის, ასევე, ნიუანსი ყოველდღიური ცხოვრებიდან, მაგალითად, რამდენად განსხვავებულად შეიძლება ურთიერთობდნენ ავტო-

¹ **კურტ ლევინი** (1890-1947), გერმანული წარმოშობის ეთნო-ფსიქოლოგი, რომელიც პიროვნების, მისთვის ნიშანდობლივი ქცევის თავისებურებებზე, ე. წ. სოციალური ველის თეორიაზე მუშაობდა. აკადემიური ხარისხი მოიპოვა გერმანიაში, ხოლო ჰიტლერული იდეოლოგიის მიუღებლობის გამო, სამუშაოდ და, შესაბამისად, საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში. მისი ინტელექტუალური დიაპაზონი იყო წარმოდგენილად ფართო. დაიწყოთ იქიდან, რომ თავდაპირველად ფრაიბურგის უნივერსიტეტში სულაც მედიცინას ეუფლებოდა. ფლობდა სრულფასოვნად ე. წ. მკვდარ ენებს, ლათინურსა და ძველ ბერძნულს. წარმოდგენილ ნიჭიერებას ავლენდა მათემატიკის დარგში. უცხო ენებიდან ფრანგულს თავისუფლად ფლობდა, თუმცა მისი ინგლისური ხშირად განხილვისა და გაუგებრობის საგანი იყო, რადგან რატომღაც სასწავლო პროგრამებზე, სადაც მოუწია ყოფნა, არ იყო ეს ენა წარმოდგენილი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გერმანიაში ფრაიბურგის გარდა, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტები დალაშქრა და მონაწილეობდა თავის ძმებთან ერთად, ლამის მთელი ოჯახი, პირველ მსოფლიო ომში, წარმოადგენდა გერმანიის მხარეს. მას, როგორც ეთნოზიასტს მიაჩნდა, რომ ომი არის ის მჭიდი, სადაც ადამიანები ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ განსხვავებებს ივიწყებენ და რაღაც უფრო წმინდასთვის უცემთ გული. მას ცხოვრების მანძილზე მრავალი დისერტანტი ჰყავდა, როგორც გერმანიაში, ასევე ამერიკაში, რომელთა შემადგენლობა გახლდათ ეთნიკურად ჭრელი, მაგალითად, იაპონელი, სკანდინავიელი, რუსი და ა. შ.

² **მარგარეტ მიდი** (1901-1978), ამერიკელი ანთროპოლოგი, ეთნოფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელი. სოციალიზაციის პროცესს წლების მანძილზე აკვირდებოდა და შეისწავლიდა ე. წ. მცირე ხალხებში, კონკრეტულად კი, პოლინეზიაში. აღსანიშნავია, რომ მისი მშობლებიც იყვნენ აკადემიურ, საუნივერსიტეტო სივრცეში წარმოდგენილი. დედა, სოციოლოგი გახლდათ. უურნალში „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“ (2020, №33) ჩემ მიერ დაიბეჭდა სწორედ მარგარეტ მიდის კვლევის ქართული თარგმანი „ამერიკული (აშშ) და ევროპული სოციუმის თავისებურებები სოციალიზაციის ჭრილში“.

ბუსის განხერებაზე ან რკინიგზის სადგურზე ადამიანები მათთვის განკუთვნილი ტრანსპორტის მოლოდინში ერთ ან მეორე ქვეყანაში.

უნივერსიტეტის ბაზაზე კულტურათაშორის ჭრილში სტუდენტები და ლექტორები ურთიერთმიმართებაში შესწავლის საგანი არაერთხელ გამხდარა. ამისი ცხადი მაგალითია თავის დროზე ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორის, თეოდორ შანი-ნის¹ შედარებითი ანალიზი ბრიტანული და პოსტ-საბჭოთა უნივერსიტეტებისა, რომელიც არაერთხელ გამოქვეყნდა და მათ შორის ინტერვიუს სახით 1990 წლის სექტემბერში, საერთაშორისო ჟურნალში „საქმიანი ადამიანები“ [3]. ჟურნალის გავრცელების არე, მათ შორის, იყო პოსტ-საბჭოთა სივრცე და მკითხველს აძლევდა ე.წ. თვითრეფლექსიის, თვითანალიზის საშუალებას.

სანამ მიმოვიხილავთ კურტ ლევინისეულ შედარებით ანალიზს ამერიკულ-გერმანული უმაღლესი სასწავლებლებისა, კერძოდ, როცა ქვესაკითხია სტუდენტებისა და სწავლების პროცესში მათი ხელმძღვანელობით დაკავებული აკადემიური პერსონალის, უპირანია თვითონ მოცემული პერსონა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდთან და მას შემდეგ, როცა უკვე მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი და იყო წარმოდგენილი აუდიტორიაში, როგორ ურთიერთობდა ალმა-მატერის კედლებში (და არამხოლოდ) თავის მასწავლებლებთან, შემდეგში კოლეგებთან, თავის დისერტანტებთან და, უბრალოდ, სტუდენტებთან, ვისაც სხვადასხვა ლექციებს უკითხავდა, იქნება ეს გერმანიასა თუ ამერიკაში (აშშ).

მ. ლევინი მოგონებებში „ის ფსიქოლოგიით ცხოვრობდა“ იხსენებს, რომ მისი (ანუ კურტ ლევინის) სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ვინმე პროფესორი შტუმპფი, რომელიც თავის მოწაფეებს აძლევდა მოქმედების სრულ თავისუფლებას, რაც სხვათა შორის, შეიძლებოდა მავანს ადექვა, ხოლო დისერტანტს პირველ რიგში, როგორც ყურადღების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ შტუმპფთან კურტ ლევინს მოსმენილი და გავლილი ჰქონდა ათზე მეტი სალექციო კურსი, სასწავლო დისციპლინა, მას უჭირდა დალაპარაკება სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელთან. თეორიული კვლევის გეგმა მიაწოდა მხოლოდ წერილობითი ფორმით. შემდგომი ოთხი წლის მანძილზე ლევინს ერთხელაც არ განუხილავს თავისი სადოქტორო დისერტაცია პროფესორ შტუმპფთან. ბოლო ეტიუდი მათი ურთიერთობის, როგორც ხელმძღვანელი-დისერტანტის იყო კვლევის საბოლოო ანგარიშის წარდგენა. ეს იყო ერთგვარი გამოცდილება კურტ ლევინისათვის და, ზოგადად, ტენდენცია იმდროინდელ გერმანულ აკადემიურ წრეებში, რომელსაც იგი თავად თავის პრაქტიკაში, საკუთარ დისერტანტებთან არანაიარად არ იზიარებდა როგორც გერმანიაში, ასევე ამერიკაში მოღვაწეობის დროს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან იყო ძალიან გახსნილი და ღია ურთიერთობებისათვის, ჰქონდა მეგობრების წრე, ხშირად აწყობდა საღამოებს, სადაც ცეკვავენ (მას ძალიან უყვარდა ცეკვა) და მიჰყავდათ სასარგებლო

¹ თეოდორ შანიანი (1930-2020), მნიშვნელოვანია მისი წვლილი გლეხური ერთობების შესწავლაში. ასევე, ისტორიულ სოციოლოგიასა და ეპისტემოლოგიაში. შანიანის დაინტერესების საგანი უპირატესად იყო ცოდნის სოციოლოგია, არაფორმალური ეკონომიკა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ეპისტემოლოგია. 2002 წელს, მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მიიღო ბრიტანეთის იმპერიის ორდენი.

საუბრები დარგში საჭირობოროტო საკითხებზე; ხანდახან ქალების უფლებებსა და თავისუფლებებზეც ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი.

კურტ ლევინის დისერტნატების შემადგენლობა იყო ჭრელი, მულტიკულტურული (ამერიკელი, იაპონელი, ფინელი, რუსი...). მათგან ხანდახან სამშობლოშიც ღებულობდა მიწვევას და უწევდა მოგზაურობა იაპონიასა თუ რუსეთში.

კოლეგებისადმი ლევინი იყო მუდამ კეთილგანწყობილი და თუნდაც უმწიფარი მსჯელობის შემსწრე ინარჩუნებდა მოთმინებას, მეტიც, ზომიერების ფარგლებში ინტერესსაც კი გამოხატავდა. გარშემო მუდამ სტუდენტები ეხვია და მზად იყო, მათთან საათობით ესაუბრა მიმდინარე ლექციაზე განხილულ თემაზე თუ, ზოგადად, დარგის შიგნის არსებულ სხვადასხვა ნიუანსზე.

კურტ ლევინი ამერიკის (აშშ) საუნივერსიტეტო წრეებში რიგიანად ადაპტირების შემდეგ, არაერთხელ აღნიშნავდა, გერმანიაში თუკი კარგ სტუდენტს დარგში საუკეთესო ლექტორის კოპირება უნდა, ამისი არანაირი სურვილი ამერიკელ სტუდენტს არ გააჩნია და იგი ამას ამერიკელი სტუდენტის ძლიერ მხარეს მიაწერდა. გერმანიაში დაწყებული ოჯახიდან, სკოლიდან მოყოლებული უმაღლეს სასწავლებლამდე, მშობელი, მასწავლებელი, ლექტორი მოითხოვს და აჩვენებს მასზე მინდობილ ე.წ. აღსაზრდელს მორჩილებას. ასეთი წარმოუგენელად ჩანს ამერიკაში, ეს, უბრალოდ, ცუდი ტონია, არის არცოდნა ელემენტარულის.

რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ლევინი თავის მონოგრაფიაში „სოციალური კონფლიქტების გადაჭრა“ [1] განყოფილებაში „კულტურის ტრანსფორმაციის პრობლემები“ გამოჰყოფს და შემდეგ აჯგუფებს ქვესაკითხად „ზოგიერთი სოციო-ფსიქოლოგიური განსხვავება ამერიკელ (აშშ) და გერმანელ ხალხებს შორის“ მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულად და სტატიის ფორმატის გათვალისწინებით შექლებისდაგვარად ქვემოთ არის მიმოხილული.

კურტ ლევინი შეგვახსენებს, რომ განათლება ესაა სოციალური პროცესი, რომელშიც დრო და დრო ჩართული არიან ისეთი პატარა ჯგუფები, როგორცაა დედა/შვილი, დრო და დრო კი დიდი ჯგუფები, მაგალითად, სასკოლო კლასი ან საზაფხულო ბანაკი. სწავლების შედეგი ქცევის ან დადგენილების განსაზღვრული მოდელის ფორმირებაა. ამასთან, ქცევის მოდელები და დადგენილების ტიპები, რომელთა განვითარებაზეცაა სწავლება მიმართული (ამისთვის, ცხადია, შესაბამისი თანხები გამოიყოფა და მობილიზაცია უკეთდება ყველა სხვა საჭირო რესურსს), არ დაიყვანებიან რაიმე აბსტრაქტულ ფილოსოფიურ ან მეცნიერულ თეორეტიკულ კონსტრუქტზე. ისინი, უბრალოდ, მორგებულია ჯგუფის სოციოლოგიურ მახასიათებლებს პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე. სოციალურ ფსიქოლოგიაში, მით უფრო ფსიქიატრიაში აღიარებული ავტორები, იქნება ეს დევიდ მაიერსი, ფრიც რიმანი¹ თუ ალფრედ ადლერი, აღნიშნავენ, რომ ადრეული სოციალიზაციის ეტაპზე და შემდეგაც, სულაც არაა სასურველი ბავშვში ჩამოყალიბდეს პატერნი, რომელიც შესაბამისი არაა ადგილობრივი ჯგუფის, ანუ

¹ ფრიც რიმანი (1902-1979), გერმანელი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ავტორი შესაბამის წრეებში საყოველთაოდ აღიარებული მონოგრაფიისა „შიშის ძირითადი ფორმები“ (თარგმნილი და გამოცემულია ქართულ ენაზე), სადაც ზოგადად არსებული ადამიანის ოთხი ბაზისური ფსიქოტიპი იდეალურ-ტიპური ფორმითაა შედარების საგნად წარმოგენილი.

ადგილობრივი ჯგუფის სოციოლოგიურ მახასიათებლებს მკვეთრად არ შეესატყვისებო. კურტ ლევინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხვაა ოფიციალურად დეკლარირებული სტანდარტი და წესი და ის, რაც აფორმირებს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის შიგნით მის ყოველდღიურობას. განათლება ყველაზე მეტად გამომდინარეობს ამ ავთენტური რეალობიდან.

როდესაც ლაპარაკია სასწავლო პროცესზე, რა და როგორ ისწავლება, სწავლების ინტენსიურობაზე, თუნდაც მომცრო ზომის საგანმანათლებლო სტრუქტურის ფარგლებში, დაუშვათ ოჯახი, იგი გამომდინარეობს უფრო ფართე სოციალური ერთობის იდეოლოგიურ წანამდგრეობიდან, რომელსაც ესა თუ ის კონკრეტული ოჯახი განეკუთვნება. როდესაც ამ ე.წ. ჩარჩო სოციალური ერთობისათვის იცვლება პოლიტიკურ, ეკონომიკური ანდა სოციალური სტრუქტურა, იგი თავის ნებისმიერ სატელიტში მოახდენს ზეგავლენას სწავლების ორგანიზების პროცესზე, უფრო მეტიც, სწავლების შინაარსზე და, მათ შორის, სწავლებისას გამოყენებულ მეთოდებზე.

ბუნებრივია, რომ თითოეული ნაციონალური კულტურის შიგნით შეხედულებები ოჯახიდან ოჯახამდე განსხვავდება. არსებობს, ცხადია, რაღაცეგვარი საერთო კულტურული ატმოსფერო და ყველა კერძო გარემოებისთვის ის ქმნის მეტ-ნაკლებად მისადაგებად ქუდს. ზოგადი ატმოსფერო – ეს შეიძლება იყოს სოციალურ სტრუქტურაში აღწარმოების პროცესი – განსაზღვრავს განათლების ნაირგვარობას ვიწრო სტრუქტურული ერთეულების შიგნით. ოჯახის, სკოლის (საჯარო სკოლა იქნება ეს თუ კერძო) დამოკიდებულება/დამოუკიდებლობის ხარისხი ჩარჩო სოციალური ერთობიდან ემპირიულ კვლევებში არის გასათვალისწინებელი. კურტ ლევინის თქმით, იგი შეიქმნა მომსწრე, გულისმხობდა პიტლურამდე არსებულ და მის შემდეგ იდეოლოგიზირებულ, გარკვეული პერიოდი, ცხადია, განათლების სისტემას გერმანიაში, რომ ცვლილებები პოლიტიკურ ველში უშუალოდ ასხვავებენ განათლებისათვის დასახულ მიზნებს, რაც სწავლების მეთოდებში იწვევს კორექტირებების აუცილებლობას. მოსწავლისათვის თავსმოსხვეული ღირებულებები ერთია, რასაც ზოგადად ყველა ავტორიტარული რეჟიმი იცნობს, მაგრამ საინტერესოა ასეთი ნიუანსები: დასჯა, მისი ინტენსიურობა,¹

¹ **ჟან-ჟაკ რუსო, ემილი ანუ აღზრდის შესახებ, თბ., 1949 წელი.** ეს მასშტაბური და აღიარებული ტრაქტატი სწავლების ხელოვნებაზე - 1762 წელს ავტორის მიერ შესრულებული – ვფიქრობ, დღესაც რჩება მასალად, რომელიც ღირს ნამდვილად გაეთვალისწინოთ, ვინც მეტ-ნაკლებად ვმონაწილეობთ სწავლების პროცესში. დასაწყისშივე რუსო აღნიშნავს, „წინასწარმიღებული აზრები, ავტორიტეტი, გაჭირვება, მაგალითი, ყველა სოციალური ინსტიტუტი, რომლებშიც ვართ ჩაფლულნი“ არის ზეგავლენის მქონე კაცზე. თუკი ადამიანში არ იარსებებდა შინაგანი წონასწორობის დერძი, მისი „ბუნება დამესგავსებოდა პატარა ხეს, რომელიც შარა-გზაზე ამოსულა შემთხვევით და რომელსაც გამეღელ-გამომეღელნი ყოველმხრივ ეჯახებიან, ყოველნაირად გადუნავენ, გამოღუნავენ და მალეც დაღუპავენ. შენ მოგმართავ სათნო და წინდახედულ დედაჯ, შარაგზისთვის აქცევა რომ შესძელი და საზოგადოებრივ აზრთან შეხლა-შემოხლისაგან დაიფარე ახლაშობილი ხე. მოუარე მას, მორწყე ნორჩი მცენარე, სანამ იგი არ დამჭკნარა: დადგება დღე, როცა მისი ნაყოფი ნუგეშს გცემს შენ... თუ როგორი იქნება მცენარე, მოვლაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ადამიანი, აღზრდაზეა დამოკიდებული“. „აღზრდა ხელოვნებაა“. „ერთადერთი, რაც ჩვენი მუყაითობით შეგვიძლია გავაკეთოთ, არის მეტი თუ ნაკლები მიახლოება მიზანთან, მისი მიღწევისთვის კი ბედია საჭირო“. წიგნის ყველაზე მთავარი გზავნილი კი არის ასეთი – „ყოველი აღზრდელი არის ამხანაგი“ და გამომდინარე აქედან, ჟან-ჟაკ რუსო

მასალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა იყოს ბუკვალურად გაზუთხული, ბავშვებისათვის მინიჭებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხი. რეალურად მოსალოდნელია სოციუმმა შეცვალოს საგანმანათლებლო სივრცე და არა პირიქით, საგანმანათლებლო სივრცემ სოციუმი.

კურტ ლევინი მოგვახსენებს, რომ ხანდახან საჭიროა სიტუაცია აღვწეროთ დინამიკის ტერმინებში. სიტუაცია, ზოგადად, განიხილება როგორც შესაძლო მოვლენების ანდა ქმედებების სასრულო ერთიანობა. სოციალურ პოზიციაში თითოეული ცვლილება, მაგალითად, როგორცაა მომდევნო კლასში გადასვლა, ახალი ამხანაგის შექმნა, თუნდაც ავადმყოფობა ოჯახის რომელიმე წევრის, ნიშნავს, რომ განსაზღვრული საგნები, ადამიანები, მოღვაწეობის სახეები ხელმისაწვდომი შეიქმნება, ან კიდევ პირიქით. ამას ჰქვია თავისუფალი მოძრაობის სივრცე და, ცხადია, მას აქვს საზღვრები. სხეულის ფიზიკურ სივრცეში გადაადგილებაზე როდია ლაპარაკი, აქ, პირველ რიგში, საინტერესოა სოციალური და მენტალური „მოძრაობანი“. პიროვნების ან სოციალური ჯგუფის თავისუფალი მოძრაობის სივრცე შესაძლოა იყოს წარმოდგენილი როგორც სივრცე ტოპოლოგიური,¹ სხვა სფეროებით გარშემორტყმული, რომელიც არაა მისაწვდომი მოცემული ჯგუფისა ან პიროვნებისათვის. სფეროს დახურულობა განსაზღვრულია უნარ-ჩვევის დეფიციტით, მოკრძალებული ინტელექტუალური განვითარებით. სხვა ფაქტორია აკრძალვა სოციალური, ნებისმიერი სახის ტაბუ ერთგვარი და ისინი ადამიანსა და მის მიერ დასახულ მიზანს შორის აღმართული დინამიკური ბარიერებია. ბავშვს შეუძლია მაგიდიდან ვაშლის მოწვდენა, თუმცა დედამ ეს შესაძლოა აუკრძალოს. უთხრას, რომ გარეცხილი არაა.

სწავლების სიტუაციას თუკი გავაანალიზებთ, თავისუფალი მოძრაობის ხარისხი მეტადრე მნიშვნელოვანი იქნება. სასწავლო დაწესებულებებში პიროვნების თავისუფა-

იყო ზოგადი განათლების ისტორიაში პირველი, ვინც ასე კვალიფიციურად და დასაბუთებულად დაგმო პრინციპი დასჯისა და ზედამხედველობისა სწავლების პროსესში. ამავე მოსაზრებას ჰყავდა ოდნავ მოგვიანებით, ასევე კვალიფიციური წარმომადგენელი მარია მონტესორი (1870-1952), ხოლო საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე და საბედნიეროდ დღესაც, ყველასათვის ცნობილი, აკადემიკოსი ბ-ნი შალვა ამონაშვილი (1931). როგორც მარტარეტ მილი, ასევე ლევინ კურტ, როცა თავიანთი ემპირიული კვლევების შედეგების ხარჯზე ანალიზს ადგენდნენ და შემდეგ სამეცნიერო პუბლიკაციებში ასაჯაროებდნენ, ამერიკული ხასითის პერიოტიკებში ამტანობას, გარემოებებისგან დამოუკიდებლად შინაგანი სტაბილურობის შენახვის უნარს მოითითებდნენ. ორივე მკვლევარი იხარჯებოდა დასაბუთებაში, რომ ლამის ყოველ რიგით ამერიკელს შეუძლია საგანგებო ვითარებაშიც კი სწორი ადაპტაციური ქცევის ჩვენება და ამისი საიდუმლო გენეტიკაში კი არა, ამერიკულ სოციუმში აპრობირებული აღზრდის პროცესში, სოციალიზაციის თავისებურებაშია. აი, რას წერს ამავე საკითხზე, ამავე წიგნში („ემილი ანუ აღზრდის შესახებ“) ჯერ კიდევ როდის ჟან-ჟაკ რუსო: „ჩემი აზრით, საუკეთესოდ აღზრდილი ჩვენ შორის არის ის, ვისაც ყველაზე უკეთ შეუძლია ამ ცხოვრების ავისა და კარგის ატანა; აქედან კი გამომდინარეობს, რომ ჭეშმარიტი აღზრდა უფრო ვარჯიშია, ვიდრე დარიგება. ჩვენი ჭეშმარიტი ცოდნა ადამიანის ყოფის შესწავლაა. სწავლას ცხოვრების დაწესებისთანავე ვიწყებთ; ჩვენი აღზრდა ჩვენს არსებობასთან ერთად იწყება“.

¹ **ტოპოლოგიური სივრცე.** განსაზღვრული ტიპის (ტოპოლოგიის) დამატებითი სტრუქტურით სიმრავლე. ტოპოლოგიის შესწავლის ძირითადი ობიექტია. ისტორიულად ტოპოლოგიური სივრცე გაჩნდა განზოგადების სახით მეტრული სივრცისა. ტოპოლოგიური სივრცე ყველა სფეროში მათემატიკისა აღმოცენდება თითქმის ბუნებრივად.

ლი მოძრაობა ოჯახთან შედარებით გაცილებით მეტადაა შეზღუდული.¹ თანამედროვე ეტაპზე განათლების სისტემაში აქცენტი თავისუფლების იდეაზე კეთდება. აქ ორი მომენტი. პირველი, უნდა აღიარო ბავშვის ნებელობა, შემდეგ მისივე საჭიროებები. ამ აღიარებით ბავშვის თავისუფალი მოძრაობის სფერო ფართოვდება. რაც შეეხება ე.წ. საშუალო სტატისტიკური ბავშვის თავისუფალი მოძრაობის სივრცეს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჰიტლერამდელ გერმანიაში არის სხვადასხვა. საინტერესოა შედარებითი ანალიზი გაკეთდეს ერთსა და იმავე სოციალურ კლასში, სკოლებში, რომელთაც აქვთ თანაბარი სტატუსი, სიტუაცია, პროფილი. კურტ ლევინი შერჩევისათვის გენერალურ ერთობლიობად ძირითადად იღებდა ე.წ. საშუალო კლასს, ფენას. ოდნავ უჩვეულოდაც კი ეჩვენება მკვლევარს გერმანიის მაგალითზე სურვილი დამგვანებისა. ანუ, ლაპარაკია მოსწავლის მხრიდან მასწავლებელზე, სტუდენტის მხრიდან – ლექტორზე, მათი კოპირება შეძლებისა და მონდომების კვალდაკვალ. დიდები ბავშვებს ამერიკაში (აშშ) ექცევიან როგორც თანასწორებს. გერმანიაში ორინტიერებული არიან დამორჩილების მდგომარეობაზე. ამერიკაში არაა მსგავსი დისოტომია, **Herr / Untergebener**,² უფრო რეაქტულია მიმართება ორ ინდივიდს შორის, როცა მათ აქვთ პრინციპულად თანაბარი უფლებები. ამერიკაში მშობელი ბავშვს მეტად რე პატივისცემით ეპყრობა, ვიდრე ესაა გერმანიაში. ამერიკაში ბავშვს მუდმივად თხოვნილ მიმართავენ, ასე ვთქვათ, სავალდებულო მიაჩნიათ „რევერანსები“. თავაზიანი რომ უნდა იყო შვილთან და დაუინება დაივიწყო, ეს ამერიკელი მშობლის წესია. ბავშვს ცდილობენ აჩვენონ, როგორი სასარგებლო იყვნენ, სამსახური გაუწიეს, ანუ მშობელი ადემონსტრირებს ბავშვის წინაშე მადლიერებას. გერმანიაში შვილებისგან მოითხოვენ, „უნდა გააკეთო“, ვთქვათ, რაიმე ნივთის მოტანას ავალდებენ. გერმანელისთვის, სამწუხაროდ, როგორც აღწერს ლევინი, ტიპურია ფრაზა – „შემდგომში შენ ამას ჩემი ჩინის გარეშე გააკეთებ“... დიდებს აქ ურჩევნიათ ბავშვში მორჩილების აღზრდა, ისინი ჰგონიან უნდა იყონ თავდახრილი. ამერიკელი კი ამ დროს ამჯობინებს ბავშვთან „თანაბარ ფეხზე“ ურთიერთობას, რამდენადაც ეს ასაკობრივი სხვაობის ფონზე არის შესაძლებელი. ამერიკელი მშობელი როცა ბავშვს რბილად რჩევას აწვდის, გერმანელი ხისტად მიუთითებს, არჩევანს როდი უტოვებს. ვიდაცამ შეიძლება შეგვისწოროს და ეს ახსნას ორი ენის (ინგლისური/გერმანული) გრამატიკული და სტილისტური სტრუქტურით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკელი მეტყველების დროსაც კი მეტად თავაზიანია. ბავშვს ამერიკაში (აშშ) აქვს საკუთარი აზრი. ამერიკაში მგზავრობისას გამორიცხულია შემთხვევა, პატარას, რომელიც თან გახლავს, უცნობი მიეფეროს. გერმანიაში ასეთ ინციდენტს არცთუ ძალიან აპროტესტებენ.

წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია – „ორი მოჩხუბარი, მოკამათე მოზარდი“. აღმზრდელი ზოზინით და არცთუ დიდი ენთუზიაზმით ბოლოს და ბოლოს მოახდენს რეაგირებას წაკიდებულ ბავშვებზე. უცხო თვალის გადასახედოდან, ეს ჩანს როგორც პედაგოგის ზერედე დამოკიდებულება, სინამვილეში მსგავსი უემოციო დროში გაწეული ჩარევა მას აქვს საგულდაგულოდ ნასწავლი. როცა პედაგოგს ბავშვის რაიმე საქმი-

¹ თუმცა შეიძლება იყოს პირიქითაც. სახლში იყოს დამთრგუნველი გარემო და შეიქნას ეს მიზეზი ბავშვის მხრიდან თავის თავში ერთგავრი ჩაკეცივის.

² ბატონი/ქვემდებარე.

ანობის შეწყვეტა სურს, ამას ძალიან ფრთხილად და თანდათანობით აკეთებს. თუკი არსებობს ალბათობა ბავშვმა მის წინაშე დასმულ ამოცანას თავი გაართვას, აღმზრდელი, უბრალოდ, აღარ ჩაერევა. ჰიტლერამდელი სკოლები გერმანიაშიც იმავე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, განსაკუთრებით მარია მონტესორის სახელობის ბაღები.¹ ხმის ტემბრიდან დაწყებული, როცა აღმზრდელი აღსაზრდელს მიმართავს, ამერიკიდან (აშშ) გერმანიამდე იცვლება. და მიანც, ჰიტლერამდელი გერმანიის საგანმანათლებლო საისტემის უპირატესობის მიუხედავად, ზოგადად გერმანელები დაწყებითი სწავლების საფეხურზე თავს უფლებას აძლევენ, იგულისხმება პედაგოგი, ჩაერიონ ბავშვის საქმიანობაში, ხმამაღალი ლაპარაკი მიუღებელი როდია, ცუდ ტონადაც კი არ მიიჩნიათ. გერმანიაში, მით უფრო ნაციისტური რეჟიმის პირობებში, პედაგოგი საჭიროდ არ თვლიდა, რაიმე აეხსნა, განემარტა მოსწავლისათვის, რომელსაც კატეგორიული ფორმით აწვდიდა ღირებულებას. ტოტალიტარული რეჟიმებისთვის ეს ნორმაა. ტოტალიტარული სახელმწიფო დგას ფორმულაზე – **იბატონე ქვემდგომზე; დაემორჩილე ზემდგომს!** ყველა სტურქტურული ელემენტი სახელმწიფოსი ამ პრინციპით მუშაობს და ადგილი პატივისცემისათვის არაა. ზოგადად ადამიანის უფლებების ქვაკუთხედია პატივისა და ღირსების უფლება. „ღირსება ზნეობრივი კატეგორიაა, თავისი შინაარსით ის უნივერსალური ცნებაა და პიროვნების განუყოფელი ნაწილია. ღირსება ადამიანს წარმოშობის, სიმდიდრისა და რომელიმე ჯგუფის კუთვნილების საფუძველზე კი არ ენიჭება, არამედ ღირსება ბუნებით მინიჭებული გრძნობაა, ამიტომ იგი ყველა ადამიანის კუთვნილებაა, მიუხედავად იმისა, როგორია კონკრეტული ადამიანის აღქმა გარემომცველთა მხრიდან. ღირსების უფლების აღიარება გამოირიცხავს ნებისმიერი ფორმის მონობასა და იძულებას. პიროვნების ღირსება მდგომარეობს სიყვარულის უნარში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა შენი მეგობარი ის, ვინც გიყვარს, – ამ სიტყვებში გამოხატა მაჰათმა განდიმ (Mohandas Gandhi, 1869-1948) ადამიანის ცხოვრების მთელი საზრისი და ღირსების გრძნობის უნიკალურობა [6]. ადამიანი ღირსებით მოპყრობას საჭიროების ნებისმიერ ასაკში. როდესაც კულტურის თეორიებზე ორინტირებული სოციოლოგები სხვადას-

¹ აღსანიშნავია, რომ **1939-1936 წლებში**, როცა მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, **მარია მონტესორი** ინდოეთში მოღვაწეობდა. ლექციებს კითხულობდა **მადრასში** (ქალაქი სამხრეთ ინდოეთში, იგივე ჩანნაი), **კარაჩიში** (პაკისტანის სამხრეთით). მოგვიანებით სკოლა ჩამოაყალიბა **კოლდაიკანალში**, რომელიც მთელი მეორე მსოფლიო ომის მანძილზე მუშაობდა. შეიღებულა ერთად ის ნერვავედა თავისი სწავლების მეთოდს. ტერმინი **„კოსმიური განათლება“** იყო შემოტანილი 6-დან 12 წლამდე ბავშვებთან სამუშაოს სპეციფიკის განსასაზღვრად. ამ მეთოდს ხაზი უნდა გაესვა ბუნების სამყაროს ყველა ელემენტის ურთიერთგამომდინარეობაზე. ბავშვები მეცადინეობდნენ უშუალოდ ბუნების წიაღში, გარშემო სადაც იყო მცენარეები, ცხოველები... მონტესორიმ შემუშავა გაკვეთილები, ილუსტრაციები, დიაგრამები და მოდელები პატარა ასაკის ბავშვებისათვის. ბოტანიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიის შესასწავლად იყო შემუშავებული სასწავლო მასალები. ამ ყველაფრის საფუძველზე ორი სახელმძღვანელო გამოიცა: 1. **„განათლება ახალი სამყაროსათვის“**; 2. **„ადამიანური პოტენციალის აღზრდა“**. იმყოფებოდა რა ინდოეთში, მარია მონტესორი აკვირდებოდა ყველა ასაკის ბავშვს, მოზარდს და, ასევე, მათი ყრმობის პერიოდს. 1944 წელს წაიკითხა 30 სალექციო კურსი დაბადებიდან 3 წლამდე ბავშვებზე. 1949 წელს კი ზემოხსენებული სალექციო მასალა შეიკრა წიგნად „რა უნდა იცოდეთ საკუთარი ბავშვის თაობაზე“. 1944 წელს ეწვია **შრი-ლანკას**, ხოლო 1945 წელს მონაწილეობა მიიღო **ჯეიპურში** საყოველთაო ინდურ კონფერენციაში. 1946 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მარია მონტესორი ოჯახთან ერთად ევროპაში დაბრუნდა.

ხვა ხალხების, მათთვის ნიშანდობლივი ცხოვრებისა და სახელმწიფოს მოწყობის წესს სწავლობენ, ხელმძღვანელობენ დიხოტომიით ფემინური/მასკულინური.¹ გერმანული სოციუმი მასკულინობის მეტ ინდექსს ავლენს შედარებით ანალიზებში ამერიკის ფონზე. ზოგადად იძულება არათუ განათლების სისტემაშია მიუღებელი ამერიკაში, არამედ ინტერპერსონალური ურთიერთობების დონეზეც, დაწყებული ოჯახიდან დამთავრებული უბრალოდ ორია ადამიანის მეგობრობით. ამერიკაში სიყვარულის ინდიკატორია პატივისცემა, ხოლო პატივისცემა დაცლილია ყოველგვარი უნდაობითი ხასიათისა და ძალდატანებისაგან, თუნდაც ეს იყოს გაუცნობიერებელი. ამერიკელი მკვლევრების, რობერტ ბელლასა და მისი კოლეგების ნაშრომი „გულის ჩვევები“ ასაბუთებს, „ამერიკელებისათვის საზოგადოებრივი ღირებულებების დაცვის მიუხედავად, საკრალური მაინც პიროვნული, ინდივიდუალური ღირებულებები რჩება. წიგნის ავტორებმა გამოკითხეს საკმაოდ ძლიერი და წარმატებული პიროვნებები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ავტონომიურობასა და ცოდნას და ღრმად სწამთ, რომ წარმატების მისაღწევად უცილებელია როგორც ახალი, ისე ძველი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად მოქმედება. მათი აზრით, ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საშუალება და თავისუფლება“ [5]. ამერიკულ ღირებულებათა ნუსხაში სოციოლოგი ქრეგ კალჰუნი ცალსახად ჩამონათვალს იწყებს დამოუკიდებლობით და დასძენს, „ხშირად ვერთიანდებით ჯგუფებსა და ორგანიზაციებში, მაგრამ უპირატესობას ყოველთვის დამოუკიდებლობას ვანიჭებთ და ნებისმიერ შემთხვევაში ვიტოვებთ ჯგუფის დატოვების უფლებას, თუკი ეს ჩვენ პიროვნულ ინტერესს აღარ ემსახურება. თუ სამსახური, ან ქორწინება წარუმატებელია, ვიცით, რომ გვაქვს მისი შეცვლისა და წინსვლის უფლება. სხვა ხალხებისგან განსხვავებით, აღმსარებლობა ჩვენთვის არა წარსულში წინაპრების გაკეთებულ, არამედ პიროვნულ არჩევანს ემყარება“ [5, 162]. შეიძლება ყოველივე ზემოთქმული ასე დავაჯამოთ:

ადამიანს დაქვემდებარებულის პოზიციიდან აქვს განცდა, რომ იგია ფლობის საგანი; ადამიანს დამქვემდებარებლის პოზიციიდან აქვს განცდა ქონის. არც ერთი, ფლობა/ქონა არ გულისმხობს ყოფნას. ყოფნა კორელაციაში ნებისმიერ ასაკში არის ინდივიდის ეკზისტენტიად ყოფნასთან. Exsistentia (ლათ.) არსებობა, ეკზისტენციალიზმის ერთ-ერთი მთავარი ცნებაა და იგი ხმარებაში შემოიღო კირკეგორმა (1813-1855), დანიელმა რელიგიურმა ფილოსოფოსმა, ფსიქოლოგმა და მწერალმა. ეკზისტენცია ეს არაა ადამიანის არსება, ვინაიდან უკანასკნელი აღნიშნავს, ეკზისტენციალისტების თეორიის თანახმად (სარტრი), რაღაც განსაზღვრულ, წინასწარ მოცემულს, არამედ იგია „ღია

¹ **ფემინური/მასკულინური** – კულტურის თეორიებში ხალხთაშორის მიმართებების შესასწავლად გამოყენებული კლასიფიკატორი, რაც მიესადაგება როგორც გაზომვის ინდიკატორი ცალკე აღებული განათლების სისტემას, ამა თუ იმ ორგანიზაციის მოწყობის წესს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ქონას, ან პირიქით, არქონას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კატეგორია ფემინური/მასკულინური არანაირად არაა ბმაში, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, გენდერთან. ესაა დაფუძვით როცა მიზანრაციონალური მოქმედება მოიცავს თავისში სხვაზე, ალტერის ეგოზე მიმართულობას, მეტი ემპათია, ნაკლები გულგრილობა, ეგოიზმი, ეგოცენტრიზმი, ფსიქოპათია და, რაც უმნიშვნელოვანესია, შეგნებული პასუხისმგებლობის არქონა საკუთარ ქმედებაზე. თვითონ გაზომისთვის აპრობირებული ეს „იდეალური ტიპი“ შეიმუშავეს ჰოლანდიელმა მკვლევრებმა, გირტ იან და გერტ იან ფოფსტედებმა.

შესაძლებლობა“. ეკზისტენცია ნიშნავს, რომ არ ექვედებარება ობიექტივიზირების პროცესს. ამერიკული განათლების სიტემა, როდესაც ამას შედარების საფუძვლად იღებს კურტ ლევინი, ცდილობს ხელი შეუწყოს სწორედ „ღია შესაძლებლობებს“ და მინიმუმი დატოვოს ალბათობა იბიექტივიზირებისათვის, ანუ, დაქვემდებარებისათვის. ამ ოქროს წესს მისდევენ მშობლები ოჯახში, როცა ბავშვებზე ზრუნვით არიან დაკავებული, პედაგოგები დაწესებითი, და არამხოლოდ, სწავლების საფეხურებზე და ბოლოს – აკადემიური პერსონალი უმაღლეს სასწავლებლებშიც. თუკი გერმანიაში სტუდენტი წარმატებულ ლექტორს აკოპირებს და მისი ეკზალტირებული შესაძლოა მიმდევარი რჩება, ამერიკაში ეს ესმით როგორც განსაგნება და საკუთარ შინაგანობაში წონასწორობის დერძის ჩაშენების უუნარობა, რის გარეშედაც ვერავინ გამოიმუშავებს ე.წ. სწორ ადაპტაციურ ქცევას და ვერ განვითარდება.

კურტ ლევინი გაუსვამს ხაზს, რომ ყოველი რეჟიმი უპირისპირდება ინტელექტუალურ დისკუსიას, გონიერებას, რასაც არქმევს ლიბერალიზმის გამოვლინებას და დევნის. პროცესში, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უცვლიან მოსაზრებებს, მსჯელობენ, ყალიბდება ურთიერთობები თანაბარ ფეხზე. როცა პედაგოგი მოსწავლეს, ზოგადად, აღსაზრდელს განუმარტავს დირექტივების საჭიროებას, მიზეზს, თუ რატომ მიეთითა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს მეტი დემოკრატიაა, აქ გათვალისწინებულია ბავშვთა ბაზისური უფლებები, შენ ამგვარად საგანმანათლებლო სისტემის ხარჯზე ბავშვს ეხმარები გახდეს რაც შეიძლება მაღე დამოუკიდებელი, შესაბამისად, თვითკმარი. ბავშვი რომ დამოუკიდებლად ჩაცმას სწავლობდეს, თავის მოვლას არის მნიშვნელოვანი.

ბავშვის ე.წ. თავისუფალი მოძრაობის სივრცე არის ამერიკაში სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტი, მით უფრო, როცა ლაპარაკია გერმანიაზე. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენ ირგვლივ სოციალური გარემო მრავალპლასტიანია. შეიძლება ერთ პლასტში, ბავშვს, ასევე პედაგოგს, ჰქონდეს მეტი თავისუფლება, სხვაში – ნაკლები და მესამეში საერთოდ არანაირი. აბსოლუტურად ჩაკეტილი თავისუფალი მოძრაობის სივრცე, ეს უკვე ემილ დურკემის მიერ ანომიად წოდებული მგომარეობაა და ხშირად ადგილობრივ დონეზე მთავრობების გადაყენება, შეცვლით სრულდება.

რაც შეეხება ყოველდღიურობას ამერიკელი სტუდენტისა, ამერიკელი სტუდენტი ადგენს ნათელ, დეტალურად გაანგარიშებულ გეგმას ხანგრძლივი დროის პერსპექტივით. ესაა სტრატეგიული გეგმა, თავისი ამოცანები როგორ გაწეროს თანმიმდევრულად ისე, რომ მათი შესრულება იყოს უფრო რე ადვილი. გერმანელი ასეთ გრაფიკს – რა, როდის, როგორ – ნაკლებად ყვარობს. თითქმის არააო ასეთი ჩანაწერების არსებობა მოსალოდნელი, ამბობს კურტ ლევინი. ამერიკელი სტუდენტისთვის ნორმალურია წინასწარ განსაზღვრა, რამდენ საათს დაუთმობს კვირაში თავის კვლევას ექვსი თვის მანძილზე.¹ გერმანელი სტუდენტი თავისი სამუშაოსთვის განკუთვნილ ე.წ. ტერმინს¹ თავს

¹ მაგისტრატურაზე სწავლების პერიოდში, მახსოვს ასეთი „ლირიკული გადახვევა“ ედუარ კუდუას მიერ (თსუ სოციოლოგიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ქართული სოციოლოგიის ქვაკუთხედი), სასწავლო კურსს როცა გვიკითხავდა კულტურის სოციოლოგიაში, „- მე დღეში 16 საათს ვმუშაობ“. მერე დაგკვკითხა, „- რამდენ საათს მუშაობთ თქვენ?“ ანუ, გონებრივი აქტივობა, სასწავლო-საკვლეე მასალაზე მუშაობა იგულისხმებოდა.

ვერ ართმევს. გერმანიაში საუნივერსიტეტო სემესტრის მანძილზე სესიები ერთხელ უწევთ, ხოლო ამერიკაში, ყველა ლევინი, სემესტრი უღუფუებადაა დაყოფილი და რამდენჯერმე უწევთ სესია. ზოგადად ამ მეთოდს, როცა გრაფიკის მიხედვით აწყობ ჰიპოტეტურ კონსტრუქციას სამუშაო-დროის განაწილების, ან უნივერსიტეტი ხლენს სესიებად სასწავლო სემესტრს, ტრიმესტრს, საბოლოო ჯამში, მაინც დეკონსტრუქცია ჰქვია. არის ასეთი რუსული გამოთქმა – «Москва не сразу строилась».² ზოგადად მთელი საგანმანათლებლო სისტემა ექვემდებარება მსგავსი დეკონსტრუქციის პრინციპს და ამიტომაც გვაქვს სწავლების განსხვავებული საფეხურები, ავილოთ საილუსტრაციოდ უმაღლესი სწავლების ფაზა:

- √ ბაკალავრიატი
- √ მაგისტრატურა
- √ დოქტორანტურა
- √ პოსტ-დოქტორანტურა

ნებისმიერი ორგანიზაცია, ნებისმიერი შრომის დანაწილების საჭიროების მქონე ერთობა, ხელმძღვანელობს წინასწარ ჰიპოთეტურად კალენდარში გაწერილი ამოცანების ჩამონათვალთ, ზოგიერთს სულაც იურიდიული იმპერატივი უმაგრებს ზურგს და გრაფიკიდან ცდომა მკაცრადაა სანქცირებული.

ვეროპელები ასეთ რამეს ყვებიან ამერიკელებზე: „ამერიკა კონტრასტების, უსაზღვრო შესაძლებლობების ქვეყანაა“. სახეზე მყოფი პერსპექტივები ამერიკელებს ანიჭებს დიდ თავისუფლებას. ისინი არ ეჯახებიან ადგილს, მით უმეტეს, თუკი ადგილმა არ შეიყვარა ისინი. ამერიკელი ტოვებს „შენვეულ“ სახლს, ახალი რაიონის დატესტვა არ ეძნელება, შესაძლოა სხვა ქალაქზე და შტატზეც იყოს ლაპარაკი. გერმანელებს არ სიამოვნებთ ცვლილებები ჭერთან მიმართებაში და ისედაც, ზოგადად. მათთვის ახალ სიტუაციასთან შეგუების დროითი ლიმიტი უფრო ხანგრძლივია. ახლობელი ადამიანის გარდაცვალებასაც კი მეტი სიღრმით, შეგნებულად უდგება ამერიკელი. ესმის, სიცოცხლე სასრულოა და არ არსებობს ამ დროს უპირობო გარანტია, ყველაფერი რაც თეორულად დასაშვებია, მოსალოდნელი ალბათობის მქონეა.

რაც შეეხება შეხედულებათა დაშორებას, ოპონონტის პოზიციიდან პიროვნულ მიღება/არმიღებას, იქნება ეს მეცნიერება, პოლიტიკა თუ რაიმე სხვა, ამერიკელი მიჯნავს პირადს და საჯაროს, ანუ, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულს და შეუძლია გამარჯვებაც მიულოცოს მოწინააღმდეგეს და ჰქონდეს მასთან საკმაოდ თბილი, ამხანაგური დამოკიდებულება. გერმანიაში ასეთ პრაქტიკას ლამის სიბრყვის რანგში აიყვანენ და მიაწერენ პიროვნების უნიათობას.

¹ **Der Termin** (ger.). Duden, Bedeutung: (fuer etwas Betsimtes) festgelegter Zeitpunkt; Tag, bis zu dem oder an dem etwas geschehen soll.

შესატყვისი ქართულ სიტყვათხმარებაში უცხოურიდან გაერცვლდა, ასევე ე.წ. დედლაინი, ანუ სამუშაოს ჩაბარების ვადა, დღე, საათი, ხანდახან ცხადია შეიძლება ოდნავ, სულ მისხალი და აგვიანო, გააჩნია ორგანიზაციის განაწესს, გააჩნია ვის აბარებთ. ან უბრალოდ, შეიძლება უწესებთ ამ კალენდრულ ვადას თქვენზე თავს, ისევე როგორც აქ კურტ ლევინის მიერ აღწერილი რიგითი ამერიკელი სტუდენტი.

² „მოსკოვი ერთბაშად არ აშენებულა“.

გერმანული პუნქტუალობა ჩვენ ვიცით საბჭოთა და პოსტ-საბჭოურ სივრცეში, ასევე, როგორც იყო, არის ქათინაურის რანგში აყვანილი. არადა კურტ ლევინი თავისი გამოცდილებიდან, რომელიც ამ ორი სოციუმის დაკვირვების ხარჯზე შეიძინა, ამბობს, პუნქტუალური, ზედმიწევნით კორექტული არის ამერიკელი, ხოლო გერმანელებს მაგიდასთან ვახშამზეც კი ვერ მოუყრიდ დროულად თავსო.

ამერიკაში პოპულარობით სარგებლობს სისხამ დილას ლექციები, ან რაიმე სხვა ღონისძიება. ხშირად მოკრავ ყურს ფრაზას – „სამუშაომ ჩენგან N დრო (კვირა, დღე, საათი) წაიღო“. ყოველთვის ახსოვთ და ხაზს უსვამენ, რა დროის შუალედში შეასრულეს დავალება. ამით დავალება ფასობს, მისი მნიშვნელობა სერიოზულობამდე იზრდება. უფრო მეტი, რეიტინგული ჟურნალ-გაზეთები სტატიის გასწვრივ, იქვე უთითებენ, საშუალოდ მის წაკითხვაში მკითხველი რა დროს დახარჯავს. გერმანიაში ეს იშვიათი პრაქტიკაა. რიგითი გერმანელი დროს ხანდახან სრულიად ივიწყებს. არის ასეთი მეტად პოპულარული, თანაც ელიტურ საზოგადოებაში, შემსრულებელი Max Raabe¹. აქვს სიმღერა Der perfekte Moment,² შემდეგი ტექსტით – Heut' macht' ich gar nichts, keinen Finger krum, ich bleib' zu Haus' und liege hier einfach nur som rom...³ ცხადია, სიზარმაცე როდი ჩვევია გერმანელს, უბრალოდ, დროის ასე არტახებში მოქცევის საჭიროებას ვერ ხედავენ. კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას ესეე შევიცარულ და ქართულ დროზე 2000-იან წლებში ერთ-ერთ ლიტერატურულ აღმანახში დაიბეჭდა და მატ-ნაკლებად ანალოგიური იყო შედარებითი ანალიზი იმასთან, რასაც მოცემულ სტატიაში კურტ ლევინის მიდევნებით განვიხილავთ. უ.ზ. შედარების კრიტერიუმში იყო მსგავსი. დროის შეგრძნება, მისი დეკონსტრუქცია, ასეთი ჩანაწერები აკადემიურ სტილში აქვს ასევე საინტერესოდ კარლ პოპერს და არის კიდევ ქართულად თარგნილი და გამოქვეყნებული [8].

ზოგადად, შედარებითი ანალიზი, რომელიც ასეთი ნაყოფიერი გამოუვიდა კურტ ლევინს, მოცულობით არის უფრო ფართე, თუმცა გამომდინარე სტატიის ფორმატიდან, შევეცადე გამეანალიზებანა ის, რაც უშუალოდ სწავლება და სწავლებასთან დაკავშირებულ ჩვევით უნარებს შეეხებოდა. ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემები ავტორს გამოცემული ჰქონდა წიგნად – „სოციალური კონფლიქტების გადაჭრა“ და, ფაქტობრივად, იყო როგორც გზამკვლევი, ძირითადად, ეთნიკური კონფლიქტების გადასაჭრელად მულტიკულტურულ გარემოში.

ლიტერატურა:

1. Lewin K., Resolving Social Conflicts, New York: Harper; Левин К., Разрешение социальных конфликтов, «Речь», Санкт-Петербург, 2000;
2. საერთაშორისო ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, 2000, №33;
3. საერთაშორისო ჟურნალი «Деловые люди», 1990, სექტემბერი;
4. რიშანი ფრ., შიშის ძირითადი ფორმები, გამომცემლობა „წიგნიერი“, თბ., 2017;

¹ Max Raabe (1962).

² გერმ. საუცხოო მომენტები.

³ გერმ. დღეს არაფერსაც არ გავაკეთებ, თითხ თითხე არ დავდებ, სახლში ვრჩები უბრალოდ დაწოლილი...

5. კალჭუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს., სოციოლოგია, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2008;
6. ბოროუსი გ., აბაშიძე ზ., მუხიგული ქ., დუნდუა ს., ქარაია თ., დემოკრატია და მოქალაქეობა, მესამე გამოცემა, IFES, თბ., 2020;
7. რუსო ე., ემილი ანუ აღზრდის შესახებ, თბ., 1949;
8. პოპერი კ., რჩეული ნარკვევები, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2000.

Shorena Kortava

Several Psychosocial Differences Between American and German Societies

(Analysis by Kurt Lewin)

Summary

Kurt Lewin takes the educational system from early childhood as an indicator of the comparison of American and German societies. He shares many of the teaching methods bounded by Maria Montessoria. Kurt Lewin is an eminent German psychologist who relied on the sociological method in his academic research. The main topic of his study is also purely sociological. This is the theory of social action and the topic of social fields. Lewin believed that the action is not always predetermined by the situation, but is predetermined by the individual characteristics of the personality, which are embedded in him from early childhood. America for a scientist is endless possibilities. Americans in the truest sense of the word are free in spirit. As for the Germans, Kurt Lewin writes that they are harsher, less punctual, and that the testing methods in the primary education system are more unsuccessful.

Шорена Кортава

Несколько психосоциальных различий американского и немецкого социума

(Анализ Курта Левина)

Резюме

Курт Левин берет систему образования с раннего детства как показатель сравнения американского и немецкого обществ. Он разделяет многие методы обучения, которых придерживается Мария Монтессори. Курт Левин – выдающийся немецкий психолог, опирающийся на социологический метод в своих научных исследованиях. Основная тема его исследования также является чисто социологической. Это теория социального действия и тема социальных полей. Левин считал, что действие не всегда предопределено ситуацией, а предопределено индивидуальными особенностями личности, заложенными в нем с раннего детства. Америка для ученого – это безграничные возможности. Американцы, в прямом смысле этого слова, свободны духом. Что касается немцев, Курт Левин пишет, что они более суровы, менее пунктуальны, а методы тестирования в системе начального образования более неудачны.

ნანა ჯანაშია
(საქართველო)

**კავკასიის ხალხთა უსაფრთხოების საკითხი 1914-1921 წლების
ქართული პრესის მიხედვით**

ყველა ის საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისში კავკასიას, აქტუალურია დღესაც. რუსეთი, როგორც საფრთხის ფაქტორი, დღემდე არ არის დღის წესრიგიდან მოხსნილი და ამიტომ მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, კონკრეტულად თუ რა პრობლემებს აწყდებოდა კავკასია და როგორ უმკლავდებოდა მათ კავკასიელი ხალხი. ასეთი ანალიზის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა, განსაკუთრებით – 1914 წლიდან, ანუ პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან და 1921 წლამდე, ანუ წითელი არმიის კავკასიაში შემოჭრამდე.

ნებისმიერი დასუსტებული სახელმწიფო მნიშვნელოვნად არყვეს მსოფლიოს უსაფრთხოებას და მრავალ მანკიერ მოვლენას წარმოშობს. არაერთხელ გამხდარა კავკასია რუსეთის სამხედრო ქმედებების მსხვერპლი და უსასრულო ქაოსსა და სიღარიბეში ჩაძირული. ძნელია მოიძიო კავკასიის რეგიონში მცხოვრები თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც კავკასიის დღევანდელი მისი წარსულის მიმართ არის ინდიფერენტული.

კავკასიის მკვიდრთ ანუ ავტოქთონ¹ ხალხებს გენეტიკური და სულიერი ერთობა გვაერთიანებს. ევროკავშირი ავტოქთონი ხალხების დასახმარებლად და მათი უსაფრთხოების დაცვის საქმეში ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს აქტიური მონაწილეობის მისაღებად [5].

ბრიტანელი მეცნიერი ხ. მაკინდერი ევრაზიის სივრცეს „პართლენდს“ უწოდებს და მსოფლიო პოლიტიკისა და ისტორიის ღერძის როლს ანიჭებს. ის ფიქრობს, რომ ვინც ამ სივრცეს ფლობს, ის ფლობს მსოფლიოსაც.

„ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს სურს: თავისუფლად საუბრობდეს, თავად აირჩიოს საკუთარი მმართველი, ილოცოს საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისად, განათლება მისცეს შვილებს – ქალსა თუ ვაჟს, ფლობდეს ქონებას და ისარგებლოს საკუთარი შრომის მონაგარით“ [3]. ეს სიტყვები ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციიდანაა, რომელიც შესაძლოა ოცდამეერთე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ღერძადაც იქცეს.

ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ აშშ-ის პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის (1901-1909) დამსახურებით წარმოიშვა. მან 1904 წ. აშშ-ის კონგრესს გაუგზავნა მიმარ-

¹ ავტოქთონი (ბერძნ. autochthōn. ავტო და chthōn – მიწა, ქვეყანა, მკვიდრი, ადგილობრივი) – აბორიგენი, რომელიც ცხოვრობს იქ, სადაც წარმოიშვა ევოლუციის პროცესში. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=13987> (ნანახია 08.08.2020 წ.).

თვა, რომელშიც პანამის იმ ტერიტორიების ოკუპირებას, სადაც მომავალში არხი უნდა აშენებულიყო, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით ასაბუთებდა.

„ქართველ ერს, აღიდგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შექმნას თავისი სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულება, რათა შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეოდ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებებით“ [4]. ეს კი საქართველოს კონსტიტუცია გახლავთ, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული.

ქართული პრესა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე ცენზურის ძლიერი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. განსაკუთრებით რთული იყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გამოცემებისთვის გამოხატვის თავისუფლებაზე შეზღუდვის პირობებში მუშაობა და კავკასიის ერთიანობის საკითხებზე შეფარვით წერა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ ცენზურა გაუქმდა და პრესამ დაიბრუნა გამოხატვის თავისუფლების სრული არა, მაგრამ მაინც მაღალი ხარისხი. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა ერთი სახელმწიფო გაზეთი – „საქართველოს რესპუბლიკა“, ყველა დანარჩენი კი – უწყებების, კერძო მესაკუთრეებისა და პარტიების ინტერესებს გამოხატავდა. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კერძო პირებს მიეცათ უფლება დაეწყოთ საგამომცემლო საქმე. ბევრი ჟურნალ-გაზეთებს უყურებდა როგორც ბიზნესს, რომელსაც სარეკლამო განცხადებების განთავსების მარტივი გზით კარგი მოგების მოტანა შეეძლო. თუმცა, რუსეთის იმპერიის განაპირა გუბერნიების პოლიგრაფიული ხარისხის დაბალმა დონემ, უხარისხო ქალაქმა, გაუმართავმა სტამბამ არაერთი ნომრის ჩავარდნა გამოიწვია და პრესამ დაკარგა ბიზნესის ფუნქცია; მისი სადავეები ხელთ იპყრეს ევროპაში განათლებამიღებულმა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეებით შეპყრობილმა ახალგაზრდებმა. სწორედ ამან გამოიწვია გამოცემების შინაარსობრივი მრავალფეროვნება და ისინი მკითხველისთვის მეტად საინტერესო გახდა. ცარიზმმაც უმაღლესე აამოქმედა მკაცრი ცენზურა. დახურა არაერთი გაზეთი და ციხეში ჩასვა ბევრი რედაქტორ-გამომცემელი. სწორედ ამის გამო, მაშინდელ პერიოდულ პრესაში სტატიები მეტწილად ხელმოუწერელი იყო ან ფსევდონიმებით იბეჭდებოდა.

მაგალითად, გერმანიის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორი მიხაკო წერეთელი სამშობლოში დაბრუნების მერე გახმაურებული ანარქისტული ხასიათის პუბლიკაციებს აქვეყნებდა შემდეგი ფსევდონიმებით: ალაროდიელი, სანგალა, BATON (ფრანგ. ჯოხი). გაზეთ „მწყემის“ რედაქტორის დეკანოზ დავით ღამბაშიძის ფსევდონიმი იყო „სოფლის ხუცესი“. „ნობათის“ რედაქტორის, მწერალ დომინიკა ერისთავის ფსევდონიმი იყო „განდგილი“, „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე ფსევდონიმით „შ“ იბეჭდებოდა ილო მოსაშვილი. ფსევდონიმით „ქართველი კათოლიკე“ 1914 წელს ჟურნალში „კლდე“ იბეჭდებოდა უცნობი და საინტერესო ავტორი. ასევე, უცნობი ავტორი ფსევდონიმით „კაკაბი“ იბეჭდებოდა გაზეთში „საქართველო“. „ცნობის ფურცელში“ ხშირად აქვეყნებდა წერილებს ვინმე, ფსევდონიმით „აფხაზი“. ჟურნალში „კლდე“ მისი დამაარსებელი და დამფინანსებელი დავით ვაჩნაძე წერილებს „ეკალის“, „დავით კახელის“ და „დ. კ.“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. გაზეთში „საქართველო“ ფსევდონიმით ა.ლი იბეჭდებოდა ნოე ჟორდანიანი.

პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ქართული პრესის ერთი ნაწილი გერმანული ორიენტაციის იყო და მიაჩნდა, რომ ინგლის-საფრანგეთისგან განსხვავებით, გერმანია არ იყო რუსეთის მოკავშირე, თან გერმანიამ ბრესტ-ლიტოვსკში ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1915 წელს დაგზავნილი ცირკულარის (განკარგულება) მიხედვით, სტუდენტს სასწავლებელი სავალდებულო სამხედრო საქმისგან არ იცავდა. „მათ, რომელთაც გაათავეს საშუალო სასწავლებელი და სხვა საშუალო სასწავლებელში შევიდნენ, ან გაათავეს უმაღლესი და სხვა უმაღლესში შევიდნენ, არავითარ შემთხვევაში შედავათი არ ეძლევათ“ [7, 3]. ოჯახებს ეს არ აკმარეს და იმავე 1915 წლის ოქტომბერში 44 წლამდე ასაკის სამხედრო მოვალეობამოხდელი მამაკაცები კვლავ გაიწვიეს ჯარში. ეს მოხდა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით. ამის შესახებაც „ცირკულარი“ დაუგზავნეს გუბერნატორებს [7, 3]. უკვე 1916 წლის პირველი იანვარს მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც პირველკურსელ სტუდენტებსაც იწვევდნენ ჯარში. სამხედრო სამსახურში გაწვევიდან მხოლოდ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები და კაზაკები იყვნენ თავისუფალი [15, 2]. სწავლაზე ორიენტირებული და ომში გამოუცდელი ავტოქთონი ხალხის ყმაწვილკაცები სამსხვერპლოზე მიიტანა რუსეთის იმპერიამ.

1914-1918 წწ. ჯარისკაცების ოჯახებისათვის ერთადერთი იმედი პრესა იყო. მხოლოდ აქედან შეეძლოთ ხმა მიეწვდინათ შვილებისთვის ან მათი ნაცნობებისთვის. ჯარისკაც ილარიონ ბაკურიას მშობლებს 9 თვის განმავლობაში შეილხე არაფერი გაეგოთ. მათ „თანამედროვე აზრის“ რედაქციას მიმართეს თხოვნით, რომ მოეძებნათ ილარიონი, რომელიც: „62 სუზდალსკი პოლკში 16 როტაში მსახურობდა და იბრძოდა გერმანიის ფრონტზე“ [11, 3].

საჩხერელ მედიტონ ქველაძეს, რომელიც მსახურობდა „კოხლოვის 123 ქვეითა პოლ. პირველ როტაში და იმყოფებოდა გერმანიის ფრონტზე“ და მისგან 11 თვე არაფერი ისმოდა, ეძებდა ძმა, ასევე ჯარისკაცი იოსებ ქველაძე, რომელიც მსახურობდა „კავკასიის მოქმედ ჯარში, 19 თურქესტანის მსროლელთა პოლკში, მე-10 როტაში“ [11, 3].

ვინმე ლევან ბუაძე ითხოვდა ძმის მიტროფანე ბუაძის მოძებნას, რომელიც ავსტრიის საზღვრებზე მოქმედი ჯარის მე-18 კორპუსის 54-ე ქვეითთა მინსკის პოლოკის, მე-5 როტის უნტერ-ოფიცერი იყო და რომელიც კარპატების ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და უკვალოდ დაიკარგა [11, 3].

ვინც ცოცხალი ბრუნდებოდა ჯარიდან ან დაჭრილი იყო ან გადამდები სენით დაავადებული. თუ 1915 წლის აგვისტოს დასაწყისში თბილისის სხვადასხვა ლაზარეთებში 7 დაავადებული ქართველი ჯარისკაცი (ჭავჭავაძე, ჭანუყვაძე, სვანიძე, ზარდალიშვილი, ნოზაძე, მეგრელიშვილი, გელაშვილი) მოათავსეს [12, 3], უკვე 26 აგვისტოს თბილისის ლაზარეთებში მოთავსებულ დაჭრილ და დაავადდმყოფებულ ჯარისკაცთა რიცხვი 20-მდე გაიზარდა. მათგან ერთი ხუბაშვილი პავლე ლაზარეთშივე გაარდაიცვალა [13]. 1915 წლის 7 ნოემბერს თბილისში სარიყამიშიდან (ყარსის ოლქი) სანიტარული მატარებლით დაჭრილი და დაავადებული ჯარისკაცები კვლავ ჩამოიყვანეს, მათში 7 ქართველი ოფიცერი იყო [14, 3]. 1915 წლის 4 დეკემბერს თბილისის №8 ლაზარეთში იმყოფებოდა 22 დაჭრილ-დაავადდმყოფებული ჯარისკაცი, №11-ში – ცხრა, №23-ში – ერთი, №26-ში – ერთი, №37-ში – ექვსი [8, 2]; ე.ი. ერთ დღეში 39 დაჭრილი კავკასიელი 6

ლაზარეთში. ამ პერიოდში თბილისში იყო 40 ლაზარეთი. ინფორმაცია კი გვაქვს მხოლოდ 6 მათგანიდან. დანარჩენ 34 ლაზარეთში, ვარაუდით, 200 დაჭრილი მაინც იქნებოდა.

უკვე 1916 წელს თბილისის ლაზარეთებში ტვეა აღარ იყო [9, 3]. წლის დასაწყისშივე, ანუ 1916 წლის 24 თებერვალს, თბილისის №8 ლაზარეთში მოათავსეს არზრუმის აღების დროს დაჭრილი და „თოვლისაგან ფეხებ მომძრალი“ [10, 4] 9 ქართველი ჯარისკაცი.

თუ ერთი ძმა იბრძოდა, მეორესაც ფრონტზე უშვებდნენ – არავითარ შედავათს არ უწევდნენ ოჯახს და მშობლებს. ამაზე მოწმობს ხონელი ნესტორ გეგეჭკორის დედის, ნატალიას წერილი, რომელშიც შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ 1915 წლის 14 აგვისტოს მერე შვილისგან წერილი არ მიუღია. ქალის წერილიდან ირკვევა, რომ მას უფროსი ვაჟი ფრონტიდან ორივეფხედაკარგული ჩამოუყვანეს. „მტრის ყუმბარამ მოსწვეტაო ფეხები“ [16, 4] და ითხოვს მეორე შვილზე ცნობებს და მიუთითებს, რომ მსახურობდა 289-ე კოროტოიარის ქვეითთა რაზმში.

ჯარისკაცთა ოჯახებს მთავრობა ცინიკურად ექცეოდა და მცირედი თანხით ისტუმრებდა. ეს თანხა თვეში 6 მანეთს და 60 კაპიკს შეადგენდა (ამ პერიოდში გირვანქა (453 გ.) შაქრის ფასი 24 კაპიკი იყო, გაზეთის ერთი ნომერი 7-10 კაპიკი ღირდა). „სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებს: თანახმად საგანგებო საქალაქო საკრებულოს დადგენილებისა, დღეის შემდეგ სიძვირის გამო დახმარება მიეცემათ თვეში 6 მან. და 60 კაპ. ნაცვლად წინააღმდეგ 4 მან. და 50კ.“ [17, 2].

ჯარისკაცის ფარაჯაგადასხმულმა კავკასიელმა გლეხობამ რუსული არ იცოდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის არმიიდან მათი გაქცევის. მეორე მიზეზი იყო გაუსადღისი პირობები. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უქონლობა, სიცივე, შიმშილი და ანტისანიტარია ჯარში, მაშინ, როდესაც გერმანულ ჯარისკაცს თბილადაც ეცვა, შიმშილი არ აწუხებდა, სანგარში კი ცხელი ყავა ყოველთვის შეეძლო მიერთვა.

ხედავდნენ იმასაც, რომ ვინც ომს გადაურჩა, თუ დაჭრილი არ იყო – დაურუებული ან დამუნჯებული ბრუნდებოდა უკან [18, 2-3]. სწორედ ამან დეზერტირობის ფაქტები გაახშირა. პრესაც აქტიურად აქვეყნებდა ამ თემაზე ინფორმაციებს. გაქცეულების გვარებს თითქმის ყოველდღიურად ბეჭდავდა. მაგალითად, 1916 წლის სექტემბერში ჯარიდან გაიქცნენ ჯარისკაცები და მათგან სამი – მათე აკოლტკოვი, სტეფანე სამარკოვსკი და გ. პაპალაშვილი თბილისში შეიპყრეს [19, 3]. იმავე წლის ოქტომბერში გაიქცნენ და შეიპყრეს ალექსი სოლომონის ძე მეშვინდიშვილი და ივანე ზაქ. ტერტეროვი [20, 2]. 7 ოქტომბრის ნომერი იუწყება, რომ შეიპყრეს გამოქცეული ჯარისკაცები: კირიჩკოვი, ტრიფონოვი და სკლიაროვი [21, 2].

პირველმა მსოფლიო ომმა ტყვეების პრობლემა წარმოშვა. არაერთი კავკასიელი ჩავარდა ტყვედ. ქართულ გაზეთებში ქვეყნდებოდა მათი გვარები. გერმანიის ჰუმანურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი ტყვეებთან ნათესავეების დაკავშირების ნებას იძლეოდნენ. ტყვეთათვის ფულის ან ამანათის გაგზავნა საქართველოდანაც რომ ხდებოდა, ამაზე მეტყველებს ეს განცხადება: „ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუგზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგის კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს). ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრეთვე ამანათს ზედ ეკრას პატარა ქაღალდი შემდეგის წარწერით:

An die Kommandatur

Des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Libesgaben für die

Russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

an Suisse, Bern, Ensingenstasse, 48 A. A. baxeraxts

ან კიდევ: BanguPapulaire Suisse, Fonds Russe pour les prisonniers de guerre“ [6].

გერმანიაში მყოფ ქართველ ტყვეებზე ზრუნავდა და წერდა ბერლინში გამომავალი ორკვირეული ეროვნულ-სეპარატისტული მიმართულების „ქართული გაზეთი“. გაზეთში ქვეყნდებოდა ტყვეთა წერილები, ლექსები და ინფორმაციები მათი მდგომარეობის შესახებ. ამ გაზეთს ევროპის კომიტეტი გამოსცემდა. გამოდიოდა 1916-1918 წლებში. რედაქტორობდა გ. კერესელიძე. გაზეთი განკუთვნილი იყო გერმანიაში მყოფი ქართველი ტყვეებისთვის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაასრულა რუსეთის მონარქიული სისტემა, ოქტომბრის რევოლუციამ კი დაშალა რუსეთის იმპერია (თუმცა, ბოლშევიკების მოსვლით სათავე დაუდო ახალ, საბჭოთა იმპერიას). ცარიზმის დასრულებას კავკასიაში 4 ახალი რესპუბლიკის ჩამოყალიბება მოჰყვა.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ჩატარებულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიები და კავკასიის ფრონტის წარმომადგენლები, ასევე მუშათა და ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოსა და თბილისის საბჭოს წარმომადგენლები, გადაწყდა, რომ უარი ეთქვათ რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ცნობაზე და შეექმნათ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა. 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც უკვე 18 ნოემბერს დეკლარაციით მიმართა ამიერკავკასიის ხალხებს. ამ დეკლარაციის მიხედვით, მათ გადაეცემოდათ სახანო, საუფლისწულო და მსხვილ მემამულეთა მიწები, მალე მოხდებოდა მათი კონფისკაცია და გლეხებზე გადანაწილება. საუბარი იყო, ასევე, ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაზე ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე. სოციალ-ფედერალისტები მოითხოვდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და მათ ფედერაციაში გაერთიანებას. ეროვნული დემოკრატები კი ამიერკავკასიის კონფედერაციის მომხრეები იყვნენ და მიაჩნდათ, რომ ამ გზით საქართველო სწრაფად მოიპოვებდა სრულ დამოუკიდებლობას [2, 77].

1917 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს დადგენილებით, თბილისის ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომლის თავჯდომარედ ნოე ჟორდანიას აირჩიეს. ყრილობას 348 დელეგატი ესწრებოდა. აქედან ოცი ხმა ჰქონდა ქართული ჯარის წარმომადგენლებს. ინტერპარტიულ საბჭოს ადრეც

ჰქონდა რუსეთის ჯარის შემადგენლობაში ქართული ეროვნული კორპუსის ჩამოყალიბების სურვილი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. სწორედ ამიტომ განიხილა ეს საკითხი ეროვნულმა ყრილობამ და მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერა, რომ მომავალ ეროვნულ საბჭოს ავალებს ქართველი ჯარისკაცების ქართულ ეროვნულ ნაწილში გადმოსვლის უფლების მოპოვებას, ასევე ბრძოლისუნარიან ახალგაზრდებს მოუწოდოს ნებაყოფლობით ჩაეწერონ ქართულ საჯარისო ერთეულებში. რუსეთის არმიიდან გაქცეულ დუხერტირებს კი მოუწოდოს, რომ დაუბრუნდნენ სამხედრო ბეგარის მოხდას ეროვნულ არმიაში [1, 77-79].

ქართული კორპუსი ნელა ყალიბდებოდა, რადგან ხალხი ჯარში სამსახურის დიდ სურვილს არ იჩენდა. მიუხედავად ამისა, 2 ქართული პოლკის ჩამოყალიბება მაინც შესძლეს, ხოლო მესამისა და მეოთხის ჩამოყალიბებას ვერ ახერხებდნენ. რუსეთის დროებითი მთავრობა სიტყვიერად დათანხმდა ეროვნული საჯარისო ერთეულების ფორმირებაზე, მაგრამ საქმე-საქმეზე როცა მიდგა, გენერალიტეტი გამოიყენა და საბოტაჟი მოუწყო ეროვნული ნაწილების ფორმირებას.

ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გამოცალკეეობა რუსეთის ჯარისგან და მათი სამშობლოში ჩამოყვანა ძნელი აღმოჩნდა. ეს ამბავი ყველაზე მეტად რუს ოფიცრებს არ მოეწონათ და ქართველ ჯარისკაცებზე იყარეს ჯავრი: „ქართველი ჯარისკაცები ტერორის ქვეშ ჰყავთ, რადგან ნაწილების დაშლა ოფიცრების უადგილოდ დარჩენას მოასწავებს და მათი ინტერესები ეწინააღმდეგებაო ნაციონალიზაციას... რუსი ოფიცრები, ჯარისკაცები იარაღს არ უთმობენ ქართველებს, სამხედრო ტექნიკა რუსეთისაა და უნდა წავიღოთო“ [2, 149-150].

სასურსათო დეფიციტის, სპეკულაციის, კრიმინალის და სხვადასხვა ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ რუსეთის იმპერია უძლური აღმოჩნდა. 1918 წლამდე სრული განუკითხაობა იყო. მხოლოდ 1918 წლის 26-30 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის ინიციატივით საგანგებო რაზმი შეიქმნა, რომელმაც იარსება 1919 წლის 30 დეკემბრამდე. რაზმი 1000 კაცისგან იყო შემდგარი. რაზმის უფროსს ხელფასი 600-ით, ხოლო თანაშემწეს 500 მანეთით განესაზღვრათ. ეს რაზმი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში სპეცსამსახურის როლს ასრულებდა. მასში ოპერატიული დანაყოფის გარდა, შედიოდა სპეციალური დანიშნულების შეიარაღებული ფორმირება – ანუ მფრინავი რაზმი, რომელიც უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრს ექვემდებარებოდა. ამ რაზმის ეფექტურ მუშაობაზე მეტყველებენ ქვემოთ მოცემული ინფორმაციები:

„საგანგებო რაზმმა მუხრანის ქუჩაზე მიხეილ პავლ. აბულაძის სარდაფში აღმოაჩინა გადამალული შვეიცარული ყველი, 115 ფუთი.

საგანგებო რაზმმა საბურთალოში იოსებ ეძვერაძის ბინაზე აღმოაჩინა მრავალი გადამალული სახაზინო საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა მეორე ცხენოსან ასეულს ღირებულებით 40 ათასი მანეთისა. თვით დამნაშავე მიქელაძე, რომელსაც ეს საქონელი მიუთვისებია, დაიმალა.

საგანგებო რაზმმა ნიკოლოზის და პირაგოვის ქუჩებზე გრ. სალიტანის სახლში აღმოაჩინა მრავალი გადამალული სააფთიაქო მედიკამენტი, რომელიც ჩამორთმეულ იქნა.

საგანგებო რაზმმა ელისაბედის ქუჩაზე ნაფიც ვეჟილ ვ. სევანოვის ბინაზე აღმოაჩინა 700 ცალი სახელმწიფო შინელები, რომელიც ჩამორთმეულ იქნა.

საგანგებო რაზმმა ავლაბარში სირაჯების აღმართზე ბურდულიანის ბინაზე აღმოაჩინა ცალი სახაზინო შინელი“ [22, 4].

ანალიტიკოსები სშირად წერენ, რომ „ჰიბრიდული ომი“ არის ომის წარმოების ახალი წესი, თუმცა, ასეთ ომს, როგორც კავკასიის ავტოქტონ ხალხთა დაპყრობის მეტოდს, რუსეთის იმპერია ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში იყენებდა და ამისთვის ასიმილაციის, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მეტოდებს იყენებდა. იმ საფრთხეების ჩამონათვალი, რომელთა წინაშეც იდგნენ კავკასიის ავტოქტონი ხალხები მე-20 საუკუნის დასაწყისში, კონკრეტულად კი 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების დღიდან – 1917 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის პერიოდში და საქართველოს 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის დროს – ძალიან დიდია და ეს ამ წლებში გამოძავალი ქართული პრესის ანალიზმა გვიჩვენა. შესწავლილი მასალების მიხედვით, კავკასიის ავტოქტონი ხალხი აღმოჩნდა შემდეგი სახის საფრთხეების წინაშე: პოლიტიკური, ეროვნული, რეგიონალური, რელიგიური, საგარეო, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ვირუსული, კლიმატური, კრიმინალური, პირადი, სასურსათო, საგზაო, სარკინიგზო, სულიერი, სამშენებლო, სამედიცინო, სახანძრო, საწარმოო, სანიტარული, სექსუალური, ტექნიკური, ფინანსური... შესაბამისად, რამდენი სახის საფრთხეც არსებობს, იმდენი სახისაა უსაფრთხოებაც.

კავკასიურმა პრესამ, კერძოდ კი ქართულმა, ხელი შეუწყო ერთიანი კავკასიის იდეის გავრცელებას და, ნაწილობრივ, ამითაც დააჩქარა ჩრდილოეთი და ცენტრალური კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის მაისის ბოლოს კავკასიაში 4 სახელმწიფოს ჩამოყალიბებას (საქართველომ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და ჩრდილოეთ კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს) ახალი საზრუნავი მოჰყვა. ახალგაზრდა ქვეყნებს დამოუკიდებლობა დასაცავი რომ გაუხდებოდათ, ეს ეჭვს არ იწვევდა და ქართული პრესაც საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელობაზე სწრაფად და დროულად აღაპარაკდა.

ლიტერატურა:

1. ბენდიაშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001;
2. გაბაშვილი რ., რაც გამახსენდა, იხ.: დაბრუნება, გ. შარაძის რედაქციით, ტ. III, 1992;
3. იაკობაშვილი თ., უსაფრთხოების სტრატეგია ახალი ეპოქისათვის. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
www.gfsis.org/media/activities/thumb1_/pub/files/publications_politics/yakobashvili_usaprtxeb (ნანახია 03.03.2016);
4. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. დანართი I, დამატება II, პუნქტი 7.
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801451?publication=0> (ნანახია 08.08.2020);
5. Declaration by the High Representative, Catherine Ashton, on behalf of the European Union on the occasion of the International Day of the World's Indigenous People on 9 August 2012. Brussels, 9 August 2012 13115/12 PRESSE 359.
https://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/en/cfsp/132126.pdf

(ნანახია 08.10.2018);

6. გაზ. „საქართველო“, №74, 1915;
7. გაზ. „საქართველო“, №122, რუბრიკა: „ახალი ამბავი“, 21 ოქტომბერი, 1915;
8. გაზ. „საქართველო“, №159, რუბრიკა: ახალი ამბავი, 4 ქრისტეშობისთვე, 1915;
9. გაზ. „საქართველო“, №689, დაჭრილი და დაავადმყოფებული მეომარნი, 1916;
10. გაზ. „საქართველო“, №510, ქართველები ჯარში, 24 თებერვალი, 1916;
11. გაზ. „თანამედროვე აზრი“, №142, რუბრიკა: ახალი ამბები, 22 აგვისტო, 1915;
12. გაზ. „თანამედროვე აზრი“, №144, დაჭრილი და დაავადმყოფებული ჯარისკაცები, 1915;
13. გაზ. „თანამედროვე აზრი“, №145, 1915;
14. გაზ. „თანამედროვე აზრი“, №205, რუბრიკა: ახალი ამბები, 8 ნოემბერი, 1915;
15. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №687, რუბრიკა: ახალი ამბავი, სტუდენტების გაწვევა, 1916;
16. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №504, ქართველები ჯარში, 16 თებერვალი, 1916;
17. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №511, რუბრიკა: ახალი ამბავი, 25 თებერვალი, 1916;
18. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №693, რუბრიკა: ახალი ამბები, 1916;
19. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №686, რუბრიკა: ახალი ამბავი, 1916;
20. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №689, რუბრიკა: ახალი ამბავი, 1916;
21. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №690, რუბრიკა: ახალი ამბავი, 1916;
22. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №117, საგანგებო რაზმის მოქმედება, 17 დეკემბერი, 1918.

Nana Janashia

The Issue of Security of the Caucasian Peoples in 1914-1921.

Based on the Georgian Press

Summary

The purpose of the article is to understand the Georgian press (1914-1921), as well as threats which the newly created independent states faced in the Caucasus region in the period from 1914, the World War I and Tsarist Russia, to the end of the years of their independence until 1921. The chronological framework of the article represents an interesting period in the history of the Caucasus – the last three years of the end of 117-years of the tsarism domination in the Caucasus, which marked the end of World War I and restoration or creation of four independent states in the Caucasus. The Caucasian press, especially in the Georgian language, facilitated spreading of the idea of a united Caucasus, and accelerated the declaration of independence of the North and Central Caucasus countries. It was the era of the rise of the free critical press, and the return of the state status to national languages. The article analyzes publications in the Georgian magazines and newspapers of 1914-1921, about how the Russian Empire attempted to undermine the identity of the Caucasian nations.

Нана Джанашия
Вопросы безопасности народов Кавказа в 1914-1921 гг. в грузинской прессе
Резюме

Целью статьи является понимание грузинской прессы 1914-1921 годов, а также угроз, с которыми сталкивались вновь возникшие государства Кавказского региона с 1914 года, в период Первой мировой войны и царской России, до конца их независимости в 1921 году. Хронологические рамки статьи представляют собой интересный период в истории Кавказа – последние три года окончания 117-летнего господства царизма, которые ознаменовались окончанием Первой мировой войны и восстановлением или созданием новых четырех независимых государств Кавказа. Кавказская пресса, особенно на грузинском языке, способствовала распространению идеи единого Кавказа и ускорила провозглашение независимости стран Северного и Центрального Кавказа. Это была эпоха расцвета свободной критической прессы и возвращения государственного статуса национальным языкам. В статье анализируются публикации в грузинских журналах и газетах о том, как в вышеуказанный период Российская империя пыталась подорвать самобытность и независимость кавказских народов.

მარიამ ქურდიანი
(საქართველო)

ეფექტური კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა

კომუნიკაცია სრულყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც შთაბეჭდილება ემთხვევა გამონათქვამს, ანუ როდესაც მოსაუბრის მიერ გადაცემულ ინფორმაციას მსმენელი ზუსტად ისევე აღიქვამს, როგორც მოსაუბრეს სურს. სამწუხაროდ, ეფექტური კომუნიკაცია, იმაზე იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ჩვენ გვგონია, რადგან [1, 18-19]:

- ადამიანები ყოველთვის არ ამბობენ იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ;
- ადამიანებმა ყოველთვის არ იციან თავიანთი ჭეშმარიტი გრძნობების შესახებ;
- არც ისე ადვილია გრძნობების სიტყვებით გადმოცემა (არც ისე ადვილია სწორი კოდის მოძებნა);
- ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ადამიანს განსხვავებულად ესმის;
- ხანდახან მხოლოდ ის გვესმის, რის გაგებასაც ვისურვებდით;
- ინფორმაციის მიმღები ხშირად დაკავებულია არა დეკოდირების პროცესით, არამედ საკუთარი პასუხების მოფიქრებით;
- გადამცემმა არ იცის, სწორად მოახდინა თუ არა დეკოდირება მიმღებმა; ზოგჯერ მიმღებმა არ იცის, სწორად მოახდინა თუ არა დეკოდირება.

სტივენ ე. ლუკასის მიხედვით, მიმღებს მხოლოდ მაშინ ესმის სხვისი, როდესაც მისი შთაბეჭდილება (დეკოდირების შედეგი) ემთხვევა იმას, რაც მისთვის გამონათქვამის საშუალებით უნდა გადაეცათ [2]. სამწუხაროდ, ეს ფაქტი იმაზე იშვიათია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. კომუნიკაციის ეფექტურობას ხელს უშლის შემდეგი ბარიერები:

- ბუნდოვანი პროცესი: მიმღებსა და წყაროს ერთნაირად არ ესმით ენა, უარგონი, სიმბოლოები;
- ინფორმაციის სტრუქტურა: მრავალმხრივი და გადატვირთული გზავნილი;
- პიროვნული ნიშნები: ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, განათლებისა და ინტელექტის განსხვავებული დონე და ა. შ.;
- ადამიანის „ბუნება“: ცრურწმენები, ტრადიციები, კულტურული ნიშნები;
- კონფლიქტური მოსაზრებები და მიზნები: როდესაც ადამიანები საწინააღმდეგო მოსაზრებებს უჭერენ მხარს, მათ უჭირთ სხვა მოსაზრების გაზიარება.

ამასთან, ბარიერი კომუნიკაციის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას მაშინაც, თუკი მსმენელი გარკვეულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და უარყოფითადაა განწყობილი მოსაუბრისადმი.

ფილოლოგიის დოქტორ თამარ დიასამიძის მიხედვით, კომუნიკაცია ეფექტური რომ იყოს, უნდა შევეცადოთ, გავითვალისწინოთ ჩამოთვლილი ბარიერების წარმოშობის შესაძლებლობა, რათა თავიდან ავიცილოთ ისინი. ადამიანი ინფორმაციას სამი არხით იღებს და გასცემს [3, 37]. ეს არხებია:

- ვიზუალური (მხედველობითი);
- აუდიალური (სმენითი);

- კინესთეტიკური (შეგრძნებითი).

ამ სამი არხიდან ყოველ ადამიანს ერთ-ერთი აქვს განვითარებული და საკუთარი მოდალურობა გააჩნია; ამის გამო, ინდივიდები პირობითად იყოფიან: ვიზუალურად, აუდიალურად და კინესთეტიკურად.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით ტელევიზიის პოპულარობა მის კომუნიკაციურ ეფექტურობას ემყარება. იგი მომენტალურად აერთიანებს მასობრივ, გაფანტულ აუდიტორიას და შეუძლია ერთდროული გლობალური კავშირ-ურთიერთობის დამყარება. იმთავითვე ტელევიზია ჩაფიქრებული იყო ადამიანების ურთიერთობის ისეთ საშუალებად, რომლითაც ერთდროულადაა შესაძლებელი ერთმანეთის დანახვა და მოსმენა. ტელევიზიის კომუნიკაციური სისტემა განკუთვნილია ინფორმაციის ცენტრალიზებული გავრცელებისათვის, რაც მიმართულია მასობრივი, სხვადასხვაგვარი და დაშორებული აუდიტორიისადმი. აუდიტორიამ ინფორმაცია უნდა მიიღოს არა სპონტანურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ მუდმივად, რეალურ დროში, მოვლენების განვითარების პარალელურად. ამიტომ სატელევიზიო შეტყობინების რეალურ დროს ემატება ტელემაუწყებლობის უწყვეტობა [4, 27].

ტელევიზიისთვის დამახასიათებელია:

1. აუდოვიზუალური ინფორმაციის განუწყვეტელი მოხმარების შესაძლებლობა;
2. სატელევიზიო მაუწყებლობის პრინციპული უწყვეტობა;
3. გლობალური აუდიტორიის ქონა.

მასობრივი კომუნიკაციის განვითარების პერსპექტივა დღეისათვის ორ მაგისტრალურ მიმართულებას გვიჩვენებს: მოხმარების ინდივიდუალიზაციასა და გავრცელების გლობალიზაციას. ტელევიზის განვითარებამდე ინფორმაციის აღქმის სამი ძირითადი ვარიანტი არსებობდა: ერთეული ადამიანის კონტაქტი ტექსტთან, მცირე ჯგუფის მიერ ტექსტის აღქმა, მაკროჯგუფის ტექსტთან ურთიერთობა, ტელევიზიამ კი ამას დაუმატა მეგააუდიტორია;

4. კიდევ ერთი თავისებურებაა ინფორმაციის უსწრაფესი გავრცელების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს მოვლენის მიმდინარეობის თანხვედრას, დროში მაქსიმალურ განფენილობასა და სივრცულ ყოვლისმომცველობას. ტელევიზიის კომუნიკაციურ სტაბილურობას განსაზღვრავს მისი პროგრამულობა. აუდიტორიას განსაზღვრულ მომენტში შეუძლია მიიღოს მისთვის საინტერესო გადაცემა და არ გაწყვიტოს კომუნიკაციური ჯაჭვი.

ტელევიზიაში არსებობს ე. წ. დროის ნაკადი, ე. ი. მაუწყებლობის პროცესის დრო. აქ ერთიანდება: რეალური, ემპირიული (მოვლენის ასახვის დრო), ტექსტის შეტყობინებისა და მაყურებლის დრო (აღქმის დრო), რაც განპირობებულია ამწუთიერთობითა და სიმულტანობით. სიმულტანობა ნიშნავს მოვლენისა და მისი ასახვის ერთდროულობას. ტელევიზიის თავისებურებაა ე.წ. „დასწრების ეფექტიც“. ამწუთიერთობა და სიმულტანობა ქმნის რეალურ დროს, იგი არის ერთგვარი ინფორმატორი, რომელიც ამბავს „გადაუმუშავებლად“, არსებული თანამიმდევრობითა და რეალურ დროში გადმოსცემს.

ტელემაუწყებლობისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ე.წ. ინტერაქტიული კომუნიკაცია, რაც უზრუნველყოფს:

1. მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობის აბსოლუტურ ოპერატიულობასა და უკუკავშირს;

2. პროცესის წინასწარ განუსაზღვრელობას, იმპროვიზაციულ ხასიათს;

3. ინფორმაციის მეტ დამაჯერებლობას,

მოვლენათა უმეტესობა ხალხს ეხება და გავლენას ახდენს მათზე, საინტერესო ადამიანები კი მაყურებლის ყურადღებას იქცევენ. როდესაც თქვენს სარეკლამო რგოლში მონაწილეობენ ისეთი ინდივიდები, რომლებიც საინტერესო ან პოპულარულ საქმეს აკეთებენ, მაყურებლებიც უკეთ იაზრებენ და გულთან ახლოს მიაქვთ თემები, რომლებითაც სხვა შემთხვევაში შესაძლოა არც კი დაინტერესებულყვნენ, მიუხედავად თემის აქტუალურობისა (სარეკლამო რგოლი ქართველი სპორტსმენების მონაწილეობით).

მაყურებელს ყოველთვის მოსწონს კარგად მოფიქრებული, ხარისხიანად შესრულებული და ვიზუალურად მიმზიდველი ისტორიები. მთავარია, არ დაგვაიწყდეს საინფორმაციო მაუწყებლობის ძლიერი მხარეები და სრულად გამოვიყენოთ მათი პოტენციალი. სატელევიზიო რეპორტაჟების მომზადებისათვის საჭიროა ვიზუალური მხარის სწორად ფორმირება, რის შესახებაც ჟურნალისტიკასა და, ზოგადად, მედიაში არაერთ კარგად გარკვეულ ადამიანს უსაუბრია.

„ენ-ბი-სის“ ჟურნალისტი ბობ დოთსონი გვირჩევს, რომ „ყოველ ისტორიას მოვუძებნოთ რამე, თუნდაც მცირე, მაგრამ განუმეორებელი დეტალი: სწორი სიტყვა, მეტყველი ბგერა, ეფექტური ფრაზა; კადრი, რომელიც „იქ ყოფნის“ განცდას აღვივებს; სცენა, რომელიც ამბავს გვიყვება. ყველაფერი, რაც მასალას უფრო გასაგებს ხდის და თანამონაწილეობის განცდას ამძაფრებს, თქვენს პროდუქტს მხოლოდ წაადგება და უკეთ წარმოაჩენს. ტელევიზიაში, ისევე როგორც კინოში, ვიზუალური რეკონსტრუქცია მაშინ ხერხდება ყველაზე უკეთ, როდესაც იგი თანამიმდევრულობისა და ლოგიკური მდინარების პრინციპებს ემყარება, რაც მაყურებელში თანამონაწილეობის განცდას ამძაფრებს. ამ არცთუ იოლი ამოცანის შესრულებას სჭირდება იმ „ვიზუალურ გრამატიკაში“ გარკვევა, რომელიც საინფორმაციო სააგენტოებს დაეხმარება თითქოსდა უბრალო მოქმედების მის საკმაოდ რთულ შემადგენელ კომპონენტებად დაშლაში, რაც მოგვიანებით – მონტაჟის დროს – მისი რეკონსტრუქციისათვისაა აუცილებელი“ [5, 21]. ვერც ტელევიზიაში მიაღწევ წარმატებას და ვერც მასმედის ნებისმიერ სხვა ვიზუალურ საშუალებაში, თუკი არ იცი, როგორ უნდა დაგეგმო და მართო ჯეროვნად რეკონსტრუქციის პროცესი.

ვიზუალური გრამატიკა მოიცავს მოვლენათა ვიზუალური რეკონსტრუქციის წესებს, როგორც საველე პირობებში ნედლი აუდიო და ვიდეომასალის ჩაწერის, ისე ამ მასალის საეთეროდ დამუშავების ეტაპზე (პოსტ-პროდაქშენ). ტელევიზიაში ძირითადი სამუშაო ერთეული კადრია. ჩანაფიქრის გადმოსაცემად შეიძლება გამოვიყენოთ შორი, საშუალო და ახლო ხედით გადაღებული უწყვეტი მოქმედების ამსახველი კადრების სერიები, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კადრების ცვლის სისწრაფე და ხმოვან (აუდიო) ნაწილთან თანხვედრა.

კადრების კლასიფიკაცია კამერის მოძრაობისა და დანიშნულების მიხედვითაც შეიძლება. კამერის ამა თუ იმ მოძრაობას მოიაზრებს ისეთი კადრები, როგორებიცაა პანორამული კადრი, ვერტიკალური, საოპერატორო ურიკიდან გადაღებული კადრი, თანმხლები და მოძრავი კამერის კადრები, საპერო კადრი. დანიშნუ-

ლების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ გამსხნელი, ჩანართი, სუბიექტური, რეაქციის, საპირისპირო და ერთპლანიანი კადრები.

უწყვეტი მოქმედების ეფექტის მქონე სერიების შექმნა მონტაჟის პროცესში მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ ოპერატორი კადრებს მოქმედების გადაფარვებით გადაიღებს, ანუ ერთი და იგივე მოქმედება წარმოდგენილი უნდა იყოს, სულ მცირე, ორ კადრში. თუ გადაფარვის გადაღება ვერ ხერხდება ან მოქმედება დროში უნდა შეიკუმშოს, არაბუნებრივი ნახტომისებრი ჭრის თავიდან ასაცილებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ გადასაფარი კადრები, ანდა სხვადასხვა ოპტიკურ ეფექტს მივმართოთ. გადასვლები ეხმარება მემონტაჟეს, უფრო ბუნებრივად და შეუმჩნეველად ცვალოს ამბის განვითარებასთან ერთად მოქმედების დრო, ადგილი ან თემატიკა. რაკურსები და კომპოზიციაც ახდენს გავლენას ჩანაფიქრის ეფექტურ გადმოცემაზე და ხშირად მაყურებლის მიერ საკითხის აღქმასაც განსაზღვრავს. ნებისმიერ შემთხვევაში მიზანი ერთია: მოვლენების ვიზუალურმა რეკონსტრუირებამ ისე უნდა დააინტერესოს და ჩაითრიოს მაყურებელი, რომ იგი ვერც კი უნდა მივიხედეთ ხრიკებს.

აუდიო და ვიდეომასალის შექმნის პროცესში უამრავ შრომის იარაღსა და ინგრედიენტს ვიყენებთ: კამერას, მიკროფონს, „მწვანე ეკრანს“, ბგერას, სიჩუმეს, მოქმედებასა თუ ქცევას. მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი კომუნიკაციის ორ საშუალებამდე დაიყვანება. ესენია: გამოსახულება და ბგერა.

როგორ განვითარდებოდა ტელემედია 1940-იანი წლების ბოლოს, მის ჩასახვაში პრესისა და რადიოს ჟურნალისტებს კი არა, კინემატოგრაფისტებს რომ მიეღოთ მონაწილეობა? ალბათ, თავიდანვე გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმობოდა გარემოს ბუნებრივ ხმებს, რადგან კინოში დიდი ხნით ადრე აღმოაჩინეს, რომ ყურებითაც „გხედავთ“ და ყველანაირი შეგრძნება ინფორმაციის წყაროა.

კულტურული თავისებურებებიც ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება „თხრობა“ და „გაშუქება“ და, შესაბამისად, როგორი პროდუქტი (რეკლამა) შეეთავაზება მაყურებელს. საუკუნეების განმავლობაში ფაქტების დამახსოვრებაში, აზრის გამოთქმაში, გინდ ბანალურის, გინდ აბსტრაქტულის, გვეხმარებოდა სიტყვა, ჯერ მხოლოდ ზეპირი, შემდეგ კი – ბეჭდურიც. ვიდრე გაჩნდებოდა ხელოვნება, მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება და თეატრი, კინო, ტელევიზია, ვიდეოკამერები და ინტერნეტი, გარე სამყაროს ობიექტებს აზრს მათი სახელდებით, მათთვის სახელის დარქმევით, სიტყვით ვანიჭებდით.

ლიტერატურა:

1. ლუკასი ს. ე., საჯარო გამოსვლის ტექნიკის საფუძვლები, თბ., სტუ, 2014;
2. The Art of Public Speaking, Tenth Edition, Stephen E. Lucas. MC Graw Hill, 2009;
3. დიასამიძეთ., ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ეტიკეტურ ფორმულებში, ბათუმი, 2012;
4. ჟურნალისტისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი, შემდ. თამაზ ჯოლოგუა, თბ., 2013;
5. შუკი ფ., ლარსონი ჯ., დეტარსიო ჯ., სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა: ვიზუალური თხრობის გზამკვლევი, თბ., 2014.

Mariam Kurdiani
The Essence and Significance of Effective Communication
Summary

Communication could be considered complete, when the impression coincides with the statement, or in other words, when the information provided by the speaker is perceived by the listener just as it was conceived by the former. Cultural peculiarities also affect how "narrative" and "presentation" are defined and therefore what type of product (advertisement) is provided to the viewer. Throughout history, words helped us with facts memorization, thought expression be it banal or abstract, words helped us with it first verbally, then written. Before we had arts, music, painting, sculpting, theater, movie, television, video cameras and the internet, we coined meaning to outer subjects by giving them names, giving them wordy meanings.

Мариам Курдиани
Суть и значение эффективной коммуникации
Резюме

Коммуникация совершенна только тогда, когда впечатление соответствует сказанному, то есть когда информация, передаваемая говорящим, воспринимается слушающим именно так, как хочет говорящий. Культурные особенности также влияют на то, как определяется «повествование» и «освещение» и, соответственно, какой товар (реклама) будут предложены зрителю. На протяжении веков в запоминании фактов, в высказывании мысли, банальной или абстрактной, нам помогало слово, сначала устное, а потом и печатное.

До появления искусства, музыки, живописи, скульптуры и театра, кино, телевидения, видеокамер и интернета мы придавали предметам внешнего мира имена, называя их словами.

**საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL
RELATIONS – МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

Omar Tsereteli
(Georgia)

**US-GEORGIA BILATERAL DEFENSE AND SECURITY COOPERATION
STARTING FROM THE 1990S TO THE SIGNATURE OF CHARTER ON
STRATEGIC PARTNERSHIP OF 2009**

Introduction

As we are aware, the economic-political cooperation between the United States and Georgia is based on long-term diplomatic relations. Since 1992, when official Washington has established diplomatic relations with Georgia as an independent state, it has provided significant political and economic assistance (*US. Department of State*). Considering the common political values and interests, it gradually emerged as an important partner country in supporting of Georgia's territorial integrity and Euro-Atlantic integration in the international arena. Starting from the presidency of George H. W. Bush in the 1990s, when diplomatic relations were established between the two countries, and then continued with President Bill Clinton, Georgia has gained significant foreign policy recognition in the world community, which was finalized by the visit of the 43rd President of the United States, George W. Bush Georgia in 2005. The visit, itself, had been of great political significance for the Georgian people, which can be said to be a confirmation of the country's unprecedented support for joining the Euro-Atlantic structures (*U.S. Embassy in Georgia*).

Georgia's democratic development and irreversible pro-European course have not gone unnoticed by many countries around the world. Most of them deem Georgia as an example of democratic reform, but there were the countries also, who were concerned about Georgia's pro-Western orientation, as well as its possible future affiliation in Euro-Atlantic structures, and did not hide any particular dissatisfaction towards US foreign policy in official statements. Such was Russia, which even today has been characterized by an authoritarian form of government for which, I think, democratic values are difficult to understand, share or spread. Consequently, ideological-political tensions between Georgia and Russia caused Russian military aggression and intervention in Georgia in August 2008 (*US. National Security Review*).

In this article, we will focus on the examples of cooperation in the field of security, military and defense, which helped to increase Georgia's defense capabilities/infrastructure and the formation of result-oriented law enforcement agencies.

The main topic to be discussed is the following:

- Military/Security agreements signed during the 20-year US-Georgia diplomatic relations to enhance Georgia's defense capabilities.

Based on the foregoing, I will try to define the effectiveness of the defense and security cooperation according to the following research question: "*How effective was the US-Georgia military cooperation plans carried out over the past decades and what concrete results have they led to enhancing Georgia's defense capabilities*".

Chapter 1

1.1 The period of US-Georgia Defense/Security cooperation in the 90s

General Overview

The foreign policy of the US in the 90s considered spending great financial and material resources in terms of finding strategic allies in the worldwide. Accordingly, the appearance of independent Eastern European countries (including the Baltic states) on the international stage was an interesting and significant circumstance for the long-term strategic goals of the United States. This cooperation continued with the establishment of diplomatic relations in 1992 and the future alliance routes were determined based on possible common values. In short, the establishment of diplomatic relations appeared to be the pillar for the future Georgia-US Strategic Partnership (*Stiftung Wissenschaft und Politik*). Although the change of government in both the United States and Georgia had a major impact on future relations, both sides tried to maintain already achieved strategic relationships within the previous administrations and governments. If in the case of the United States, this was more based on desire and good will, Georgia had to go through a much more difficult path due to the political-ideological diversity of other states in the region. Nearly 30 years, the United States' interest has been in line with Georgia's defense and security needs, which have enabled a number of mutually beneficial steps to be taken by both countries (State Security Service of Georgia, 2020) Due to the fact, that the relations between the countries haven't been based only on solid state institutions and the role of individuals is great, in our case sometimes there was a strong desire to become a full member of the democratic world and sometimes only solving domestic problems and maintaining the already created statehood was a priority. US strongly supported Georgia within this period, in particular, in 1994-1998, when several important social projects of international organizations were carried out in the country under the auspices of the United States, and this is the period when Georgia is deciding on the path of self-determination and final political orientation. The country has set a declared pro-European development and irreversible course for membership in Euro-Atlantic structures [6].

To go deeper with the cooperation details, I would like to bring some examples of US-Georgia bilateral security cooperation. In the 90s, Georgia's accession to the North Atlantic Treaty Organization (NATO) was and by the way, still remains the most important aspect of US-Georgian military cooperation. In 1994 Georgia joined the Partnership for Peace (PfP) program and since 1996 has been actively participating in training and exercises within this framework (*Ministry of Defense of Georgia*) The program focused on the development of defense and security cooperation, but at the same time it went beyond the common boundaries of the bilateral partnership between NATO and Partner countries, as the program became an integral part of political and military cooperation throughout the Euro-Atlantic region. In general, Partnership for Peace promoted stability, solid security cooperation based on democratic principles, and the deepening of practical partnerships. According to the basic and accompanying documents, which have been the legal basis of the program, "NATO undertakes to consult with partner countries whose security, territorial integrity and independence are directly threatened". It can be said that the mentioned program started military cooperation between Georgia and the United States in the field of defense and security. "As part of the Partnership for Peace, Georgia has rapidly taken over the coordination of work on common military issues and military planning, and just a few months after joining the

program, Georgia has become the most active member of this program",¹ one of the authoritative American publications noted.

The country's rapid development and active participation in the military program has become a kind of key to other additional opportunities, namely, in 1997, the US-Georgia signed a government agreement on non-proliferation of weapons of mass destruction, which also outlined other aspects of the biological threat mitigation program [7]. It was within the framework of the latter that a unified laboratory system for detecting, surveillance and responding to particularly dangerous infections was set up, in which \$ 500 million was invested by the American side.

It is also noteworthy that in addition to the above-mentioned agreements, the United States engaged in significant lobbying efforts to promote Georgia, its reforms, and its successes. Most of the defense-building programs were so successfully implemented by the Georgian side that it showed an obvious diligence and desire for the country to become an important cornerstone of civil, democratic values in the region.

One of the most important programs in which Georgia further strengthened its image as a successful ally was the State Partnership Program. Also, the Security Assistance Program, in which numerous conferences or sessions were held, in particular ground, military border exercises, training courses, seminars, exchange programs were planned, in addition to military education programs, US Advisers Assistance to the group, evaluative visits of American expert groups, etc (*Ministry of Defense of Georgia*).

These programs were funded and implemented by the United States with the goal of increasing Georgia's defense capabilities, stimulating military reform, and raising the level of professional military education.

1.2 Georgia 's participation in international peacekeeping operations and Rose Revolution of 2003

It should be noted that the United States' desire for continued support for Georgia, both in the diplomatic and military spheres, was largely driven by Georgia's drive for reform.

This was confirmed by the successful progress of cooperation between the two countries. Cohen's visit in 1999, when a joint memorandum was signed on enhancing security cooperation.²

Based on the progress made in modernizing Georgia's defense system, the implementation of democratic and economic reforms enabled the country to participate in the implementation of the Training and Equipment Program (GTEP) initiated in 2002, which was extended in 2005 by the Support and Stability Operations Assistance Program (SSOP) (*Government gov.ge*).

It should be highlighted, that three Georgian military brigades, trained under the auspices of the GTEP and SSOP, participated in a US-led mission in Iraq in 2005-2008. In fact, it can be said that this fact set a precedent for the first time that American military instructors appeared in the post-Soviet space, which in turn was of great political importance in the formation of Georgian statehood and a serious diplomatic step in supporting Georgia's accession to Euro-Atlantic structures.

¹ Public Diplomacy Division (PDD) Press and Media Division: NATO-Georgia Relations.

² Archil Gegeshidze: (Georgia and USA: The main features of the evolution of modern bilateral relations) U. Cohen e. At the meeting with President Shevardnadze expressed satisfaction with Georgia's active participation in the Partnership for Peace program and the Euro-Atlantic Council.

As we can see based on the foregoing, even before the 2003 Rose Revolution, which in turn led to even more strategic cooperation with the United States, Georgia had significant military-political support, which was reflected in the numerous financial and diplomatic supports mentioned above.

I think, that the "Rose Revolution" of 2003 can be called a beginning of new era in US-Georgia mutual relations. In 2003-2008, the United States invested \$ 720 million in Georgia, which was 13.6% of the total foreign direct investment in the country. At the same time, cooperation in the military field has changed substantially, if the previous years were dedicated to concluding military agreements and establishing institutions of defense and security, the mentioned institutions have been fully loaded and launched since 2003. The involvement of Georgian military personnel in peacekeeping operations has increased significantly, e.g. The number of Georgian troops sent to Iraq in 2005-6 exceeded 2,000 (*Ministry of Defense of Georgia*).

As mentioned above, this was facilitated by the implementation of the Training and Equipment Program (GTEP), which was successfully replaced in 2005 by the Georgia Support and Stability Operations Assurance (SSOP) program. The latter was created to train military contingents participating in Iraq.

All of the above increased Georgia's prestige in the world democratic community. The Georgian military was becoming one of the most accountable and competitive not only in the region. American military instructors fought valiantly in international operations in support of the Georgians, and in open conversations referred to the Georgians as true friends and reliable allies on the battlefield.

Chapter 2

2.1 The Russia-Georgian "War of August 2008" and the beginning of a new phase of US-Georgian military cooperation

I have already mentioned above that since 2002 the US Administration has been providing significant assistance to the Georgian military sector. Georgia's military budget for 2008 was almost \$ 0.99 billion [14].

Georgia's democratic development and irreversible pro-Western course have not gone unnoticed by many countries around the world, most of which have exemplified Georgia in terms of democratic reforms, but there were those, who were (and still are) concerned about the country's democratic development as well as its possible future membership in Euro-Atlantic structures, and official statements did not hide particular dissatisfaction with US foreign policy. Russia posed a serious problem with its southern neighbor's declared rejection of Soviet values at a time when Russia's next president, Vladimir Putin, was outlining plans to create a "Eurasian Union" and calling the collapse of the Soviet Union "the greatest geopolitical catastrophe of the last century". Ideological-political tensions between Georgia and Russia were crowned in August 2008 by Russian military aggression and intervention in Georgia (Ministry of Foreign Affairs of Georgia).

Consequently, the Russian-Georgian conflict caused a great deal of excitement in the United States. President George W. Bush has repeatedly tried to defuse tensions over the phone, but to no avail. Bush convened a Security Council meeting attended by former Secretary of Defense Robert Gates and other key Pentagon officials.

Some American analysts believe that by doing so, Russia has pushed the "diplomatic force" to the West's favorite in the region and at the same time the US-trained Georgian army. All this was

caused by the possible granting of a NATO Membership Action Plan (MAP) to Georgia (By the way, this issue still causes the tension between Russian and Euro-Atlantic authorities).

It should also be noted, that very naive expectations have arisen in Georgian government circles, that Georgian contingents trained by the US and participating in various international missions would have played an important role in repelling Russian aggression.

As the saying goes: Facts speak for themselves and the fact was, that the 2008 war ended with the worst consequences for Georgia. Fortunately, \$ 4.5 billion in financial resources have been mobilized under the leadership of the United States, particularly the Bush administration. (UN, World Bank, Asian Bank, direct grants and loans), which was a vital aid in healing post-war wounds [15].

These are just a few of the diplomatic moves made by the George W. Bush administration during the most critical period. Calling for a peaceful solution to the problem almost unanimously and avoiding a direct conflict between NATO and Russia in the international arena was dominated mainly by the US.

As a result of the 2008 Russia-Georgia confrontation, also known as the August 2008 War, the United States made an unprecedented decision to offer Georgia a Strategic Partnership Charter that would set out the terms of strategic cooperation and security for future US-Georgian cooperation. There was widespread talk behind the scenes in the United States that the United States should adopt special measures and shouldn't have been limited itself to mobilizing the financial assistance, that was provided while the "August War".

In the light of the above, the Charter on Strategic Partnership with Georgia was signed on January 9, 2009 by the administration of the outgoing George W. Bush. The latter is part of my study and the Charter defined the principles of strategic cooperation between the two States.

2.2 Conclusion

The United States is a strategic partner of Georgia and these relations are strengthened by successful history of cooperation in bilateral and multilateral formats. Since the establishment of diplomatic relations between the two countries, the United States has provided significant military, humanitarian and economic assistance to Georgia.

The unwavering support of Georgia's territorial integrity and sovereignty from a strategic partner is especially appreciated. The United States is actively involved in Georgia's NATO membership process. In addition, Georgia creates all the conditions for the partner to make their involvement and support result-oriented and relevant.

As we can see from the chronology of the bilateral relations since 1990s, we may conclude that the US has always has its interest in the Caucasus and their stronghold, we are, thus, to move to the next stage of US-Georgian bilateral relations, the main task is to provide defense weapons and security guarantees.

Regarding our research question defined in the introductory part of our article, that "*How effective was the US-Georgia military cooperation plans carried out over the past decades and what concrete results have they led to enhancing Georgia's defense capabilities*". It could be definitely answered based on the facts, positions and discussions determined above, that the United States is committed to enhanced cooperation with Georgia to strengthen the self-defense capabilities of Georgia's Armed Forces. This includes improving readiness and supporting a

resilient force that is capable of providing its own defense and contributing to that of others. The United States and Georgia intend to work together to expand Georgia's defense capacity by:

Facilitating and providing training and services to Georgia's Armed Forces that support the full readiness of Georgia's Armed Forces and the long-term sustainability of its defensive capabilities;

Educating, training, and exchanging operational and technical personnel to improve military effectiveness for self-defense and special operations warfare.

Finally, we may conclude that the United States and Georgia believe that formalizing a durable and strategic approach to defense and security cooperation increases the security of both countries and positively impacts regional stability and global security.

Literature:

1. US Department of State: "U.S. Relations with Georgia", August 27, 2021. <https://www.state.gov/u-s-relations-with-georgia/>;
2. U.S. Embassy in Georgia: "Establishment of Diplomatic Relations with Georgia", 2021. <https://ge.usembassy.gov/our-relationship/policy-history/>;
3. US. National Security Review: "THE AUGUST WAR, TEN YEARS ON: A RETROSPECTIVE ON THE RUSSO-GEORGIAN WAR", August 17, 2018. <https://warontherocks.com/2018/08/the-august-war-ten-years-on-a-retrospective-on-the-russo-georgian-war/>;
4. Stiftung Wissenschaft und Politik: "The Strategic Partnership between Georgia and the United States: Vision Wanted". December, 2018. <https://www.swp-berlin.org/en/publication/the-strategic-partnership-between-georgia-and-the-united-states-vision-wanted/>;
5. State Security Service of Georgia: "The Report of 2020 of the State Security Service of Georgia". <https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/The%20Report%20of%20State%20Security%20Service%20of%20Georgia%2001.01.2020-31.12.2020.pdf>;
6. Kakachia K., Eastern Voices: Europe's East Faces and Unsettled west: "Georgia's Euro-Atlantic Aspirations: Between Protracted Integration and Managing Expectations". <https://archive.transatlanticrelations.org/wp-content/uploads/2017/10/ch05.Kakachia.pdf>;
7. US Department of State: "Agreement Concerning Cooperation in the Area of Prevention of Proliferation of Weapons of Mass Destruction and the Promotion of Defense and Military Relation", November 10, 1997. <https://www.state.gov/97-1110>;
8. Ministry of Defense: "Cooperation with the United States". <https://mod.gov.ge/en/page/119/cooperation-with-the-united-states>;
9. Government of Georgia. Prime Minister Press Service: "US Secretary of State Hillary Clinton visits Georgia". December, 2012. https://www.gov.ge/print.php?gg=1&sec_id=256&info_id=33771&lang_id=ENG;
10. Ministry of Foreign Affairs of Georgia: "NATO-Georgia Relations". <https://mfa.gov.ge/News/tbilisshi-nato-saqartvelos-sakhalkho-diplomatiis-f.aspx?CatID=5&lang=en-US>;

11. Gegeshidze A., United States and Georgia: "The main features of the evolution of modern bilateral relations", 2017;
12. Kharadze N., US-Georgia – Cooperation based on interests and principles, 2017;
13. Tsamalashvili E., We recall the visit of the President of the United States of America George W. Bush to Georgia, Radio Tavisupleba, May 10, 2006;
14. Civil.ge: 2008 State Budget Approved, 2008. <https://civil.ge/archives/113892>;
15. Reuters Edge: "Facts about the 2008 war in Georgia".
<https://www.reuters.com/article/us-georgia-war-conflict-sb-idUSTRE5732TH20090804>.

ომარ წერეთელი

აშშ-ისა და საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში 1990-იანი წლებიდან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერამდე 2009 წელს რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს აშშ-საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის მექანიზმები 2009 წლის 9 იანვრის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ხელმოწერამდე. აღნიშნულ კვლევაში განხილულია როგორც ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის ადრეული ასპექტები, ისე დემოკრატიის ძირითადი ხასიათი და პრინციპები, სადაც შევეცადეთ გამოვგვეკვლია აშშ-საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობის ეფექტიანობა. ტექსტის ძირითადი განსახილველი საკითხებია აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების მანძილზე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებები, სადაც აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის არქივზე, ინტერნეტ გამოცემებზე, მონოგრაფიებსა და სტატიებზე დაყრდნობით ვმსჯელობთ ქარტიამდე და მის ფარგლებში გატარებულ ღონისძიებებზე ამ ქვეყნების უსაფრთხოების კუთხით ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. ნაშრომი მეთოდოლოგიურად მიეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას, რომელშიც გამოყენებული შემთხვევის შესწავლის მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, თუ რა ტიპის მთავარ საგარეო მიმართულებებს ემყარებოდა აშშ-საქართველოს შორის გაფორმებული უსაფრთხოების დოკუმენტები და რა კონკრეტული შედეგები მოიტანა აღნიშნულმა შეთანხმებებმა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სტაბილურობის განმტკიცების კუთხით.

Омар Церетели

Двустороннее сотрудничество США и Грузии в области обороны и безопасности с 1990-х годов до подписания Хартии о стратегическом партнерстве 2009 года

Резюме

Целью данной статьи является анализ инструментов стратегического сотрудничества США и Грузии в сфере обороны и безопасности до подписания Хартии о стратегическом партнерстве 9 января 2009 года. В статье рассмотрены ранние аспекты военного сотрудничества между двумя странами, а также основная природа и принципы демократии. Основными темами обсуждения в тексте будут соглашения о сотрудничестве в области обороны и безопасности, подписанные во время дипломатических отношений между США и Грузией, где мы обсудим сотрудничество в области безопасности до Хартии и его деятельности на основе архивов Библиотеки Конгресса США, онлайн-публикаций, монографий, статей и другой литературы. Статья методологически относится к категории качественного исследования, где применимый метод тематического исследования позволит нам сделать вывод о том, какие основные направления внешней политики были разделены в рамках сотрудничества в области безопасности и какие конкретные результаты были достигнуты стратегическими документами с точки зрения укрепления Грузии, обороноспособности и устойчивости.

Сура Гусейнова
(Азербайджан)

ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКОЕ ИЗМЕРЕНИЕ ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ

На современном этапе интернет выступает глобальным виртуальным электронным рынком, который не разделяют ни территориальные, ни временные границы. Несомненно, пользователи разных регионов мира имеют свои особенности и различия, которые учитываются при составлении программ воздействия, но именно интернет способствует реализации политических стратегий с четко выраженными географическими регионами, с учетом временных зон и специфики аудитории. Доминантой назначения интернет-технологий становится реализация национальных интересов, определяемая их возможностью влиять на политические решения, управлять массовым сознанием путем концентрированного информационного воздействия на социум как в национальных, так и в глобальных параметрах. Значимость интернета как ключевой инфраструктуры информационной безопасности подтверждается масштабами его использования. Число пользователей Интернета постоянно увеличивается – если в начале 2008 г. насчитывалось 1.4 млрд. пользователей, то в 2017 г. уже 3.7 млрд. Человек, то есть почти половина всего населения [24].

Информационные ресурсы отдельных пользователей все чаще хранятся в так называемых «серверных фермах». Облака создают и предоставляют для размещения данных такие гиганты информационного рынка, как Google, Apple, Microsoft, Amazon и Facebook. В результате Интернет приобретает трансграничную архитектуру, все материалы которой хранятся по сути в нескольких странах, в основном в США. Распространение «облачных» технологий хранения и обработки данных позволяет получить максимальный доступ к самым секретным материалам, что вызывает новые угрозы международной и национальной информационной безопасности.

Для понимания тех угроз, которые процессы информатизации приносят в систему международных отношений, необходимо отметить сложную и неоднородную макросистему интернета, объединяющую значительное количество информационных сетей. Масштабы покрытия интернета, влияние сети на мировое сообщество дают возможность полагать большинству экспертов, что дальнейшее развитие данной структуры без какого-либо урегулирования и контроля невозможно [9]. Существуют так же экспертные заключения о том, что мониторинг деятельности пользователей – это целенаправленное ограничение их свобод и конституционных прав. На данный момент существуют три основные державы в контексте разрешения проблем кибербезопасности – это Китай, Россия и Соединенные Штаты. Не секрет, что эти страны отличаются как по своим позициям в вопросах безопасности, так и по степени открытости интернет-пространства.

Технологический дизайн позволяет обеспечить нейтральность интернет-технологий, объединяющих одновременно множество локальных сетей. Особую опасность представляет так называемая «сетевая нейтральность», которая предполагает, что провайдеры обязаны предоставлять доступ всем пользователям ко всем ресурсам на равных условиях, блокировать трафик того или иного сайта или взимать дополнительную плату за увеличенную

скорость доступа. Концепция сетевого нейтралитета была введена в США в 2015 году при личной поддержке президента Барака Обамы. Однако в мае 2018 года Федеральная комиссия по связи (FCC) на слушаниях в Конгрессе США доказала угрозы сетевого нейтралитета не только для информационной, но и всей национальной безопасности страны. Более 80 тыс. веб-сайтов, включая платформы интернет-гигантов Facebook, Amazon и Google, приняли участие в онлайн-протесте против плана Комиссии по коммуникациям отменить принцип сетевой нейтральности. Тем не менее, несмотря на широчайший общественный протест, с 11 июня 2018 года в США не действует принцип сетевого нейтралитета как мера, обеспечивающая национальную безопасность именно США, так как высокий уровень сетезависимости США создает ситуацию, когда Америке угрожают и технологически менее развитые страны [20].

В политической прогностике США уже практически с краха биполярной системы международных отношений разрабатываются сценарии «мировой информационной войны» [10, 12, 13] как вполне вероятные вследствие агрессивного или иного враждебного использования как самой информации, так и современных информационно-коммуникационных технологий. Учитывая интенсивный рост конфликтного потенциала в мире и усиливающееся противоборство в глобальном информационном пространстве, возрастают риски использования международными акторами информационно-коммуникационных технологий в достижении своих геополитических целей путем манипулирования общественным сознанием на глобальном уровне.

В принятой Генассамблеей ООН в сентябре 2015 г. резолюции «Преобразование нашего мира: Повестка дня в области устойчивого развития на период до 2030 г.» цель №9 связывает совершенствование ИКТ с устойчивым развитием всего мирового сообщества. В условиях Четвертой промышленной революции (Industry 4.0) происходит конвергенция технологий, которая размывает границы между физической, цифровой и биологической сферами как в виртуальном пространстве, так и в реальной практике мирового взаимодействия. Соответственно расширяется и трансформируется пространство выполнения государствами внешнеполитических задач в решении проблем поддержания международной информационной безопасности.

Цифровое развитие в глобальных масштабах формирует новые тенденции в обеспечении информационной безопасности на национальном и международном уровнях. Разработка и внедрение новейших когнитивных информационно-аналитических и геоинформационных систем в управлении национальной безопасностью развитых стран вызвало обострение глобальной конкуренции. На Варшавском саммите Североатлантического альянса в 2018г. отмечалось: «Государства – члены НАТО вправе защищаться от нападения других стран. Это касается не только прямого вторжения солдатами в форме, но и атак, проводимых нетрадиционными способами – информационных операций, действий в киберпространстве» [17]. На Варшавском саммите была разработана новая стратегия усиления эффективности реагирования специальных военных сил альянса на нетрадиционные угрозы, в том числе и в сфере информационной безопасности.

Наиболее эффективным ответом на информационную атаку противника считается метод «сдерживания геополитических соперников» [7, 56], который проявляется в агрессивной демонстрации в информационном пространстве милитаристских возможностей, а при необходимости и применении военной силы. Острая проблема возможного «поигрывания технологическими мускулами» беспрецедентно обостряет международные отношения, вы-

двигая проблему баланса принципов «сдерживания и противовесов» в качестве доминирующих в обеспечении безопасности. Сложность обозначенной проблемы подтвердили Группы правительственных экспертов ООН по достижениям в области информатизации и коммуникации, особо подчеркнув, что феномен стремительного развития ИКТ охватил сегмент международных отношений [22]. Тем не менее, весьма показателен, на наш взгляд, сам факт того, что Группа, которая действует в разном составе с 2004 года, до настоящего времени так и не смогла определить направления международного сотрудничества в сфере информационно-коммуникационных технологий вследствие постоянного нарастания и трансформации угроз информационной безопасности.

Современные информационные ресурсы и информационная инфраструктура отличаются от других аналогичных объектов, регулируемых международном и национальном правом, уникальными свойствами делимости и воспроизводимости. Специфические пространственно-временные характеристики информационных ресурсов не ограничиваются пределами национальной территории и формируют способность геополитического субъекта к устойчивому развитию. Потенциал подавления или снижения возможностей информационных ресурсов выступает предметом конкуренции на международной арене

Достижение геополитических конкурентных преимуществ в информационном пространстве в форме превосходства в информационных технологиях и производстве инновационной продукции невозможно без осуществления контроля над развитием всей глобальной инфраструктуры информационного пространства [8, 26]. При этом в качестве основных категорий такого возможного контроля, обеспечивающего информационную безопасность суверенного государства, можно, как нам представляется, выделить следующие базовые индикаторы:

- продолжительность создания информационного продукта;
- уровень влияния информационного продукта на стратегическую стабильность и устойчивое развитие государства;
- создание условий для технологического лидерства государства в сфере ИКТ.
- Следует отметить, что конкретными возможностями реализации контроля над развитием глобальной инфраструктуры информационного пространства располагают только те государства, которые способны создавать и производить:
 - компоненты и комплектующие для обработки в заданных режимах информационных потоков;
 - оборудование для формирования и функционирования информационных баз данных, современных средств коммуникаций и управления сетями связи;
 - новейшие вычислительные процессоры и устройства мобильной связи;
 - совместимые программные платформы и многое другое.

По всем вышеперечисленным показателям доминантная роль принадлежит США, так как на ее территории расположены штаб-офисы ведущих компаний IT-индустрии, представляющих более половины поставок информационных технологий во всем мире [21].

– В обобщенном виде информационно – технологические угрозы современному мировому порядку и режиму международной безопасности проявляются в следующих направлениях

- в военно-политической сфере с целью реализации в виртуальном пространстве разного рода враждебных актов и агрессивных действий, попирающих императивные прин-

ципы международного права, такие, как территориальная целостность, нерушимость границ и дискредитирующих государственный суверенитет;

– в военно-информационной сфере с целью распространения вредоносных компьютерных программ и вирусов неконтролируемого доступа к информационным системам военно-стратегического и оборонного характера,

– в сфере государственного управления с целью неконтролируемого вмешательства в процесс функционирования критически важных объектов инфраструктуры суверенного государства, которое ведет к необратимым негативным изменениям, вплоть до разрушения экономики страны и жизнедеятельности ее населения;

– в медийной сфере с целью формирования деструктивных сетевых сообществ, пропагандирующих терроризм, экстремизм, сепаратизм, привлекающих сторонников этих антигуманных идеологий и вербующих участников незаконных вооруженных формирований;

– в сфере социально-политической стабильности с целью вмешательства во внутренние дела суверенных государств, нарушения общественного порядка, разжигания межнациональной, межрасовой и межконфессиональной вражды, пропаганды насилия, расистских и ксенофобских идей.

Литература:

1. Генеральная Ассамблея ООН. 68-ая сессия Пункт. 94 предварительной повестки дня. 24 июня, 2013. <http://www.un.org/ru/ga/68/>;
2. Окинавская Хартия глобального информационного общества. 22 июля 2000 года. www.unesco.org/new/fileadmin/;
3. Резолюция Генеральной Ассамблеи ООН A/RES/53/70. Достижения в сфере информатизации и телекоммуникаций в контексте международной безопасности, 1998. <https://www.un.org/disarmament/ru/.GEN/N99/760/05/>;
4. Резолюция Генеральной Ассамблеи ООН A/RES/54/49. Достижения в сфере информатизации и телекоммуникаций в контексте международной безопасности, 1999. <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/777/15/>;
5. Резолюция Генеральной Ассамблеи ООН A/RES/56/19, Достижения в сфере информатизации и телекоммуникаций в контексте международной безопасности, 2001. www.un.org/disarmament/ru/;
6. Резолюция Генеральной Ассамблеи ООН. A/60/202 Достижения в сфере информатизации и телекоммуникаций в контексте международной безопасности, 2005. <https://documents-dds-ny.un.org/doc/>;
7. Кларк Р., Найк Р., Третья мировая война. Какой она будет? Высокие технологии на службе милитаризма. С-П. Питер, 2011;
8. Смирнов А. И., Современные информационные технологии в международных отношениях. М. МГИМО-Университет, 2017;
9. Цензура (контроль и анонимность) в интернете. Мировой опыт. <http://www.tadviser.ru/index.php>;
10. Krepinevich A., 7 Deadly Scenarios: A Military Futurist Explores the Changing Face of War in the 21st Century. Bantam, August 31, 2010;
11. Guterres A., Address at the Opening Ceremony of the Munich Security Conference. 16 February 2018. www.un.org/sg/en/content/;

12. Baird D., Nordmann A. & Schummer J. (eds.), *Discovering the Nanoscale*, Amsterdam: IOS Press, 2004;
13. Denning D. E., *Information Warfare and Security*. Oxford. UK, 2005;
14. Jason Andress, *Steve Winterfeld Cyber Warfare: Techniques, Tactics and Tools for Security Practitioners*, 2013, Syngress Publishing;
15. Keohane R. and Nye J., *Power and Interdependence in the Information Age*. Foreign Affairs. www.foreignaffairs.com/articles/1998-09-01;
16. Koos van der Bruggen. *Possibilities, Intentions and Threats: Dual Use in the Life Sciences Re-considered*. www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/;
17. *Nato's Warsaw summit is a test the west must pass*. www.ft.com/content/f36c7b2a-3f7d-11e6-9f2c;
18. *Report: Major Players Recommending Norms of Behaviour, Highlighting Aspects of International Law*. 2015. <https://ccdcoe.org/2015-un-gge-report-major>;
19. *The Nuclear Testing Tally*/www.armscontrol.org/factsheets/nucleartesttally;
20. *The US Senate votes in favor of restoring the FCC's net-neutrality rules*. www.businessinsider.com/net-neutrality-2018;
21. *The 25 Largest Internet Companies in The World*. www.worldatlas.com/articles/;
22. *Towards a secure cyberspace via regional cooperation*. <https://dig.watch/processes/ungge>;
23. *World war 3 is coming*. www.independent.co.uk/news/long_reads/world;
24. *118 Internet World Stats. Usage and population statistics*. URL: www.internetworldstats.org.

სურა ჰუსეინოვა
ინფორმაციული უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკური განზომილება
რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების ფორმირების პრობლემები; ნახვენებია, რომ საერთაშორისო ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემატიკა წმინდა ტექნოლოგიურიდან ტრანსფორმირდა საომარ-პოლიტიკურად და გახდა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო მეგატრენდი. ნაშრომში გამოკვლეულია ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში გაეროს სამთავრობო ექსპერტების საქმიანობა.

Sura Huseynova
Challenges of International Information Security: Foreign Policy Dimension
Summary

The article "Challenges of international information security: foreign policy dimension" analyzes the problems of the formation mechanism which ensure international information security in the context of globalization challenges and threats. The author proves that the problem of international information security has been transformed from purely technological to military-political and has become one of the key megatrends of world politics.

The article examines the activities of the UN Group of Governmental Experts on Information Security.

ნანა ყურუა
(საქართველო)

**შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის პრობლემა
სამოქალაქო სამართალსა და პროცესში**

საოჯახო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, სამოქალაქო სამართლის ამ ნაწილის წარსულში დარგის სტატუსით არსებობის ხანგრძლივი პერიოდის გავლენით, სპეციფიკური მახასიათებლები მრავლად აქვს შემორჩენილი. მიუხედავად საკანონმდებლო სრულყოფის არაერთგზისი მცდელობისა, ის მაინც რჩება აქტუალურ და პრობლემატურ საკითხად. შვილად აყვანის თემა მრავლისმომცველი და მეტად ფაქიზია, დაკავშირებულია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სირთულეებთან. ბავშვისთვის ოჯახური გარემოს შექმნის სურვილით გამსჭვალულ მოქმედებაში გამორჩენილი ერთი შეხედვით უწვრილმანესი დეტალიც კი დიდ პრობლემად შეიძლება იქცეს, ამიტომაც საკითხისადმი სიფრთხილით მიდგომა და ყოველმხრივი მოწესრიგება, უდავოდ, აუცილებლობას წარმოადგენს. შვილად აყვანა ნაშვილების ოჯახურ გარემოცვაში კეთილმოწყობის თვალსაზრისით ნამდვილად პრიორიტეტული ფორმაა. ამ ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლო მისიის შესრულებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სამოქალაქო უფლებები და კანონით დაცული ინტერესები.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სასამართლო განხილვის სტადიაზე შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფაა. იგი პროცესის ყველა მონაწილეზე ვრცელდება და ამგვარ გაფრთხილებას კანონმდებლობა შეიცავს, თუმცა, ამ პასუხისმგებლობის პარალელურად, კანონი არ განსაზღვრავს საიდუმლოების შინაარსის ცნებას. იგი უნდა აკონკრეტებდეს და გულისხმობდეს მშვილდებელი და გასაშვილებელი პირების ვინაობის შესახებ ინფორმაციას, დროის, ადგილის მითითებას. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ცნება ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და მოიცავდეს ნებისმიერი სახის მონაცემებს, საიდანაც ირკვევა შვილად აყვანის ფაქტი. ამასთან, ბავშვის უფლებაა, ფლობდეს სრულ და სწორ ინფორმაციას წარმომავლობის შესახებ, რაც ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-7 მუხლის 1 ნაწილშია განმტკიცებული. ლიტერატურაში ნაკლებად მახვილდება ყურადღება შვილად აყვანის საიდუმლოს სამართლებრივ ბუნებასა და პრაქტიკულ მიზანშეწონილობაზე, თუმცა არსებული მოსაზრებები ძირითადად ორად იყოფა. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ სწორია კანონმდებლის მიდგომა შვილად აყვანის საიდუმლოების დაწესებასთან მიმართებაში, რადგან იგი ხელს უწყობს ნამდვილი მშობლიური სტაბილური ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ამარტივებს აღზრდის პროცესს. ამ საიდუმლოს გამჟღავნებას შეიძლება შედეგად მოყვეს ნაშვილებისათვის ფსიქოლოგიური ტრავმის მიყენება, ურთიერთობების გართულება, უარყოფითად აისახოს აღზრდის პროცესზე, დაანგრის ოჯახი. მეცნიერთა მეორე ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს შვილად აყვანის საიდუმლოების შენახვის აუცილებლობის საკითხს. მათი აზრით, ამ ინსტიტუტს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მშვილდებე-

ლი მოითხოვს ამას, თუმცა რიგ შემთხვევებში იგი აზრს კარგავს, მაგ.: როცა ნაშვილებს გაცნობიერებული აქვს თავისი წარმომავლობა, ახსოვს მშობლები და ა. შ. ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ აწესებს ამ საიდუმლოების შენახვა-დაცვას. აზრთა სხვადასხვაობა გავლენას ახდენს სასამართლოში შვილად აყვანის საქმის განხილვის საპროცესო წესზეც. დახურული სხდომის რეჟიმში საქმის განხილვის უარყოფით მხარეებზე ბევრს საუბრობენ. შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როცა მშვილებლები არ მალავენ შვილად აყვანის ფაქტს არც ნაშვილებთან და არც სანაცნობო წრესთან, ამ შემთხვევაში კანონის ძალით სხდომის სავალდებულო დახურულ რეჟიმში ჩატარება აუცილებლობას ნამდვილად მოკლებულია. ბავშვის შვილების თაობაზე გადადგმული ნაბიჯის სისწორეში მშვილებლის დაურწმუნებლობა ან გაცნობიერება, რომ საკუთარ თავში ასეთი პასუხისმგებლობის აღების ძალებს ვერ პოულობს, დამატებით სირთულეებს წარმოშობს და საკითხს უფრო ამძაფრებს. საუბარია იმაზეც, რომ პროცესის მიმდინარეობის საიდუმლოების დაცვა აღემატება შვილად აყვანის საიდუმლოების შენახვის მოვალეობის ფარგლებს, რაც მხოლოდ ფაქტის გაუხმაურებლობას გულისხმობს და კანონით დაწესებულ საჯაროობის პრინციპთან შესაბამისობაში ვერ მოდის. ამიტომაც, საპროცესო ნორმათა სრულყოფა ამ მიმართულებით აუცილებლობას წარმოადგენს. საიდუმლოების დაცვა უფრო ეფექტურია და მიზანშეწონილი, როცა ხდება მცირეწლოვნის, ახალშობილის, ისეთ ასაკში მყოფი ბავშვის შვილად აყვანა, როცა მის მეხსიერებას შვილად აყვანამდე არსებული რეალობა არ აქვს შემორჩენილი. გაცნობიერებულ ასაკში შვილად აყვანისას საიდუმლოების დაცვა, ჩემი აზრით, მოკლებულია ეფექტურობას. საიდუმლოების გამჟღავნების რთული საკითხი პედაგოგიური, მორალური ან სხვა საფუძვლით წყდება ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მთავარია მშვილებლის ნება. კანონმდებლობაში განმტკიცებულია საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის სპეციალური ნორმები, მაგ.: დაბადების ადგილის, თარიღის შესახებ ინფორმაციის შეცვლა, გარკვეული შეზღუდვებით.

ადრეულ სამართალში საიდუმლოება არ იყო გათვალისწინებული. შვილად აყვანილი არ კარგავდა მემკვიდრეობის უფლებას და ღვიძლ ნათესავებთან მოვალეობებისგანაც არ თავისუფლდებოდა, ზოგან აკრძალულიც კი იყო შვილება. საიდუმლოების დაცვის ერთ-ერთი თანმხლები საშიშროება ახლო ნათესავთა შორის ქორწინებაცაა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი ადგენს, რომ პირის თანხმობის გარეშე მისი მონაცემების გახმაურება დაუშვებელია.

შვილად აყვანის საიდუმლოება – ეს ფრაზა იტევს დიდ სირთულეებს, მორალურ ტანჯვას. ბავშვის უფლებების დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია ქვეყნის სამართლისთვის. ნებისმიერი საიდუმლოს შინაარსი, მიუხედავად სპეციფიკისა და ნაირსახეობისა, იმაში მდგომარეობს, რომ საიდუმლოს საგანია ცნობები, რომლებიც არაა განკუთვნილი ფართო მასებისთვის. საიდუმლოსთან მიმართებაში არაა ვადა დადგენილი. საიდუმლოების დარღვევას იწვევს როგორც ცხოვრებისეული გარემოებები, ასევე გაცნობიერებული, გააზრებული, ზოგჯერ, წინასწარდაგეგმილი მოქმედებები. ამაზეა დამოკიდებული სამართლებრივი შედეგი. საიდუმლო არის კონფიდენციალური მონაცემები ფაქტის შესახებ, ასევე, საიდუმლოს დაცვის უზრუნველსაყოფად გამოყენებული სპეციალური ზომების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საიდუმლოების არსებობის მიუხედავად, მოქმედ კანონმდებლობაში ტერმინები „მშვილბელები“ და „ნაშვილები“ მაინც გამოყენებულია, რაც გარკვეულ უხერხულობასა და გაუგებრობას ქმნის. ამასთან, საიდუმლოს არსებობის პარალელურად, 10 წელს მიღწეული არასრულწლოვნისგან კანონი ითხოვს თანხმობას, რაც ასევე დასარეგულირებელია შესაბამისი ნორმით.

შვილად აყვანას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს ინსტიტუტი ცნობილია ყველა სამართლებრივი სისტემისათვის. შვილად აყვანის საკითხის განხილვისას განასხვავებენ შვილად აყვანის პირობებს, დადგენის პროცედურას, სამართლებრივ შედეგებს, მისი შეწყვეტის საფუძვლებსა და წესს. სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში შესაძლებლობას მოგვცემს, შევიმუშავოთ პრობლემისადმი მიდგომის უფრო რაციონალური მოდელი. ანგლო-საქსური წრის ქვეყნებში შვილად აყვანის ღიაობა სტიქიურად როდი წარმოიშვა. მასზე ზეგავლენა იქონია მთელმა რიგმა ობიექტურმა ფაქტორებმა. ამერიკამ, კულტურისა და ცხოვრების სტილის ინგლისთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად, მოახერხა საკუთარი ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბება შვილად აყვანის ინსტიტუტისადმი. მე-19 საუკუნეში ბავშვთა მოწყობის ფორმის სახით ვერ მოიკიდა ფეხი შვილად აყვანის ინსტიტუტმა. მე-20 საუკუნეში აფროამერიკული სოციალური მუშაკების ასოციაცია გამოვიდა გაშვილების რასის მიხედვით უთანასწორობის წინააღმდეგ. სიტუაციის გამო 1994 წელს კონგრესმა მიიღო კანონი – The Multicultural Placement Act of 1994, რაც სოციალურ მუშაკებს უკრძალავდა რასობრივი, ეროვნული და რელიგიური საფუძვლით დისკრიმინაციას. მე-20 ს-ის 60-იან წლებში ჩრდილოეთ ამერიკაში ახალი ფასეულობების ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა, რაც ამ ინსტიტუტსაც შეეხო. ამ ოჯახის მიდგომა აიხსნება ნაშვილებსა და მშვილბელებს შორის ღია ტიპის ურთიერთობის არსებობით, აღზრდის სწორი მიმართულების შენარჩუნებით, სოციალური სამსახურების აქტიური ჩართულობით. ამ პერიოდში უქმდება საიდუმლოება აშშ-სა და კანადაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მარტივი და უმტკივნეულო პროცესი არ ყოფილა საზოგადოების მხრიდან აღქმის თვალსაზრისით. ევროკავშირისა და აშშ-ის იურიდიულ პრაქტიკაში მშვილბელები ცდილობენ დახმარების გაწევას ბიოლოგიური მშობლების ძებნის პროცესში. აშშ-ში არ არსებობს ამ საკითხზე საიდუმლო. შვილად აყვანის პროცესი საჯაროა, რაც არ უშლის ხელს მშვილბელების და ნაშვილების ურთიერთნდობას. კანადასა და დიდ ბრიტანეთში შვილად აყვანა ღია პროცედურის წესებით ხდება, რის მეშვეობითაც ბიოლოგიურ მშობლებს ევალებათ ბავშვის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. ამერიკელი სოციოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გაშვილების ფაქტის ცოდნის პირობებში ბავშვის სულიერი მდგომარეობა უკეთესია იმ ბავშვთან შედარებით, რომელიც ინფორმაციას უცხო, გარეშე ადამიანისგან სხვადასხვა გარემოებაში დებულობს. საფრანგეთში ორი ფორმაა: სრული და მარტივი. სრულის შემთხვევაში კარგავს ყველანაირ კავშირს წინანდელ ოჯახთან. მარტივის დროს აუცილებელია ბიოლოგიური მშობლების თანხმობა. ინგლისში რეგულირდება 2002 წლის შვილად აყვანის და ბავშვების შესახებ კანონის 1 მუხლის მე-2 პარაგრაფით. კანადაშიც პროვინციაზე დამოკიდებული პროცესი, მხოლოდ 13 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის გაშვილება დაიშვება. თუ კანადის ტერიტორიაზეა ბავშვი, 18 წლის მიღწევამდე და წინასწარი შეჩვევის მომენტი ოჯახთან გავლილი უნდა ჰქონდეს, ეს ონტარიოს პროვინციაში შეადგენს არანაკ-

ლებ 6 თვეს. ესპანური სამართალი შვილად აყვანას არ უშვებს, მხოლოდ მეურვეობას. სამუდამოდ მხოლოდ იმ ბავშვის დატოვება შეიძლება, რომელსაც არ ჰყავს მშობლებიდან არც ერთი, რაც იშვიათობას წარმოადგენს. გვატემალაში არაა შეზღუდვები ასაკის, ოჯახური მდგომარეობის ან მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით. სამხრეთ კორეა მარტოხელებს უკრძალავს, მხოლოდ წყვილებს შეუძლიათ და მათი ასაკი უნდა იყოს 25-45 წ. გამონაკლისია, თუ ბავშვი მძიმედ დაავადებულია ან ერთ-ერთ მშობელს კორეული წარმომავლობა აქვს. ავსტრალია უშვებს შვილად აყვანას, ჩინეთიც – 2007 წლის 1 მაისიდან მოქმედი კანონით.

ზოგიერთი ქვეყანა საკითხის რეგულირებისას ცალკეული კანონითაა წარმოდგენილი, მაგ.: საფრანგეთში ასეთს წარმოადგენს დეკრეტი (1972 წ. 4 ივლისი), იტალიაში – კანონი (1967 წ. 5 ივნისი), ინგლისში – პარლამენტის აქტი (1968 წ. 26 ივლისი), რაც შვილად აყვანის საკითხზე 1967 წლის ევროპულ კონვენციასთან მიერთების შემდეგ მიიღო, არგენტინაში – კანონი (1971 წ.). აშშ-ში პირველი საკანონმდებლო განმტკიცება მოხდა 1851 წელს მასაჩუსეტსის შტატში მიღებულ კანონში, თუმცა ეს მხოლოდ შტატის მასშტაბით მოქმედი აქტი იყო და აშშ-ში სრულად არ არეგულირებდა საკითხს. დღემდე შენარჩუნებულია აშშ-ში ერთიანი მიდგომის არარსებობა. შტატები თავად დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხს, ან საკანონმდებლო დონეზე, ან – პრეცედენტული სასამართლო პრაქტიკით. გერმანულ სამოქალაქო აქტში (174 პარაგრაფის 1 ნაწილი) არაა „შვილად აყვანის“ განმარტება, მხოლოდ დასაშვებობაზეა საუბარი იმ პირობით, თუ ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება და მოსალოდნელია მათ შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობის ჩამოყალიბება. 1978 წლით დათარიღებული შოტლანდიის აქტი შვილად აყვანაში მოიზარებს წესებს, რომლებიც აყალიბებს ბავშვსა და მშვილებელს შორის კავშირს და აღჭურავს მშვილებელს მშობლის უფლება-მოვალეობებით. შვეციის კანონმდებლობა საერთოდ არ შეიცავს შვილად აყვანის განსაზღვრებას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მუსულმანურ ქვეყნებში ეს ინსტიტუტი აკრძალულია, ამას ხსნიან ყურანის დებულებებით. მხოლოდ ტუნისშია ეს ინსტიტუტი აღიარებული. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ბავშვის მიღების ინსტიტუტი, აუცილებელი დახმარების გაწევის მოვალეობა ეკისრებათ მეუღლეებს, თუმცა არც გვარის ტარების და არც მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობა არ აქვს. დასავლურ სამართლებრივ კულტურაში შვილად აყვანა მომდინარეობს რომაული ფესვებიდან – *adrogatio*, *adoptio plena*. რომის სამართალი ორი ფორმის შვილად აყვანას იცნობდა: მშობლის უფლებების გადაცემით – *in adoptionem datio* და მის გარეშე – *minus plena*. საფრანგეთი 1792 წლამდე არ იცნობდა ამ ინსტიტუტს. პირველად ნაპოლეონის კოდექსში გამოჩნდა. სამოქალაქო კოდექსში ჩართო ეს შესაძლებლობა მე-19 საუკუნის დასაწყისში. ინგლისისთვის უცნობია შვილად აყვანის იურიდიული ფორმები. ნიდერლანდების 1838 წლის სამოქალაქო კოდექსში არ ჩართეს იგი (განხორციელდა მხოლოდ 1956 წელს). სხვა ქვეყნებმა მე-19-მე-20 საუკუნეებში შეიტანეს კანონმდებლობაში.

იურიდიულ ლიტერატურაში ბევრს საუბრობენ, რომ ერთ-ერთი თანამედროვე ტენდენციაა უშვილო ოჯახებისათვის საკუთარი შვილის მიღების საკითხი, რაც გაკრიტიკებულია და ითხოვენ ბავშვისთვის ბიოლოგიურ მშობლებთან სამართლებრივი კავშირის შენარჩუნებას. შემუშავებულია ალტერნატივებიც, მაგ., ჰოლანდიელი იურისტი შმიდტი გვთავაზობს შემდეგი პირობების გათვალისწინებას: თავისი წარმომშობის ოჯახის წევრის სტატუსით რჩება ბავშვი, თუმცა ზოგიერთი უფლება-

მოვალეობა წყდება, მაგ., მეურვეობა, მზრუნველობა, ალიმენტის გადახდა, მემკვიდრეობა და ა.შ., ბავშვი ხდება ახალი ოჯახის წევრი და უმრავლეს შემთხვევაში იმავე უფლება-მოვალეობებს მოიპოვებს, რასაც მიიღებდა იმ ოჯახში დაბადებული რომ ყოფილიყო; შესაძლებელია განსაზღვრული უფლებების შენარჩუნება ბავშვსა და ბიოლოგიური ოჯახის წევრებს შორის; ასევე, შესაძლებელია თავდაპირვანდელი სახელის (გვარის) შენარჩუნება ან მათი შემდგომში დაბრუნება; არსებითად ფართოვდება შვილად აყვანის გაუქმების საფუძვლები.

საქართველოს კანონი „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“, კერძოდ, V თავი, არეგულირებს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას, შვილად აყვანის სამართლებრივ შედეგებს და შვილად აყვანის საიდუმლოებას. 65-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსამართლე, რომელმაც მიიღო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ბავშვის ბიოლოგიური მშობელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელი, შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია. სააგენტო უზრუნველყოფს, რომ მშვილებელმა (მშვილებლებმა) ბავშვის შვილად აყვანამდე სათანადო წესის დაცვით მიიღოს (მიიღონ) მისი პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაცია (ინფორმაცია ბავშვის სახელისა და გვარის, დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ინფორმაცია მისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობის თაობაზე). ნაშვილებს შეუძლია მიიღოს თავისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობის შესახებ ინფორმაცია მშვილებლისა (მშვილებლებისა) და ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) თანხმობით. ნაშვილებს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია გაშვილებამდე არსებული მისი პირადი მონაცემების შესახებ (ინფორმაცია სახელისა და გვარის, დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში). ნაშვილების განცხადების საფუძველზე, სააგენტო მიმართავს შესაბამის ორგანოებს ამ პირის გაშვილების, მისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობისა და ადგილსამყოფელის დასადგენად. თუ ნაშვილების ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) ვინაობა და ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა, რის გამოც შეუძლებელია მისი (მათი) პოზიციის გარკვევა, სააგენტო დაინტერესებულ პირს აწვდის პირად ინფორმაციას (ინფორმაციას სახელისა და გვარის, დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სააგენტო უფლებამოსილია ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) განცხადების საფუძველზე მიმართოს შესაბამის ორგანოებს მისი (მათი) ბიოლოგიური შვილის მოძიების თაობაზე. თუ დადგინდა, რომ ბიოლოგიური შვილი გაშვილებულია, სააგენტო წყვეტს საქმის წარმოებას. სააგენტო ნაშვილებს არ აწვდის მისი ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, თუ ბიოლოგიური მშობელი (ბიოლოგიური მშობლები) წინააღმდეგი არის (წინააღმდეგი არიან), რომ ნაშვილებმა მიიღოს აღნიშნული მონაცემე-

ბი. ბავშვის გაშვილების პროცესში მისმა ბიოლოგიურმა მშობელმა (ბიოლოგიურმა მშობლებმა) ნებაყოფლობით განაცხადა (განაცხადეს) უარი იმაზე, რომ ნაშვილებმა ან მშვილებელმა მომავალში მიიღოს (მიიღონ) ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ამ შემთხვევაში სააგენტო არ უკავშირდება ბიოლოგიურ მშობელს (ბიოლოგიურ მშობლებს). ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს (ბიოლოგიურ მშობლებს) უფლება აქვს (აქვთ) ნებისმიერ დროს გამოითხოვოს (გამოითხოვონ) თავისი (თავიანთი) უარი, რათა სურვილის შემთხვევაში ნაშვილებმა ან მშვილებელმა (მშვილებლებმა) მიიღოს (მიიღონ) ბიოლოგიური მშობლის (ბიოლოგიური მშობლების) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. ეს განსაზღვრული თანხმობა სავალდებულო არ არის, თუ ნაშვილების ბიოლოგიური მშობელი (ბიოლოგიური მშობლები) ან მშვილებელი (მშვილებლები) გარდაცვლილია (გარდაცვლილი არიან), გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნაშვილების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მისმა ბიოლოგიურმა მშობელმა (ბიოლოგიურმა მშობლებმა) შეიძლება მიიღოს (მიიღონ), თუ ნაშვილებმა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სააგენტოში შეიტანა განცხადება იმის თაობაზე, რომ ბიოლოგიური მშობლისთვის (ბიოლოგიური მშობლებისთვის) ხელმისაწვდომი იყოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. მშვილებლებს (მშვილებელს) შვილად აყვანის შესახებ განცხადება შეაქვთ (შეაქვს) სასამართლოში თავიანთი (თავისი) ან გასაშვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შვილად აყვანის საქმე განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი კი სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების ჩამონათვალში შეიცავს შვილად აყვანის შესახებ საქმეს („ზ“). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLII თავი ეძღვნება შვილად აყვანას. 349-ე მუხლით განსაზღვრულია განსჯადობა. განცხადება შვილად აყვანის შესახებ შეიტანება სასამართლოში მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 350-ე მუხლით განცხადების შინაარსია განსაზღვრული. განცხადებაში შვილად აყვანის შესახებ მითითებული უნდა იყოს მონაცემები შვილად ასაყვანის და მშვილებლის (მშვილებლების) შესახებ, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის. განცხადებას უნდა ერთვოდეს: მეუღლის თანხმობა, როცა ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს; ასევე გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასამართლოს შეუძლია განმცხადებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით გამოითხოვოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. შვილად აყვანის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ღია სასამართლო სხდომის გამართვა. თუ მშვილებელი (მშვილებლები) და 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვი ან მისი წარმომადგენელი ვერ თანხმდებიან, სასამართლო სხდომა დახურული იყოს თუ ღია, საკითხს სასამართლო წყვეტს.

10 წლამდე ბავშვის სასამართლო სხდომაზე დასწრების შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნულ საკითხს მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით წყვეტს. თუ სასამართლო ცნობს, რომ შვი-

ლად აყვანა შესაბამემა შვილად ასაყვანის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება.

შვილად აყვანა ნამდვილია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. საკითხი იმდენად მრავლისმომცველია, რომ მისი სრულფასოვანი განხილვა ერთი სტატიის ფარგლებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. შვილად აყვანის სამართლებრივი საფუძვლები, შვილად აყვანის განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოები, მათი კომპეტენციის ფარგლებში, შვილად აყვანის ძირითადი პირობები და წესი, სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები, შვილად აყვანის საიდუმლოება, შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა – არასრული ჩამონათვალია ამ ინსტიტუტის დამუშავების მიმართულებისა. თითოეული მათგანი ზედმიწევნით გაანალიზებას საჭიროებს, თუმცა საკითხს წითელ ზოლად გასდევს საიდუმლოების მოთხოვნა და მასზე ყურადღების გამახვილება, უდავოდ, განაპირობებს პრობლემის საფუძვლიან შესწავლას.

ლიტერატურა:

1. კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი);
2. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი.

Nana Kurua
Problem for Secret Adoption in Civil Law and Procedure
Summary

Adoption is one of the oldest and most difficult institutions of family law. In this regard numerous problematic issues by the existence of gaps in the legal framework get even more complicated. Much attention has been paid to the discussion of this issue in the legal literature, which contributes to the emergence of inadequacies in legislative regulation and the effective attempt to fill it. Regulation by a special law has been also aimed at perfecting this institution. Raising a child in a family environment is a priority for the state, but this issue is related to many problems in Georgia and is one of the secrets of adoption to which the presented paper is devoted.

Нана Куруа
Проблема усыновления детей в гражданском праве и процессе
Резюме

Усыновление – один из старейших и сложнейших институтов гражданского права. Связанные с ним многочисленные проблемные вопросы еще более осложняются вследствие наличия недостатков и упущений в правовом поле. В юридической литературе обсуждению

1. Marciniak L., Piotrowska-Albin E., Nauczanie hybrydowe w okresie zawieszenia zajęć w czasie epidemii, Wolters Kluwer, 2020;
2. Giordano P., W czasach epidemii, Sonia Draga, 2020;
3. Korzan D., Ewolucja kształcenia zdalnego, Szkoła Wyższa im. Pawła Włodkowica w Płocku, 2020;
4. Ziółkowski P., Wybrane problemy dydaktyczno-metodycznego funkcjonowania nauczyciela-wychowawcy [w] Koc. R., Kozubska A., Ziółkowski P., Nauczyciel w drodze do profesjonalizmu, wyd. WSG, Bydgoszcz 2014;
5. Ziółkowski P., Techniki nauczania na odległość z wykorzystaniem Platformy Moodle [w] Ziółkowski P. (red.), Nowoczesne formy doskonalenia pracy nauczyciela – Szkoła Przyszłości, wyd. WSG, Bydgoszcz 2017;
6. Ziółkowski P., Teoretyczne podstawy kształcenia, wyd. WSG, Bydgoszcz 2015;

7. Rozporządzenie Ministra Edukacji Narodowej z dnia 20 marca 2020 r. w sprawie szczególnych rozwiązań w okresie czasowego ograniczenia funkcjonowania jednostek systemu oświaty w związku z zapobieganiem, przeciwdziałaniem i zwalczaniem COVID-19;
8. www.portaloswiatowy.pl – internetowa baza aktualności oświatowych;
9. Ministerstwo Edukacji i Nauki – Portal Gov.pl.

პუემისლავ ზიულკოვსკი, ირენა კუდლინსკა
დისტანციური სწავლება პანდემიის პერიოდში პოლონეთში
რეზიუმე

სტატია ეხება დისტანციური სწავლების საკითხს, რომელიც წარმოდგენილია 2020 წლის შემდგომი პერიოდის შედარებითი ანალიზის სახით. განხილულია Sars-Cov2 პანდემიის აფეთქება და შემდგომი პერიოდი. ნაშრომში აღწერილია დისტანციური განათლების ძირითადი ელემენტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს Covid-ის პანდემიის გამო. ტექსტში წარმოდგენილია დისტანციური სწავლების პლატფორმებისა და სხვა ინსტრუმენტების მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვანი ელემენტი იყო პოლონეთში განათლების სისტემის უწყვეტობის შესანარჩუნებლად ბოლო ორი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემა და ტრაგედია გამოიწვია Sars-Cov2 ვირუსმა, უნდა აღინიშნოს, რომ მან, უდავოდ, მოახდინა ციფრული რევოლუცია, რაც გამოიხატა პოლონეთის სკოლებში მასწავლებელთა კომპეტენციის ზრდაში. დაწესებულებები აღიჭურვა და გაკეთილეს ჩატარდა დისტანციური სწავლების ინსტრუმენტების გამოყენებით.

Przemyslaw Ziolkowski, Irena Kudlinska
Distance Learning During the Pandemic Period in Poland
Summary

This text highlights the issue of distance learning, which is presented in a form of a comparative analysis of the period before 2020, i.e. the outbreak of the Sars-Cov2 pandemic, and after the pandemic has started. The authors describe key elements in remote education that have undergone significant changes due to the Covid pandemic. The text presents examples of platforms and other tools for distance learning, which have proved to be an essential element in maintaining continuity in the implementation of the education system in Poland during the last two years. The authors also point out that though many problems and tragedies have been caused by the Sars-Cov2 virus, it should be noted that the latter has undoubtedly led to the digital revolution that took place in Polish schools in terms of increasing the competences of teachers, equipping institutions and conducting classes with the use of distance learning tools.

გიორგი ჯინჯინაძე
(საქართველო)


ზოგიერთი სახის არითმეტიკული ამოცანის
ამოხსნის სწავლების თაობაზე

ართმეტიკაში დიდი ხანია ისწავლება ამოცანები ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამითა და სხვაობით. მართალია, ახლა არსებობს სწავლების შესაბამისი მეთოდოლოგია, მაგრამ ასეთი ამოცანები 150-200 წლის წინ ისწავლებოდა წინასწარ გამზადებული „წესის“ მიხედვით. წესი კი ასეთი იყო: „თუ ნახევარჯამს მივუმატებთ ნახევარსხვაობას, მივიღებთ მეტ რიცხვს; თუ ნახევარჯამიდან გამოვაკლებთ ნახევარსხვაობას, მივიღებთ ნაკლებ რიცხვს“. მოსწავლე ყოველთვის ღებულობდა სწორ პასუხს მხოლოდ იმიტომ, რომ წესი იყო სწორი, მაგრამ ამ წესის გაცნობიერება მოსწავლის მიერ სულაც არ იყო აუცილებელი.

ცხადია, რომ ასეთი მიდგომა სწავლებისადმი დღეს არ გამოდგება. ამოცანის ამოხსნას მიზანი არ ექნება, თუ მოსწავლეს იგი გაცნობიერებული არ აქვს და თუ მისი სწავლება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაში ვერაფრითარ წვლილს ვერ შეიტანს. განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა.

ამოცანა 1. ფერადი ფანქრების ერთ კოლოფში 6 ფანქრით მეტია, ვიდრე მეორეში, ორივე კოლოფში ერთად კი 30 ფანქარია. რამდენი ფანქარია თითოეულ კოლოფში?

ამოხსნა: ამოცანის მოდელი მრავალნაირად შეიძლება შესრულდეს. ჩვენ განვიხილოთ ასეთი სქემატური ნახაზი:



თუ პირველი კოლოფიდან ამოვიღებთ 6 ფანქარს, მაშინ მასში დარჩება იმდენივე ფანქარი, რამდენიცაა მეორეში, ხოლო ორივეში ერთად იქნება 2-ჯერ მეტი, ვიდრე მეორეშია.

მაშასადამე, პირველი მოქმედებაა:

1) $30 - 6 = 24$ (ფანქარი)

ვიპოვოთ ფანქრების რაოდენობა მეორე კოლოფში:

2) $24 : 2 = 12$ (ფანქარი)

ახლა დავაბრუნოთ უკან პირველი კოლოფიდან ამოღებული ფანქრები, ე. ი. ვიპოვოთ ფანქრების რაოდენობა პირველ კოლოფში:

3) $12 + 6 = 18$ (ფანქარი)

პასუხი: 18 და 12 ფანქარი.


ასეთი ტიპის რამდენიმე ამოცანის ამოხსნის შემდეგ შეიძლება მოსწავლეები მივიყვანოთ მათი ამოხსნის წესის განზოგადებამდე.

ეს შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად:

- რა აქვთ ამ ამოცანებს საერთო?
- ყოველ მათგანში საჭიროა ორი უცნობი რიცხვის პოვნა.
- რა არის ცნობილი ამ რიცხვების შესახებ?
- ცნობილია მათი ჯამი და სხვაობა.
- როგორ ვპოულობდით ამ რიცხვებს?
- მათი ჯამიდან ვაკლებდით სხვაობას და ვღებულობდით გაორკეცებულ ნაკლებ რიცხვს ორი უცნობი რიცხვიდან. ამ სხვაობის ნახევარი – ნაკლები რიცხვია. შემდეგ, ნაკლებ რიცხვს ვუმატებდით სხვაობას და ვღებულობდით მეტ რიცხვს.

ამოცანა 2. სკოლაში ფეხბურთისა და კარატეს სექციებში მეცადინეობს 36 მოსწავლე. ფეხბურთელთა რაოდენობა 2-ჯერ მეტია, ვიდრე კარატისტებისა. რამდენი მოსწავლე მეცადინეობს თითოეულ წრეში?

ამოხსნა: მოდელისათვის გამოვიყენოთ შემდეგი სქემა:



თუ დავაკვირდებით სქემას, დავინახავთ, რომ ფეხბურთელებისათვის ჩვენ ერთი მონაკვეთი, ხოლო კარატისტებისათვის – ორი. ამასთან, ყველა მონაკვეთი ტოლია. ვიპოვოთ ტოლი მონაკვეთების (ნაწილების) რაოდენობა.

1) $1 + 2 = 3$ (ნაწ.) – სულ.

გამოვიანგარიშოთ, რამდენი მოსწავლე მოდის ერთ მონაკვეთზე (ნაწილზე). ამისათვის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა გავყოთ ნაწილების რაოდენობაზე:

2) $36 : 3 = 12$ (მოსწ.) – დადის კარატეზე.


რადგანაც ფეხბურთის წრეზე დადის 2-ჯერ მეტი მოსწავლე, ვიდრე კარატეს წრეზე, ამიტომ:

3) $12 \cdot 2 = 24$ (მოსწ.) – დადის ფეხბურთზე.

პასუხი: ფეხბურთის წრეში მეცადინეობს 24 მოსწავლე, კარატეს წრეში – 12 მოსწავლე.

ამოცანა 3. სკოლაში ფეხბურთისა და კარატეს სექციებში მეცადინეობს 20 მოსწავლე. ფეხბურთელთა რაოდენობა 3-ჯერ მეტია, ვიდრე კარატისტებისა. რამდენი მოსწავლე მეცადინეობს თითოეულ წრეში?

ამოხსნა: მოდელისათვის გამოვიყენოთ შემდეგი სქემა:



თუ დავაკვირდებით სქემას, დავინახავთ, რომ ფეხბურთელებისათვის ჩვენ ერთი მონაკვეთი, ხოლო კარატისტებისათვის – სამი. ამასთან, ყველა მონაკვეთი ტოლია. ვიპოვოთ ტოლი მონაკვეთების (ნაწილების) რაოდენობა.

1) $1 + 3 = 4$ (ნაწ.) – სულ, შეადგენს რიცხვს 20.

გამოვიანგარიშოთ, რამდენი მოსწავლე მოდის ერთ მონაკვეთზე (ნაწილზე). ამისათვის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა გავყოთ ნაწილების რაოდენობაზე:

2) $20 : 4 = 5$ (მოსწ.) – დადის კარატეზე.

რადგანაც ფეხბურთის წრეზე დადის 3-ჯერ მეტი მოსწავლე, ვიდრე კარატეს წრეზე, ამიტომ:

3) $5 \cdot 3 = 15$ (მოსწ.) – დადის ფეხბურთზე.

პასუხი: ფეხბურთის წრეში მეცადინეობს 5 მოსწავლე, კარატეს წრეში – 15 მოსწავლე.


ამოცანა 4. ირაკლი საკით (პეპლის საჭერი) პეპლებს იჭერდა ოთხი დღის განმავლობაში. ყოველ მომდევნო დღეს იჭერდა იმდენ პეპელას, რამდენიც დაიჭირა წინა დღეებში ერთად. რამდენი პეპელა დაუჭერია ირაკლის პირველ დღეს და რამდენი დაუჭერია ბოლო დღეს?

ამოხსნა: თუ ირაკლი ყოველ მომდევნო დღეს იჭერდა იმდენ პეპელას, რამდენიც დაიჭირა წინა დღეებში, მაშინ პირველ დღეს დაჭერილი პეპლების რაოდენობა შეგვიძლია მივიღოთ ერთ ნაწილად. მეორე დღეს დაუჭერია კიდევ ერთი ნაწილი, მესამე დღეს – ორი ნაწილი, მეოთხე დღეს – ოთხი ნაწილი, სულ – 8 ნაწილი. $24 : 8 = 3$ (პეპელა). პირველ დღეს ირაკლის დაუჭერია 3 პეპელა, ბოლო დღეს – $3 \cdot 4 = 12$ პეპელა.

პასუხი: 3 პეპელა პირველ დღეს, 12 პეპელა მეოთხე დღეს.

ამოცანა 5. მეოთხეკლასელებმა მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლის ეზოში დარგეს ნაძვისა და ფიჭვის ნერგები. ნაძვის ნერგები 4-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ფიჭვის ნერგები. რამდენი ნაძვის და რამდენი ფიჭვის ნერგი დაურგავთ მოსწავლეებს, თუ ნაძვის ნერგები იყო 24-ით ნაკლები, ვიდრე ფიჭვის?

ამოხსნა: დავხაზოთ სქემა:



სქემიდან სრულიად აშკარად ჩანს ამოხსნის გზა:

1) $4 - 1 = 3$ (ნაწ.) – შეადგენს რიცხვს 24.

2) $24 : 3 = 8$ (ნერგი) – შეადგენს ერთ ნაწილს, ეს არის ნაძვები.

3) $8 \cdot 4 = 32$ (ნერგი.) – ეს არის ფიჭვები.

პასუხი: 8 ნაძვის ნერგი, 32 ფიჭვის ნერგი.

როგორც ჩანს, ამოცანის ამოხსნის ის მეთოდი, რომელსაც ვიხილავთ ზემოთ მოცემული ამოცანებიდან პირველში ფარულია, შემდეგ კი თანდათანობით ვითარდება. ნაწილის მიღებით ჩვენ, ფაქტობრივად, შემოგვქონდა თვლის ახალი ერთეული, მაგრამ ეს ყოველივე შეპარვით ხასიათს ატარებდა. ასეთი ამოცანები იხსნება ძირითადად მესამე-მეოთხე კლასებში.

ამოცანის ამოხსნის ხსენებული მეთოდი უფრო ეფექტურად შეგვიძლია გამოვიყენოთ მეხუთე-მეექვსე კლასებში და ზემოთ. ამასთან, განსხვავებული სახის ამოცანებში, აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე.

განვიხილოთ მაგალითები.

ამოცანა 1. ორი რიცხვის ჯამია 16. იპოვეთ ეს რიცხვები, თუ მეორე რიცხვის $\frac{1}{3}$ უდრის პირველის $\frac{1}{5}$ -ს.

ამოხსნა შეიძლება წარვმართოთ შემდეგნაირად:

მეორე რიცხვის $\frac{1}{3}$ და, მაშასადამე, პირველი რიცხვის $\frac{1}{5}$ -ც, მივიღოთ თვლის ახალ ერთეულად. მაშინ მეორე რიცხვში იქნება 3 ასეთი ერთეული, ხოლო პირველში იქნება 5 ასეთი ერთეული. რიცხვზე 16 მოდის თვლის 8 ახალი ერთეული ($5 + 3 = 8$). აქედან ვღებულობთ, რომ თვლის ყოველ ერთეულზე მოდის $16 : 8 = 2$. რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი რიცხვია 10, ხოლო მეორე რიცხვია 6.

ამგვარად, თუ მოცემულია რომელიმე რიცხვების (ან სიდიდეების) ნაწილები, რიცხვების შესაბამისი ნაწილები უნდა მივიღოთ თვლის ახალ ერთეულად. თუკი მოცემული გვაქვს საძიებელი რიცხვების (ან სიდიდეების) რამდენიმე ნაწილი, მაშინ ეს მოცემული რამდენიმე ნაწილი უნდა მივიღოთ თვლის იმდენ ახალ ერთეულად, რამდენიც იქნება ნაწილების რაოდენობათა უმცირესი საერთო ჯერადი. მაგალითად:

ამოცანა 2. ორი რიცხვის ჯამია 38. იპოვეთ ეს რიცხვები, თუ პირველი რიცხვის $\frac{2}{3}$ ტოლია მეორე რიცხვის $\frac{3}{5}$ -ის.

ამოხსნა შეიძლება წარვმართოთ შემდეგნაირად:

პირველი რიცხვის $\frac{2}{3}$ და, მაშასადამე, მეორე რიცხვის $\frac{3}{5}$ -ც, მივიღოთ თვლის ახალ ექვს ერთეულად. მაშინ პირველი რიცხვის $\frac{1}{3}$ -ში იქნება თვლის 3 ახალი ერთეული, ხოლო მეორე რიცხვის $\frac{1}{5}$ -ში იქნება თვლის 2 ახალი ერთეული. ე. ი. პირველ რიცხვში იქნება თვლის 9 ახალი ერთეული, ხოლო მეორე რიცხვში იქნება თვლის 10 ახალი ერთეული.

ული. რიცხვზე 38 მოდის 19 ახალი ერთეული. თვლის თითოეულ ახალ ერთეულზე მოდის $38 : 19 = 2$, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი რიცხვია 18, ხოლო მეორე რიცხვია 20.

ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე ჯ., მათემატიკის დაწვებითი კურსის სწავლების მეთოდთა და ტექნოლოგია, თბ., 2011;
2. ჯინჯიხაძე ჯ., მათემატიკის დაწვებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები, თბ., 2012;
3. Стефанова Л. Н., Подходова Н. С., Орлов В. В., Радченко В. П., Крылов В. В., Снегурова В. И., Иванов И. А., Методика и технология обучения математике. Курс лекции. М., 2005;
4. Грузин Н. Г., О решении некоторых арифметических задач; ж. «Математика в школе», 1963, №6.

Giorgi Jinjikhadze

About the Teaching of Finding a Solution to Some Kinds of Arithmetic Problems

Summary

Arithmetic has long been studying the problem of finding two numbers by their sum and difference. It is true, that now there are appropriate teaching methods, but such problems were taught 150-200 years ago according to a previously prepared "rule". The rule was: "If we add the half-difference to the half-sum we get larger numbers; "If we subtract the half-difference from the half-sum, we get lesser numbers". The student always got the correct answer just because the rule was correct, but it was not necessary for the student to understand this rule.

The article discusses the method of introducing a new unit of counts, the method of its use, and the further development of this method.

გიორგი ჯინჯიხაძე

К вопросу об обучении решению некоторых арифметических задач

Резюме

В арифметике давно изучаются задачи нахождения двух чисел вместе с их суммой и разницей. Несмотря на то, что сегодня существует соответствующая методика обучения, такие задачи изучались 150-200 лет назад по заранее подготовленным «правилам». Правило заключалось в следующем: если к полусумме прибавить полуразницу, получим большее число; если от полусуммы отнять полуразницу, получим меньшее число. Ученик всегда получал правильный ответ только потому, что правило было верное и от ученика не требовалось вникать в суть правила.

В статье рассматривается метод включения новой единицы счета, методика его применения и последующего развития.

შორენა შარია
(საქართველო)

შაქრიანი დიაბეტის ბენეტიკური საფუძვლები

შაქრიანი დიაბეტი (ლათ. Diabetes mellitus) შედის ენდოკრინული დაავადებების ჯგუფში, რომელიც გლუკოზის ათვისების დარღვევასთან ასოცირდება და ვითარდება აბსოლუტური და ფარდობითი (მიზნობრივ უჯრედებთან ურთიერთქმედების დაქვეითება) ჰორმონის - ინსულინის უკმარისობის შედეგად, რის გამოც ვითარდება ჰიპერგლიკემია - სისხლში გლუკოზის მუდმივი მომატება. შაქრიან დიაბეტს ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა [5].

დიაბეტი, როგორც დაავადება, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაშია აღწერილი. ტერმინი *შაქრიანი დიაბეტი* პირველად ბერძენმა ექიმმა დემეტრემ აპამანიიდან ძვ.წ. II საუკუნეში გამოიყენა, რაც ნიშნავს „გაგლას“. იმ დროისთვის შაქრიანი დიაბეტი განიხილებოდა როგორც პათოლოგიური მდგომარეობა, როდესაც სხეული კარგავდა სითხის შეკავების უნარს. შემდგომი კვლევების საფუძველზე, გლუკოზის კონცენტრაციის დასადგენად არა მხოლოდ შარდში, არამედ სისხლის შრატშიც, უმეტესობა პაციენტის სისხლში შაქრის მომატება თავდაპირველად არ იძლეოდა მისი შარდში გამოვლენის გარანტიას, ე. ი. შაქრიან დიაბეტზე პირველადი მოსაზრებები და შეხედულებები უნდა შეცვლილიყო. ამგვარად, შარდის შეუკავებლობის პარადიგმა შეცვალეს შაქრის მაღალი პარადიგმის სასარგებლოდ, რომელიც სადღეისოდ არის თერაპიის ეფექტურობის, დიაგნოზისა და შეფასების ძირითადი და ერთადერთი წყარო.

1869 წელს პოლ ლანგერჰანსმა თავის სადისერტაციო ნაშრომში პირველად აღწერა პანკრეასის კუნძულები, თუმცა მხოლოდ 1890 წელს იოზეფ მერინგისა და ოსკარ მინკოვსკის ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა პანკრეასის როლი. მათ პანკრეასი მოაშორეს ძაღლს, რის შედეგადაც ცხოველს დაეწყო მძიმე დიაბეტის ყველა სიმპტომის გამოვლენა: ჰიპერგლიკემია, გლუკოზურია და ძაღლი 2-3 კვირაში კეტოაციტოზით გამოწვეული კომით გარდაიცვალა. სწორედ ეს იყო პირველი ექსპერიმენტული დასტური იმისა, რომ დიაბეტის განვითარებას შესაძლოა პანკრეასის კუნძულები ედო საფუძველად. კუჭქვეშა ჯირკვალი ანუ პანკრეასი არის ორგანო, სადაც ხდება ინფორმაციის მიწოდება ინსულინის დასამზადებლად სისხლში, შაქრის როგორც მაღალი (ჰიპერგლიკემია), ისე დაბალი (ჰიპოგლიკემია) შემცველობისგან [1]. მას შემდეგ, რაც უკვე დაიწყო ინსულინით მკურნალობა, ექიმები იყენებდნენ ამ დაავადების კლინიკურ მახასიათებლებს, როგორებიცაა: ასაკი, წონა და ინსულინით მკურნალობის აუცილებლობა. ავსტრალიელმა მედიკოსებმა ფალტამ და ბოლერამ გამოავლინეს ინსულინმგრძობიარე და ინსულინრეზისტენტული ფორმები. ამ ორ ფორმას შორის მკაფიო განსხვავება 1936 წელს შეიმუშავა ბრიტანელმა მეცნიერმა ჰაროლდ ჰიმსვორთმა. მან პაციენტის ორგანიზმში გლუკოზასთან ერთად, პარალელურად შეიყვანა ინსულინი, რის საფუძველზეც შეამჩნია, რომ გამხდარ ახალგაზრდა პაციენტებს გამოუვლინდათ

შაქრიანი დიაბეტის არმქონე ადამიანების მგრძობელობა ინსულინისადმი. 1951 წელს პირველად იქნა შემოღებული ტერმინი *ტიპი I* და *ტიპი II დიაბეტი* ლისტერის მიერ, რომელიც განასხვავებდა პაციენტების ორ ჯგუფს: ერთი - ახალგაზრდა, გამხდარი, ათეროსკლეროზის გარეშე, ნორმალური არტერიული წნევით და დაავადების მწვავე დასაწყისით, მეორე - ხანშიშესული, მსუქანი, ათეროსკლეროზით, თუმცა აღნიშნული ტერმინები დიდი ხნის განმავლობაში დავიწყებას მიეცა და მხოლოდ 1976 წელს ქედვორსმა ეს ტერმინები თავიდან შემოიტანა. ამჟამად, მოლეკულური მონაცემების წყალობით, დამუშავებულია 200-მდე ტესტი, რომელთა საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა დაავადების მიმართ მემკვიდრული წინასწარგანწყობის აღმოჩენა. გამოკვლევები, რომლებიც მიმართულია დაავადებათა მიდრეკილების განვითარების გამოვლენისკენ, მიზნად არ ისახავს დიაგნოზის დასმას, ისინი მიაჩნებიან იმ გენების არსებობაზე, რომლებიც დაავადებასთანაა ასოცირებული. ზოგიერთი დაავადება შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეობით, პოპულაციის ნაწილს კი, გააჩნია ამა თუ იმ დაავადებისადმი წინასწარგანწყობა. აღმოჩენილია გენები და მათი ცილოვანი პროდუქტები, რომლებიც პასუხისმგებელია დაავადების განვითარებაზე. ლაბორატორიულ პრაქტიკაში მათ მარკერებს უწოდებენ. მარკერების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს დაავადების განვითარების განსხვავებული რისკის ჯგუფები, კერძოდ, დიაბეტის კლინიკამდე. გენეტიკური მარკერების საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ წინასწარგანწყობა შაქრიანი დიაბეტისადმი. ეს არის შაქრიანი დიაბეტის დიაგნოსტიკის მნიშვნელოვანი ეტაპი, რადგანაც ტრადიციულ მეთოდებთან ერთად (გლუკოზის განსაზღვრა, გლიკირებული ჰემოგლობინის განსაზღვრა და ა.შ.) აუმჯობესებს დაავადების დიაგნოსტიკას ჯერ კიდევ დაავადების კლინიკური სიმპტომების გამოვლენამდე.

გამოკვლევების საფუძველზე შაქრიანი დიაბეტის ტიპი I-ის საწყის ფაქტორად ითვლება პანკრეასის -უჯრედების დაზიანება, ერთი ან რამდენიმე არახელსაყრელი გარემო ფაქტორის მოქმედებით, რომელიც შეიძლება იყოს ვირუსი, ტოქსიკური ნივთიერებები, სტრესი და ა.შ. ამ ჰიპოთეზას კი ამყარებს პანკრეასის კუნძულის ანტიგენების - აუტოანტისხეულების არსებობაც. ისინი, მეცნიერთა მოსაზრებით, არ მონაწილეობენ უშუალოდ -უჯრედების განადგურების მექანიზმში. გარდა ამისა, აუტოანტისხეულების რაოდენობის შემცირება ხდება I ტიპის შაქრიანი დიაბეტის დაწყებიდან რამდენიმე პერიოდის შემდეგ. დაავადების დაწყებიდან რამდენიმე თვეში, გამოვლინდა ანტისხეულები გამოკვლეული პაციენტების 70-90%-ში, დაავადების დაწყების, დაახლოებით 1-2 წლის შემდეგ, მხოლოდ 20%-ში, აუტოანტისხეულები, ასევე, ვლინდება I ტიპი შაქრიანი დიაბეტის პაციენტების ნათესავებში, ყველაზე ხშირად კი HLA სისტემის ნათესავებში. პანკრეასის კუნძულის ანტიგენების აუტოანტისხეულებია G კლასის იმუნოგლობულინები. როდესაც მიმდინარეობს -უჯრედების განადგურება, ორგანიზმში გამოიყოფა ანტიგენები, რომლებიც თავის მხრივ იწვევს აუტოიმუნურ პროცესს. რამდენიმე აუტოანტიგენი ცხადყოფს, რომ არიან ავტომატური T-ლიმფოციტების გამააქტიურებლები: პრეპროინსულინი (PPI) გლუტამატ დეკარბოქსილაზა (GAD) ინსულინომასთან ასოცირებული ანტიგენი 2 (I-A2), აგრეთვე, თუთიის (ZNT) მატანსპორტირებელი. I ტიპის შაქრიანი დიაბეტის გენეტიკური წინასწარგანწყობა განიხილება როგორც ფუნქციურად არახელშემ-

წყობი, სხვადასხვა გენთა ალელების კომბინაცია. შაქრიანი დიაბეტის განმაპირობებელი მრავალი გენისათვის კარგადაა დადგენილი პოლიმორფიზმი. მკაფიოდაა იდენტიფიცირებული არახელშემწყობი ალელები. HLA II ტიპის გენები, კერძოდ DRB, DQA, DQB, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ I ტიპის დიაბეტის ჩამოყალიბებაში. პაციენტთა 90%, რომელთაც I ტიპის შაქრიანი დიაბეტი ახასიათებს, არის გენების (HLA DR3, DQB1 0201 ან DR4, DQB1 0302) მატარებელი. HLA-DR2 გავრცელება ქვეითდება შაქრიანი დიაბეტის I ტიპის პაციენტებში და DQA10102/DQB10502/DRB11601 ჰაპლოტიპებში, ლოკუსი IDDM2, რომელიც განსაზღვრავს I ტიპის შაქრიანი დიაბეტისადმი მიდრეკილებას, გაიგივებულია INS ინსულინის გენთან, ლოკუსები - HLA და INS ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ მსგავსი ფიზიოლოგიურობით, რომელთა დაზიანება I ტიპის შაქრიანი დიაბეტის ჩამოყალიბებას განაპირობებს. HLA გენის პოლიმორფიზმი განსაზღვრავს T-ლიმფოციტების შერჩევას თიმუსში მომწიფებისას. HLA სისტემის გენების არსებობისას, არ ხდება T-ლიმფოციტების ელიმინაცია, რომლებიც თავიანთ ზედაპირულ რეცეპტორებს პანკრეასის უჯრედების აუტოანტიგენისათვის ატარებენ. ჯანმრთელ ორგანიზმში ასეთი T-ლიმფოციტები განადგურებულია მომწიფების ეტაპზე. ასე რომ, პირველი ტიპის დიაბეტისადმი მიდრეკილების შემთხვევაში, სისხლში აუტორეაქციული T-ლიმფოციტების გარკვეული რაოდენობა ვრცელდება, რომლებიც აქტიურდება სისხლში აუტოანტიგენის გარკვეულ დონეზე. ამ დროს აუტოანტიგენის დონე ზღურბლამდე იზრდება ან უჯრედების პირდაპირი განადგურების შედეგად ან სისხლში ვირუსული საშუალებების არსებობის შედეგად, რომლის ანტიგენებიც ურთიერთქმედებენ პანკრეასის ბეტა უჯრედების ანტიგენებთან. T-მარეგულირებელი უჯრედები (Treg) მონაწილეობენ აუტორეაქციული T-ლიმფოციტების აქტივობაში, რაც უზრუნველყოფს პომეოსტაზის შენარჩუნებას. ასე რომ, (Treg) უჯრედების ფუნქციონირების და სისშირის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს აუტოიმუნური დაავადებები, მათ შორის, I ტიპის შაქრიანი დიაბეტი [4].


1999 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაახასიათა II ტიპის შაქრიანი დიაბეტი, როგორც მეტაბოლური დაავადება [6], რომელიც ვითარდება ინსულინის სეკრეციის დაქვეითების ან ინსულინის მოქმედებისადმი ქსოვილის მგრძობელობის შემცირების შედეგად. მისი სიმპტომებია: წყურვილის მომატება, შარდვის გახშირება და წონის აუხსნელი დაკარგვა. სისხლში შაქრის მაღალი დონის ხანგრძლივ გართულებებს მიეკუთვნება: გულის დაავადება, ინსულტი, დიაბეტური რეტინოპათია, რაც შეიძლება გახდეს (სიბრძავის, თირკმლის უკმარისობის და ა.შ.) გამომწვევი მიზეზი. II ტიპის დიაბეტის მქონე პაციენტებს შერეული ოჯახებიდან, უფრო მეტი ალბათობით აქვთ GAD ანტისხეულები და გენოტიპი, ვიდრე პაციენტებს მხოლოდ II ტიპის დიაბეტის მქონე ოჯახებიდან; აგრეთვე, მათ აქვთ DQB1 * 02/0302 გენოტიპის დაბალი სისშირე, I ტიპის დიაბეტის მქონე მოზრდილ პაციენტებთან შედარებით. შერეულ ოჯახებში ინსულინის რეაქცია გლუკოზას დატვირთვაზე უარესი აღმოაჩნდათ იმ პაციენტებს, რომლებსაც აქვთ რისკის შემცველი 9 HLA-DR3-DQA1 * 0501-DQB1 * 02 ან DR4 * 0401/4-DQA1 * 0301-DQB1 * 0302) ჰაპლოტიპები. ეს გარემოება არ იყო დამოკიდებული GAD ანტისხეულების არსებობაზე. ამიტომ მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ შაქრიანი დიაბეტის I და II ტიპის მტევანი ერთ ოჯახშია.

შაქრიანი დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის 2020 წლის მონაცემებით, მსოფლიოში დიაბეტით დაავადებულთა დაახლოებით 8,8% ცხოვრობს, რაც 2010 წელთან შედარებით 2,4%-ით მეტია (6,4%). ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 415 მილიონი ადამიანი ცხოვრობს დიაბეტით. სავარაუდოდ, ეს 2040 წლისთვის 642 მილიონამდე გაიზრდება. სწრაფი ურბანიზაცია, არაჯანსაღი კვება, რასაც თან ერთვის დაბალი ფიზიკური აქტივობა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვის ზრდას განაპირობებს [2].

დიაბეტის საერთაშორისო ატლასის მიხედვით, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულების საერთო რაოდენობიდან 87-91% დაავადებულია II ტიპის დიაბეტით, 7-12% – I ტიპით, ხოლო 1-3% – სხვა სახის დიაბეტით. 2020 წლისთვის 20-79 წლის ასაკის მოზრდილი მოსახლეობის 8,8% შაქრიანი დიაბეტით იყო დაავადებული. თუ ასაკობრივ ჩარჩოს გავზრდით 18-99 წლამდე, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი 451 მლნ-ს მიაღწევს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2045 წლისთვის 693 მლნ ადამიანს (18-99 წლამდე) შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზს დაუსვამენ.

2020 წლის მონაცემებით, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულების გადანაწილება სქესის მიხედვით შემდეგია: 20-79 წლის ასაკის ქალებში – 8,4%, ხოლო მამაკაცებში – 9,1. შაქრიანი დიაბეტით 17,1 მლნ-ით მეტი მამაკაცი გამოვლინდა დაავადებულ ქალებთან შედარებით.

შაქრიანი დიაბეტის გავრცელება საქართველოში საკმაოდ მაღალია, 2019 წლის დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მე-8 გამოცემის ატლასის მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 232 000 ადამიანია შაქრიანი დიაბეტით დაავადებული. იგივე მონაცემებით, დიაბეტის პრევალენტობა 20-79 წლის ასაკში შეადგენს 8,1%-ს. უკანასკნელ წლებში საქართველოში, ძირითადად, II ტიპის შაქრიანი დიაბეტია გავრცელებული. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2019 წლის ბოლოს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი 90 599 ადამიანს შეადგენდა (პრევალენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე). 90 599 პაციენტიდან 65 721-ს ჰქონდა II ტიპის დიაბეტი, სადაც 12 931 ადამიანისთვის პირველად დადგენილი დიაგნოზი იყო, ხოლო I ტიპის დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი შეადგენდა 17 567, რომელთა შორის 2 776-ს პირველად.



2020 წელს საქართველოში შაქრიანი დიაბეტის ყველაზე მაღალი პრევალენტობის მახვენებელი 100000 მოსახლეზე გამოვლინდა რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე – 4 731, ხოლო ინციდენტობის ყველაზე მაღალი მახვენებელი 1187 – ქვემო ქართლში. რეგიონების მიხედვით შაქრიანი დიაბეტით დაავადებულების რიცხოვნობის ვარიაცია დამოკიდებულია სამედიცინო დაწესებულებისადმი განსხვავებული მიმართვიანობით.

შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის დასმის ძირითადი მეთოდი ლაბორატორიული კვლევაა. პაციენტებს ყოველთვის შეუძლიათ გაიარონ სკრინინგის გენეტიკური ტესტი, რათა გაიგონ მათი გენეტიკური მიდრეკილება, როგორც თავად დიაბეტის, ასევე მისი გართულებების (მაგალითად, დიაბეტური კატარაქტის) მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიაგნოზირებული შაქრიანი დიაბეტის მქონე ადამიანებისთვის, თუ რა გენეტიკური რისკები არსებობს სხვა დაავადებებთან მიმართებაში, მაგალითად, თირკმელების ან გულის დაავადებებთან დაკავშირებით, რადგან დიაბეტმა შეიძლება გამოიწვიოს მრავალი ორგანული დაავადებისადმი გაზრდილი რისკი.

I ტიპის დიაბეტი აუტომუნური დაავადებაა, მის სამკურნალოდ კი სხვადასხვა პრეპარატებია შესწავლილი [3], არაანტიგენ სპეციფიკური სისტემის იმუნოთერაპიისას, მათ შორის, T-უჯრედების სუპრესორებით (ციკლოსპორინი), ანტიპროლიფერაციული აგენტებით (მეტოტრექსატი, აზათიოპრინინი) და ანტითიმოციტური გლობულინით მკურნალობის დროს გვერდითი ეფექტები აღინიშნებოდა, ციკლოსპორინის გამოყენებამ შეამცირა ინსულინზე ხანმოკლე მოთხოვნილება, კერძოდ, დეკარბოქსილაზას გამოყენება მკურნალობისას ზრდიდა C-პეპტიდს იმ პაციენტებში, რომლებსაც მკურნალობა უტარდებოდათ დიაგნოზის დასმიდან 3 თვის განმავლობაში. მონოკლონური ანტისხეულები CD3 და CD20 იმედს იძლევა, რომ შესაძლოა ისინი გამოყენებულ იქნეს შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში. I ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებმა ჯერჯერობით განსაკუთრებული სიფაქიხით უნდა დაიცვან ინსულინოთერაპიის პროცედურები, რათა შეინარჩუნონ ჯანმრთელობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვამდე. II ტიპის შაქრიანი დიაბეტი უფრო მარტივად მიმდინარეობს, ვიდრე მისი განკურნება. როგორც I, ასევე II ტიპის შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკისათვის 100%-იანი მეთოდი არ არსებობს, შესაძლებელია მხოლოდ II ტიპის შაქრიანი დიაბეტის საწყისი ეტაპის დროული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, დაავადების შემდგომი პროგრესირების შემცირება.

ლიტერატურა:

1. <http://endocrinolo.gy/2018/06/08/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9A/>;
2. <https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=03f46e02-ca53-4ce1-afd7-ac7cb2111a55>;
3. <https://bestpractice.bmj.com/topics/ka-ge/25/emergingtxs>;
4. <https://jbks.ru/archive/issue-4/article-14>;

5. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B0%D1%85%D0%B0%D1%80%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%B4%D0%B8%D0%B0%D0%B1%D0%B5%D1%82;
6. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B0%D1%85%D0%B0%D1%80%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%B4%D0%B8%D0%B0%D0%B1%D0%B5%D1%82_2-%D0%B3%D0%BE_%D1%82%D0%B8%D0%BF%D0%B0.

Shorena Sharia
Genetic Basis of Diabetes Mellitus
Summary

Diabetes mellitus is a severe multifactorial, chronic, genetically determined disease caused by an absolute deficiency of type I insulin, or a relative deficiency of type II insulin. Identified two genes – ENPP1 and CAPN10, which causes a predisposition to diabetes. Scientists will need to determine how these genes conflict affects the risk of developing type II diabetes. Currently, gene therapy is considered one of the promising directions in the treatment of diabetes mellitus. For gene therapy, the most accurate candidate is the insulin gene. Insulin technology will avoid immune destruction and ensure a sustained supply of insulin.

Шорена Шария
Генетическме основы сахарного диабета
Резюме

Сахарный диабет тяжелейшее мультифакториальное, хроническое, генетически детерминированное заболевание, обусловленное абсолютным дефицитом инсулина I типа, или относительным дефицитом инсулина II типа. Выявлены два гена – ENPP1 и CAPN10, которые вызывают предрасположенность к диабету. Учёным предстоит определить, как противоречия этих генов влияют на риск развития диабета II типа. В настоящее время одним из перспективных направлений в лечении сахарного диабета считается генная терапия. Для генной терапии наиболее точным кандидатом является ген инсулина. Технология инсулина позволит избежать иммунной деструкции и обеспечить устойчивое снабжение инсулином.

ინდიკო ძაგანია – 80

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ჭეშმარიტ ქართველს, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ პოეტ ინდიკო ძაგანიას.

გულითადად გილოცავთ, ბატონო ინდიკო, იუბილეს.

80 წელმა ქვეყნისა და ხალხის ერთგულ მსახურებაში გაიარა. თქვენი ცხოვრება – ეს არის ვაჟკაცობის, გამბედაობის, სამართლიანობისთვის ბრძოლის მაგალითი. თქვენი შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმით, საქართველოს სიყვარულით, მის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, აფხაზეთში დაბრუნების იმედით. თქვენი შემოქმედება განუყოფელია თქვენი მოქალაქეობრივი პოზიციისგან. პრინციპების ერთგულება, ქრისტიანული ცხოვრება, ადამიანში სულიერებისა და ზნეობრიობის აღზრდაზე ზრუნვა პატივისცემასა და აღფრთოვანებას იმსახურებს.



ბატონო ინდიკო, თქვენ თქვენი პოეზიით ეროვნული ტრადიციების შესანარჩუნებლად იბრძვით, აყალიბებთ მორალურ პრინციპებს მკითხველთა მრავალი თაობისთვის; თქვენ გვინერგავთ რწმენას, რომ სიკეთე გაიმარჯვებს.

კეთილ და გულისხმიერ ადამიანს, საყვარელ მეუღლეს, მზრუნველ მამასა და ბაბუას, პოეტ ინდიკო ძაგანიას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევას, ღვთის წყალობასა და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

აქვე მკითხველს ვთავაზობთ პოეტის რამდენიმე ლექსს.

აფხაზეთს

უშენობით, აფხაზეთო,
ხომ იცი, რომ სევდა ვარ,
მალე მტერი გაგაქცევა
უკანმოუხედავად.
რაც არ უნდა გაგვაბრაზო,
ვერ შეგვიცვლი გუნებას,
მალე ვნახავთ ჩვენს შავ ზღვას და
ამწვანებულ ბუნებას.
ყველას გადავხვებით,
ვინც ჩვენს მოსვლას ნატრობდა,
ვისაც ჩვენი კაცობა და
მეგობრობა ახსოვდა.

მეტი არვის ენახოს
ჩვენზე ახირებულნი,
მთელს მსოფლიოს ვენახოთ
ხელიხელჩაკიდებულნი.

2009

ჩვენი ზღვა დაბგატოვებინეს

ცარიელი რვეული,
ზღვა ქანცგამოლეული,
წიწვაცლილი ნაძვები,
ხალხი ნაცემ-ნაგვეში.
ნაწამები წამები,
თავდახრილი ალგები...
მტრის დაგებულ მახეში
რა ადვილად გავვებით?!

2010

ჩვენს უსაყვარელს ოჩამჩირვს

ჩვენო ღამაზო ოჩამჩირვე, მწვანეში ჩაფლულო,
ღმერთკაცების და წმინდანთა საუფლოვ,
ქრუანტელს მივლის გახსენება სახელის შენის,
შენ მხოლოდ ჩვენი მოფერება და კოცნა გშვენის.
ეხ, ოჩამჩირვე! სუნთქვა ხარ ჩვენი,
გული გვაქვს ცივი, თვალი გვაქვს სველი,
შენი მკერდიდან აყრილი შვილნი
შენთან შეხვედრას დღემუდამ ველით.

რიწის ტბას

რიწის ტბას
(მაისში ტყეს) როცა იხილავ,
სიხარულისგან, ალბათ,
ზეცად აფრენას ინატრებ,
ზღაპრულ ხალიჩის მსგავსად.

რიწის ტბას
(მაისში ტყეს) როცა იხილავ,
ისე ვითარცა არსად,
წყაროს წყალს დაეწაფები
მწყურვალე ირმების მსგავსად.

1986

რწმენით და თმენით

ისე განველიეთ ცხოვრება,
არ დავეძებდით მოდას,
ჩვენ არ ვემდურით განგებას,
რაც მოხდა, უკვე მოხდა.
იყო და მუდამ იქნება,
ჩვენდა საფიცრად უფალი,
არ გაგვიტეხავს, არც გავტეხთ,
უფალს რაც სიტყვა ვუთხარით.
გულგატეხილებს ზეცისკენ
აშვერილი გვაქვს ხელები,
უფლის სიყვარულს კოცნიან
ჩვენი პატარა გენებიც.
ვიდექით, მუდამ ვიდგებით
ღვთის სადიდებელ გზაზე,
იფიქრეთ ხალხნო, მობრუნდით,
ვინაც არა ხართ აზრზე.
თავს ბედნიერად ვთვლიდეთ,
პურიც რომ გვექონდეს ხმელა,
მთავარი ღმერთთან ყოფნაა,
რწმენა და მუდამ თმენა.

2001

ქრისტეს გზისკენ დაჭრილი გულით
სული მიმაქვს წმინდა, წმინდა...
მივდივარ, რომ დავეუწოქო
მამას, ძეს და სულიწმინდას.

2000

როცა გიჭირდათ, მწარედ ვიტირე,
როცა გილხინდათ, გულით ვილხინე,
სულ მცირედიც კი მე დამიფასდა
და ცხოვრებაში ღმერთი ვიხილე.

2011

ცხოვრება როგორ მიჰქრის და მიჰქრის,
კაცი გავმხდარვარ უკვე ხნიერი,
ასე რომ უჭირს დღეს ჩემს ქვეყანას,

როგორ ვიქნები მე ბედნიერი?!
ვიღაც რომ ტირის, ვიღაცას უჭირს,
სცადე რითიმე შეეხმიანო,
შენ კი პირიქით, ზიზღით შესცქერი,
ქვის გული რად გაქვს, ადამიანო?!
მთელი ქვეყანა გიყურებს,
შენ რომ აკეთებ მეტისმეტს,
ზევიდან ქვემოთ ჩამოგსვამს,
არ ეჩქარება შემოქმედს.

2010

თვისება და ღირსება

ერთი კითხვა მებადება,
თავი ფიქრით ივსება,
ბევრმა რატომ მოიშალა
თვისება და ღირსება.
ეს ორივე ღმერთმა მოგვცა,
ღმერთმა დაგვასაჩუქრა;
ჩვენ კი როგორ მოვიხმარეთ -
მტერს მივეციოთ საჩუქრად.
აბა, ეს რა ღირსებაა -
მოშხამული პათოსი,
სუფთად, გულით შემოსილებო,
დღეს რას გვიგავს სამოსი?
მთავარი არ გვასხენდება,
მთავარი არ იცნესო,
გულში აღარ ჩაიჭედეს -
„შევედგებით ქრისტესო“.
თითქოს მირონცხებულო,
თითქოს ამაღლებულო,
არაფრის არ გამგონევ,
მიწას დანარცხებულო.
რომ დაკარგეთ, მიტომ ვწვალობთ,
გული რწმენით გვევსება,
დაიბრუნეთ, ძვირფასებო,
თვისებაც და ღირსებაც.

2005

მარტო შენთვის თუ ფუსფუსებ,
მარტო შენთვის თუ იღვწი,
ამას თხუნელაც აკეთებს,
ასე თაგვმაც კი იცის.

მისმინე! როგორც ზღაპარში,
ბევრი იპოვნო ნაყოფი,
ნუ მოიქცევი არამად,
აიღე შენი სამყოფი.

1990

მოძღვარი

(გუძღვნი მამა ანტონ კეკელიას ხსოვნას)

იცხოვრა მაცხოვრის კარნახით,
სიმართლის გააგლო კვალი,
სოფლის და ხალხის წინაშე
არ დარჩენია ვალი.

2000

ლეილას

(24 წლის შემდეგ)

სოხუმში პატარა ბაღია,
ბაღებს შუა ხეივანი,
ლამაზი თვალებით მიეყურებს
გოგონა – ჯეირანი.
მე ეს სახელი უეცრად
შევარქვი გუნებაში,
ვისსენებ მასთან შეხვედრებს
და სიტბოს მის მზერაში.
ოხ! როგორ მომწონდა ეს გოგო,
გოგონა სიცოცხლის სანთელი,
მხიბლავდა მთელი არსებით,
მიკვირს, რით შეძლო ამდენი.
იმ დღეებს რა დამავიწყებს,
სიხარულს ვაქსოვ იმაში,
გამიგეთ, ვერ დავივიწყებ
მზერას იმ ლამაზ წვიმაში...

მილიონობით იმ ღამით
განმეორებულს სიზმარში.
1986

მიტოვებული სახლი

გვინდა, რომ გულით გაქოთ,
სულმადლიანო ხალხო;
გაგანათებენ სულ მაღე,
მიტოვებულ სახლო.
იმედი ბოლოს კვდებაო, -
ჩვენს ბრძენებს ასე უთქვამთ,
არ გაუხმება სიმები
ჩვენს გულისთქმას და სულთქმას.

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| <p>კობა წურწუმია.....3 <i>დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრების“ ტრანსცენდენტური კონცეპტები</i> Koba Tsurtsumia <i>Transcendental Concepts of "New Life" by Dante Alighieri</i> Коба Цурцумия <i>Трансцендентальные концепции «Новой жизни» Данте Алигьери</i></p> | 3 |
| <p>ლაურა გურული, მარინა ალექსიძე 11 <i>დისკუსიის წარმართვის უნარების განვითარება უსდ-ებში რუსულის, როგორც უცხოური ენის მეცადინეობებზე</i> Laura Guruli, Marina Aleksidze <i>Developing Discussion Skills in Russian as a Foreign Language Classes</i> Лаура Гурули, Марина Алексидзе <i>Развитие навыков ведения дискуссии на занятиях по РКИ в ВУЗе</i></p> | 11 |
| <p>იზონერა ბერაია..... 18 <i>ბესიკის „სევდის ბაღის“ პარადიგმები</i> Izonera Beraia <i>Paradigms of Besiki`s Verxe-Collection "Sorrow Garden"</i> Изонера Бераиа <i>Парадигмы «Сад Печалей» Бесики</i></p> | 18 |
| <p>შორენა ჯიშკარიანი 24 <i>ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილი „სიმბოლოზმის აკვნის დამრწვევი“</i> Shorena Jishkariani <i>Aleksandre (Sandro) Shanshiashvili "Cradle of Symbolism"</i> Шорена Жишкаринани <i>Александр (Сандро) Шаншиашвили «Колыбель символизма»</i></p> | 24 |
| <p>ნინო ნიკოლაიშვილი..... 31 <i>„ნარნიის“ აღსასრული კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ და ესქატოლოგიურ-აპოკალიფსური მითორელიგიური ტრადიცია</i> Nino Nikolaishvili <i>The End of "Narnia" in Clive Lewis' "The Chronicles of Narnia" and the Eschatological-Apocalyptic Mythological Tradition</i> Нино Николаишвили <i>Конец Нарнии в «Хрониках Нарнии» Клайва Льюиса и эсхатолого-апокалиптическая мифологическая традиция</i></p> | 31 |

| | |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| ლალა ახმედოვა | 42 |
| <i>პარაფსიქოლოგიური მოვლენები XXსაუკუნის ქალაქურ პროზაში რუსული და აზერბაიჯანული ლიტერატურის მასალებზე დაყრდნობით</i> | |
| Lala Akhmedova | |
| <i>Parapsychological Events in Twenty-Century Urban Prose on the Example of Russian and Azerbaijani Literature</i> | |
| Лала Ахмедова | |
| <i>Парапсихологические явления в городской прозе XX века на материале русской и азербайджанской литературы</i> | |
| გვანცა ნარმანია | 47 |
| <i>ოთარ ჩხეიძის პარადიგმა</i> | |
| Gvantsa Narmania | |
| <i>Paradigm of Otar Chkheidze</i> | |
| Гванца Нармания | |
| <i>Парадигма Отара Чхеидзе</i> | |
| არსენ ბერთლანი, ნათელა ღუდუშაური | 51 |
| <i>რუსული ენის ბგერები და ასოები</i> | |
| Arsen Bertlani, Natella Gudushauri | |
| <i>Sounds and Letters in Russian language</i> | |
| Арсен Бертлани, Нателла Гудушаури | |
| <i>Звуки и буквы русского языка</i> | |
| იზონერა ბერაია | 57 |
| <i>აღუზიურ-რემინისცენციური პარალელები (ბესიკი/რუსთველი)</i> | |
| Izonera Beraia | |
| <i>Literary Parallels (Rustaveli/Besiki)</i> | |
| Изонера Бераиа | |
| <i>Литературные параллели (Руставели/Бесики)</i> | |
| ნინო ნიკოლაიშვილი | 67 |
| <i>ციკლური დროისა და „ოქროს ხანის“ არქეტიპი „ნარნიის ქრონიკებში“</i> | |
| <i>ციკლური დროის მითოსური არქეტიპი</i> | |
| Nino Nikolaishvili | |
| <i>The Archetype of Cyclical Time and the Golden Age in "The Chronicles of Narnia"</i> | |
| <i>Mythological Archetype of Cyclical Time</i> | |
| Нино Николаишвили | |
| <i>Архетип циклического времени и Золотой век в «Хрониках Нарнии». Мифологический архетип циклического времени</i> | |
| გვანცა ნარმანია | 74 |
| <i>კონცეპტი „ლანდშაფტი“ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში (ესკიზი)</i> | |
| Gvantsa Narmania | |
| <i>Guram Rcheulishvili`s Landscape</i> | |
| Гванца Нармания | |
| <i>Ландшафт Гурама Рчеулишвили</i> | |

ისტორია და ეთნოგრაფია
– HISTORY AND ETHNOGRAPHY – ИСТОРИЯ И ЭТНОГРАФИЯ

კობა ოკუჯავა..... 78
მზის კულტი ჩერქეზთა სინკრეტულ სარწმუნოებაში
Koba Okujava
Cult of the Sun in Circassian Syncretic Religion
Коба Окуджава
Культ солнца в синкретной религии Черкесов

დიმო ჩეშმეჯიევი..... 86
ბაჩკოვოს მონასტერი
Dimo Cheshmejiev
Bachkovo Monastery
Димо Чешмеджиев
Бачковский монастырь

კულტუროლოგია – CULTUROLOGY – КУЛЬТУРОЛОГИЯ

ფუად მამედოვი..... 95
ნიზამი განჯელი და სულიერი კულტურა
Fuad Mamedov
Nizam Ganjeli and Spiritual Culture
Фуад Мамедов
Низами Гянджеви и духовная культура

სოციოლოგია – SOCIOLOGY – СОЦИОЛОГИЯ

ბასამ იუსეფ იბრაჰიმ ბანატი..... 107
ქორწინებით კმაყოფილება პალესტინელ წყვილებში
Bassam Yousef Ibrahim Banat
Marital Satisfaction among Palestinian Couples
Бассам Юсуф Ибрагим Банат
Удовлетворенность браком в палестинских парах

მერი ჭანტურია..... 119
ინტერესთა დაპირისპირება და კონფლიქტები ოჯახში
Mery Chanturia
Conflicts of the Interest and Conflicts in the Family
Мери Чантурия
Столкновение интересов и конфликты в семье

შორენა კორტავა..... 125
რამდენიმე ფსიქო-სოციალური განსხვავება ამერიკულ და გერმანულ სოციუმს შორის (კურტ ლევინის მიხედვით)
Shorena Kortava
Several Psychosocial Differences Between American and German Societies (Analysis by Kurt Levin)
Шорена Кортава
Несколько психосоциальных различии американского и немецкого социума (Анализ Курта Левина)

შურნალისტიკა – JOURNALISM – ЖУРНАЛИСТИКА

ნანა ჯანაშია..... 137

კავკასიის ხალხთა უსაფრთხოების საკითხი 1914-1921 წლების ქართული პრესის მიხედვით

Nana Janashia

The Issue of Security of the Caucasian Peoples in 1914-1921. Based on the Georgian Press

Нана Джанашия

Вопросы безопасности народов Кавказа в 1914 -1921 гг. в грузинской прессе

მარიამ ქურდიანი..... 146

ეფექტური კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა

Mariam Kurdiani

The Essence and Significance of Effective Communication

Мариам Курдиани

Суть и значение эффективной коммуникации

**საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS
– МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

ომარ წერეთელი..... 151

აშშ-ისა და საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში 1990-იანი წლებიდან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერამდე 2009 წელს

Omar Tsereteli

US-Georgia Bilateral Defense and Security Cooperation starting from the 1990s to the Signature of Charter on Strategic Partnership of 2009

Омар Церетели

Двустороннее сотрудничество США и Грузии в области обороны и безопасности с 1990-х годов до подписания Хартии о стратегическом партнерстве 2009 года

სურა ჰუსეინოვა..... 159

ინფორმაციული უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკის განზომილება

Sura Huseynova

Challenges of International Information Security: Foreign Policy Dimension

Сура Гусейнова

Внешнеполитическое измерение информационной безопасности

სამართალმცოდნეობა – JURISPRUDENCE – ПРАВОВЕДЕНИЕ

ნანა ყურუა..... 164

შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის პრობლემა სამოქალაქო სამართალსა და პროცესში

Nana Kurua

Problem for Secret Adoption in Civil Law and Procedure

Нана Куруа

Проблема усыновления детей в гражданском праве и процессе

**ეკონომიკა და ბიზნესი – ECONOMICS AND BUSINESS –
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС**

- აიან მამედოვა**..... 172
სტრატეგიული ცვლილებების მართვის სისტემის ძირითადი ბერკეტები
Ayan Mamedova
Important Components of the Strategic Change Management System at Manufacturing Enterprises
Айан Мамедова
Основные рычаги системы управления стратегическими изменениями

**პედაგოგია და მეთოდოლოგია –
PEDAGOGY AND METHODOLOGY – ПЕДАГОГИКА И МЕТОДИКА**

- პრემისლავ ზიულკოვსკი, ირენა კუდლინსკა**..... 176
დისტანციური სწავლება პანდემიის პერიოდში პოლონეთში
Przemyslaw Ziolkowski, Irena Kudlinska
Distance Learning During the Pandemic Period in Poland
Пржемыслав Зюлковский, Ирэна Кудлинска
Дистанционное обучение в период пандемии в Польше

- გიორგი ჯინჯიხაძე**..... 188
ზოგიერთი სახის არითმეტიკული ამოცანის ამოხსნის სწავლების თაობაზე
Giorgi Jinjikhadze
About the Teaching of Finding a Solution to Some Kinds of Arithmetic Problems
Георгий Джинджихадзе
К вопросу об обучении решению некоторых арифметических задач

ბიოლოგია – BIOLOGY – БИОЛОГИЯ

- შორენა შარია**..... 193
შაქრიანი დიაბეტის გენეტიკური საფუძვლები
Shorena Sharia
Genetic Basis of Diabetes Mellitus
Шорена Шария
Генетическме основы сахарного диабета

ოზბილუ – ANNIVERSARY – ЮБИЛЕЙ

- ინდიკო ძაგანია – 80**..... 199
Indiko Dzagania – 80
Индиико Дзагания – 80

ქურნალის ელექტრონული ვერსია:

<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: indiradzagania5@gmail.com

Tel.: (+ 995 32) 2 54 14 49

Mob.: (+995 93) 93 20 91

**ქურნალში გამომქვეყნებულ მასალაზე
კანონისმგებელია ავტორი.**

**Ответственность за содержание публикации
в журнале несет автор.**

**Authors are solely responsible for the content
of published materials.**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაის №4. ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



9771512436007